

654.1.007
6-16




შპს ბუღალტერთა
მომსახურების ცენტრი

თეზურ აბესაძე

სასწავლო კურსი

კომპიუტერულ
საბუღალტრო პროგრამა
ორის-ბუღალტერიაში

დამონსტრაციო ვერსია-5.87
08.2006



ორისი

ბუღალტერია
ორისი
ORIS
Accounting

კარგად

მომსახურება

პროფესიული კოლეჯი
შპს "ბულალტერთა მოფაღების ცენტრი"

თემურ აბუსაძე



სასწავლო კურსი

კომპიუტერულ საბულალტრო
პროგრამა

ორის-ბულალტერთაში

2012 წ.

ცხადება ბეჭედი ©

შპს "ბულალტერთა მოფაღების ცენტრი" ქ.სს.

თ. აბუსაძე

იანვლის იუსტიციის


სასწავლო კურსი კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამა
ორის-ბუღალტერიაში

ნსსსსსსს სსსსსს

მოცემული წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს პოპულარულ ქართულ საბუღალტრო პროგრამა ორისთან მუშაობის შესწავლა. წიგნში განხილულია პრაქტიკული სავარჯიშოები და ყოველი თავის ბოლოს დამატებით მოცემულია სავარჯიშო დამოუკიდებელი მუშაობისათვის. წიგნი გამოადგებათ დამწყებ ბუღალტრებს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პროგრამის სადემონსტრაციო და მუშა ვერსიები განთავსებულია კომპანია ორისის ვებ გვერდზე oris.ge, საიდანაც შეიძლება მათი ჩამოტვირთვა.

წიგნი გამოცემულია კომპანია ორისის ნებართვით.



ავტორი: თემურ აბესაძე


თავი 1.	პროგრამის დაყენება და მუშაობის დაწყება.....	4
თავი 2.	ანგარიშთა გეგმა.....	20
თავი 3.	ანგარიშებისა და ქვეანგარიშების შექმნის პრინციპები.....	25
თავი 4.	ბანკის სახეობის ანგარიშების შექმნა.....	28
თავი 5.	სასტარტო ნაშთების შეტანა.....	31
თავი 6.	საბუღალტრო გატარებები.....	35
თავი 7.	თანამშრომლის სახეობის ანგარიშები.....	48
თავი 8.	სასაქონლო ანგარიშები.....	56
თავი 9.	ორგანიზაციის სახეობის ანგარიშები.....	76
თავი 10.	პირველადი დოკუმენტები.....	80
თავი 11.	ანგარიშთა სახეობების გამოყენება.....	97
თავი 12.	ძირითადი საშუალებები.....	102
თავი 13.1.	ხელფასი.....	120
თავი 13.2.	ხელფასების გადაკეთება.....	141
თავი 14.	პროექტები.....	149
თავი 15.1	სამეურნეო ოპერაციები.....	155
თავი 15.2	სამეურნეო ოპერაციების გადაკეთება და აწყობა.....	167
თავი 16.	ვალუტა.....	183
თავი 17.	საბოლოო ფორმები.....	189
თავი 18.	გატარებების ფანჯრის დამატებითი ღილაკები.....	200
თავი 19.	მონაცემთა ასლების აღება და აღდგენა.....	208
თავი 20.	სისტემის მომხმარებლები. პაროლები.....	212
თავი 21.	ჩანაწერების წაშლა:.....	215
თავი 22.	სისტემის პარამეტრები.....	217
თავი 23.	ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი - Cash Flow.....	224
თავი 24.	საცდელი ბალანსი. მოგება-ზარალი.....	227
თავი 25.	ატვირთვები mof.ge (rs.ge) ვებ გვერდზე.....	231
თავი 26.	წარმოება (საბუღალტრო ცხრილები).....	233

თავი 1. პროგრამის დაყენება და მუშაობის დაწყება

პროგრამის ინსტალაცია მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დიალოგის რეჟიმში, მარტივია და გამოუცდელ მომხმარებელსაც კი ადვილად შეუძლია მისი შესრულება.

პროგრამის დასაყენებლად ლაზერული დისკი, რომელზეც ჩაწერილია პროგრამა "ორის-ბუღალტერია"-ს საინსტალაციო პაკეტი, მოათავსეთ წამკითხავ მოწყობილობაში. რამდენიმე წამში ეკრანზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა (ან გახსენით ლაზერული დისკი და გაუშვით პროგრამა AutoRun.exe).

ორივე შემთხვევაში ეკრანზე მივიღებთ ინსტალაციის პროცესის საწყის სურათს:



ამ ფანჯრიდან შეიძლება როგორც მუშა, ასევე სადემონსტრაციო ვერსიის დაყენება. ავირჩიოთ ვარიანტი "სადემონსტრაციო ვერსია" (მუშა ვერსიის დაყენებისას პროგრამა იმუშავებს იმ შემთხვევაში, თუ კომპიუტერზე მიერთებულია დამცავი ელექტრონული გასაღები – Hasp).

ვიხილავთ სურათს:

პროგრამასთან მუშაობის დაწყებამდე წარმოადგინეთ აბინაინტი სალიცენზიო ხელშეკრულებას!

სალიცენზიო ხელშეკრულება სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს თანხმობას დოკუმენტს იქვე (საბოლოო მომხმარებელს) და ვას ორისს შორის. პროგრამის დაყენების შემთხვევაში, მისი კომპონენტები, ან მასთან მუშაობის დაწყებამდე, თქვენ იძლევიან თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულებას ყველა პირობა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ იმსახვებთ ჩილი, რეალიზაციის, პირობებს, თქვენ არ გსურთ იურიდიული უფლება იმსახვებთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დაყენებთ პროგრამას კომპიუტერზე. პროგრამის შექმნისას თქვენს მიერ აბინაინტი განმარტებულია თქვენ გაქვთ უფლება დაასრულოთ პროგრამის დაუბინაინებელი სრული კომპლექტი, მასში შემაჯავთ ნაგავი და სხვა თანხმობები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაბინაინდებათ მისი სრული სახეობა.

საბატონო უფლება კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს ვას ორისს საკუთრებას და დაცულია კანონით. სალიცენზიო უფლებები პროგრამის ერთგვარობისთვის ლიცენზიის შექმნისას, თქვენ გაქვთ უფლება მუშაობთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან მთლიანი ლიცენზიის შექმნისას - მთლიანი კომპიუტერული მასალის რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გაზიარება თქვენ შეგიძლიათ გადართოთ სალიცენზიო უფლებები. მისაღვი მხარის იმ შემთხვევაში, თუ მისაღვი მხარის თანხმობა შეასრულოთ მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულებას ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადართოთ მისაღვი მხარის პროგრამის და სხვა თანხმობები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წარმოადგინოთ პროგრამის ყველა აკლი.


შეზღუდული ბარანტი მომხმარებლის მიერ პროგრამის შექმნისას ერთი წლის განმავლობაში ვას ორისს უზრუნველყოფს უფასო სატელეფონო მომსახურებას და კონსულტაციებს ვას ორისს ტექნიკურმა მომხმარებელს ან მომსახურებელს. ამომავალი უფლება აკლი მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები დაგაბინებთ ანაზღაურების ბარანტი. პროგრამის შექმნისას იმისთვის, შემდეგ ვას ორისს უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის ანაზღაურების მიწოდებას უფასოა.

ბარანტივინს არანაზღაურება პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგინოთ "როგორც არის" მთლიანი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. ვას ორისს არ გააქვთ ბარანტი, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ვას ორისს არანაზღაურებაში არ იძლევა ანაზღაურებას მომსახურებას, ვას ორისს ტექნიკურმა მომხმარებელს ან მომსახურებელს. პროგრამის შექმნისას თქვენს მიერ იმისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს პროგრამის განახლებამდე ან მომსახურების მიწოდებამდე, იმ შემთხვევაში, თუ თუ ვას ორისს წინასწარ იმისთვის მომსახურებელი ანაზღაურებას მასალას.


აბინაინტი ვითარებაში დასაქვთ მისთვის ანაზღაურებას თანხა არ შეიძლება ატარებოდეს მომხმარებლის მიერ გატარებულ დადასტურებულ პროგრამის ღირებულებას.




ეს შეტყობინება ეხება სალიცენზიო შეთანხმებას, რომელიც უნდა დაადასტუროთ **I Agree** ("თანახმა ვარ") ღილაკზე დაჭერით. შემდეგი შეტყობინებები შეეხება იმ დისკისა და საქაღალდის არჩევას, რომელშიც უნდა ჩაიწეროს პროგრამა (სისტემა თვითონ ვეთავაზობს C:\OrisDemo საქაღალდეს). ყოველ შემდეგ შეტყობინებაზე საკმარისია **Next** ღილაკზე დაჭერა. საბოლოოდ მიუვითითოთ ბრძანება **Finish** და ამით დასრულდება პროგრამის ინსტალაცია.



თუ თქვენ აინსტალირებთ მუშა ვერსიას, პროცესი იგივე თანმიმდევრობით სრულდება, მხოლოდ ბრძანება **Finish**-ის წინ უნდა მიუთითოთ ბრძანება **Install Hasp Driver** და მხოლოდ ამის შემდეგ მიუერთოთ პროგრამის გასაღები. ამით პროგრამის ინსტალაცია დასრულებულია.

პროგრამის იარღივი  სახელწოდებით **ORIS Accounting Demo** (მუშა ვერსიის შემთხვევაში კი **ORIS Accounting**) გაჩნდება ეკრანზე და ასევე, შეიტანება ოპერაციული სისტემის სასტარტო მენიუს **Programs** ჯგუფში.


პროგრამა მუშაობაში იყენებს ქართულ შრიფტებს, რომლებიც ავტომატურად დაყენდება პროგრამის ინსტალაციის დროს. საჭიროა მხოლოდ კლავიატურის დრაივერის (შრიფტების გადამრთველის) დაყენება. ამისათვის ავირჩიოთ შემდეგი ბრძანება – “ქართული კლავიატურა”



ამის შედეგად გაიშვება დისკზე არსებული პროგრამა GeoKbd.exe და ეკრანზე მივიღებთ შეტყობინებას:




დავადასტუროთ ინსტალაციის დაწყების პროცესი Install ბრძანებით. ოპერაციის შესრულების შემდეგ, სისტემამ შეიძლება მოითხოვოს გადატვირთვა:



დავადასტუროთ Yes ბრძანებით.


სისტემის ხელახალი ჩატვირთვის შემდეგ, თუკი გავხსნით ეკრანის ქვედა, მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ინდიკატორს (დავალებათა პანელზე - Task Bar),

წარწერით "En", მასში ჩართული იქნება ქართული ენაც, რომლის ასარჩევად პროგრამის ბოლო ვერსიებში გამოყენებულია გადამრთველი Fi - Finnish)



შენიშვნა 1: თუ ინდიკატორი En არ ჩანს თქვენს ეკრანზე (ეს ხდება მაშინ, როდესაც რეგიონალური პარამეტრებიდან მხოლოდ ინგლისური ენა არის დაყენებული), მაშინ შეიძლება ქართული კლავიატურის დრაივერი არ დაყენდეს. ამისათვის ოპერაციული სისტემის სასტარტო მენიუდან შეასრულეთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

Start / Setting / Regional and Language Options / Languages / Details




გახსნილ ფანჯარაში ალბათ მხოლოდ English (United States) ჩანს დაამატეთ რაიმე სხვა ენა (მაგ. რუსული Russian) და დახურეთ ფანჯარა OK ღილაკით. ამის შედეგად დავალებათა პანელზე გამოჩნდება ენის ინდიკატორი En წარწერით.

ამის შემდეგ პროგრამის საინსტალაციო დისკიდან ხელახლა სცადეთ ქართული კლავიატურის დრაივერის დაყენება.


შენიშვნა 2: (თუკი თქვენს კომპიუტერზე ქართული ენის გადამრთველი უკვე დაყენებულია, მაშინ ამ საფეხურის გავლა საჭირო აღარაა)

კლავიატურის დრაივერის დაყენება Windows Vista ან Windows 7-ზე:

კლავიატურის დრაივერის დაყენების მცდელობისას შეიძლება ეკრანზე ასეთი შეტყობინება გამოჩნდეს.




ასეთ შემთხვევაში ბრძანებით - CD შემცველობა – გავხსნათ დისკის შიგთავსი



დისკზე არის საქალაქდუ Keyboard. მასში არის პროგრამა სახელით Geokbd.exe. დააჭირეთ მასზე თავის მარჯვენა ღილაკით, ჩამოიშლება კონტექსტური მენიუ, საიდანაც აირჩიეთ "Run as Administrator":



თუ კლავიატურის გადამრთველ ინდიკატორში არ ჩაჯდა FI, მაშინ შეასრულებთ ბრძანებათა ასეთი თანმიმდევრობა: start/Setting/Control panel/Regional and language setting გახსენით Keyboard and languages /change keyboard



დაამატეთ ახალი ენა Finish და აირჩიეთ კლავიატურის განლაგება Geo (Slat) ბოლოს OK.

პროგრამასთან მუშაობის დაწყება და ეკრანის საწყისი სურათი


პროგრამის გაშვებისას (სასტარტო მენიუდან, ან ეკრანზე არსებული იარღილის გამოყენებით) გამოჩნდება შემდეგი ფანჯარა:



წარადგება მივაქციოთ ამ საწყის ეკრანს. აქ გამოდის პროგრამის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

1. რა ტიპის პროგრამაა (მუშა თუ სადემონსტრაციო) და მერამდენე ვერსიაა (5.103)
2. რომელ თარიღში არის გამოსული ეს ვერსია (9.02.2009 წ.)
3. რომელი მოდიფიკაციაა (ერთვალუტიანი, მულტისავალუტო, ქსელური, ცხრილებიანი და ა.შ)
4. როდემდე შეიძლება კომპიუტერზე პროგრამის ახალი ვერსიების დაყენება

მაგალითად, პროგრამის მუშა ვერსიის შემთხვევაში, ეს ეკრანი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:




შენიშვნა: პროგრამის სადემონსტრაციო ვერსიის განახლება ყოველთვისაა შესაძლებელი. ხოლო მუშა ვერსიის შემთხვევაში ვადები შეზღუდულია. მუშა ვერსიის პროგრამას კომპლექტში მიყვება გასაღები, რომელშიც ჩაწერილია ვადა გაყიდვის დღიდან ერთი წელი. ჩვენს შემთხვევაში, როგორც ჩანს პროგრამის განახლებები შეიძლება 2008 წლის 13 თებერვლამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროგრამა ჩვეულებრივ გაავრძელებს მუშაობას, უბრალოდ ახალ ვერსიას ვეღარ დაგაყენებთ (უფრო ზუსტად: ახალ ვერსიას კი დააყენებთ, მაგრამ პროგრამაში ვეღარ შეხვალთ. პროგრამა მოვცემით შეტყობინებას – თქვენ აღარ გეკუთვნიოთ ახალი ვერსია! ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ ამ თარიღს!)

თუ პროგრამას პირველად ხსნით, ამ შემთხვევაში უჯრა “ორგანიზაცია” საერთოდ არ გამოჩნდება. ამ შემთხვევაში, პროგრამაში შესასვლელად უბრალოდ დააჭირეთ OK-ს. ხოლო, თუ თქვენ პროგრამაში უკვე გახსნილი გაქვთ რაიმე ორგანიზაცია და მასთან გინდათ მუშაობა, მაშინ ჩამოშალეთ ორგანიზაციების ჩამონათვალი და აირჩიეთ საჭირო ორგანიზაციის დასახელება. პაროლი, ჯერჯერობით, საჭირო არ არის.

პროგრამის პირველი გაშვების შემთხვევაში, ეკრანზე გამოჩნდება ცარიელი ფანჯარა, რომელიც ითხოვს სისტემის პარამეტრების შეტანას. უმჯობესი იქნება, თუ ამ ფანჯარას მაშინვე დაგხურავთ.

ამის შემდეგ, ეკრანზე იხილავთ პროგრამის საწყის კადრს, რომლის ზედა ნაწილი ასე გამოიყურება:



ფანჯრის პირველი სტრიქონი (სათაური) გვიჩვენებს, რომ გახსნილია პროგრამის - Oris Accounting Demo – სადემონსტრაციო ვერსია (მუშა ვერსიის შემთხვევაში კი Oris Accounting). შემდეგი წარწერა – C:\ORIS DEMO\ კი მიუთითებს, რომ პროგრამა ჩაწერილია C: დისკის ORIS DEMO საქაღალდეში. შემდგომში, ამავე საქაღალდეში აღმოჩნდება ყოველი ახალად შექმნილი ორგანიზაციის შესაბამისი საქაღალდე.

თუ პროგრამა ქსელური ვერსიაა, მაშინ სათაურის ზოლში დაემატება აღნიშვნა Net, ხოლო მრავალვალუტიანი ვერსიის შემთხვევაში კიდევ დაემატება აღნიშვნა – MultiVal. ამგვარად, სათაურის ზოლი პროგრამის მუშა, მრავალვალუტიანი, ქსელური ვერსიის შემთხვევაში შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:


Oris Accounting 5.115 Net MultiVal (C:/Oris/ორგანიზაციის ბაზის სახელი)

ახალი ორგანიზაციის შექმნა:

ყოველი ახალი ორგანიზაციის ბუღალტერიის საწარმოებლად პროგრამაში უნდა "გაიხსნას" (შეიქმნას) მისი ბაზა. თითოეული ორგანიზაციის მონაცემები შედგება რამდენიმე ათეული ფაილისაგან. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუშაობის დასაჩქარებლად და მონაცემების უსაფრთხოების მიზნით, პროგრამა ცალ-ცალკე ფაილებში ინახავს ორგანიზაციის ანგარიშთა გეგმას, ნაშთებს, გატარებებს და ა.შ. ამიტომ ყოველ ორგანიზაციას შეესაბამება თავისი საქაღალდე რომელშიც მოთავსდება აღნიშნული ფაილები.

ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად გამოიყენეთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

ფაილი / ახალი ორგანიზაციის შექმნა




ამის შემდეგ, დიალოგის რეჟიმში პროგრამას ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიეთითოს:

- შესაქმნელი ბაზის ტიპი (საწყისი ბაზა, თუ მიმდინარე ბაზის დუბლი);
- ორგანიზაციის შესაბამისი საქაღალდის სახელი (მაგალითად, SS_Imereti);
- ანგარიშთა სისტემის სტრუქტურა (ძველი, ახალი თუ საბიუჯეტო);
- მენიუს ენა (ქართული, რუსული თუ ინგლისური);
- დასასრულ, ძირითადი ვალუტა.


ყოველ მომდევნო ნაბიჯზე გადასვლა ხდება ღილაკზე "შემდეგი" დაჭერით.

ამ ოპერაციის შესასრულებლად ვისარგებლოთ შემდეგი მითითებებით:


- პირველივე ნაბიჯზე, ახალი ორგანიზაციის შექმნის შემთხვევაში, ავირჩიოთ ვარიანტი "საწყისი ბაზა" (მეორე ვარიანტი გამოიყენება არსებული ორგანიზაციის შემთხვევაში).



- მეორე ნაბიჯზე, ორგანიზაციის საქაღალდის სახელის შეტანის დროს გასათვალისწინებელია, რომ სახელი უნდა შედგებოდეს ლათინური ასოებისა და ციფრების კომბინაციისაგან. დაუშვებელია ყველანაირი სიმბოლო, გარდა “_” (ქვედა ტირე) სიმბოლოსი.




- საბოლოოდ, ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, რომელშიც უნდა შევიდეს ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია (რეკვიზიტები). მაგალითის სახით ფანჯარა შეიძლება ასე შეივსოს:



რაც შეეხება მოცემული ფანჯრის მარჯვენა ნაწილს, მასში მიეთითება იმ ბანკების რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და ანგარიშის ნომერი), სადაც ჩვენს ორგანიზაციას გახსნილი აქვს საღარეო თუ სავალუტო ანგარიშები.


ფანჯრის ამ ნაწილში განლაგებულია ღილაკები, რომელთა დანიშნულება ადვილად შეიძლება გავიგოთ, თუ ღილაკთან მივიტანთ თაგვის ისარს და ცოტა ხნით გავაჩერებთ.




ამგვარად გავიგებთ, რომ ღილაკების ფუნქცია ასეთია:

- დამატება
- კორექტირება
- წაშლა


დაეუშვათ, რომ ჩვენს ორგანიზაციას სალარე ანგარიში აქვს გახსნილი ორ ადგილობრივ (რეზიდენტ) ბანკში – თიბისი ბანკი და ბანკი ქართუ.


დავამატოთ ამ ფანჯარაში ბანკების მონაცემები. ამისათვის  ღილაკის გამოყენებით მივცეთ დამატების ბრძანება. ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას:


ამ ფანჯრის პირველივე უჯრაში გამოტანილი რიცხვი 4 (კოდი) შეიძლება შევცვალოთ (მას პროგრამა ავტომატურად ავსებს). ეს კოდი შემდგომში გამოყენებული იქნება ანგარიშთა გეგმაში ბანკის ქვეანგარიშის გახსნის დროს. შევცვალოთ ეს რიცხვი, მაგალითად, რიცხვით 1 (თუმცა, შეცვლა აუცილებელი სულაც არ არის. პროგრამა მომდევნო ბანკის შემთხვევაში თვითონ გაზრდის ამ კოდის მნიშვნელობას).

რაც შეეხება ბანკის დასახელებას, მისი არჩევა უნდა მოხდეს ბანკების სიიდან, რომლის გახსნა შეიძლება ბანკის ველის გვერდით მოთავსებულ  ღილაკზე თავისი ისრის დაჭერით. ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას:


კოდი	დასახელება	საპოსტო 73	ბანკის კოდი
4	"ბანკი ქართუ"	161381	220101081
7	"თიბისი ბანკი"	800161219	220101830
8	ქ. თბილისი, კვ "საკაპიტველუ"	700161319	220101719
3	ქ. თბილისი, სს "ბაერთ. ქართული ბანკი" - ს. შიპაშვილის ფილიალი	600161901	220101666
5	ქ. თბილისი, სს "შვილუნეველსაბანკი"	900161397	220101397

თუ სიაში ჩვენი ბანკი არ არის, შეიძლება მისი დამატება ისევ  ღილაკის გამოყენებით.

ამჯერად ავირჩიოთ ბანკი "თიბისი". ამისათვის მოვნიშნოთ მისი სტრიქონი და მისი მონაცემების წინა ფანჯარაში გადასატანად გამოვიყენოთ ამ ფანჯრის ქვედა მარჯვენა ნაწილში მოთავსებული  ღილაკი. ეკრანზე ვიხილავთ სურათს:



როგორც ვხედავთ, შეივსო ველების უმეტესობა. დასამატებელი რჩება მხოლოდ "თიბისი" ბანკში ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი. მაგალითისათვის შევიტანოთ 123456 და დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკის გამოყენებით. ეს მონაცემები გადავა ორგანიზაციის რეკვიზიტების ფანჯარაში:




ამით პირველი ბანკის მონაცემების შეტანა დამთავრებულია.

ანალოგიურად დავამატოთ მეორე ბანკიც – "ქართუ" (კოდის უჯრაში შევიტანოთ რიცხვი 2).

ამ ფანჯარაში შეტანილი მონაცემები შემდგომში გამოყენებული იქნება სხვადასხვა საბუღალტრო ფორმებში და ანგარიშგებებში (შემოსავალ-გასავლის ორდერებში, საგადასახადო დეკლარაციებში, ბალანსში, საგადასახადო დავალებებში, სასაქონლო ზედნაღებში და ა.შ.). მაგალითად, ამ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი საჭიროა საგადასახადო დავალების შედგენისას. ამიტომ, შემდგომში ასეთი დოკუმენტის დაფორმირების დროს საჭირო მონაცემები (ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, ორგანიზაციის ანგარიში) ავტომატურად შეიტანება საგადასახადო დავალების ფორმაში.

ყურადღება მივაქციოთ ფანჯრის დასახელებას, სადაც ჩვენ შევიტანეთ ორგანიზაციის რეკვიზიტები და საბანკო მონაცემები.




ფანჯრის დასახელებაა "სისტემის პარამეტრები". ეს დასახელება შემდგომში საჭირო იქნება ჩვენთვის.

საბოლოოდ, თუ მონაცემების შეტანა დასრულებულია, ფანჯარა დავხუროთ OK ღილაკით.

ამის შემდეგ სათაურის სტრიქონში გაჩნდება შექმნილი ორგანიზაციის (საქაღალდის) სახელი - **[C:\ORISDEMO\SS_IMERETI]**

შემდგომში, თუ საჭირო გახდება აღნიშნული მონაცემების ცვლილება, იგივე ფანჯარა შეიძლება გავხსნათ ბრძანებების შემდეგი თანმიმდევრობით:


ფონდები / სისტემის პარამეტრები



არსებული ორგანიზაციის გახსნა

პროგრამაში უკვე შექმნილი, არსებული ორგანიზაციის არჩევა და გახსნა შეიძლება ორი გზით:

- 1. თავიდანვე, პროგრამის გაშვების დროს. ამისათვის ჩამოვშალოთ ორგანიზაციების სიის ფანჯარა, რომელშიც თავიდან ავტომატურად მოცემულია ORIS DEMO. ვიხილათ ორგანიზაციების ჩამონათვაღს.



თავის ისრის საშუალებით ავირჩიოთ საჭირო ორგანიზაცია და დავადასტუროთ OK ღილაკზე დაჭერით.

- 2. როდესაც უკვე ვიმყოფებით პროგრამაში და გახსნილი გვაქვს რაიმე ორგანიზაცია. თუ გვინდა მასთან მუშაობის დამთავრება და პროგრამის დაუხურავად, სხვა ორგანიზაციასთან მუშაობის გაგრძელება, უნდა გამოვიყენოთ ბრძანებების თანმიმდევრობა:

ფაილი / არსებული ორგანიზაციის გახსნა. ეკრანზე ისევ ვიხილავთ ზემოთ მოცემულ სურათს. იმ სხვა ორგანიზაციის არჩევა მოხდება ზემოთ აღწერილის ანალოგიურად.


ორგანიზაციის წაშლა

თუ რომელიმე ორგანიზაცია, რომელიც ვარჯიშის, ან სხვა მიზნით იყო გახსნილი პროგრამაში და საჭირო აღარ არის, უნდა წაიშალოს. ამისათვის არსებობს ორი მეთოდი:


პირველი მეთოდი:

პროგრამა ორისის გამოყენებით:

ამისათვის გავხსნათ მენიუ “ფაილი” და მასში ავირჩიოთ ბრძანება “არსებული ორგანიზაციის წაშლა”



ეკრანზე მივიღებთ პროგრამაში გახსნილი ორგანიზაციების სიას, საიდანაც ავირჩევთ წასაშლელი ორგანიზაციის სახელს და გამოვიყენებთ **წაშლა** ღილაკს.



შენიშვნა: ვერ წაშლით იმ ორგანიზაციას, რომელიც ამჟამად გახსნილია პროგრამაში. მის წასაშლელად შედეთ სხვა ორგანიზაციაში და იქედან მიეცით წაშლის ბრძანება!



მეორე მეთოდი:

ოპერაციული სისტემის გამოყენებით, პროგრამის გარედან:


ამისათვის დაგხუროთ პროგრამა და ეკრანზე არსებული ღილაკით My Computer




გაგხსნათ დისკების ჩამონათვალი.



გაგხსნათ დისკი C: და მასზე ვიპოვოთ საქალაქე ORIS DEMO (ან ORIS)



ამ საქალაქის გახსნის შედეგად ეკრანზე გამოვა მისი შიგთავსი, რომელიც დაახლოებით ასეთი სახის იქნება:



როგორც ვხედავთ, სხვა საქალაქეებთან ერთად, აქ მოცემულია ჩვენ მიერ შექმნილი ორგანიზაციის საქალაქე - SS_Imereti. სწორედ მასში არსებულ ფაილებში ინახება ორგანიზაციის მონაცემები.

თუ ეს ორგანიზაცია საჭირო აღარაა, უბრალოდ მოენიშნოთ და წაეშალოთ საქალაქე (მოცემულ შემთხვევაში წაშლა საჭირო არ არის, რადგან ეს ორგანიზაცია საჭირო იქნება მომდევნო თავებში).


ბრძანების შესრულების მეთოდები

სხვა, როგორც ნებისმიერ სხვა პროგრამაში, ორისშიც ნებისმიერი ბრძანება შეიძლება შესრულდეს სამი ალტერნატიული მეთოდით:

1. მენიუდან საჭირო ბრძანების არჩევით;
2. ბრძანების შესაბამისი ღილაკით (პიქტოგრამით), რომელიც მოთავსებულია ინსტრუმენტების პანელზე;
3. კლავიატურიდან კლავისის, ან კლავისების კომბინაციის გამოყენებით.

შეგალითისათვის განვიხილოთ ანგარიშთა გეგმის ეკრანზე გამოტანის ბრძანება.


1. გახსენით მენიუ “ფონდები” და მასში ავირჩიოთ ბრძანება “ანგარიშები”






2. გამოვიყენოთ ეკრანის პირველ სტრიქონში მოთავსებული ღილაკი
3. გამოვიყენოთ კლავიშების კომბინაცია CTRL + 1

სამივე შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა:



ბრძანებების შესაბამისი თითოეული ღილაკის დანიშნულებისა და გამოსაძახებლად საჭირო კლავიშების კომბინაციის გასაგებად, თავის ისარი მიიტანეთ საჭირო ღილაკთან და მცირე ხნით გააჩერეთ.

იხილავთ ასეთ სურათს:



ეკრანზე მოთავსებულ მომდევნო ღილაკებს შეესაბამება კომბინაცია CTRL + 2 (გატარებები), CTRL + 3 (სამეურნეო ოპერაციები) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ კლავიატურის საშუალებით, ბრძანებების შეტანა ძალზე ეფექტურია და აჩქარებს მუშაობას. ამიტომ, სასარგებლო იქნება, თუ მომხმარებელი მათზე გაამახვილებს ყურადღებას.

ყოველი გახსნილი ფანჯარა, თავის მხრივ, შეიცავს ღილაკებს, რომელთა შესაბამისი ბრძანების შესრულება ასევე შეიძლება კლავიატურის გამოყენებით.

ნებისმიერი გახსნილი ფანჯარა შეიძლება დაიხუროს როგორც ტრადიციული მეთოდების გამოყენებით – ფანჯრის ზედა მარჯვენა მხარეს მოთავსებული ღილაკით, ან CTRL + F4 კომბინაციით, ასევე კლავიატურის ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებული ESC (Escape) ღილაკის გამოყენებით. თვითონ პროგრამის დახურვა შეიძლება Alt + F4 კლავიშების კომბინაციით (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროგრამის შემთხვევაში).

პროგრამა 1:

1. შექმენით ახალი ორგანიზაცია, სახელით Vake და შეიტანეთ შემდეგი მონაცემები:


სახელი:	შპს “ვაკე”
საიდენტიფიკაციო კოდი:	220230240
ქალაქი:	თბილისი
ქუჩა:	ფალიაშვილის 60
2. დახურეთ პროგრამა
3. ხელახლა შედით პროგრამაში და შექმენით კიდევ ერთი ორგანიზაცია Orioni. შეიტანეთ მის შესახებ რაიმე ინფორმაცია.
4. ისევ დახურეთ პროგრამა. ხელახლა შედით პროგრამაში და თავიდანვე აირჩიეთ ორგანიზაცია Orioni.
5. პროგრამიდან გაუსვლულად აირჩიეთ და გახსენით ორგანიზაცია Vake
6. გახსენით ანგარიშთა გეგმა:
 - (ა) მენიუდან;
 - (ბ) კლავიშების კომბინაციით;
 - (გ) ეკრანზე არსებული ღილაკის გამოყენებით.

დახურეთ პროგრამა და წაშალეთ ორგანიზაცია Orioni.


თავი 2. ანგარიშთა გეგმა

ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა

გავხსნათ წინა თავში შექმნილი ორგანიზაცია SS_Imereti და ზემოთ აღწერილი ერთ-ერთი რომელიმე მეთოდის გამოყენებით მასში გავხსნათ ანგარიშთა გეგმა. ეკრანზე ვიხილავთ სურათს:



ანგარიშთა გეგმის მოდული წარმოადგენს პროგრამის უმთავრეს კომპონენტს. მისი საშუალებით ბუღალტერი ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს. ორგანიზაციასთან მუშაობის დაწყებამდე პროგრამაში არსებული ანგარიშთა გეგმა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ორგანიზაციის ჩანაწერებთან. ეს ნიშნავს, რომ ანალიზური აღრიცხვის მიზნით, ანგარიშთა გეგმის სინთეზურ ანგარიშებზე უნდა დაემატოს საჭირო ქვეანგარიშები, ანალიზური ანგარიშების სახით. მაგალითად, 1410-ზე (მოთხოვნები მიწოდებებიდან და მომსახურებებიდან) გაიხსნას მყიდველების ქვეანგარიშები (შპს “მედია” და მალაზია “წიგნის სამყარო” და ა.შ.:



ანალოგიურად, 3110-ზე (მოვალეობებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები) – მომწოდებლების ქვეანგარიშები (კრედიტორები), 1620-ზე (ნაღდი და მასალა) - მასალების ქვეანგარიშები და ა.შ.

ანგარიშთა გეგმაში შეიძლება წავშალოთ ზედმეტი ანგარიშები და გადავაკეთოთ ზოგიერთი ანგარიშის დასახელება.

ანგარიშები შეიძლება ერთმანეთში იქნეს ჩაღებულნი, რაც იძლევა მსგავსი ანგარიშების დაჯგუფების საშუალებას და ანგარიშთა გეგმას უფრო მოხერხებულს.

ბუღალტრული ხდის შემდგომი გამოყენების მიზნით. მაგალითად: 1620-ზე ქვეანგარიშები (ქალაქი, სადგბავი, ბენზინი, ნავთი და ა.შ.) შეიძლება ასეთი სახის იყოს:

1620	აპბ	ნაღვალური და მასალა
1620 0004	აპბ	ქალაქი
1620 0005	აპბ	სადგბავი
1620 0007	აპბ	ბენზინი
1620 0008	აპბ	ნავთი
1630	აპბ	ფინანსური და მასალა

მაგრიამ, თუკი ქვეანგარიშების რაოდენობა დიდია (ასობით და ათასობით) და ფართო ასორტიმენტის არის, მაშინ ალბათ უკეთესი იქნება მათი დაჯგუფება, როგორც ეს მოცემულია 1610 ანგარიშის მაგალითზე, სადაც ჯერ გახსნილია ქვეანგარიშები (დაჯგუფების მიზნით) – ჯგუფი 1 - კვების პროდუქტები და ჯგუფი 2 – სარეცხი საშუალებები. შემდეგ მათში ჩაღებულა კონკრეტული დაჯგუფების საქონლის ქვეანგარიშები.

1600	აპბ	სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1610	აპბ	საქონელი
1610 1	აპბ	კვების პროდუქტები
1610 1 0005	აპბ	შაქარი
1610 1 0010	აპბ	ქარაში
1610 2	აპბ	სარეცხი საშუალებები
1610 2 0011	აპბ	არხული ლუჯი
1610 2 0012	აპბ	საპონი საბავშვო
1620	აპბ	ნაღვალური და მასალა

შორედ ამიტომ, ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დაპროექტება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია და მას თავიდანვე კარგი გააზრება ესაჭიროება, რადგან შემდგომში მისი გადაკეთება რთული და შრომატევადი იქნება.

მაგათვის კი საჭიროა წინასწარ შემუშავდეს ანგარიშთა გეგმის პროექტი, რომელიც შეესაბამება თქვენი ორგანიზაციის საადრიცხვო საბუღალტრო პოლიტიკას.


როგორ დაპროექტდეს ანგარიშთა გეგმა, როგორ დაჯგუფდეს ქვეანგარიშები, დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის საჭიროებებზე.

თქვენი მიზნობრივად ანგარიშთა გეგმის გახსნილ ფანჯარას.

ქვე მოცემულია:

- თვით ანგარიშთა გეგმა (საიდანაც ხდება ახალი ანგარიშების დამატება, არასაჭიროს წაშლა, კორექტირება, სასტარტო ნაშთების შეტანა);
- საბოლოო ნაშთები;
- ბრუნვები;
- ბარათები;
- შედეგები (მოგება-ზარალი, საცდელი ბალანსი).

შემდგომი მათგანი დაწვრილებით იქნება განხილული შემდგომში.



ნავიგაცია ანგარიშთა გეგმაში

თავიდანვე იხსნება ჩანართი - “სასტარტო ნაშთები”. მასში გამოდის ანგარიშთა გეგმის ზედა მარცხენა ნაწილი. ფანჯარაში დანარჩენ სტრიქონებზე და სვეტებზე გადაადგილება (ნავიგაცია) შემდეგი მეთოდებით ხდება:

ა) კლავიატურიდან კურსორის მართვის ღილაკებით:

- მარჯვნივ, მომდევნო სვეტზე →
- მარცხნივ, წინა სვეტზე ←
- ქვედა სტრიქონზე ↓
- ზედა სტრიქონზე ↑
- ქვემოთ, მომდევნო კადრზე Page Down
- ზემოთ, წინა კადრზე Page Up
- ანგარიშთა გეგმის ბოლოში End
- ანგარიშთა გეგმის დასაწყისში Home

ბ) ფანჯრის მარჯვენა და ქვედა მხარეს არსებულ გადახვევის ზოლებზე (Scroll Bar) განლაგებული ღილაკების საშუალებით (ისეთივე წესით, როგორც ყველა დანარჩენ პროგრამებში და Windows-ში).

ანგარიში	აღსაწესება	საწყისი (რაოდენ.)		ბრუნვა (რაოდენ.)		ბეჭ.
		დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	
1430 2	კავალი					
1480	მიმწოდებლებზე გადასდებილი ავანსები					
1480 19	შპს ფორმასტი					
1600	სასაქონლო-მატერიალური მ					
1620	ნედლეული და მასალები					
1620 0004	ქაღალდი			280.000	245.000	
1620 0005	საღებავი			609.000	7.000	
1630	დაუმთავრებელი წარმოება					
1640	მზა პროდუქცია					
1640 0006	კურნალი			100.000	40.000	
3000	მიმდინარე ვალდებულებები					
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები					

გ) არსებობს კიდევ ერთი, ძალზე მოხერხებული მეთოდი საჭირო ანგარიშზე პირდაპირ გადაადგილებისათვის. მაგალითად, გვინდა გადავიდეთ ანგარიშზე, რომლის კოდია 7430:

კლავიატურიდან ვიწყებთ კოდის შეტანას. ყოველი ციფრის აკრეფის შემდეგ ლურჯი ზოლი (აქტიური სტრიქონის მაჩვენებელი) თანდათანობით უახლოვდება საჭირო ანგარიშს. ამასთან, ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში (ე.წ. ძიების ბუფერში) ჩნდება ჩვენ მიერ აკრეფილი კოდი.

ნავიგაცია ანგარიშთა გეგმაში

თავიდანვე იხსნება ჩანართი - “სასტარტო ნაშთები”. მასში გამოდის ანგარიშთა გეგმის ზედა მარცხენა ნაწილი. ფანჯარაში დანარჩენ სტრიქონებზე და სვეტებზე გადაადგილება (ნავიგაცია) შემდეგი მეთოდებით ხდება:

ა) კლავიატურიდან კურსორის მართვის ღილაკებით:

- მარჯვნივ, მომდევნო სვეტზე →
- მარცხნივ, წინა სვეტზე ←
- ქვედა სტრიქონზე ↓
- ზედა სტრიქონზე ↑
- ქვემოთ, მომდევნო კადრზე Page Down
- ზემოთ, წინა კადრზე Page Up
- ანგარიშთა გეგმის ბოლოში End
- ანგარიშთა გეგმის დასაწყისში Home

ბ) ფანჯრის მარჯვენა და ქვედა მხარეს არსებულ გადახვევის ზოლებზე (Scroll Bar) განლაგებული ღილაკების საშუალებით (ისეთივე წესით, როგორც ყველა დანარჩენ პროგრამებში და Windows-ში).

	საფონო (რაოდენ.)	არაბუნა (რაოდენ.)
1430 2 კაპლა		
1480 მონმონდებელზე გადახდილი ავანსები		
1480 19 შპს ფორმადი		
1600 სასაქონლო-მატერიალური მ		
1620 ნედლეული და მასალები		
1620 0004 კალაქლი	280.000	245.000
1620 0005 საღებავი	609.000	7.000
1630 მათემატიკური წარმოება		
1640 მზა პროდუქტები		
1640 0006 ჯურნალი	100.000	40.000
3000 მიმდინარე ვალდებულებები		
3100 მოკლევადიანი ვალდებულებები		

გ) არსებობს კიდევ ერთი, ძალზე მოხერხებული მეთოდი საჭირო ანგარიშს პირდაპირ გადაადგილებისათვის. მაგალითად, გვინდა გადავიდეთ ანგარიშზე რომლის კოდია 7430:

კლავიატურიდან ვიწყებთ კოდის შეტანას. ყოველი ციფრის აკრეფის შემდეგ ლურჯი ზოლი (აქტიური სტრიქონის მაჩვენებელი) თანდათანობით უახლოვდება საჭირო ანგარიშს. ამასთან, ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში (ე.წ. ძიების ბუფერში) ჩნდება ჩვენ მიერ აკრეფილი კოდი.

თავი 2. ანგარიშთა გეგმა

ნაპოვნი ანგარიში	7420	აპბ	საიჯარო ძირა
	7425	აპბ	საოფისო ინვენტარი
	7430	აპბ	კომუნიკაციის ხარჯები
	7435	აპბ	დაჯივრება
	7440	აპბ	რემონტი
	7445	აპბ	კომპიუტერის ხარჯები
	7450	აპბ	საოფისო უბრალო ხარჯები
	7455	აპბ	მკვთა და ამორტიზაცია
ძირითადი ბუფერი	743		გადასარი

დავინახავთ, რომ 743-ის აკრეფის შემდეგ საჭირო ანგარიში მონიშნულია აბის შემდეგ, თუ საჭიროა ანალოგიური მეთოდით სხვა ანგარიშზე გადაადგილება, თავდაპირველად უნდა გასუფთავდეს “ბუფერი”. ეს შეიძლება მოხდეს კლავიატურის BackSpace კლავიშის საშუალებით (ამ შემთხვევაში, მასზე საბჭურ დაჭერით), ან მონიშვნის ლურჯი ხაზის ერთი სტრიქონით ზევით, ან ქვევით წანაცვლებით.

ანგარიშთა ხე

ანგარიშთა გეგმა დაყოფილია დონეებად, რაც ძალზე მოსახერხებელია სამუშაო დღე და სტრუქტურის ვიზუალური აღქმისთვისაც. პირველი დონე არის 1000, 2000, 3000 და ა.შ. მომდევნო დონე 1100, 1200, 1300, 2100 და ა.შ. მესამე დონე კი უკვე კონკრეტული ანგარიშებია 1110, 1120 და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაემატოს მეოთხე, მეხუთე და ა.შ. დონე. ეს ცხადია, თავისი მხრივ, გამოიწვევს ანგარიშთა გეგმის მოცულობის ზრდას.

ზოგჯერ საჭირო არ არის ანგარიშთა გეგმის დეტალური ჩვენება. შესაძლოა ზუნთვის საკმარისი იყოს პირველი ან მეორე დონის ანგარიშების ნახვა. ამიტომ პროგრამაში არსებობს ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის (ხის) შეკუმშვისა და გაშლის საშუალებები.


ეს შეიძლება ორი გზით განხორციელდეს:


1. ზედა დონის ანგარიშების კოდის წინ მოთავსებული ნიშნებით “+” ან “-”

[-] 1000	აპბ	მიმდინარე აპტივები	20,000
[-] 1100	აპბ	ნაღდი ფული სალაროში	
1110	აპბ	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტაში	
1120	აპბ	ნაღდი ფული უმცირეს ვალუტაში	
[+] 1200	აპბ	ფული საბანკო ანგარიშებზე	20,000
[+] 1300	აპბ	მოკლევადიანი ინვესტიციები	
1310	აპბ	მოკლევად ინვესტ. საწარმო ფასიან ძალაღებში	
1320	აპბ	მოკლევად ინვესტიც. საწ. ფასიან ძალაღებში	
1330	აპბ	გრძელვად ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი	
1390	აპბ	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები	
[+] 1400	აპბ	მოკლევადიანი მოთხოვნები	

მაგალითად, მოცემულ სქემაზე პირველი დონის ანგარიში 1000 გაშლილია, ასევე გაშლილია მომდევნო დონის ანგარიშები 1100 და 1300, ხოლო 1200 შეკუმშულია.

გუმწულია (არ ჩანს მისი შემდეგი დონის ანგარიშები). “+” ან “-“ ღილაკების დაჭერით ხდება შესაბამისი დონის ანგარიშის სათითაოდ გახსნა ან შეკუმშვა.

- ეს ოპერაციები შეიძლება ერთბაშად, მთელ ანგარიშთა გეგმაზე შევასრულოთ. მაგალითად, გამოვიტანოთ მხოლოდ პირველი და მეორე დონის ანგარიშები. ამისათვის გამოვიყენოთ ანგარიშთა გეგმის ფანჯარაში ღილაკი , რომლის გააქტიურების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება სურათი:



პირველივე უჯრაში უნდა შევიტანოთ ის რიცხვი, რომელ დონემდეც გვინდა გახსნათ ანგარიშთა გეგმა. მაგალითად, 2-ის შეტანისა და OK-ზე დაჭერის შემდეგ მივიღებთ სტრუქტურას:

ანგარიში	ტიპი	დასახელება
1000	აქტ	მიმდინარე აქტივები
1100	აქტ	ნაღდი ფული საღარიბო
1200	აქტ	ფული საბანკო ანგარიშება
1300	აქტ	მოკლევადიანი ინვესტიციები
1400	აქტ	მოკლევადიანი მოთხოვნები
1500	აქტ	მოკლევადიანი სათამაშო მოთხოვნები
1600	აქტ	სასაქონლო-მატერიალური გარაბი
1700	აქტ	წინასწარ გაწეული ხარჯები
1800	აქტ	დარისხული მოთხოვნები
1900	აქტ	სხვა მიმდინარე აქტივები
2000	აქტ	ზრკლევადიანი აქტივები
2100	აქტ	ძირითადი საშუალებები
2200	პას	ძირითადი საშუალებების წვეთა
2300	პას	ზრკლევადიანი მოთხოვნები

თუ მოცემულ უჯრაში შევიტანოთ 0-ს, ამის შედეგად ანგარიშთა გეგმა გამოვა ბოლო დონემდე გაშლილი სახით:

ანგარიში	ტიპი	დასახელება
1000	აქტ	მიმდინარე აქტივები
1100	აქტ	ნაღდი ფული საღარიბო
1110	აქტ	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	აქტ	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1200	აქტ	ფული საბანკო ანგარიშება
1210	აქტ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1210 1	აქტ	ბბს
1210 2	აქტ	ქართუ
1220	აქტ	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1230	აქტ	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში
1290	აქტ	ფული სხვა საბანკო ანგარიშება
1300	აქტ	მოკლევადიანი ინვესტიციები
1310	აქტ	მოკლევად ინვესტ სწრაფ წასვენ კალაღებში
1320	აქტ	მოკლევად ინვესტიციებ წასვენ კალაღებში

MIDL - საშუალო შეწონილი ფასი. გასაცემი ქაღალდის რაოდენობა მრავლდება საშუალო ფასზე $60 * 3.16666 = 190$ ლარი.

პროგრამა ამ გამოთვლებს გატარების ფანჯარაში არსებული შესაბამისი დილაკების გამოყენებით შეასრულებს. თუ FIFO-ს დავაჭერთ, ღირებულება გამოვა:

საღებავო ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი წარმოება
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითო 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3 ყუთი	გამოვიტყალეთ
თანხა	190 GEL	<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST X
		<input type="checkbox"/> დაემატოს რაოდენობა ფასი

LIFO-ს გამოყენებით მივიღებთ:

საღებავო ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი წარმოება
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითო 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3 ყუთი	გამოვიტყალეთ
თანხა	200 GEL	<input type="radio"/> თანხა <input checked="" type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST X
		<input type="checkbox"/> დაემატოს რაოდენობა ფასი

MIDL მეთოდი კი მოგვცემს:

საღებავო ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი წარმოება
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითო 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3 ყუთი	გამოვიტყალეთ
თანხა	190 GEL	<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST X
		<input type="checkbox"/> დაემატოს რაოდენობა ფასი

საბოლოოდ დავტოვოთ MIDL მეთოდის შედეგი და შემდგომშიც ამ მეთოდით ვიმუშავებლოთ.


ამით გატარების მონაცემების შეტანა დასრულებულია. მომდევნო, მსგავსი გატარების შესასრულებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ დილაკი "შემდეგი". ფანჯარაში დარჩება წინა გატარების მონაცემები. შევცვალოთ საკრედიტო ანგარიში საღებავის ანგარიშით, ხოლო რაოდენობაში შევიტანოთ 10. ერთეულს არჩევა არ შევარღვებთ.

როგორც ვხედავთ, მეთოდი MIDL არჩეულია, ამიტომ მასზე დაჭერა აღარ არის საჭირო. თანხის უჯრაში კურსორის უბრალო გადატანით თანხა ავტომატურად უამოთვლებს.

საღებავო ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი წარმოება
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0008	საღებავი ლურჯი
რაოდენობა	10 კბ	გამოვიტყალეთ
თანხა	39.29 GEL	<input type="radio"/> თანხა <input checked="" type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST X
		<input type="checkbox"/> დაემატოს რაოდენობა ფასი

- 4. თანამშრომლის
- 5. ბანკის.

მათი არჩევა შეიძლება “სახეობის” უჯრის ჩამოშლის გზით.



ანგარიშის რომელი სახეობა უნდა ავირჩიოთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რის აღრიცხვას ვაპირებთ გასახსნელ ანგარიშზე. მაგალითად, მარაგის (საქონელი, მასალები, მზა პროდუქცია, ძირითადი საშუალებები) შემთხვევაში უნდა ავირჩიოთ სასაქონლო სახეობა, დებიტორ-კრედიტორების შემთხვევაში – ორგანიზაციის, ანგარიშგაღებულ პირების შემთხვევაში – თანამშრომლის, ბანკებში არსებული თანხების აღსარიცხავად - ბანკის. დანარჩენ შემთხვევაში - “ფინანსური” სახეობა. ბოლო შემთხვევაში, ჩვენ თვითონ უნდა მივანიჭოთ ანგარიშს კოდი. სახეობების გამოყენების შემთხვევებში კი გასახსნელ ანგარიშს სისტემა ავტომატურად მიანიჭებს საჭირო კოდს.

შეგნიშნავთ, რომ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ყველგან გამოყენებულ იქნეს ფინანსური სახეობის ანგარიშები, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ შევძლებთ პროგრამის ბევრი შესაძლებლობის გამოყენებას. ფინანსური სახეობის ანგარიშები, ძირითადად, გამოყენებულ უნდა იქნეს კონკრეტული ანგარიშების დასაჯგუფებლად.


ფინანსური სახეობის ანგარიშის ბანკი

ამავე წესით შეიძლება ანგარიშთა გეგმაში ახალი ძირითადი ანგარიშის დამატება.

მაგალითად, ანგარიშთა გეგმაში გვინდა საწვავის ხარჯის ცალკე აღსარიცხავად ახალი ანგარიშის დამატება 7433 – საწვავი.

ამისათვის ავირჩიოთ 7400 ან ამ ჯგუფის რომელიმე ანგარიში და მივცეთ ანგარიშის დამატების ბრძანება.

ეკრანზე გამოტანილი ფანჯარა შევავსოთ შემდეგი სახით:



ამის ოპერაციის შედეგად ანგარიშთა გეგმა ასეთ სახეს მიიღებს.

7400	აქტ	საერთო და აღმნიშვნადი საჩუქარი
7410	აქტ	შრომის ანაზღაურება
7411	აქტ	დამოუკიდებელი ანგარიში
7415	აქტ	სოსიალური დანართები
7420	აქტ	საიჯარო ძირა
7425	აქტ	საოფისო მშენებარი
7430	აქტ	კომუნიკაციის საჩუქარი
7433	აქტ	საწვავის საჩუქარი
7435	აქტ	დაზღვევა

გვსურს, რომ სხვადასხვა სახის საწვავის (ბენზინი, დიზელი და ა.შ) ხარჯი ცალკე იყოს ანალიზურად გაშიფრული, მაშინ ამ ანგარიშს უნდა გავუხსნათ შესაბამისი დასახელების ქვეანგარიშები:

7433	აქტ	საწვავის საჩუქარი
7433 1	აქტ	ბენზინის საჩუქარი
7433 2	აქტ	დიზელის საჩუქარი
7435	აქტ	დაზღვევა

ფინანსური შენიშვნა 1: ძირითადი განსხვავებები ფინანსურ და დანარჩენ სახეობებს ანგარიშებს შორის:

1. ფინანსურ სახეობას ვირჩევთ მაშინ, როდესაც ანგარიშის დასახელება საკმარისია იმის მისათითებლად, რისი აღრიცხვაც გვსურს.
2. როდესაც ანგარიშის დასახელების გარდა გვინდა დამატებითი ინფორმაციის შეტანა აღსარიცხავი ობიექტის შესახებ, მაშინ უნდა ავირჩიოთ შესაბამისი სახეობა.
3. ფინანსური სახეობის შემთხვევაში ჩვენ თვითონ ვანიჭებთ კოდს გასახსნელ ქვეანგარიშს. დანარჩენი სახეობების გამოყენების შემთხვევაში კი პროგრამა ზრდადი თანმიმდევრობით თვითონ მიანიჭებს კოდებს.

თავი 4. ბანკის სახეობის ანგარიშების გახსნა

წინა თავებში განვიხილეთ, როგორ შეიძლება ფინანსური სახეობის ანგარიშებისა და ქვეანგარიშების შექმნა. ვნახოთ, როგორ შეიძლება სახეობების გამოყენება ანგარიშების გახსნის დროს.

როგორც აღნიშნული იყო, ფინანსურის გარდა, პროგრამაში არსებობს სასაქონლო, ორგანიზაციის, თანამშრომლისა და ბანკის სახეობის ანგარიშები.



ანგარიშის რომელი სახეობა უნდა ავირჩიოთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რის აღრიცხვას ვაპირებთ გასახსნელ ანგარიშზე. მაგალითად, მარაგის (საქონელი, მასალები, მზა პროდუქცია, ძირითადი საშუალებები) შემთხვევაში უნდა ავირჩიოთ სასაქონლო სახეობა, დებიტორ-კრედიტორების შემთხვევაში – ორგანიზაციის, ანგარიშვალდებული პირების შემთხვევაში – თანამშრომლის, ბანკებში არსებული თანხების აღსარიცხავად – ბანკის. დანარჩენ შემთხვევაში – “ფინანსური” სახეობა. ბოლო შემთხვევაში ჩვენ თვითონ უნდა მივანიჭოთ ანგარიშს კოდი. სახეობების გამოყენების შემთხვევებში კი გასახსნელ ანგარიშს სისტემა ავტომატურად მიანიჭებს საჭირო კოდს.

შევნიშნავთ, რომ, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ყველგან გამოყენებული იქნეს ფინანსური სახეობის ანგარიშები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვერ შევძლებთ პროგრამის ბევრი შესაძლებლობის გამოყენებას. ფინანსური სახეობის ანგარიშები, ძირითადად, გამოყენებულ უნდა იქნეს კონკრეტული ანგარიშების დასაჯგუფებლად.

ახლა განვიხილოთ, როგორ შეიძლება ბანკის სახეობის ქვეანგარიშის დამატება.

მაგალითად, ორგანიზაციას გააჩნია ორი საბანკო ანგარიში ეროვნული ვალუტისათვის ბანკებში “თიბისი ბანკი” და “ქართუ” (ამ ბანკების მონაცემები ჩვენ უკვე შევიტანეთ ორგანიზაციის რეკვიზიტების შეტანის დროს).

იმისათვის, რომ ცალ-ცალკე ვხედავდეთ თითოეული ბანკის მონაცემებს, სასურველია რომ ეს ბანკები ანგარიშთა გეგმაში დაემატოს ქვეანგარიშების სახით.

ამისათვის,  დილაკის გამოყენებით გავხსნათ ანგარიშთა გეგმა, მოვნიშნოთ 1210 ანგარიში და გამოვიყენოთ ანგარიშის დამატების ბრძანების დილაკი  (როგორც აღნიშნული იყო, ამ ბრძანების შესრულება შეიძლება კლავიატურის Insert დილაკის გამოყენებითაც). ამის შედეგად ეკრანზე გამოვა ფანჯარა:


გამოტანილ ფანჯარაში ჩამოვშალოთ "სახეობა" ფანჯარა და გამოტანილი სიიდან ავირჩიოთ სახეობა - "ბანკის":

ამის შედეგად ეკრანზე ვიხილავთ მომდევნო ფანჯარას:

მასში მოვნიშნოთ "სისტემის პარამეტრები" და გამოვიყენოთ OK ღილაკი. პროგრამა გადაგვიყვანს ორგანიზაციის ბანკების ნაცნობ ფანჯარაში:

კრედიტი	ანგარიში	ბანკი	ბანკის კოდი	ს.პ.რ.ა
1 12345		"თიბისი ბანკი"	800161219	2201018
2 54321		"ბანკი ქართუ"	161381	2201010

მოვნიშნოთ "თიბისი" ბანკი და ავირჩიოთ OK ღილაკით. მივიღებთ:



ეს ფანჯარაც დავხუროთ OK ღილაკზე დაჭერით. დავბრუნდებით ანგარიშთა გეგმაში და 1210 ანგარიშზე გავიხსნება ქვეანგარიში:


1200	აქტ	ფული საბანკო ანგარიშზე
1210	აქტ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1210.1	აქტ	12345 - "თიბისი ბანკი"
1230	აქტ	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში
1290	აქტ	ფული სხვა საბანკო ანგარიშზე

ამის შემდეგ, იმავე გზით დავამატოთ "ქართუს" ანგარიში. ამისათვის მოვნიშნოთ ისევე 1210 ანგარიში, მიცვლეთ დამატების ბრძანება და შევასრულოთ ბრძანებათა იგივე თანმიმდევრობა, რაც გავიარეთ წინა ბანკის ანგარიშის დამატების დროს.

საბოლოოდ, 1210 ანგარიშზე გვექნება ორი ასეთი ქვეანგარიში:

1210	აქტ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1210.1	აქტ	12345 - "თიბისი ბანკი"
1210.2	აქტ	54321 - "ბანკი ქართუს"
1230	აქტ	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში

როგორც ვხედავთ, ქვეანგარიშის დასახელებაში ბანკის სახელის წინ დაემატა რიცხვი. მაგალითად, "თიბისი ბანკი"-ს წინ მდგომი რიცხვი - 12345 არის ამ ბანკში ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი.




თავი 5. სასტარტო ნაშთების შეტანა


მას შემდეგ, რაც შეიქმნება ის ანგარიშები, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს თავის ბუღალტერიაში, შესაძლებელი გახდება სასტარტო ნაშთების შეტანა. ამ დროს შეიძლება ორი შემთხვევის განხილვა:

1. ორგანიზაცია ახალი დაარსებულია და პროგრამის გამოყენებით აპირებს თავისი ყველა საბუღალტრო ოპერაციის აღრიცხვას. ამ შემთხვევაში სასტარტო ნაშთები არ გვექნება.
2. დღემდე ორგანიზაცია ხელით (ან სხვა პროგრამით) აწარმოებდა ბუღალტერიას, შესრულებულია საკმაო მოცულობის სამუშაო და მისი პროგრამაში მთლიანად შეტანა შრომატევადი იქნება (და არც არის აუცილებელი). ასეთ შემთხვევაში, უნდა ავირჩიოთ რაიმე თარიღი, რომელიც უმჯობესია წლის დასაწყისი იყოს, გამოვთვალოთ ანგარიშებზე საბოლოო ნაშთები (ფული საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნები, კრედიტორული დავალიანებები, მარაგი, ძირითადი საშუალებები და ა.შ.) და ეს რიცხვები პროგრამაში შევიდეს როგორც სასტარტო ნაშთები. იმ რიცხვიდან მოყოლებული კი ოპერაციები ვაწარმოთ უკვე პროგრამის საშუალებით.



განვიხილოთ მეორე შემთხვევა. დავუშვათ, რომ ორგანიზაცია სს “იმერეთს” 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქვს შემდეგი ნაშთები:

თიბისი ბანკში	3000 ლარი
ქართუში	6000 ლარი
ბანკის გრძელვადიანი სესხი	9000 ლარი

ნაშთების დასაფიქსირებლად, პირველ რიგში, უნდა დავაყენოთ საჭირო თარიღი. ეს შეიძლება გაკეთდეს სასტარტო ნაშთების ფანჯარაში, მარჯვენა მხარეს გამოტანილი თარიღის კორექტირებით, ან მის გვერდზე მოთავსებული კალენდრის დილაკის  საშუალებით. დავაყენოთ თარიღი 1.01.2008 (თუკი უჯრაში განსხვავებული თარიღია მოცემული).




ამის შემდეგ დავიწყოთ სასტარტო ნაშთების შეტანა. ამისათვის მოვნიშნოთ ანგარიში 1210 1 – თიბისი ბანკი და გამოვიყენოთ ნაშთის შეტანის ერთ-ერთი მეთოდი:

- თავის ისრით დავაჭიროთ დილაკზე ლურჯი წარწერით “სასტარტო ნაშთი” - ;
- გამოვიყენოთ  დილაკი (რომელიც ამასთან კორექტირების ფუნქციას ასრულებს);
- გამოვიყენოთ F2 ფუნქციონალური დილაკი;

➤ ორჯერ დავაწკაპუნოთ ანგარიშის სტრიქონში.

ქველა შემთხვევაში გაიხსნება ნაცნობი ფანჯარა, რომელიც ანგარიშს გახსნის დროს ვნახეთ.



გააქტიურებულია უჯრა "დებეტი" (მასში ციმციმებს კურსორი). უჯრაში შევიტანოთ მნიშვნელობა 3000. თუკი ქვედა უჯრა წარწერით "ვალუტა" ცარიელია (თუ წინასწარ არ იყო არჩეული ვალუტა), მაშინ იგი უნდა ჩამოვშალოთ და ავირჩიოთ საჭირო ვალუტა. საბოლოოდ დავაფიქსიროთ OK ღილაკით. მივიღებთ ასეთ სურათს:

ანგარიში	ტიპი	დასახელება	შინადასუმი	
			დებეტი	კრედიტი
1000	აპბ	მიმდინარე აქტივები		3,000.00
1100	აპბ	ნაღდი ფული სალაგროში		
1110	აპბ	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
1120	აპბ	ნაღდი ფული უსწორ ვალუტაში		
1200	აპბ	ფული საბანკო ანგარიშებზე		3,000.00
1210	აპბ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		3,000.00
	აპბ	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"		3,000.00
	აპბ	54321 - ქ. თბილისი, სს "განკი ქართუ"		
1220	აპბ	უსწორი ვალუტა რეზიდენტ ბანკში		

პროგრამამ ავტომატურად გაიმეორა შეტანილი რიცხვი ზედა დონის ანგარიშებზე, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ეს ერთადერთი რიცხვია შეტანილი. ის ფაქტი, რომ თიბისი ბანკში 3000 ლარია, ამავე დროს ნიშნავს, რომ ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ანგარიში 1210) ისევ 3000 ლარია, რაც ასევე ნიშნავს, რომ ფული საბანკო ანგარიშებზეც (ანგარიში 1200) ისევ 3000 ლარია და საბოლოოდ, მიმდინარე აქტივებიც (ანგარიში 1000) 3000 ლარია.

ანალოგიურად შევიტანოთ 1210 2 ანგარიშზე რიცხვი 6000. მიღებული შედეგი იქნება:

ანგარიში	ტიპი	დასახელება	შინადასუმი	
			დებეტი	კრედიტი
1000	აპბ	მიმდინარე აქტივები		9,000.00
1100	აპბ	ნაღდი ფული სალაგროში		
1110	აპბ	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
1120	აპბ	ნაღდი ფული უსწორ ვალუტაში		
1200	აპბ	ფული საბანკო ანგარიშებზე		9,000.00
1210	აპბ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		9,000.00
	აპბ	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"		3,000.00
	აპბ	54321 - ქ. თბილისი, სს "განკი ქართუ"		6,000.00
1220	აპბ	უსწორი ვალუტა რეზიდენტ ბანკში		

ამის შედეგად, ზედა დონის ანგარიშებზე - 1210, 1200 და 1000 აისახა ჯამი - 9000.

ფანჯრის ქვედა ნაწილში ჩანს ბალანსი, რომელიც დაგვეხმარება ნაშთების კონტროლში. ცხადია, ჯერჯერობით ბალანსი დარღვეულია.

ბალანსი	9,000.00	0.00
---------	----------	------

ანალოგიურად, გრძელვადიანი სესხის სასტარტო ნაშთი ავსახოთ ანგარიშზე 4140. ამ ანგარიშზე ქვეანგარიშების გახსნა, ალბათ, საჭირო არ იქნება, რადგან მისი აუცილებლობა არ არის.

საბოლოოდ ბალანსი ასეთი სახის უნდა იყოს:

ბალანსი	9,000.00	9,000.00
---------	----------	----------

თუ შეცდომით სასტარტო ნაშთი დებეტის ნაცვლად კრედიტის უჯრაში აღმოჩნდება (ან პირიქით), ეს რიცხვი წითელი ფერით აისახება, რაც დაგვეხმარება შეცდომის აღმოჩენაში. ამასთან, ბალანსიც დამახინჯდება. შეცდომით შეტანილი სასტარტო ნაშთი შეიძლება გასწორდეს კორექტირების ბრძანებით.

აქვე შევნიშნავთ, რომ სასტარტო ნაშთების მნიშვნელობა შემდგომში აღარ შეიცვლება. ამიტომ, თუკი შემდგომში, მუშაობის პროცესში აღმოვაჩენთ, რომ ბალანსი დარღვეულია, უნდა დავასკვნათ, რომ ეს არასწორად შეტანილი სასტარტო ნაშთების გამო მოხდა. გვახსოვდეს, რომ საბუღალტრო ოპერაცია, თუნდაც არასწორი თანხით იყოს გატარებული, ბალანსს არ დაარღვევს!

როდესაც დასრულდება სასტარტო ნაშთების შეტანა, უკვე შესაძლებელი იქნება ყოველდღიური საბუღალტრო ოპერაციების შეტანა. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ოპერაციების შეტანის დაწყებამდე სასურველია, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ყველა ნაშთი იყოს შეტანილი. ეს პროცესი შეიძლება პარალელურადაც განხორციელდეს (რომ დაჩქარდეს პროგრამის ექსპლუატაციაში შესვლა და არ ვულოდოთ ყველა სასტარტო ნაშთების მოძიებასა და შეტანას). ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ნაშთები დროებით არასწორი იქნება.

მაგალითად, თუკი სალაროს ანგარიშზე (1110) არანაირი თანხა არა გვაქვს, მაგრამ მაინც გავაკეთებთ სალაროდან თანხის გაცემის გატარებას, პროგრამა არ შეგვეწინააღმდეგება და გატარებაც შესრულდება. მხოლოდ ნაშთი გამოჩნდება წითელი ფერით (ნაშთი იქნება კრედიტული, რაც სალაროს ოპერაციების დროს დაუშვებელია). ამ დროს იგულისხმება, რომ სალაროში ფული იყო, მაგრამ ბუღალტრულად სალაროში ფულის მიღების გატარება არ იყო შესრულებული (ან სასტარტო ნაშთი არ იყო შეტანილი). გამორტოვებული გატარების შესრულებისთანავე ნაშთიც გასწორდება.

საპარჯიშო 2:

1. გახსენით ორგანიზაცია Vake.
2. გახსენით ანგარიშთა გეგმაში სასტარტო ნაშთების ფანჯარა.
3. გადადით ანგარიშთა გეგმის ბოლოში და ისევ დაბრუნდით დასაწყისში (ღილაკები Home, End).
4. გადადით პირდაპირ 7450 ანგარიშზე. შემდეგ კი 3130 ანგარიშზე.
5. ანგარიშთა გეგმა გაშალეთ მეორე დონემდე. შემდეგ გაშალეთ მხოლოდ 2000 (გრძელვადიანი აქტივები) ჯგუფის ანგარიშები და ისევ დახურეთ.
6. მთლიანად გაშალეთ ანგარიშთა გეგმა (გამოჩნდეს ყველა დონის ანგარიშები).
7. საოპერაციო პერიოდის დასაწყისად (სასტარტო ნაშთების დასმის თარიღი) დააყენეთ 2008 წლის 1 იანვარი.
8. აირჩიეთ ვალუტა GEL.
9. 1210 ანგარიშზე (ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში) შექმენით ბანკის სახეობის ორი ქვეანგარიში.
 - 1210 1 ინტელექტბანკი
 - 1210 2 საფოსტო ბანკი
10. შეიტანეთ სასტარტო ნაშთები:
 - ინტელექტბანკი 30 000 ლარი
 - საფოსტო ბანკი 20 000 ლარი
 - გრძელვადიანი სესხი 50 000 ლარი (ანგარიში 4140)
11. გადააკეთეთ 20 000 ლარის ნაშთი 10 000 ლარად.
12. შესაბამისად, შეცვალეთ 4140 ანგარიშის სასტარტო ნაშთი, რომ გასწორდეს ბალანსი

თქვენი საბოლოო ნაშთები ასეთი უნდა იყოს:


კოდი	დასახელება	ნაშთი	
		დებეტი	კრედიტი
1210 1	ინტელექტბანკი	30 000	
1210 2	საფოსტო ბანკი	10 000	
4140	გრძელვადიანი სესხი		40 000
	სულ	40 000	40 000

თავი 6. საბუღალტრო გატარებები


წინასწარ გავხსნათ ორგანიზაცია SS_Imereti.

ანალიზური და საოპერაციო პერიოდები

სანამ დაიწყება საბუღალტრო გატარებების შეტანა, პროგრამაში უნდა დაყენდეს ე. წ. ანალიზური და საოპერაციო პერიოდები. ამისათვის დავაჭიროთ გრძელ ღილაკს, რომელიც ქვემოთ არის შემოხაზული.




ვიხილავთ სურათს:



მოცემულ ფანჯარას შემდეგი დანიშნულება აქვს:

მაგალითად, თუ მთელი წლის განმავლობაში არის გაკეთებული საბუღალტრო გატარებები და ამ ფანჯარაში მოვნიშნავთ 2008 წლის მარტს, მაშინ გატარებების ფანჯარაში გამოჩნდება მხოლოდ მარტის თვის თარიღებით შესრულებული გატარებები. ეს, თავის მხრივ, იმოქმედებს საბოლოო ნაშთებზე, ბრუნვებზე, ბარათსა და სხვა ანგარიშგებებზე (განხილული იქნება შემდგომში).

ანალიზურ პერიოდად დავაყენოთ მიმდინარე წელი (2008) და გადავიდეთ მეორე ჩანართში "საოპერაციო პერიოდი"



როგორც გამოჩნდა, საოპერაციო პერიოდი დაყენებულია 2008-დან 2009 წლამდე, ანუ მთელი წელი. ამ პერიოდის საწყისი თარიღის (1.01.2008) დაყენება გამოიწვია იმან, რომ სასტარტო ნაშთების დაფიქსირების თარიღად ჩვენ სწორედ ეს თარიღი ავირჩიეთ (ან ავტომატურად იქნა არჩეული, თუკი პროგრამა ამ წლის ვერსი-აა). შემდგომში, პროგრამა ამ თარიღის წინა თარიღებით გატარებებს აღარ შეგ-ვასრულებინებს. მაგალითად, თუ საოპერაციო პერიოდია 1.01.2008 – 1.02.2008 (ე.ი. 2008 წლის მთელი იანვარი), მაშინ შეუძლებელი იქნება დეკემბრის, ან თებერ-ელის თარიღით ოპერაციის შესრულება (დამატება, კორექტირება, წაშლა). ეს სასარგებლო საშუალებაა უნებლიე (ან განზრახ) შეცდომებისაგან თავის დასა-ცავად.


საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პერიოდების დანიშნულება შემდეგია:


საოპერაციო პერიოდი უჩვენებს, რა დიაპაზონში შეგვიძლია ოპერაციების შეს-რულება.

ანალიზური პერიოდი უჩვენებს, რა დიაპაზონის გატარებები და მისგან გამომ-დინარე, რა შედეგები გამოჩნდეს ეკრანზე, რათა შეგვეძლოს ამ პერიოდის მონა-ცემებზე გარკვეული ანალიზის ჩატარება.

პერიოდების დაყენების შემდეგ შესაძლებელია პროგრამაში საბუღალტრო გატა-რებების შეტანა.

ბატარეები

გაეხსნათ გატარებების ფანჯარა  დილაკის გამოყენებით (ან CTRL + 2 დილაკების კომბინაციით, ან ბრძანებათა მიმდევრობით: **ოპერაციები / გატარებები**). ეკრანზე ვიხილავთ სურათს:



მოცემულ ფანჯარაში შეიძლება ნებისმიერი შინაარსის საბუღალტრო გატარებების შეტანა და შესრულებულ გატარებებზე მანიპულირება (კორექტირება, დუბლირება, წაშლა, დალაგება, გაფილტვრა და ა.შ.), რასაც შემდგომში განვიხილავთ.

შევნიშნავთ, რომ პროგრამა იძლევა ზოგიერთი ტიპური ოპერაციის შესრულების სხვა საშუალებებსაც, რომლებიც სხვა ფანჯრებში სრულდება (მაგალითად, ხელფასთან, ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული გატარებები). მაგრამ ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერი ხერხით შესრულებული ყველა გატარება თავს ამ ფანჯარაში იყრის.

დავუშვათ, პროგრამის საშუალებით გვინდა დავაფიქსიროთ შემდეგი სამეურნეო ოპერაცია:

2008 წლის 5 აპრილს მასალების შესაძენად თიბისი ბანკიდან საღაროში გამოტანილია 500 ლარი:

ცხადია, მისი შესაბამისი საბუღალტრო გატარება შემდეგი სახის იქნება:

დებიტი	1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	500 ლარი
კრედიტი:	1210 1 თიბისი ბანკი	500 ლარი

ვნახოთ, როგორ შეიძლება პროგრამაში ამ ოპერაციის შესრულება ახალი გატარების დასამატებლად გამოვიყენოთ ნაცნობი კლავიატურიდან **Insert**. გაიხსნება ფანჯარა:

მიღებული ფანჯარა შემდეგი წესით უნდა შევავსოთ:

დოკუმენტის N – იმ პირველადი დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც ადასტურებს ამ ოპერაციის მოხდენის ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს საღებეტო ანგარიშის ორდერის ნომერი, თანხის გადარიცხვის შემთხვევაში შესაბამისი საგადასახადო დავალების ნომერი, საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროს – ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების ნომერი და ა.შ.

მოცემულ შემთხვევაში, მაგალითის სახით შევიტანოთ – შემ. ორდ.1



ოპერაციის მოხდენის **თარიღი** შეიძლება ნებისმიერი იყოს, თუკი იგი ხვდება სა-ოპერაციო პერიოდის დიაპაზონში. თარიღი პირდაპირ შეიძლება აიკრიფოს უჯრაში **თარიღი** 5.04.2008, შეიცვალოს ისრებით, ან ჩამოვშალოთ კლავიატურით.


საბოლოოდ შევიტანოთ თარიღი 5.04.2008.

თუ თქვენ გსურთ **მემორიალების** წარმოება, მაშინ შემდგომ უჯრაში “მემორიალი” შეიტანეთ შესაბამისი მემორიალის ნომერი, მაგალითად 1. შემდგომში პროგრამა ავტომატურად დააფორმირებს ყველა მემორიალს. მთავარია, ყოველი გატარების შესრულების დროს მითითებული იქნეს ეს ნომრები.

მომდევნო უჯრაში “**საღებეტო ანგარიში**” უნდა შევიდეს საღებეტო ანგარიშის კოდი. ამისათვის შეიძლება შემდეგი მეთოდებით ვისარგებლოთ:

თუკი ზეპირად გვახსოვს საჭირო კოდი, მაშინ იგი პირდაპირ კლავიატურიდან შევიტანოთ აღნიშნულ უჯრაში, ჩვენს შემთხვევაში – 1110.

თუ კოდი ზეპირად არ გვახსოვს, მაშინ  ღილაკით შეიძლება ანგარიშთა გვერდის ჩამოშლა და საჭირო ანგარიშის მოძებნა. გატარების ფანჯარაში მოძებნილი ანგარიშის გადასატახად ვიყუებთ OK (1) ღილაკს, ახ ფანჯრის ზედა ნაწილში მოთავსებულ  (2) ღილაკს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გახსნილ ფანჯარაში გამოდის ყველა ანგარიში და საჭირო ანგარიშის ძებნაც, შესაბამისად, მთელ ანგარიშთა გვერდში მოგვიწევს.



მე-2 პუნქტში აღწერილი მეთოდი შეიძლება გამარტივდეს, თუკი საძიებელი ანგარიშის საწყისი ციფრები მაინც ვიცით. მაგალითად 12. თუ ანგარიშის კოდის ველში შევიტანთ ამ ორ ციფრს და შემდეგ ჩამოვშლით ანგარიშთა გვერდს (ან უბრალოდ დავაჭერთ TAB ღილაკს), ეკრანზე გამოვა ანგარიშთა გვერდის მხოლოდ ის ანგარიშები, რომელთა კოდიც 12-ზე იწყება.

აღვნიშნავთ, რომ პროგრამა არ დაგვაშვებინებს არასწორი, ან არასრულად აკრეფილი ანგარიშის შეტანის საშუალებას. ყოველთვის გადაგვიყვანს ანგარიშთა გვერდში და მოითხოვს სწორი კოდის მოძებნას.


საბოლოოდ, ავირჩიოთ ანგარიში 1210 1 თბილისი ბანკი.

ველში "თანხა" შევიტანოთ რიცხვი 500. ამ უჯრის გვერდით მოთავსებულია კალკულატორი, რომლითაც გატარების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოთვლების ჩატარებაც.


თანხის გვერდით შესაძლებელია ვალუტის არჩევა. ავტომატურად იგულისხმება ვალუტა GEL (ქართული ლარი). საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მისი ჩამოშლა და ვალუტის არჩევა. თუ პროგრამა ერთვალუტიანი ვერსიაა, მაშინ ეს

ველი საერთოდ არ ჩანს. ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები განხილული იქნება მოგვიანებით.

მომდევნო ველში "საფუძველი" შეიძლება ოპერაციის შინაარსის შეტანა მაგალითად: "გამოტანილია ბანკიდან მასალების შესაძენად". თუკი ასეთი საფუძველი ზოგადია და შეიძლება იგივე ტექსტი სხვა გატარებებშიც იქნეს გამოყენებული, მაშინ უმჯობესია მისი დამახსოვრება. ამით ჩვენ ვქმნით გარკვეულ ბაზას, რომლის მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დანიშნულებით. საფუძველების სიაში შესვლა შეიძლება ამ ველის გვერდით არსებული ღილაკით. მასზე დაჭერით ეკრანზე გამოდის საფუძველების სია:



ჯერჯერობით სია ცარიელია. ღილაკით დავამატოთ ახალი საფუძველი, ანუ ოპერაციის შინაარსობრივი განმარტება და შევიტანოთ ზემოთ ნახსენები ტექსტი:



OK ღილაკით შეტანილი ტექსტი დაემატება სიაში, საიდანაც შეიძლება მისი არჩევა და გატარებაში, ან სხვა ფანჯარაში გადატანა.


ანალიზური ველი და მის გვერდით გამოჩენილი ღილაკი "შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიები", რომელიც გამოიყენება ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისის Cash Flow-ს მისაღებად, განხილული იქნება მოგვიანებით.

გატარება პირველადი დოკუმენტების ბეჭდვით


შემდეგი ველი "ბეჭდვა" შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუკი გატარებას თან უნდა მოჰყვეს პირველადი დოკუმენტის (ამ შემთხვევაში სალაროს შემოსავლის ორდერი) ბეჭდვა. პროგრამას გააჩნია ყველანაირი საბუღალტრო ფორმა, რომლებიც დაჯგუფებულია ორ კატეგორიად - პირველადი ფორმე-

ბი და საბოლოო ფორმები. შემოსავლის ორდერი მიეკუთვნება პირველად ფორმებს და ამიტომ ამ ჯგუფში უნდა ვეძებოთ.


გატარებასთან ერთად ორდერის დასაბუჯტად მოვნიშნოთ ველი "ბეჭდვა". მის ქვემოთ გამოჩნდება ცარიელი ველი "დოკუმენტის ფორმა".



ჩამოვშალოთ ეს ველი. ვიხილათ ფანჯარას:



საჭირო ფორმა ინახება საქალაქდებში, სახელით Pirveladi formebi (პირველადი ფორმები). გაგხსნათ ეს საქალაქდე და მასში ავირჩიოთ ვარიანტი shevsebuli (შეესებული). ვიხილათ პირველადი ფორმების ჩამონათვალი:



ავირჩიოთ მასში salaros shemosavlis orderi (სალაროს შემოსავლის ორდერი). საბოლოოდ გატარების ფანჯარა მიიღებს ასეთ სახეს:

გატარების ქონქტირება

დოკუმენტის N დამატებითი ... დაუცავი ფორმა

თარიღი

კროკატი

გეორიული

საფაქტო ანგარიში ნაღდი ფული ქონქტულ ვალუტაში

საკრედიტო ანგარიში 12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"

თანხა

საფუძველი გამოტანილია მასალის შესაქმნად

ანგარიშის ველი მისთვის და სარგის კატეგორიები

გაქვია ეკრანზე კრიბტრუი

დოკუმენტის ფორმა

დადასტურებული OK Cancel

გადააბული

მომდევნო დილაკი (შემდეგი) სასარგებლო იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ გატარებას მოჰყვება ისეთი გატარება, რომელშიც ბევრი რამ მეორდება მოცემული გატარებიდან (თარიღი, დოკუმენტი, რომელიმე ანგარიში და ა.შ.). მასზე დაჭერით დასრულდება მოცემული გატარების შეტანა, გაიხსნება ახალი გატარების ფანჯარა და მასში იგივე ინფორმაცია გამოვა, რაც წინა გატარებაში იყო. საკმარისია გადაკეთდეს მხოლოდ განსხვავებული ველები. ამჯერად მისი გამოყენება საჭირო არაა.

საბოლოოდ დაეაჭიროთ OK დილაკს და ამით გატარება დასრულებულია. ეკრანზე მივიღებთ დასაბეჭდი შემოსავლის ორდერის ფორმას:

სს "თიბისი"
საწარმო, მრეწველობა

სს "თიბისი"
საწარმო, მრეწველობა

საღარი შემოსავლის ორდერი N

კრიბტი 2008 წ.

მასალის შემოსავლის ანგარიში, ს.ს. ანგარიში	ანგარიშის აღნიშვნის კოდი	თანხა	მისთვის აღნიშვნის კოდი
12 10 1		500.0 GEL	

მიღებულ იქნა 12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"

საფაქტო გამოტანილია მასალის შესაქმნად


საშენი ლანი და 00 თბილისი ლანი

საწარმო


მიღებულია 5.04.2008



სა
მიღებულია ზალატი
მიღებულია

როგორც ვხედავთ, ორდერი სრულადაა შევსებული საჭირო ინფორმაციით, რომელთაგან ზოგიერთი გატარების ფანჯრიდანაა გადმოტანილი (თარიღი, თანხა, საფუძველი და ა.შ.). ხოლო ზოგი ინფორმაცია ჩვენი ორგანიზაციის მონაცემებიდან, რომელიც თავიდან იყო შეტანილი სისტემის პარამეტრებში, როდესაც გაიხსნა ახალი ორგანიზაცია (ამ შემთხვევაში გადმოტანილია ორგანიზაციის დასახელება). ეს საშუალება თავიდან აგვაცილებს სამუშაოების დუბლირებას და შეამცირებს პოტენციური შეცდომების რიცხვს.



საბოლოოდ, თუ ფორმაში ყველაფერი სწორია, მივცეთ დაბეჭდვის ბრძანება  დილაკით. ორდერის ფორმა ამოიბეჭდება პრინტერზე (პროგრამის მუშა ვერსიის შემთხვევაში) და გატარებაც დასრულდება.

გატარების დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება შემდეგი სახის სტრიქონი:



არასწორად შესრულებული გატარების კორექტირება შეიძლება  დილაკის გამოყენებით, წაშლა  დილაკით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრამას არ გააჩნია წაშლილი ბრძანებების (ან ანგარიშებისა და ასევე სხვა ობიექტების) აღდგენის საშუალება (UnDo). ამიტომ, ასეთ შემთხვევებში გარკვეული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. თუმცა, ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება შეიძლება ასლების რეგულარული აღებით (რაც შემდგომში იქნება განხილული).

სასარგებლოა  დუბლირების დილაკის გამოყენება. თუკი შესასრულებელია ისეთი გატარება, რომლის მსგავსიც ადრე არის შესრულებული, მაშინ წინა გატარების მონიშვნით და მოცემული დილაკის გამოყენებით ეკრანზე გაიხსნება ახალი გატარების დამატების ფანჯარა, რომელიც შეივსება წინა გატარების მონაცემებით. შევცვალოთ მხოლოდ განსხვავებული ველები. როგორც ვხედავთ, ეს ოპერაცია ანალოგიურია გატარების შესრულების დროს დილაკის  (შემდეგი), მხოლოდ მეორე შემთხვევაში, მსგავსი გატარებები ერთდროულად სრულდება.

მაგალითი: 2008 წლის 10 აპრილს საღაროში თიბისი ბანკიდან კიდევ გამოტანილია 600 ლარი, ხოლო ბანკი ქართუდან - 400. შევასრულოთ გატარებები.

როგორც ჩანს, ამ ორი გატარებიდან პირველი წინა გატარების ანალოგიურია. ამიტომ, მოვნიშნოთ ამ გატარების სტრიქონი და მოვახდინოთ მისი დუბლირება.

ეკრანზე მივიღებთ ახალ ფანჯარას, რომელშიც გამოვა მონიშნული გატარების მონაცემები. მოცემულ ფანჯარაში შევცვალოთ მხოლოდ დოკუმენტის ნომერი, თარიღი და თანხა, რაც, ცხადია, ახალი გატარებებისათვის (თიბისი-დან 600 ლარის გამოტანა) განსხვავებული იქნება. ველების შეცვლის შემდეგ შეიძლება

ლიდაკის (შემდეგი) გამოყენება, რათა შესრულდეს პირველი გატარება და გაიხსნას მომდევნო მსგავსი გატარებისათვის (ქართუდან სალაროში 400 ლარის გამოტანა) ახალი ფანჯარა, რომელშიც წინა გატარების მონაცემები იქნება დარჩენილი. მასში შესაცვლელი იქნება მხოლოდ საკრედიტო ანგარიში და თანხა. საბოლოოდ მივიღებთ შემდეგ გატარებებს:

ფაილი - ნაშთი - თარიღი - ფონდები - ხელშეწილი - Window - დახმარება

საბუღალტრო კაშირი 1.01.2008 - 1.01.2009

დღა	თარიღი	სადგ. ანგ.	დასახელება [ღვ.]	საკრედიტ. ანგ.	დასახელება [კრედიტ]	თანხა	კალ
პ.ო 1	5.04.2008	1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	121	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	500.00	
პ.ო 2	15.04.2008	1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	121	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	600.00	
პ.ო 3	15.04.2008	1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12102	54321 - ქ. თბილისი, სს "ბანკი ქართუ"	400.00	

ანგარიშების დათვალიერება

ყოველი გატარება გარკვეულ ცვლილებებს ახდენს ანგარიშებზე. ვნახოთ, რა ცვლილებები მოხდა სამი შესრულებული ოპერაციის შედეგად. ამისათვის გავხსნათ ანგარიშთა გეგმა.

სასტატო ნაშთები | ნაშთები | გრუნდები | ბარათი | სახეობები | შედეგები

ანგარიში	ტიპი	დასახელება	ფინანსური	
			დებიტი	კრედიტი
1000	აქტ	მიმდინარე აქტივები		9,000.00
1100	აქტ	ნაღდი ფული სალაროში		
1110	აქტ	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
1120	აქტ	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში		
1200	აქტ	ფული საბანკო ანგარიშებზე		9,000.00
1210	აქტ	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		9,000.00
12101	აქტ	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"		3,000.00
12102	აქტ	54321 - ქ. თბილისი, სს "ბანკი ქართუ"		6,000.00

როგორც ვხედავთ, გააქტიურებულ "სასტატო ნაშთების" ფანჯარაში ანგარიშებზე ყველაფერი უცვლელადაა. გადავიდეთ "ნაშთები"-ს ფანჯარაში.

სასტატო ნაშთები | ნაშთები | გრუნდები | ბარათი | სახეობები | შედეგები

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური	
		დებიტი	კრედიტი
1000	მიმდინარე აქტივები		9,000.00
1100	ნაღდი ფული სალაროში		1,500.00
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		1,500.00
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე		7,500.00
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		7,500.00
12101	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"		1,900.00
12102	54321 - ქ. თბილისი, სს "ბანკი ქართუ"		5,600.00
			9,000.00

როგორც ვხედავთ, ანგარიშებზე ასახულია საბოლოო მდგომარეობა. მაგალითად 1210 1 ანგარიშზე ნაშთია 1900 ლარი. თუკი დაგვიანტერესებს ამ ნაშთის გაშიფვრა, შეიძლება გამოვიტანოთ “ბრუნვები”-ს ფანჯარა. მივიღებთ:

ანგარიში +		დასახელება	საწყობი		ბრუნვა		ბრუნვის სხვაობა	საბოლოო
			დებუტი	კრედიტი	დებუტი	კრედიტი		დებუტი
1000		მომდინარე აქტივები	9,000.00		1,500.00	1,500.00		9,000.00
1100		ნაღდი ფული სალაროში			1,500.00		1,500.00	1,500.00
1110		ნაღდი ფული ერთპირობ კალუბა			1,500.00		1,500.00	1,500.00
1200		ფული საბანკო ანგარიშგაზე	9,000.00			1,500.00	1,500.00	7,500.00
1210		ერთპირობი კალუბა რეზიდენცია	9,000.00			1,500.00	1,500.00	7,500.00
1210 1		12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი 2"	3,000.00			1,100.00	1,100.00	1,900.00
1210 2		54321 - ქ. თბილისი, სს "განაი 3"	6,000.00			400.00	400.00	5,600.00
			9,000.00		1,500.00	1,500.00		9,000.00

მოცემული ფანჯრიდან შეიძლება იმის გარკვევა, რომ თიბისი ბანკში თავდაპირველი ნაშთი ყოფილა 3000, შემდეგ ბანკში თანხა არ შესულა, იქიდან გამოტანილია 1100 ლარი, სხვაობა გამოტანილსა და შეტანილ თანხებს შორის ისევ 1100 ლარია და ამის შედეგად საბოლოო ნაშთია 1900 ლარი.

როგორც აქედან ჩანს, ბრუნვები უჩვენებს ჯამურ ინფორმაციას. თუ გვინტერესებს, საიდან წარმოდგება ანგარიშზე ეს ჯამი, შეიძლება გამოვიტანოთ საჭირო ანგარიშის ბარათი, სადაც უკვე გამოჩნდება დეტალური ინფორმაცია ამ ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების შესახებ (მოძრაობა ანგარიშზე, ამონაწერი).

ამ მიზნით, მოვნიშნოთ ანგარიშში 1210 1 თიბისი ბანკი და გადავიღეთ ფანჯარაში “ბარათი”

თარიღი	დოკ.	მომ. ანგარიში	დასახელება	ბრუნვა დებუტი	ბრუნვა კრედიტი	ნაშთი დებუტი	ნაშთი კრედიტი
1.01.2008		საწყობი				3,000.00	
5.04.2008	მ.ო 1	1110	ნაღდი ფული ერთპირობ კალუბაში	500.00		2,500.00	
15.04.2008	მ.ო 2	1110	ნაღდი ფული ერთპირობ კალუბაში	600.00		1,900.00	
1.01.2009		საბოლოო		1,100.00		1,900.00	

ამ ფანჯარაში უკვე დეტალურადაა მოცემული, თუ რა გატარებები შესრულდა მოცემულ ანგარიშზე, რომელ ანგარიშთან ჰქონდა კორესპონდენცია და ყოველი განხორციელებული ოპერაციის შედეგად, ნაზარდი ჯამის სახით, როგორი საბოლოო შედეგი იქნა მიღებული.

ანგარიშის ბარათის ფანჯარაში მოცემულია ახალი გატარების დამატების, არსებულის კორექტირებისა და წაშლის ბრძანებები, რაც ნიშნავს, რომ გატარებებზე ბარათიდანაც შეიძლება იგივე ოპერაციების შესრულება, რასაც ვასრულებდით გატარებების ფანჯარაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ბარათიდან ახალი გატარების დამატება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადებუტო ან საკრედიტო ანგარიშში ემთხვევა ამ ბარათის ანგარიშს. ე.ი. თუ გამოტანილია 1110 ანგარიშის ბარათი, მაშინ გატარების დამატების შემთხვევაში ერთ-ერთი ანგარიში უნდა იყოს 1110. სხვა შემთხვევაში, გატარება უნდა შესრულდეს გატარებების ფანჯრიდან.

საპარჯიშო 3:

- 13. გახსენით ორგანიზაცია Vake
- 14. გახსენით ანალიზური და საოპერაციო პერიოდების ფანჯარა და დააყენეთ ანალიზურ პერიოდად მთელი მიმდინარე წელი
- 15. გახსენით გატარებების ფანჯარა
- 16. შეასრულეთ შემდეგი ოპერაციები:

	<i>ოპერაციის შინაარსი</i>	<i>გატარება და კომენტარი</i>
4.1	ინტელექტბანკიდან გამოტანილია სალაროში 700 ლარი. შეასრულეთ გატარება და დაბეჭდეთ სალაროს შემოსავლის ორდერი. გატარების დროს დაამატეთ საფუძველი "გამოტანილია ბანკიდან სამეურნეო ხარჯებისათვის"	
4.2	სალაროდან გადახდილია ტელეფონის გადასახადი 200 ლარი (გამოიყენეთ ანგარიში 7430 – საკომუნიკაციო ხარჯი). შეასრულეთ გატარება და დაბეჭდეთ სალაროს გასავლის ორდერი. დაამატეთ ახალი საფუძველი "გაწეულია სამეურნეო ხარჯი"	
4.3	სალაროდან ნაღდი ანგარიშსწორებით, 100 ლარად შექმნილია კომპიუტერის აქსესუარები (ანგარიში 7445 - კომპიუტერის ხარჯი). შეასრულეთ გატარება და დაბეჭდეთ სალაროს გასავლის ორდერი. აირჩიეთ წინა გატარებაში შექმნილი საფუძველი	
4.4	ინტელექტბანკიდან სალაროში კიდევ არის გამოტანილი 800 ლარი (გატარება + შემოსავლის ორდერი). ოპერაცია შეასრულეთ 4.2-ში შესრულებული გატარების დუბლირების გზით.	
4.5	სალაროდან საფოსტო ბანკში შეტანილია 400 ლარი (გატარება + გასავლის ორდერი)	

- 17. აღმოჩნდა, რომ საფოსტო ბანკში შეტანილი თანხა ყოფილა არა 400, არამედ 500 ლარი. შესაბამისად გადააკეთეთ გატარება.
- 18. ანგარიშთა გეგმიდან გამოიტანეთ სასტარტო ნაშთები. შეიცვალა თუ არა ანგარიშებზე სასტარტო ნაშთების მნიშვნელობა? (კი/არა) (-----)
- 19. დაათვალიერეთ ნაშთები. რისი ტოლია 1110 ანგარიშზე ნაშთის მნიშვნელობა? (-----)

20. დაათვალიერეთ ბრუნვები. რისი ტოლია ინტელექტბანკში ბრუნვის საწყისი და საბოლოო ნაშთები? (-----) დებეტური და კრედიტული ბრუნვები? (-----)
21. გამოიტანეთ 1110 ანგარიშის ბარათი. რას უდრის სადებეტო ბრუნვების ჯამი? (-----) საბოლოო ნაშთი? (-----)
22. ბარათიდან 800 ლარის გატარება (ინტელექტბანკიდან სალაროში თანხის გამოტანა) გადააკეთეთ 900 ლარად. როგორი გახდა საბოლოო ნაშთი 1110-ზე? (-----)

თქვენი საბოლოო ნაშთები ასეთი უნდა იყოს:

ანგარიში	დასახელება	ფინანსური ნაშთი	
		დებეტი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	800	
1210 1	ინტელექტბანკი	28 400	
1210 2	საფოსტო ბანკი	10 500	
4140	გრძელვადიანი სესხი		40 000
7430	საკომუნიკაციო ხარჯი	200	
7445	კომპიუტერის ხარჯი	100	
	სულ:	40 000	40 000

თავი 7. თანამშრომლის სახეობის ანგარიშები

ანგარიშის გახსნა

(წინასწარ გაეხსნათ ორგანიზაცია SS_Imereti)

როგორც ცნობილია, ორგანიზაციას შეიძლება საკუთარ პერსონალთან გააჩნდეს გარკვეული მოთხოვნები, ან ვალდებულებები.

მოთხოვნების მაგალითი:

- მომუშავეს კრედიტით მიეყიდა რაიმე საქონელი;
- მომუშავეზე გაიცა სესხი;
- მუშაკზე გაიცა სამივლინებო თანხა და მან უნდა წარმოადგინოს ამ თანხის ხარჯვის საბუთები, ხოლო აუთვისებელი თანხა დააბრუნოს საღაროში;
- და სხვ.

ვალდებულების მაგალითი:

- მუშაკმა საკუთარი თანხით შეიძინა საქონელი, ან დაფარა გარკვეული ხარჯები და ორგანიზაცია ვალდებულია მას აუნაზღაუროს ეს თანხა;
- ორგანიზაციამ პერსონალს დაარიცხა ხელფასი და ეს ასახა ვალდებულებების ანგარიშზე;
- და სხვ.


ამიტომ, თითოეულ ასეთ პიროვნებაზე მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზური აღრიცხვის მიზნით, გახსნილი უნდა იყოს სათანადო ანგარიში. ამასთან, პერსონალზე საჭირო იქნება დამატებითი ინფორმაცია (როგორიცაა იმ განყოფილების დასახელება, რომელშიც თანამშრომელი ირიცხება, მისი საპასპორტო მონაცემები, სამსახურში მიღების თარიღი და ა.შ.).

ამგვარად, თანამშრომლებთან მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშის სახეობა – “თანამშრომელი”.

ასეთი ანგარიშის გახსნა იწყება ფინანსური სახეობის ანგარიშის ანალოგიურად (რაც განხილული იყო მე-2 თავში), მხოლოდ საჭირო იქნება დამატებითი ოპერაციების შესრულება.

დავამატოთ ვინმე ბუკია ირაკლი, რომელზეც საქვეანგარიშო თანხების გაცემა ხდება და შესაბამისად, საჭიროა მასთან მოთხოვნების (ან ვალდებულებების) აღრიცხვა.


ანგარიშთა გეგმიდან, სასტარტო ნაშთების ფანჯარაში 1430 ანგარიშზე (მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ) დავამატოთ ახალი ქვეანგარიში და ავირჩიოთ სახეობა – თანამშრომელი. ეკრანზე მივიღებთ ფანჯარას:



როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით თანამშრომლების სია ცარიელია.


მონაცემების შეტანა ამ ფანჯარაში წინასწარაც შეიძლება, თუკი გამოვიყენებთ ბრძანებათა თანმიმდევრობას *ხელფასი / კადრები*.

ამჯერად თანამშრომლების სიაში დავამატოთ ახალი ჩანაწერი და გამოტანილი ფანჯარა შემდეგნაირად შევახსოთ:




ჯერჯერობით საკმარისია მხოლოდ სახელი და გვარი. დანარჩენი ინფორმაცია, რაც ხელფასების დაანგარიშების დროს შეიძლება დაგეგმოს, მოგვიანებითაც შეიძლება შევიტანოთ.

დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით და ამით თანამშრომლის ბარათის შეტანა დამთავრდება. ეკრანზე მივიღებთ:




მუშაობის გასაგრძელებლად შეიძლება ორი მიდგომის გამოყენება:

23. აქვე დავამატოთ დანარჩენი თანამშრომლების მონაცემები და შემდეგ სათითაოდ გადავიტანოთ ანგარიშთა გეგმაში, სათანადო ანგარიშებზე ქვეანგარიშების სახით;
24. დამატებული თანამშრომელი მაშინვე გადავიტანოთ ანგარიშთა გეგმაში და დავასრულოთ ანგარიშის გახსნის ოპერაცია. შემდეგ დავიწყოთ მომდევნო თანამშრომლისათვის ანგარიშის გახსნის ოპერაცია, ისევე ავირჩიოთ სახეობა, გადავიდეთ თანამშრომლების სიაში, ჩავამატოთ ახალი ბარათი, მაშინვე გადავიტანოთ ანგარიშთა გეგმაში და ა.შ.

ამჯერად ავირჩიოთ მეორე მიდგომა. მოვნიშნოთ დამატებული თანამშრომლის ბარათი და ავირჩიოთ , ან OK ღილაკით.

მივიღებთ:



აქაც, სასტარტო ნაშთების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი შეტანა.

მაგალითი: ბუკიაზე წინა წელს გაცემული იყო სამიველინებო თანხა 500 ლარი, რომლის ხარჯვის საბუთები ჯერ არ წარმოუდგენია.

ამიტომ, პირველი იანვრის მდგომარეობით (რა თარიღითაც დავიწყეთ თავი 1-ში სასტარტო ნაშთების შეტანა) ორგანიზაციას ბუკიასთან გააჩნია მოთხოვნა, რაც შესაბამისად, სასტარტო ნაშთის სახით უნდა იქნეს აღრიცხული. ამიტომ, ანგარიშის გახსნის პროცესში დებეტის უჯრაში შევიტანეთ 500 ლარი

დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით. ამით ანგარიშის გახსნა და სასტარტო ნაშთის დაფიქსირება დამთავრებულია. საბოლოოდ, ეკრანზე მივიღებთ:

1400	აქტ	მოკლევადიანი მოთხოვნები	500.00
1410	აქტ	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	
1410 16	აქტ	შპს "ვიდია"	
1415	პას	სააქტუო მოთხოვნების კორექტირება	
1420	აქტ	მოთხოვნები ვიკაუზიშვილ საჩხარმოს მიმართ	
1430	აქტ	მოთხოვნები საჩხარმოს კაპიტალის მიმართ	500.00
1430 0001	აქტ	ბუკია ვანო	500.00
1440	აქტ	მოთხ. ხელშეკვ. და სამეთვ. ორგ. წევრ. მიმართ	
ჩიჯაა		ბალანსი	9,500.00
			9,000.00

გაიხსნა ქვეანგარიში და ეკრანზე აისახა მისი სასტარტო ნაშთიც.

ცხადია, ამ შემთხვევაში დაირღვევა ბალანსი, რადგან თავიდანვე, როდესაც ორგანიზაცია გაიხსნა და შევიტანეთ სასტარტო ნაშთები, მასში გათვალისწინებული არ იყო ბუკიას ნაშთი. ამიტომ ბალანსი რომ გასწორდეს, პირობითად შევცვალოთ რომელიმე ნაშთი, მაგალითად, თიბისი ბანკში არსებული ნაშთი 3000-ის ნაცვლად 2500 ლარი გავხადოთ.

ამისათვის სასტარტო ნაშთების ფანჯრიდან მოვნიშნოთ 1210 1 ანგარიში, გავაკორექტიროთ და დებეტის უჯრაში სასტარტო ნაშთის მნიშვნელობა შევცვალოთ 2500-ით. საბოლოოდ ბალანსი აღდგება (ცხადია, რეალურ სიტუაციაში ასეთი რამ არ მოხდება. ასე იმ მოსაზრებით ვიქცევით, რომ ყოველ თავში და თანდართულ სავარჯიშოებში ბალანსი დაცული გექონდეს!).

ერთი და იმავე თანამშრომლის ანგარიშის გახსნა რამდენიმე ანგარიშზე

როგორც აღნიშნული იყო, ერთსა და იმავე თანამშრომლის მიმართ შეიძლება არსებობდეს ხან მოთხოვნა (მაგალითად, მასზე გაიცა ავანსი ფასეულობის შესაძენად, ან ხარჯების დასაფარად), ხან კი ვალდებულება (მან საკუთარი ფული დახარჯა იმავე საქმეზე და ორგანიზაცია ვალდებულია, აუნაზღაუროს მას). ამიტომ, ერთი და იგივე თანამშრომელი, ერთი და იმავე კოდითა და დასახელებით შეიძლება გაიხსნას 1430-სა და 3160 (ვალდებულებები სანარმოს პერსონალის წინაშე) ანგარიშზე.

ამისათვის ანგარიშთა გეგმიდან სასტარტო ნაშთების ფანჯარაში მიუჩივნოთ ანგარიში 3160 და მასზე დავამატოთ თანამშრომლის სახეობის ანგარიშთა თანამშრომლების სიიდან უბრალოდ ავირჩიოთ უკვე დამატებული ბუკია და ვადმოვიტანოთ ანგარიშთა გეგმაში. მივიღებთ:

ამ შემთხვევაშიც, თუკი ბუკიასთან სასტარტო ნაშთების შეტანის პროცესში არსებობდა რაიმე ვალდებულება, შესაბამისი თანხა უნდა შევიტანოთ კრედიტის უჯრაში (მოცემულ შემთხვევაში საჭირო არ არის).

საბოლოოდ, მივიღებთ:

3150	პას	სამომხსილო გადასახდებები
3160	პას	ვალდებულებები საწარმოს კერძონალოს წინაშე
3160 0001	პას	ბუკია
3170	პას	ვალდებულებები მკაპშირთა საწარმოს წინაშე

თანამშრომლების სახეობის ანგარიშები კვლავ განხილული იქნება მე-7 თავში.

გატარებების შესრულება

მაგალითისათვის, შევასრულოთ ასეთი ოპერაციები:

1. ბუკიამ (რომელსაც 500 ლარი დავალიანება ჰქონდა) წარმოადგინა 400 ლარის ხარჯვის საბუთები, ხოლო 100 ლარი დააბრუნა საღაროში.

ცხადია, ბუღალტრულად ეს ოპერაცია ასე შეიძლება გატარდეს:

დებიტი	7490 სხვა საერთო ხარჯი	400
დებიტი	1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	100
კრედიტი	1430 ბუკია	500

გამოვიტანოთ გატარებების ფანჯარა, დავამატოთ ახალი გატარება და პირველი ფანჯარა ასე შევაგსოთ:

საღებავო ანგარიში 7 4 90 სხვა საერთო ხარჯი
 საკრედიტო ანგარიში 1 4 30 0001 ბუკია

თანხა 0 GEL

საფუძველი ჩამოწმულია ხარჯი

ანალიზური ველი

გაქმნა

დადასტურებული OK Cancel

პირველი გატარების დასასრულებლად და მომდევნო მსგავსი გატარების შესასრულებლად გამოვიყენოთ ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში არსებული ღილაკი "შემდეგი", რომლის შედეგად ახალ ფანჯარაში იგივე მონაცემები დარჩება. მასში დავამატოთ შემოსავლის ორდერის ნომერი და ჩავართოთ ორდერის ბეჭდვის ბრძანება. საბოლოოდ, მეორე გატარების ფანჯარამ ასეთი სახე უნდა მიიღოს:

დოკუმენტის N 8.04 დოკ. ტიპი ... დამუშავების დოკ. ...

თარიღი 15.04.2008

კოდი გი.წიგნი

გვერდი 0

საღებავო ანგარიში 1 1 10 ნაღდი ფული ერთნაირ ეალუბაში
 საკრედიტო ანგარიში 1 4 30 0001 ბუკია

თანხა 100 GEL

საფუძველი დაბრუნებულია სალაროში

2. იმავე ბუკიამ თავისი ფულით გადაიხდა ტელეფონის გადასახადი 150 ლარი.

დებეტი	7430 კომუნიკაციის ხარჯი	150
კრედიტი	3160 ბუკია	150

ცხადია, ამ შემთხვევაში ორგანიზაციას ბუკიას მიმართ ვაღდებულება წარმოექმნა, რომელიც სათანადოდ უნდა აღრიცხოს ვაღდებულებების ჯგუფში 3160 ანგარიშზე (ვაღდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე).

ამ მიზნით გამოვიყენოთ ანგარიში - 3160 001 ბუკია და გატარებას ასეთი სახე მივცეთ:

საფაქტო ანგარიში 7 4 30 ... კომპანიის ხარჯები
 საკუთრივ ანგარიში 3 1 60 0001 ... ბუჯეტი ვაჭი

თანხა 150 GEL

საფუძველი ბელეტრინის გადასახადი

დაეხურათ ფანჯარა OK –თი და ამით ოპერაცია დასრულებულია.

ანგარიშებზე მდგომარეობა შეიძლება ვნახოთ ანგარიშთა გეგმიდან ნაშთების ფანჯარაში. ეკრანზე ვიხილავთ:

1400	გოქლევადიანი მოთხოვნები	
1430	მოთხოვნები საწარმოს კერძონაალის მიმართ	
1430 0001	ბუჯეტი ...	
3000	მიმდინარე ვალდებულებები	150.00
3100	გოქლევადიანი ვალდებულებები	150.00
3160	ვალდებულებები საწარმოს კერძონაალის წინააღ	150.00
3160 0001	ბუჯეტი	150.00
4000	ბრკელვადიანი ვალდებულებები	9,000.00
4100	ბრკელვადიანი სასესიო ვალდებულებები	9,000.00
4140	ბრკელვადიანი სესხები	9,000.00
7000	საოქუკრაიო ხარჯები	550.00
7400	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	550.00
7430	კომპანიის ხარჯები	150.00
7490	სხვა საერთო ხარჯი	400.00

როგორც ვხედავთ, ნაშთებში აღარ ფიგურირებს 1430 0001 ანგარიშის ნაშთი, რადგან ბუჯიამ სრულად დაფარა თავისი დავალიანება, ხოლო 3160-ზე ჩანს ნაშთი 150 ლარი, რაც ნიშნავს, რომ ამჯერად ორგანიზაციას აქვს ბუჯიას ვალი.

რაც შეეხება თანამშრომლების მონაცემების კორექტირებას, ეს შესაძლებელია მენიუდან - ხელფასი / კადრები.

ადრები | ელუჯის უწყისი

კოდი	No	ბანკოვლილება	თანამშრომელი	თანამდებობა	კალაქი	მისამართი	ინდექსი	ბელუზი
0001			ბუჯეტი ...					
0002			ბუჯეტი ...					

აქ უკვე კორექტირების დილაკით შეიძლება ნებისმიერი თანამშრომლის ბარათის გახსნა და მონაცემების დამატება, ან ცვლილება. გვარის ან სახელის ცვლილების შემთხვევაში, ასევე შეიცვლება ანგარიშთა გეგმაში ქვეანგარიშის დასახელება.

საპარჯიშო 4:

გახსენით ორგანიზაცია Vake

1. 1430 ანგარიშზე გახსენით თანამშრომლის სახეობის ორი ანგარიში:
 - ა) მელაძე
 - ბ) ბერიძე
2. იგივე ბერიძე გახსენით 3160 ანგარიშზეც.
3. წლის დასაწყისისათვის მელაძეს ჰქონდა ნაშთი 400 ლარი (მიღებული ჰქონდა სამივლინებო თანხა). დასვით სასტარტო ნაშთებში.
4. ბერიძის წინაშე ორგანიზაციას 600 ლარის ვალდებულება აქვს (მან გადაიხადა ელექტროენერჯის ფული, რომელიც ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ აუნაზღაურებია). დასვით შესაბამისი სასტარტო ნაშთი.
5. გაასწორეთ სასტარტო ნაშთებში ბალანსი ინტელექტბანკის სასტარტო ნაშთის ხარჯზე (სასტარტო ნაშთი – 30 000 ლარი კორექტირების გზით გადააკეთეთ 30 200 ლარად).
6. მელაძემ სალაროში დააბრუნა 400 ლარი. შეადგინეთ სალაროს შემოსავლის ორდერი და შეასრულეთ გატარება.
7. ბერიძეს აუნაზღაურდა ვალის ნაწილი – 300 ლარი. გააკეთეთ გატარება და შეადგინეთ სალაროს გასაგვლის ორდერი.

ანგარიშებზე საბოლოო ნაშთები ასეთი უნდა იყოს:

ანგარიში	დასახელება	ფინანსური ნაშთი	
		დებეტი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	900	
1210 1	ინტელექტბანკი	28 600	
1210 2	საფოსტო ბანკი	10 500	
1430 0001	მელაძე	0	
3160 0002	ბერიძე		300
4140	გრძელვადიანი სესხი		40 000
7430	საკომუნიკაციო ხარჯი	200	
7445	კომპიუტერის ხარჯი	100	
	სულ:	40 300	40 300

თავი 8. სასაქონლო ანგარიშები

სასაქონლო ანგარიშების ბაზსნა


მარაგის (საქონელი, მასალები, მზა პროდუქცია) და ძირითადი საშუალებების აღსარიცხად და მათზე ოპერაციების საწარმოებლად (ფინანსური და რაოდენობრივი აღრიცხვა, თვითღირებულების დაანგარიშება, ჩამოწერა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, გადაფასება და ა.შ.) წინასწარ უნდა გაიხსნას სასაქონლო სახეობის ანგარიშები. ამისათვის კი უნდა შეიქმნას თითოეული დასახელების საქონლისათვის ინდივიდუალური ბარათები, სადაც მოხდება მათ შესახებ ინფორმაციის შეტანა.

სასაქონლო ანგარიშების შესაქმნელად არსებობს ორი გზა:


1. **ფონდებიდან:** შევდივართ სასაქონლო სიაში და ვამატებთ ახალ საქონელს. შეგვაქვს დასახელება, განზომილება, შევდივართ ანგარიშთა გეგმაში და ვირჩევთ იმ ანგარიშის ნომერს, რომელზეც ამ საქონლის აღრიცხვა მოხდება;
2. **ანგარიშთა გეგმაში** ვამატებთ ახალ ქვეანგარიშს – სასაქონლო. შევდივართ სასაქონლო სიაში, ვირჩევთ არსებულს, ან ვხსნით ახალ ბარათს და შეგვაქვს საქონლის (მასალის, მზა პროდუქციის) დასახელება, განზომილება და ვბრუნდებით ისევ ანგარიშთა გეგმაში.

დაწვრილებით განვიხილოთ ორივე მეთოდი.

გავხსნათ მენიუ “ფონდები / სასაქონლო სია” და დავამატოთ ყოველი ახალი საქონელი.



ახალი საქონლის დასამატებლად გამოვიყენოთ დამატების ბრძანება, ან კლავიატურიდან Insert ღილაკი. ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა:





ამ ფანჯარას ვაგებთ შემდეგი წესით:


ძირითადი საშუალება – საჭიროა მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესატანად. მოცემულ შემთხვევაში ეს ველი არ გვესაჭიროება და უმჯობესია, საერთოდ არც შევსოთ.


კოდი - პროგრამა ავტომატურად მიანიჭებს ხუთნიშნა კოდს, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება ქვეანგარიშის გახსნის დროს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება კლავიატურიდან სხვა კოდის შეტანაც.

დასახელება - აქ შედის საქონლის ზუსტი დასახელება. მაგალითად “ქაღალდი თეთრი 60 გრ, A4 ფორმატის”.

სასაქონლო ჯგუფი – როდესაც ორგანიზაციას გააჩნია დიდი რაოდენობის განსხვავებული საქონელი, მასალა ან მზა პროდუქცია, ასეთ შემთხვევაში სასარგებლო (მაგრამ არა აუცილებელი) იქნება მათი გაერთიანება ჯგუფებში, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს ჯგუფებზე ოპერაციების ჩატარება (გაფილტვრა, დალაგება და ა.შ.), რაც გააიოლებს მათთან მუშაობას. ჯგუფების დასახელება, რაოდენობა და რა საქონელი გაერთიანდეს ამ ჯგუფებში, დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და მას თვით მომხმარებელი ირჩევს. ჯგუფის დასამატებლად, ან ასარჩევად გამოიყენეთ ამ ველის გვერდით მოთავსებული  ღილაკი. გაიხსნება ფანჯარა, რომელშიც მოცემულია ჯგუფების სია:



საჭირო ჯგუფის არჩევა შეიძლება  ღილაკით, ან მონიშნით და შემდეგ კი კლავიატურაზე Enter კლავიშის დაჭერით. ამის შედეგად დაგბრუნდებით ისევ წინა ფანჯარაში.

თუკი საჭირო ჯგუფი სიაში მოცემული არ არის, იქვე შეიძლება  ღილაკით მისი დამატება და შემდგომ არჩევა.

მინიმალური ერთეული – პროგრამა საშუალებას იძლევა, ყოველ საქონელს მიენიჭოს ინდივიდუალური საზომი ერთეულები და თანაც 11-მდე განსხვავებული ერთეული. ეს მოსახერხებელია იმ თვალსაზრისით, რომ საქონელი (მაგალითად,

ქალაქი) შეიძლება სხვადასხვა ფორმით იქნეს შექმნილი, ვთქვათ ყუთებით, რულონებით, ან სულაც წონით - კილოგრამობით. ცხადია, ასეთ შემთხვევაში უნდა გვექონდეს ერთეულებს შორის ზუსტი დამოკიდებულება. მაგალითად 1 ყუთი = 20 კგ, 1 რულონი = 100 კგ.

უჯრაში “მინიმალური ერთეული” შედის ერთეულებს შორის ყველაზე მცირე განზომილება. მოცემულ შემთხვევაში შევიტანოთ “კგ”.

გასაყიდი ფასი – ივსება იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული საქონელი ან მზა პროდუქცია გასაყიდა. მასალების შემთხვევაში მისი შევსება საჭირო არ არის.

ანგარიში - აქ შეიძლება მიეთითოს ის ანგარიში, რომლის ქვეანგარიშადაც გაიხსნება მოცემული საქონელი (მასალების შემთხვევაში 1620, საქონელი - 1610, მზა პროდუქცია - 1640). თუმცა, ანგარიში შეიძლება მოგვიანებითაც იქნეს მითითებული.

საჭირო ანგარიში შეიძლება ანგარიშთა გეგმიდან იქნეს არჩეული, რომელიც იქვე შეიძლება ჩამოიშალოს, ან სულაც ხელით ჩაიბეჭდოს ანგარიშის კოდი ამ უჯრაში. მოცემულ შემთხვევაში ავირჩიოთ, ან შევიტანოთ კოდი - 1620 (ნედლეული და მასალები).


სხვა ერთეული – შევიტანოთ “ყუთი”, ხოლო მის გვერდით რიცხვი 20. ქვედა უჯრაში “რულონი”, რაოდენობა ერთეულში 100.

გვერდი 1, გვ. 2გვ. 5-ის გახსნით შესაძლებელია დამატებითი განზომილების ერთეულების შეტანა (რაც ძალიან იშვიათად ხდება).

საბოლოოდ, შევსებული ფანჯარა შემდეგი სახით გამოიყურება:


დავხუროთ ფანჯარა OK ბრძანებით და დავბრუნდეთ სასაქონლო სიაში. ამით ახალი საქონლის დამატება და ანგარიშის გახსნა დამთავრებულია.

ეკრანზე მივიღებთ სურათს:



ამის შემდეგ შეიძლება მომდევნო საქონლის შეტანა და ა.შ.


დავამატოთ კიდევ ერთი საქონელი "საღებავი ლურჯი" შემდეგი მონაცემებით:



მოცემულ შემთხვევაში არ შევიტანოთ ანგარიში (დაეუშვათ, რომ ეს ინფორმაცია დასაზუსტებელია).

დავხუროთ ფანჯარა OK ბრძანებით.

საბოლოოდ, სასაქონლო სიაში დამატებული იქნება ორი ელემენტი:



დავხუროთ სასაქონლო სიის ფანჯარა და გავხსნათ ანგარიშთა გეგმის სასტარტო ნაშთების ფანჯარა. დავინახავთ, რომ 1620 ანგარიშზე გახსნილი იქნება ქალაქის ქვეანგარიში, ხოლო საღებავის კი არა (რადგან მისი მონაცემების შეტანის დროს ანგარიში მითითებული არ იყო).

ანგარიში	ტიპი	დასახელება	ფინანსური დანახვა
1500	აპბ	მოკლევადიანი სამომავლო მომსახურება	
1510	აპბ	მიღებული მოკლევადიანი თანხები	
1520	აპბ	მიღებული მოკლევადიანი თანხების მიმდინარე	
1600	აპბ	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	
1610	აპბ	საქონელი	
1620	აპბ	ნაღველი და მასალა	
1620 0004	აპბ	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფორმატის	
1630	აპბ	დაუმთავრებელი წარმოება	

ე.ი. აღწერილი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, საქონელი ემატება სასაქონლო სიაში, მენიუ “ფონდებიდან”, მაგრამ საჭირო ანგარიში შეიძლება მითითებული არ გექნოდეს.

მე-2 მეთოდი – ანგარიშთა გეგმიდან: ანგარიშის გახსნა იწყება ისეთივე გზით, როგორც ეს იყო ფინანსური და თანამშრომლის სახეობის ანგარიშების გახსნის შემთხვევაში – ანგარიშთა გეგმიდან. დაეუშვათ, რომ 1620 ანგარიშზე გვსურს მასალა “საღებავის” გახსნა, რომელიც უკვე დამატებული გვაქვს სასაქონლო სიაში. ანგარიშთა გეგმიდან, სასტარტო ნაშთების ფანჯარაში ვირჩევთ საჭირო ანგარიშს, მაგალითად 1620-ს, ვაძლევთ დამატების ბრძანებას და ვირჩევთ სახეობას “სასაქონლო”.

ანგარიშის გახსნა

სახეობა:

ანგარიში:

ტიპი:

დასახელება:

ამის შემდეგ ავტომატურად გადავდივართ ნაცნობ სასაქონლო სიის ფანჯარაში.

კოდი	დასახელება	ჯგუფი	ერთეული	სას	ანგარიში	სხვა	რამდენობა
0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფორმატის	საბაჟო მასალა	კგ	100	1620	ერთეული	ერთეული
0008	საღებავი ლურჯი	საბაჟო მასალა	კგ	100		ფუტი	20.000
						რულონი	100.000

აქ მოვნიშნავთ ადრევე შეტანილ საქონელს (ამ შემთხვევაში, საღებავს) და დილაკის გამოყენებით გადავიტანთ ანგარიშთა გეგმაში. თუ სასურველი საქონელი სასაქონლო სიაში წინასწარ არ არის შეტანილი, იქვე შეგვიძლია მისი დამატება ისეთივე გზით, როგორც ეს პირველ მეთოდში იყო აღწერილი, მხოლოდ ანგარიშის მითითება საჭირო აღარ იქნება. დამატებულ საქონელს ისევ ავირჩევთ დილაკით. საბოლოოდ, ეკრანზე უნდა მივიღოთ ასეთი სურათი:

თუკი მოცემულ საქონელზე გვაქვს სასტარტო ნაშთებიც (ფინანსური და რაოდენობრივი), აქვე შეიძლება მათი შეტანა. მაგალითად, პროგრამასთან მუშაობის დაწყების მომენტისათვის (მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით) ორგანიზაციას გააჩნდა 500 კგ საღებავის ნაშთი, ღირებულებით 2000 ლარი. ეს ასეთი სახით უნდა დაფიქსირდეს:

შენიშვნა: აუცილებელია ორივე უჯრის ერთდროულად შევსება. არ შეიძლება ჯერ მაგალითად, მხოლოდ რაოდენობის დაფიქსირება და სხვა დროს თანხის შეტანა. ამან შეიძლება გამოიწვიოს თვითღირებულების არასწორი გამოანგარიშება!

საბოლოოდ ფანჯარა დავხუროთ OK ღილაკით. ამით ქვეანგარიშის გახსნა და სასტარტო ნაშთის შეტანა დამთავრებულია. ეკრანზე მივიღებთ:

ანგარიში		პერიოდი	საბუღალტრო	საბუღალტრო	საბუღალტრო	საბუღალტრო
ანგარიში	ფიქი	დასახელება	დანიშნულება	საბუღალტრო	საბუღალტრო	საბუღალტრო
1450	აპბ	მომხ. პარტიკულარული ხარჯები				
1460	აპბ	კაპიტ. ხელ. კარგ. გრძელვ. მომხ. მიმდ. ნაწილი				
1470	აპბ	გრძელვ. მომხ. გრძელვ. მიმდ. ნაწილი				
1480	აპბ	მომხ. გრძელვ. ხარჯები				
1480 1	აპბ	დავით ბაბრაძის				
1485	აპბ	საბაჟო-ტარიფების გადასახადები				
1490	აპბ	სხვა მოკლევადიანი მომხ. გრძელვ.				
1500	აპბ	მოკლევადიანი სათავსო მომხ. გრძელვ.				
1510	აპბ	მიღებული მოკლევადიანი თავსუკები				
1520	აპბ	მიღებული გრძელვ. თავსუკების მიმდ. ნაწილი				
1600	აპბ	სასაქონლო-გაბრუნებული მარაგი	2,000.00			
1610	აპბ	საბრუნო				
1620	აპბ	წოდებული და გასაღები	2,000.00			
1620 0004	აპბ	კადასტრი თითქმის 60 გრ. A4 ფორმატის				
1620 0008	აპბ	საღებავი ლურჯი	2,000.00			500.000
1630	აპბ	დაუმთავრებელი წარმოება				
1640	აპბ	დას. ხარჯები				
ჯამი			11,000.00	9,000.00		343

ამის შედეგად, ცხადია, ისევ დაირღვეოდა ბალანსი (როგორც წინა თავში იყო). ბალანსი გაეხსნა როგორც რომელიმე ანგარიშის ხარჯზე (ისევ შევნიშნავთ, რომ რეალურ სიტუაციაში ეს საჭირო არ იქნება).

ამისათვის, გადავაკეთოთ 4140 ანგარიშის სასტარტო ნაშთი და გავხადოთ 9000-ის ნაცვლად 11000 (მაგალითად, ასევე შეიძლება შეგვემცირებინა ფული საბანკო ანგარიშებზე). ამის შედეგად ბალანსი ისევ აღდგება.

შევნიშნავთ, რომ სასაქონლო ანგარიშების გახსნის მეორე მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გატარების შესრულების მომენტში ვხსნით საჭირო ანგარიშს.

შემდგომში, თუ საჭირო გახდება სასაქონლო ანგარიშების კორექტირება (მასალის დასახელების, ჯგუფის, ერთეულის და ა.შ. ცვლილება), ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ სასაქონლო სიდიდან. ანგარიშთა გეგმიდან ეს უბრალოდ შეუძლებელი იქნება (განსხვავებით ფინანსური სახეობის ანგარიშებისაგან), რადგან ველები დაბლოკირებულია და რედაქტირებას არ ექვემდებარება.

მარაგთან დაკავშირებული ოპერაციები კიდევ განხილული იქნება მე-7 თავში (ანგარიშთა სახეობების გამოყენება).

საბოლოოდ, რეკომენდაციის მიზნით შეიძლება ითქვას, რომ განხილული პირველი მეთოდი - სასაქონლო მარაგის შეტანა მენიუდან "ფონდები" მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ჯერ კიდევ დასაზუსტებელია ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა - შეიძლება საჭირო გახდეს სასაქონლო ანგარიშების დაჯგუფება დონეებზე. ამიტომ, სანამ ეს დადგინდება, წინასწარ შეიძლება საქონლის შესახებ იმ ინფორმაციის შეტანა, რაც ისედაც ცნობილია (დასახელება, ერთეულები, ჯგუფი და ა.შ.). მას შემდეგ, რაც დადგინდება ანგარიშთა გეგმაში სასაქონლო ანგარიშების სტრუქტურა, უკვე შეიძლება ადრე შეტანილი სასაქონლო სიდიდების ვლემენტების გადატანა შესაბამის ანგარიშებზე.

სასაქონლო გატარებების შესრულება

ორგანიზაცია SS_Imereti-ის მაგალითზე შევასრულოთ შემდეგი ოპერაციები:

1. ბუკიაზე სალაროდან გაიცა 800 ლარი მასალების შესაძენად;
2. ბუკიასგან მიღებულია:
5 ყუთი ქაღალდი, ღირებულებით 300 ლარი;
20 ბოთლი საღებავი, ღირებულებით 200 ლარი.
3. ბუკიასგან კიდევ არის მიღებული:
20 კგ ქაღალდი, ღირებულებით 80 ლარი
4. წიგნების დასაბეჭდად გაიცა 3 ყუთი ქაღალდი და 10 კგ საღებავი;
5. წიგნების დასაბეჭდად კიდევ გაიცა 10 კგ ქაღალდი და 10 კგ საღებავი;
6. დამზადებულია 100 ცალი წიგნი, რომლებიც გადმოტანილია მზა პროდუქციის საწყობში.

ცხადია, შესაბამის საბუღალტრო გატარებებს ასეთი სახე ექნება:

1.

დებეტი	1430 ბუკია	800
კრედიტი	1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	800

2.1

დებეტი	1620 მასალები (ქაღალდი) 5 ყუთი	300
კრედიტი	1430 ბუკია	300

2.2

დებეტი	1620 მასალები (საღებავი) 20 ბოთლი	200
კრედიტი	1430 ბუკია	200

3.

დებეტი	1620 მასალები (ქაღალდი) 20 კგ	80
კრედიტი	1430 ბუკია	80

4.1

დებეტი	1630 დაუმთავრებელი წარმოება	?
კრედიტი	1620 ქაღალდი 3 ყუთი	?

4.2

დებეტი	1630 დაუმთავრებელი წარმოება	?
კრედიტი	1620 საღებავი 10 კგ	?

5.1

დებეტი	1630 დაუმთავრებელი წარმოება	?
კრედიტი	1620 ქაღალდი 10 კგ	?

5.2

დებეტი	1630 დაუმთავრებელი წარმოება	?
კრედიტი	1620 საღებავი 10 კგ	?

6.

დებეტი	1640 შხა პროდუქცია (წიგნი) 100 ც	?
კრედიტი	1630 დაუმთავრებელი წარმოება	?

გატარებების შესასრულებლად გადავიდეთ გატარებების ფანჯარაში. დავამატოთ ახალი გატარება. პირველი გატარება ნაცნობია და როგორც ვიცით, იგი ასეთი სახით შეივსება (თან დაიბეჭდოს საღაროს გასაგელის ორდერი):

შემდეგი ოპერაცია – ბუკიასაგან მასალების მიღება შედგება ორი გატარებისაგან. პირველი გატარების ფანჯრის პირველი ნაწილი ასეთი სახით შეივსება:

როგორც ვხედავთ, წინა გატარებებისაგან განსხვავებით, გაჩნდა ახალი ველი “რაოდენობა” და მის გვერდით ერთეულების სია (რადგან გატარებაში მონაწილეობს სასაქონლო ანგარიში). რაოდენობის უჯრაში შევიტანოთ 5, ხოლო ერთეულის ასარჩევად (პროგრამა ავტომატურად ირჩევს მინიმალურ ერთეულს) ჩამოვშალოთ ერთეულების სია. ვიხილავთ:

სადეპოზიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქალაქი	თბილისი
საქონლიანი ანგარიში	1 4 30 0001	ბუკია	3
რაოდენობა	0	სა	
თანხა	0	ყუთი	რულონი

როგორც ვხედავთ, სიაში ჩანს ყველა ის ერთეული, რაც შეტანილი იყო სასაქონლო სიაში მასალა “ქალაქის” შეტანის დროს. ავირჩიოთ ერთეული – ყუთი.

თანხის უჯრაში შევიტანოთ თანხა დღგ-ს გარეშე (თუ ორგანიზაცია არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან არც უნდა აღრიცხოს დღგ. ამიტომ, თანხის უჯრაში შეიტანს მთლიან თანხას).

სადეპოზიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქალაქი	თბილისი
საქონლიანი ანგარიში	1 4 30 0001	ბუკია	3
რაოდენობა	5	ყუთი	
თანხა	300	GEL	
საშუალო	<input checked="" type="checkbox"/>	შეკვეთა მასალა	
ანალიზური პეიჯი	<input checked="" type="checkbox"/>		
გადავა	<input type="checkbox"/>		

OK Cancel

საქონლის მიღების დროს მომხმარებელს უწევს რაოდენობისა და თანხის შეტანა, ხოლო გაცემის დროს ეს უფრო მარტივად მოხდება.

მომდევნო ოპერაციები 2.2 და 3 შესრულდება ანალოგიურად, რისთვისაც მოხერხებული იქნება გატარების დუბლირების დილაკის გამოყენება.

ვნახოთ, ამ ოპერაციების შედეგად რა მდგომარეობა იქნება სასაქონლო ანგარიშებზე – რა რაოდენობის მარაგი გააჩნია ორგანიზაციას.

ანგარიშთა გეგმიდან გამოვიტანოთ ნაშთები. ვიხილავთ სურათს:

1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	220.00		
└ 1430	მოთხოვნები საჭარმოს პარსონალის მიხედვით	220.00		
└└ 1430 0001	ბუკია	220.00		
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2,580.00		
└ 1620	ნედლეული და მასალა	2,580.00		
└└ 1620 00004	ქალაქი თბილისი 60 გრ. A4 ფორმატის	380.00	3.17	120.000
└└└ 1620 00008	საღებავი ლურჯი	2,200.00	3.93	560.000

როგორც ჩანს, ანგარიშგაღებულ ბუკიას კიდევ დარჩა თანხა 220 ლარი. ორგანიზაციის მარაგი ასეთია:

- ქალაქი 380 ლარის 120 კგ, ერთეულის (1 კგ) ღირებულებაა 3.17 ლარი;
- საღებავი 2200 ლარის, 560 კგ, ერთეულის ღირებულებაა 3.93 ლარი;

MIDL - საშუალო შეწონილი ფასი: გასაცემი ქაღალდის რაოდენობა მრავლდება საშუალო ფასზე $60 * 3.16666 = 190$ ლარი.

პროგრამა ამ გამოთვლებს გატარების ფანჯარაში არსებული შესაბამისი დილაკების გამოყენებით შეასრულებს. თუ FIFO-ს დაეაჭერთ, ღირებულება გამოვა:

საღებავთ ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი ჩარმოვა
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითონი 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3	ყუთი
ფასი	180	GEL
		გამოვითვალთ
		<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST <input checked="" type="checkbox"/>
		<input type="checkbox"/> დაემატოსოროთ ერთ ფასი

LIFO-ს გამოყენებით მივიღებთ:

საღებავთ ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი ჩარმოვა
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითონი 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3	ყუთი
ფასი	200	GEL
		გამოვითვალთ
		<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST <input checked="" type="checkbox"/>
		<input type="checkbox"/> დაემატოსოროთ ერთ ფასი

MIDL მეთოდი კი მოგვცემს:

საღებავთ ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი ჩარმოვა
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0004	ქაღალდი თითონი 60 გრ. A4 ფორმატის
რაოდენობა	3	ყუთი
ფასი	190	GEL
		გამოვითვალთ
		<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST <input checked="" type="checkbox"/>
		<input type="checkbox"/> დაემატოსოროთ ერთ ფასი

საბოლოოდ დაგტოვით MIDL მეთოდის შედეგი და შემდგომშიც ამ მეთოდით ვი-სარგებლოთ.

ამით გატარების მონაცემების შეტანა დასრულებულია. მომდევნო, მსგავსი გატარების შესასრულებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ დილაკი “შემდეგი”. ფანჯარაში დარჩება წინა გატარების მონაცემები. შევცვალოთ საკრედიტო ანგარიში საღებავის ანგარიშით, ხოლო რაოდენობაში შევიტანოთ 10. ერთეულს არჩევა არ მჭირდება.

როგორც ვხედავთ, მეთოდი MIDL არჩეულია, ამიტომ მასზე დაჭერა აღარ არის საჭირო. თანხის უჯრაში კურსორის უბრალო გადატანით თანხა ავტომატურად გამოითვლება.

საღებავთ ანგარიში	1 6 30	დაუმთავრებელი ჩარმოვა
საკრედიტო ანგარიში	1 6 20 0008	საღებავი ლურჯი
რაოდენობა	10	კმ
ფასი	39.29	GEL
		გამოვითვალთ
		<input checked="" type="radio"/> თანხა <input type="radio"/> რაოდენობა
		FIFO LIFO MIDL FIX LIST <input checked="" type="checkbox"/>
		<input type="checkbox"/> დაემატოსოროთ ერთ ფასი

მომდევნო, ანალოგიური გატარებების შესასრულებლად შეგვიძლია, გამოვიყენოთ დილაკი "შემდეგი".

შპს პროდუქციის მიღება

ბოლო, მე-6 ოპერაციაში მოცემული არ არის თანხა. უცნობია, თუ რა დაჯდა 100 ცალი წიგნის დამზადება. ეს რიცხვი უნდა ვიპოვოთ ნაშთებიდან, ან გატარების შესრულების პროცესში დილაკის გამოყენებით. 1630 ანგარიშზე დაგროვილი იქნება წიგნის დაბეჭდვაზე გაწეული მასალების დანახარჯები.

ნაშთებში ვიხილავთ სურათს:

1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2,580.00		
1620	ნედლეული და მასალები	2,279.75		
1620 0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ზომისათვის	158.33	3.17	50.000
1620 0008	საღებავი ლურჯი	2,121.42	3.93	540.000
1630	დაუმთავრებელი წარმოება	300.25		

ნაშთებიდან კარგად ჩანს, თუ რას შეადგენს ორგანიზაციის მარაგი, როგორც თანხობრივად, ასევე რაოდენობრივად.

მაგალითად, თუ გვინტერესებს, საიდან არის მიღებული ქაღალდისა და საღებავის ასეთი ნაშთები, შეიძლება გადავიღოთ ბრუნვებში.

ეს ფანჯარა განიერია და ორი ნაწილისაგან შედგება. თავიდან ჩანს მხოლოდ ფინანსური ბრუნვები:

ანგარიში	დასახელება	საწყისი		ბრუნვა		ბრუნვის		საბოლოო	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	სხვაობა	დებეტი	კრედიტი	
1430 0001	ბუჯია 3.	500.00		800.00	1,196.00	396.00		104.00	
1600	სასაქონლო-მატერიალური მ.	2,000.00		880.25	300.25	580.00		2,580.00	
1620	ნედლეული და მასალები	2,000.00		580.00	300.25	279.75		2,279.75	
1620 0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ზომის			380.00	221.67	158.33		158.33	
1620 0008	საღებავი ლურჯი	2,000.00		200.00	78.58	121.42		2,121.42	
1630	დაუმთავრებელი წარმოება			300.25		300.25		300.25	

მაგალითად, ამ ეკრანიდან ჩანს, რომ პერიოდის დასაწყისში (მოცემულ შემთხვევაში წლის დასაწყისში) საღებავის საწყისი ნაშთი იყო 2000 ლარი, შემოვიდა 200 ლარის, გავიდა 78.58 ლარის, სხვაობაა 121.42, ხოლო საბოლოო ნაშთია 2121.42 ლარი.

რაც შეეხება რაოდენობრივ ბრუნვებს, მის სანახავად ეკრანი წავანაცვლოთ მარჯვნივ და გამოვაჩინოთ მომდევნო სვეტები. ეკრანზე ვიხილავთ:

ანგარიში	დასახელება	საწყისი (რაოდენ.)		ბრუნვა (რაოდენ.)		ბრუნვის სხვაობა	საბოლოო (რაოდენ.)	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი		დებეტი	კრედიტი
1430 0001	ბუჯია 3.							
1600	სასაქონლო-მატერიალური მ.							
1620	ნედლეული და მასალები							
1620 0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ზომის			120.000	70.000	50.000		50.000
1620 0008	საღებავი ლურჯი	500.000		60.000	20.000	40.000		540.000
1630	დაუმთავრებელი წარმოება							

გამოჩნდა რაოდენობრივი ბრუნვები. როგორც ვხედავთ, იმავე საღებავზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: საწყისი ნაშთი იყო 500 კგ, შემოსულია 60 კგ, გასულია 20 კგ, სხვაობა შემოსულსა და გასულს შორის არის 40 კგ, საბოლოო ნაშთი არის 540 კგ.

ორივე ნაწილი უკეთ ჩანს ბრუნვების გამონაბეჭდ ფორმაში, რომელსაც ასეთი სახე ექნება:

ბრუნვითი უწყისი

ვალუა GEL

ს.ნაგინიძე

პერიოდი: 1.01.2008 - 1.01.2008

პერიოდი: 30.09.2008

გვერდი: 1

ანგარიში	დასახელება	საწყისი ნაშთი ფინანს / რაოდ.		ბრუნვა ფინანს / რაოდ.		ბრუნვის სანაშნა	საბოლოო ნაშთი ფინანს / რაოდ.	
		დამები / მც	კრედიტი / მც	დამები / მც	კრედიტი / მც		დამები / მც	კრედიტი / მც
1000	მთლიანი აქტივები							
1100	ნაღდი ფული საწარმოში	11,000.00		3,280.25	3,784.85	504.40	10,495.80	
1110	ნაღდი ფული მართლმადიდებელ დაწესებულებაში			1,800.00	800.00	800.00	800.00	
1200	ფული სხვაში ანგარიშებზე			1,800.00	800.00	800.00	800.00	
1210	მართლმადიდებელ დაწესებულებაში	8,500.00			1,500.00	1,500.00	7,000.00	
1210 1	12345 - შ. მთლიანი, სს "თიანეთი ბანკი"	8,500.00			1,500.00	1,500.00	7,000.00	
1210 2	54321 - შ. მთლიანი, სს "ბანკი კავშირი"	2,500.00			1,100.00	1,100.00	1,400.00	
1400	მრეწველობის საწარმოების მიწის ნაკვეთი	500.00			400.00	400.00	5,800.00	
1430	მრეწველობის საწარმოების მიწის ნაკვეთი	500.00		800.00	1,184.40	384.40	115.80	
1430 0001	გაზი	500.00		800.00	1,184.40	384.40	115.80	
1800	საბაზრული-გაყიდვითი ბაზარი	2,000.00		880.25	300.25	580.00	2,580.00	
1820	ნაღდი ფული და მთავარი	2,000.00		580.00	300.25	279.75	2,279.75	
1820 00002	ბანკური დანართი 80 ზრ, 04 ფურცლები			380.00	221.87	158.33	158.33	
1820 00003	საბანკო ლუჯი	2,000.00		120.00	70.00	50.00	50.00	
				200.00	78.58	121.42	2,121.42	
				80.00	20.00	40.00	540.00	

მოცემულ ფორმაში, ერთ სვეტში ჩანს როგორც ფინანსური, ასევე რაოდენობრივი მონაცემები.

საბოლოოდ, ბეჭდვის ბრძანების მიცემით ეს ფორმა შეიძლება გამოტანილ იქნეს საბეჭდო მოწყობილობაზე.

როგორც ვხედავთ, ბრუნვებში ჩანს ჯამური ინფორმაცია. იმის დეტალურად გასაშიფრავად, თუ საიდან არის მიღებული, მაგალითად, საღებავის არსებული ნაშთი, მოვნიშნოთ საღებავის ანგარიში და გადავიდეთ მენიუში "ბარათი". ეკრანზე ვიხილავთ:

საბანკო ნაშთები | ნაშთები | ბრუნვები | ბარათი | სასაქონლო | გეგმვა

16 20 0008

საღებავი ლუჯი

თარიღი	დღა	მთლიანი ანგარიში	დასახელება	მც	ბრუნვა დამები	ბრუნვა კრედიტი	ნაშთი დამები	ნაშთი კრედიტი	რაოდ. ბრუნ.
1.01.2004		საწყისი							
6.08.2004		1430 0001	გაზი ვ.		200.00		2,000.00		
8.08.2004		1630	დაუშთაურავი			39.29	2,160.71		
8.08.2004		1630	დაუშთაურავი			39.29	2,121.42		
1.01.2005		საბოლოო			200.00	78.58	2,121.42		

ბრუნვების მსგავსად, აქაც თავიდან ჩანს მხოლოდ ფინანსური მონაცემები. რაოდენობების სანახავად წავანაცვლოთ ეკრანი მარჯვნივ. ვიხილავთ:

თარიღი	დოკ.	შოკ. ანგარიში	დასახელება	რაოდ. ბრუნვა დებეტი	რაოდ. ბრუნვა კრედიტი	რაოდ. ნაშთი დებეტი
1.01.2004		საწყისი				500.000
6.08.2004		1430 0001	გუპია ვ.	60.000		560.000
8.08.2004		1630	დაუმთავრებ.		10.000	550.000
8.08.2004		1630	დაუმთავრებ.		10.000	540.000
1.01.2005		საბოლოო		60.000	20.000	540.000

ანგარიშის ბარათი უკვე დაწვრილებით გვიჩვენებს, თუ როგორი იყო პერიოდის დასაწყისისათვის საწყისი ნაშთი (2000), რომელ რიცხვებში მოხდა ამ ანგარიშზე (საღებავზე) ოპერაცია (ერთი ოპერაცია 6 აგვისტოს, ორი ოპერაცია 8 აგვისტოს), რამდენი იქნა გაცემული და რამდენი მიღებული, როგორი გახდა ამ ოპერაციების შედეგად მიმდინარე ნაშთი.

მაგალითად, ბარათის რაოდენობრივი მხარე გვიჩვენებს, რომ 6 აგვისტოს მიღებულ იქნა 60 კგ საღებავი, რის შედეგადაც მისი ნაშთი 560 კგ გახდა. ანალოგიურადაა ფინანსურ ნაშთებში.

ისევე, როგორც ბრუნვებში, ბარათიც შეიძლება გამოიბეჭდოს, რის შედეგადაც ვიხილავთ სურათს:



ანგარიშის ბარათი

ანგარიში 1620 0008
დასახელება საღებავი ლურჯი - კა

სააქციო საზოგადოება "ივერთი"
ბრუნვის პერიოდი: 1.01.2004 1.01.2005

ბიზი აძბ ვალუტა ნაერთი არობტი: მთ.წიფნი

თარიღი	შოკ. ანგარიში	ბრუნვა		ნაშთი		საზუსტავი
		ფინანს. დებეტი	კრედიტი	ფინანს. დებეტი	კრედიტი	
1.01.2004	საწყისი			2,000.00		
				500.		
6.08.2004	1430 0001 გუპია ვ.	200.00		2,200.00		შემდგომი მასალა
		60.0		560.0		
8.08.2004	1630 დაუმთავრებელი წ			39.29	2,160.71	
				10.0	550.0	
8.08.2004	1630 დაუმთავრებელი წ			39.29	2,121.42	
				10.0	540.0	
1.01.2005	საბოლოო	200.00	78.58	2,121.42		
		60.0	20.0	540.0		

დაგუბრუნდეთ ბოლო, მე-6 გატარებას – დაბეჭდილია 100 ცალი წიგნი, რომელიც გადმოტანილია მზა პროდუქციის საწყობში. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ორი მოქმედების შესრულება:

1. გაჩნდა ახალი დასახელების მარაგი (მზა პროდუქცია – წიგნი). მის შესახებ ცნობილია მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემი, ხოლო თანხა არა. ეს თანხა უნდა ვიპოვოთ ნაშთებში 1630 ანგარიშზე (დაუმთავრებელი წარმოება). ეს ნაშთი შეადგენს 300.25 ლარს. ფაქტობრივად, ეს არის წარმოება-


ზე გადაცემული მასალების - ქაღალდისა და საღებავის თვითღირებულება.

2. გატარების შესასრულებლად საჭირო იქნება ქვეანგარიშის გახსნა. ეს შეიძლება მოხდეს წინასწარ, გატარების შესრულებამდე, როგორც აქამდე ვაკეთებდით. მაგრამ ანგარიში შეიძლება გაიხსნას გატარების პროცესშიც, ვინაიდან გატარების შესრულებისას მაინც მივმართავთ ანგარიშთა გეგმას. ეს მოხერხებულია იმ თვალსაზრისით, რომ თუ გატარების მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა, რომ საჭირო სასაქონლო ანგარიში არ არსებობს, საჭირო არ იქნება გატარების შეწყვეტა, ანგარიშთა გეგმაში გასვლა, ანგარიშის შექმნა და გატარების ისევ თავიდან დაწყება. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მიდგომამ გამოუცდელ მომხმარებელს შეიძლება სირთულე შეუქმნას იმ თვალსაზრისით, რომ მას ერთდროულად ბევრ ფანჯარაში მოუწევს გადასვლა და შემდეგ უკან დაბრუნება (დაახლოებით 7-8 ფანჯარაში). ამან კი შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება უკეთესი იყოს პირველი ხერხის გამოყენება. ჯერ ბოლომდე დასრულდეს ანგარიშის გახსნა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს გატარების შესრულება.

გამოვიყენოთ მეორე მეთოდი. ამისათვის გადავიდეთ გატარებების ფანჯარაში, დავამატოთ ახალი გატარება და ფანჯარა ასეთი სახით შევაგსოთ:

ცხადია, ანგარიში 1640 საკმარისი არ იქნება წიგნის აღსარიცხავად (იგი საშუალებას მოგვცემს, აღვრიცხოთ მხოლოდ თანხა). ამიტომ, ჩამოვშალთ ანგარიშთა გეგმა და ავირჩიოთ ანგარიში 1640.

ანგარიში +	ტიპი	დასახელება
1620	აქტ	ნედლეული და მასალა
1620 0004	აქტ	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4
1620 0008	აქტ	საღებავი ლურჯი
1630	აქტ	დაუმთავრებელი მარაგები
1640	აქტ	მზა პროდუქცია
1690	აქტ	სხვა სასაქონლო მატარებელი

მეორე მეთოდით ახალი ანგარიშის დამატების ბრძანება  დილაკით. ეკრანზე გამოვა ფანჯარა:

ანგარიშის გახსნა

სახეობა: **ფინანსური**

ანგარიში: **1 6 40**

ტიპი: **აქტ**

დასახელება:

ავირჩიოთ ანგარიშის სახეობა – სასაქონლო. გადავალთ სასაქონლო სიაში, სადაც უკვე დამატებულია ორი ელემენტი:

საქონელი

რედაქტირება

საქონელი | კითხვითი საშუალებები

კოდი | დასახელება | ჯგუფი | ერთეული | ფასი

0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფი	საბეჭდო მასალა	შ	0.0000	1620
0008	საღებავი ლურჯი	საბეჭდო მასალა	შ	0.0000	

დავამატოთ ახალი ჩანაწერი და გახსნილი ფანჯარა ასე შევაგსოთ:

საქონლის დამატება

კითხვითი საშუალება: კოდი: **0012**

დასახელება: **წიგნი**

სასაქონლო ჯგუფი: **კომპიუტერი**

მინიმალური ერთეული: **ცალი**

ფასი: **6**

ანგარიში: **0 00**

ბირთვი 1 | 63.2 | 63.3 | 63.4 | 63.5 |


სხვა ერთეული:

რედაქტირება ერთეული:

OK Cancel

აქ საკმარისი იქნება განზომილების მხოლოდ ერთი ერთეულის (ცალი) გამოყენება. თუ საჭიროა, შევქმნათ სასაქონლო ჯგუფიც. უჯრაში “ფასი” შევიტანოთ წიგნის გასაყიდი ფასი 6 ლარი და დავხუროთ ფანჯარა. მივიღებთ:

კოდი	დასახელება	ჯგუფი	ერთეული	ფასი	
0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფი	საბეჭდო მასალა	შ	0.0000	1620
0008	საღებავი ლურჯი	საბეჭდო მასალა	შ	0.0000	
0012	წიგნი	კომპიუტერი	ცალი	6.0000	

მოვნიშნოთ დამატებული ელემენტი და ავირჩიოთ  ღილაკით. დავბრუნდებით ანგარიშის ფანჯარაში.

ანგარიშის გახსნა

სახეობა: **სასაქონლო**

ანგარიში: **1 6 40 0012**

ტიპი: **აქტ**

დასახელება: **წიგნი**

სასაქონლო ნაწილი აირჩიება:

ფინანსური: **0**

მედიკამენტები: **0**

რედაქტირება: **0 ცალი**


კომპიუტერი: **0**

რედაქტირება: **0 ცალი**


ქაღალდი: **GEL** | კურსი: **1.0000000**

OK Cancel

დავხუროთ ეს ფანჯარა OK ღილაკის გამოყენებით და გადავიდეთ ანგარიშთა გეგმაში.



ამით ახალი ანგარიშის გახსნა დასრულებულია. ავირჩიოთ ეს ანგარიში და ან OK ღილაკით გადავიტანოთ გატარების ფანჯარაში. მივიღებთ:



დანარჩენი ველები ასე შევავსოთ:

საკრედიტო ანგარიში 1630
 რაოდენობა 100 ცალი
 თანხა 300.25

დავხუროთ ფანჯარა და ამით ოპერაცია დასრულებულია.


საბოლოოდ, თუ ყველაფერი სწორად არის გაკეთებული, ნაშთები ასეთი სახის უნდა იყოს:

1620	წიგნი	წიგნი	2,279.75		
1620 0004	წიგნი	წიგნი	158.33	3.17	50,000
1620 0008	წიგნი	წიგნი	2,121.42	3.93	540,000
1630	წიგნი	წიგნი	300.25		
1640	წიგნი	წიგნი	300.25		
1640 0012	წიგნი	წიგნი		3.00	100,000
3000	წიგნი	წიგნი			

აქედან, წიგნის შესახებ გავიგეთ, რომ ერთი ცალი წიგნის თვითღირებულება უოფილა 3 ლარი (დამრგვალებული მუხის სიზუსტით).

ამის შემდეგ წიგნის გასაყიდი ფასი, მაგალითად 6 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), შეიძლება დაფიქსირდეს სასაქონლო სიაში, "წიგნის" ბარათში.

ამისათვის, გავსწავთ ბარათი ბრძანებათა თანმიმდევრობით: **ფონდები / სასაქონლო სია** და გავაკორექტიროთ "წიგნი". შევიტანოთ გასაყიდი ფასი:



შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დასახელების პროდუქცია იწარმოება

განვიხილოთ, როგორ შეიძლება ანგარიშთა გეგმის ისეთი სახით ორგანიზება, რომ შესაძლებელი იყოს რამდენიმე სახის პროდუქციაზე დანახარჯების აღრიცხვა და თვითღირებულების გამოანგარიშება. ამ შემთხვევაში, ანგარიშთა გეგმაში, 1630 ანგარიშზე თითოეული პროდუქციისათვის უნდა გაიხსნას ფინანსური სახეობის ანგარიშები (ეს ხერხი აღწერილი იყო მეორე თავში).

მაგალითად:

1620	აპბ	ნაღველი და მასალები
1630	აპბ	დაუმთავრებელი წარმოება
1630 1	აპბ	წიგნი
1630 2	აპბ	ქარნალი
1640	აპბ	მზა პროდუქცია

წინასწარ შევნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ამ ანგარიშებზე ხელფასების აღრიცხვა, მაშინ საჭირო გახდება ხელფასების ფორმულაში გარკვეული ცვლილებების შეტანა (განხილული იქნება მე-13 თავში - ხელფასები)

სავარჯიშო 5:

1. გახსენით ორგანიზაცია Vake.
 2. 1620 ანგარიშზე დაამატეთ ორი ახალი სასაქონლო ანგარიში:
ცემენტი: ჯგუფი - საშენი მასალები, ერთეულები - ტომარა და კუბური მეტრი (კუბ.მ.). 1 კუბ.მ. = 20 ტომარა.
ქვიშა: მონაცემები იგივე.
 3. წლის დასაწყისისათვის ცემენტისა და ქვიშის სასტარტო ნაშთები ასეთი იყო:
 ცემენტი 5 000 ლარის, 1 000 ტომარა;
 ქვიშა 3 000 ლარის, 2 000 ტომარა
 (თანხა 8 000 ლარი დააბალანსეთ გრძელვადიანი სესხის კორექტირების ხარჯზე).
 4. 1640 ანგარიშზე შექმენით სასაქონლო ანგარიში - ბლოკი. ჯგუფი საჭირო არაა, ერთეული - ცალი.
- შეასრულეთ შემდეგი გატარებები:
5. ინტელექტუალური სალაროში გამოტანილია 6000 ლარი მასალების შესაძენად.

6. მასალების შესაძენად მელაძეზე სალაროდან გაცემულია 5000 ლარი.

7. მელაძისაგან მიღებულია:

ცემენტი, 5 კუბ.მ., საერთო ღირებულებით 500 ლარი + 100 ლარი (დღგ) = 600 ლარი;

ქვიშა, 200 ტომარა, საერთო ღირებულებით 400 ლარი + 80 ლარი (დღგ) = 480 ლარი;

8. ბლოკის დასამზადებლად გაიცა:

ცემენტი 3 კუბ.მ.

ქვიშა 10 კუბ.მ.

9. დამზადდა 1500 ცალი ბლოკი, რომელიც გადატანილია შუა პროდუქციის საწყოში.

ნაშთები ასეთი უნდა მიიღოს:

1600	სასაქონლო-მატარიალური მარაგი	8,900.00		
1620	წადგენილი და გასაღები	8,290.91		
1620 00002	ცემენტი	5,200.00	5.00	1,040.000
1620 00003	ქვიშა	3,090.91	1.55	2,000.000
1630	დაუმთავრებელი წარმოება			
1640	შუა პროდუქცია	609.09		
1640 00004	ბლოკი	609.09	0.41	1,500.000

პიტი 9. ორგანიზაციის სახეობის ანგარიშები

ანგარიშის გახსნა

ანგარიშის გახსნა ორგანიზაცია SS_Imereti).

ველ ორგანიზაციას ურთიერთობა აქვს სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც
საქონლის, პროდუქციის მიწოდებას (ან მომსახურების მიწოდებას), ან სა-
ხეობისა და მასალების მომწოდებლებს (ან მომსახურების გამწვევს) წარმოადგენ-
ს. შესაძლებელი რომ იყოს მათთან მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღ-
ცხვა, ანგარიშთა გეგმაში სათანადო ქვეანგარიშების სახით უნდა გაიხსნას
თითოეული ასეთი ორგანიზაცია.

სთან, თანამშრომლისა და სასაქონლო სახეობის ანგარიშების მსგავსად, თი-
თოეული ასეთი ორგანიზაციის შესახებაც გვესაჭიროება გარკვეული ინფორმა-
ციის შენახვა, რაც შემდგომში გამოსადევი იქნება სხვადასხვა საბუღალტრო
კუმენტის შესადგენად. მაგალითად, იმისათვის, რომ მომწოდებელთან ვაწარ-
მოთ უნადლო ანგარიშსწორება (თანხის გადარიცხვა ჩვენი ბანკიდან მომწო-
ბლის ბანკში), უნდა შევადგინოთ საგადასახადო დავალება, რომელშიც უნდა
თითოს თანხის მიმღები ორგანიზაციის ზუსტი დასახელება, საიდენტიფიკა-
ციო კოდი, მისამართი, ტელეფონი, ბანკი, ბანკის კოდი, ბანკში ანგარიშის ნომე-
რი და ა.შ.

ველ მიწოდებლებზე საჭიროა ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო ანგარიშფაქ-
ტურისა და სასაქონლო ზედნადების გამოწერა, როცა ასევე საჭიროა იმ ორგა-
ნიზაციის მონაცემების ცოდნა.

ველივე ამის გამო, პროგრამაში ასეთ ორგანიზაციებს ეხსენებათ ინდივიდუა-
ლური ბარათები, სადაც მათ შესახებ შეიტანება ზემოთ ნახსენები ინფორმაცია
თითოეულ პრინციპიტ, როგორც თანამშრომლის და სასაქონლო სახეობის დროს).


**პიტი 1: დავამატოთ კრედიტორი ორგანიზაცია შპს "არგო", რომელსაც წი-
წილს მოწოდებული მქონდა საბეჭდო მასალა - ქაღალდი, ღირებულებით 2000
ლარი.**

და, ამ მომწოდებლის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულება უნდა აისახოს
ანგარიშზე - 3110 (მომწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი
ვალდებულებები).


ხოლო, როგორ შეიძლება ორგანიზაციის სახეობის ანგარიშის გახსნა და მას-
ზე შემდგომი მუშაობა:

საქონლო და თანამშრომლის ანგარიშების მსგავსად ორგანიზაციის სახეობის
ანგარიშები იქმნება ანგარიშთა გეგმიდან.

ხსნათ ანგარიშთა გეგმა და სასტარტო ნაშთების ფანჯარაში მოუძებნოთ 3110
ანგარიში, მოვნიშნოთ და მივცეთ დამატების ბრძანება. ეკრანზე მივიღებთ:




ავირჩიოთ სახეობა – “ორგანიზაციის”. გადავალთ ორგანიზაციების სიაში.




ვხედავთ, რომ ამ ფანჯარაში შეიძლება ახლის დამატება, არსებულის კორექტირება და არასაჭიროს წაშლა.

დავამატოთ ახალი ორგანიზაციის ბარათი. ამისათვის მივცეთ ახალი ორგანიზაციის დამატების ბრძანება. ეკრანზე ვიხილავთ ცარიელ ბარათს, რომელიც მაგალითისათვის, შემდეგი სახით შევაგსოთ:




საბოლოოდ, OK ბრძანების მიცემით, ორგანიზაციების სიაში ჩაემატება ახალი ელემენტი.



მაგრამ, ამით ორგანიზაციის მონაცემების დამატება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. საჭიროა მისი საბანკო რეკვიზიტების შეტანაც. ამისათვის მოვნიშნოთ ახლადდამატებული ორგანიზაცია და გამოვიყენოთ ფანჯრის ქვედა ნაწილი, სადაც უნდა დაემატოს ზემოთ მონიშნული ორგანიზაციის ბანკების მონაცემები.

მივცეთ ბანკის დამატების ბრძანება და მოვიქცეთ ზუსტად ისე, როგორც ჩვენი ბანკების დამატების დროს.

მაგალითისათვის, ბანკის მონაცემები ასეთი სახით შევიტანოთ:



საბოლოოდ, დამატებული ორგანიზაცია "არგო" ავირჩიოთ და **OK** ღილაკით გადავიტანოთ ანგარიშის ფანჯარაში. მივიღებთ:

ამ ფანჯარაში პარალელურად შეიძლება სასტარტო ნაშთების შეტანაც, როგორც აღნიშნული იყო, პროგრამასთან მუშაობის დაწყების მომენტში ამ ორგანიზაციასთან გაგუანია ნაშთი - 2000 ლარი. ეს ნაშთი შევიტანოთ უჯრაში "კრედიტი" და დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით. საბოლოოდ, მივიღებთ:

3100	კას	მოკლევადიანი ვალდებულებები	2,000.00
3110	კას	მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულება	2,000.00
3110.2	კას	შპს ანგო	2,000.00

ამით ანგარიშის გახსნა და სასტარტო ნაშთის შეტანა დამთავრებულია და შეიძლება მასზე საბუღალტრო გატარების შესრულება.

სასტარტო ნაშთის შეტანის გამო ბალანსი ისევ დაირღვა. დავაბალანსოთ, მაგალითად, თიბისი ბანკში არსებული სასტარტო ნაშთის შესაბამისად კორექტირებით (გავზარდოთ 2000 ლარით).

შემდგომში, თუ საჭირო გახდება ორგანიზაციის მონაცემების კორექტირება, ეს უნდა მოხდეს ბრძანებათა თანმიმდევრობით:

ფონდები / ორგანიზაციები.

0021	0021
------	------

ამის შემდეგ ისევ ვიხილავთ ორგანიზაციების სიას, სადაც შესაძლებელი იქნება ორგანიზაციების დამატება, კორექტირება, წაშლა და ა.შ.

მსგავსად თანამშრომლისა და სასაქონლო სახეობის ანგარიშებისა, ერთი და იგივე ორგანიზაცია შეიძლება რამდენიმე ანგარიშზე გაიხსნას ქვეანგარიშად. მაგალითად, თუ ორგანიზაცია "არგოსე" წინასწარ არის გადახდილი თანხა (ანუ გაცემულია ავანსი), მაშინ მის წინაშე ამ შემთხვევაში წარმოიქმნება მოთხოვნა, რომელიც შესაბამის ანგარიშზე - 1480 (მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები) - უნდა აისახოს. ამისათვის, ამ ანგარიშზე ზემოთ აღწერილი წესით უნდა დაემატოს იმავე ორგანიზაციის ქვეანგარიში. ცხადია, რომ ორგანიზაციების სიაში "არგოსე" ხელახალი დამატება საჭირო აღარ იქნება.

თავი 10. პირველადი დოკუმენტები

როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზაციებთან სამუშაოდ საჭირო იქნება გარკვეული პირველადი დოკუმენტების წარმოება, როგორცაა საგადასახდო დავალება, ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, საღაროს შემოსავალ-გასავლის ორდერები და სხვ.

პროგრამაში გათვალისწინებულია რამდენიმე მეთოდი ამ დოკუმენტების საწარმოებლად. მაგალითისათვის განვიხილოთ, როგორ შეიძლება საგადასახდო დავალების შედგენა. ამისათვის შეიძლება სამი მეთოდის გამოყენება:

1. **გატარების პროცესში**, ისეთივე გზით, როგორც ეს ხდებოდა საღაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერის ბეჭდვისას. ამ მეთოდის შემთხვევაში, საბუღალტრო გატარება იწვევს პირველადი დოკუმენტის მაშინვე დაფორმირებას;
2. **პირველადი დოკუმენტების** ფანჯრიდან, სადაც პირიქით ხდება, ივსება პირველადი დოკუმენტი, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საბუღალტრო გატარების შესრულებას მაშინვე, ან მოგვიანებით;
3. **სამეურნეო ოპერაციებიდან** (განხილული იქნება შემდგომ თავებში).


განვიხილოთ პირველი მათგანი:

მაგალითი 2: თიბისი ბანკიდან შპს "არგოს" გადაერიცხა კრედიტორული დავალიანების თანხის (რაც სასტარტო ნაშთებში იყო დაფიქსირებული) ნაწილი - 1500 ლარი.


ცხადია, შესაბამისი საბუღალტრო გატარება ასეთი სახის იქნება:

დებეტი	3110 არგო	1500
კრედიტი	1210 თიბისი ბანკი	1500


ოპერაციის შესასრულებად გავხსნათ გატარებების ფანჯარა, დავამატოთ ახალი გატარება და გახსნილი ფანჯარა ასე შევაგსოთ:



ამის შემდეგ ისეთივე წესით, როგორც ეს იყო საღაროს შემოსავალ-გასავლის ორდერების შემთხვევაში, მოვნიშნოთ ველი "ბეჭდვა", ლილაკით ჩამოვშალოთ საქაღალდეების სია, გამოტანილ ORIS DEMO საქაღალდეში ავირჩიოთ და გავხსნათ საქაღალდე "პირველადი ფორმები":



მასში ავირჩიოთ და გავესხნათ საქალაღდე “შევსებული”,
 შემდეგ ავირჩიოთ და გავესხნათ საქალაღდე “საგადასახადო დავაღება”



საბოლოოდ, გატარების ფანჯარა ასეთ სახეს მიიღებს:

OK ღილაკზე დაჭერით შესრულდება გატარება და შემდეგ ეკრანზე გამოვა საგადასახადო დავაღების მაკეტი. დავათვაღიეროთ ეკრანი, თუკი ყველაფერი სწორადაა შევსებული, ფორმა საბოლოოდ შეიძლება გამოიბეჭდოს პრინტერზე.

ამით თანხის გადარიცხვის ოპერაცია პირველადი დოკუმენტის ბეჭდვით დასრულებულია

მეორე მეთოდი:


მაგალითი 3: თიბისი ბანკიდან გადარიცხულია იმავე შპს “არგოსათვის” თანხის დარჩენილი ნაწილი 500 ლარი.

გატარება ასეთი სახის იქნება:


ღებეტი	3110 არგო	500
კრედიტი	1210 თიბისი ბანკი	500

გაეხსნათ პირველადი დოკუმენტების ფანჯარა ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობით:


აპერაციები / პირველადი დოკუმენტები

(ან გამოვიყენოთ ეკრანზე არსებული ლილაკი , ან კლავიშების Ctrl + 4 კომბინაცია).

ეკრანზე ვიხილავთ:



როგორც ვხედავთ, ამ ფანჯარაში მოცემულია პირველადი დოკუმენტების ჩამონათვალი. თავიდანვე გააქტიურებულია საგადასახადო დავალების ჩანართი. დამატოთ ახალი დოკუმენტი. ეკრანზე ვიხილავთ სურათს:



როგორც ვხედავთ, ფორმაში ავტომატურად აისახა ჩვენი - გადამხდელი ორგანიზაციის რეკვიზიტები (რაც ორგანიზაციის გახსნის დროს სისტემის პარამეტრებში თავიდანვე გვქონდა შეტანილი).

ამასთან, გადამხდელი ბანკის მონაცემებში აღმოჩნდა პირველივე ბანკი ჩვენი ბანკების სიიდან. თუ გადარიცხვა მოხდა მეორე ბანკიდან – ქართუდან, მაშინ

მისი არჩევა შეიძლება ღილაკის გამოყენებით, ველის "ანგარიში (დებეტი)" ჩამოშლით. პროგრამა გადაგვიყვანს ანგარიშთა გეგმაში, საიდანაც ავირჩევთ საჭირო ბანკის ქვეანგარიშს.

მიმღები ორგანიზაციის მონაცემები შეიძლება რამდენიმე მეთოდით იქნეს არჩეული:

1. ხელით, რაც შრომატევადი სამუშაო იქნება, თუ ხშირად გვიწევს ერთი და იმავე ორგანიზაციებისათვის ასეთი ფორმების შევსება;
2. თუ ორგანიზაცია წინასწარაა დამატებული ორგანიზაციების სიაში, მაშინ შეიძლება "მიმღები" ველის ჩამოშლა ღილაკით. გადავალთ ორგანიზაციების სიაში, საიდანაც ავირჩევთ საჭიროს (მოცემულ შემთხვევაში შპს "არგოს");
3. თუკი მიმღები ორგანიზაცია ანგარიშთა გეგმაშიც არის გახსნილი და თან გატარების შესრულებაც გვსურს, მაშინ ღილაკით ჩამოვშალოთ ანგარიშთა გეგმა, საიდანაც ავირჩევთ სათანადო ქვეანგარიშს. უმჯობესი იქნება, საერთოდ ამ მეთოდით სარგებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ვისარგებლოთ მესამე მეთოდით და საჭირო ანგარიში - 3110 შპს "არგო" - ავირჩიოთ ანგარიშთა გეგმიდან. მივიღებთ:

The screenshot shows a software window titled "დავალება" (Task) with a close button (X). The window contains a form for selecting an account. At the top, there is a field for "საბანკო დავალიანება N:" with the value "2". Below it, "მარტივი" (Simple) is set to "2.03.2008". The "გამომგდელის დასახელება" (Sender name) is "სს 'თბილისი'". The "ანგარიში (დებეტი)" (Account (debit)) is "12345". The "გამომგდელის ბანკი" (Sender bank) is "ქ. თბილისი, სს 'თბილისი ბანკი'". The "ბანკის კოდი" (Bank code) is "220101830". The "მისამართი" (Address) is "შპს არგო". The "ანგარიში (ქვანაშვიტი)" (Account (Kvanashvili)) is "65465566". The "მისამართი ბანკი" (Bank address) is "ქ. თბილისი, სს 'თბილისი უნივერსალბანკი'". The "ბანკის კოდი" (Bank code) is "220101937". The "დასახელება" (Name) is empty. The "დასახელებითი ინფორმაცია" (Information by name) is empty. A dropdown menu is open, showing "შპს არგო" selected. The "P01 = მანაბა" (P01 = Manaba) field is empty. The "მანაბა სიხშირით" (Manaba frequency) field is empty. The "ბანკში ანგარიშზე ასახვის მარტივი" (Simple reflection of account in bank) field is empty. The "შეასრულოთ გატარებები" (Complete transfers) button is visible. The "OK" and "Cancel" buttons are at the bottom.

ამრიგად, უკვე მიმღების მონაცემებიც გვაქვს. თუ მიმღებსაც რამდენიმე ბანკი აქვს და გვინდა მისი სხვა ბანკის არჩევა, მოვიქცევით ჩვენი ბანკების არჩევის ანალოგიურად - ღილაკის გამოყენებით ჩამოვშალოთ ველი "ანგარიში (კრედიტი)".

ველში “თანხა”, შევიტანოთ თანხა – 500 ლარი. როგორც კი კურსორს გავიტანთ თანხის უჯრიდან, შეტანილი რიცხვი ტექსტობრივი სახით ავტომატურად გამოჩნდება ქვედა უჯრაში.

მივუთითოთ ოპერაციის შინაარსი - “გადახდილია მომწოდებლისათვის”. საბოლოოდ, მივიღებთ ასეთი სახით შევსებულ ფანჯარას:

დავალება

საბანკო დანაშაულები N: 2

თარიღი 2.03.2008

გადახდელის დასახელება სს "თბილისი"

ანგარიში (დანიშნულება) 12345

გადახდელის ბანკი ქ. თბილისი, სს "თბილისი ბანკი" ბანკის კოდი 220101830

მიხედავთ გთხოვთ სახელმწიფო ბანკისათვის გადახდების დროს

გადასახდელის გადახდელის დასახელება

გადასახდელის გადახდელის საიდენტიფიკაციო ნომერი საბანკო კოდი 1-5... 6-9...

მიმღების დასახელება შპს ანგრი

ანგარიში (კრედიტი) 65465566

მიმღების ბანკი ქ. თბილისი, სს "თბილისი ბანკი" ბანკის კოდი 220101997

გადახდის დასახელება მოწოდებული საქონლის ღირებულება

დავალების ინფორმაცია

P01 = თანხა 500.00

თანხა სიმკვეთით

სრული ლარი და 00 თეთრი

ანგარი ანგარიშზე ასახვის თარიღი

შეასრულოთ გაბარება

OK Cancel შემდეგი >>

იმისათვის, რომ პირველადმა დოკუმენტმა გამოიწვიოს გატარების შესრულებაც (თუ ამის სურვილი გვაქვს), მოვნიშნოთ ველი: “შევასრულოთ გატარებები”

შევასრულოთ გატარება

ფანჯრის ქვედა ნაწილში განჩნდება დამატებითი ველები:

დავალების ინფორმაცია

შევასრულოთ გატარება


OK Cancel შემდეგი >>

თარიღი 2.03.2008 კრედიტი 601.00660

ოპერაციის ტიპი შპს ანგრი / თანხა 500.00

დებეტი	კრედიტი	განს. სა. (ლ/გგ)	საშუაკვლი
31102	შპს ანგრი 12101	12345 - ქ. თბილისი, სს "თბილისი ბანკი" 500	GEL მოწოდებული საქონლის

როგორც ვხედავთ, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების ველებში ავტომატურად ჩაჯდა საჭირო ანგარიშები. ასევე შევსებულია თანხის ველიც.

შევსებული დოკუმენტი უნდა დაიბეჭდოს პრინტერზე. ამისათვის გამოვიყენოთ ბეჭდვის ლილაკი . ეკრანზე მივიღებთ ნაცნობ სურათს:


საგადახდო დავალება N 2
2008 წლის 02 მარტი


საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დანართი N8

<p>გადახდის დასახელება ხს "აშერეა"</p> <p>აქრობა (სტოქა) 12345</p> <p>გადახდის ბანკი ქ. თბილისი, ხს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი 220101830</p> <p>ესეა მხოლოდ სტატიური ხარისხის ვადისა და ვადისთვის გადახდის დასახელება</p> <p>ვადისას გადახდის სადგურის კოდი _____ სტატიური შემოსულის ხარისხის კოდი _____</p> <p>მიღების დასახელება შპს არეა</p> <p>აქრობა (სტოქა) 65465566</p> <p>მიღების ბანკი ქ. თბილისი, ხს "თბილევურხალბანკი" ბანკის კოდი 220101997</p> <p>კაღსახ დანიშნულება შიდაგადახდის ხაზის დახურვა</p> <p>დაბეჭდვის თარიღი _____</p> <p>სელმოწერები: _____</p>	<p style="text-align: center;">თანხა</p> <p style="text-align: center;">500.00</p> <p style="text-align: center;">თანხა სიტყვებით</p> <p>სულთანხა ლარა და 00 თეთრი</p> <hr/> <p style="text-align: center;">ბანკის აღნიშვნები</p> <p>ბანკში შემოსულის თარიღი: _____</p> <p>სელმოწერა _____</p> <p style="text-align: center;">შტამი დაიდა</p>
--	---

საბოლოოდ დაგებულად ამ დოკუმენტს, დაგებულებით საგადასახადო დავალების ფორმაში, რომელსაც დაეხურავთ OK ლილაკით. ფორმა დაემატება დოკუმენტების სიაში და, ამასთან, შესრულდება მითითებული გატარებაც.

თუკი გავხსნით გატარებების ფანჯარას, ვნახავთ, რომ დამატებულია ახალი გატარება:

26.04.2008	3110.2	შპს არეა	12101	12345 - ქ. თბილისი, ხს "თიბისი ბანკი"	1,500.00 GEL
 2.03.2008	3110.2	შპს არეა	12101	12345 - ქ. თბილისი, ხს "თიბისი ბანკი"	500.00 GEL

ნიშანი  (რომელიც შემდგომში ხშირად შეგვხვდება) მიუთითებს, რომ მოცემული ოპერაცია შესრულებულია არა გატარების ფანჯარაში, ჩვეულებრივი გატარების სახით, არამედ ალტერნატიული მეთოდით სხვა ფანჯარაში (ამ შემთხვევაში, პირველადი დოკუმენტებიდან).

შეინიშნავთ, რომ საგადახდო დავალების შედგენისა და ბეჭდვის დროს შეიძლება საჭირო არ იყოს გატარებების მაშინვე შესრულება, რადგან დოკუმენტის დაფორმირებისა და გადარიცხვის ოპერაციის ფიზიკური მოხდენის თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ, უფრო მისაღები იქნება, თუკი ჯერ დაიბეჭდება მხოლოდ საგადასახადო დავალება გატარების შესრულების გარეშე. გატარებების დაფიქსირება მოხდეს მას შემდეგ, რაც ბანკიდან მიღებული იქნება შეტყობინება (ამონაწერი), რაც ადასტურებს, რომ გადარიცხვა განხორციელდა. ამ შემთხვევაში ისევ გავხსნათ ადრე შედგენილი საგადასახადო დავალება, მოვინიშნოთ ველი "შევასრულოთ გატარებები" და ხელახალი დაბეჭდვის გარეშე დავსვათ ფანჯარა OK ლილაკით. მხოლოდ ახლა შესრულდება მისი შესაბამისი გატარება, რომელიც დაემატება კიდევ გატარებების ფანჯარაში.

თბილისი

რაც შეეხება სავალუტო დავალებას, მასთან ზუსტად ისეთივე წესით ვმუშაობთ, მხოლოდ დოკუმენტის ფორმა არის განსხვავებული.

მყიდველებთან, ან მომსახურების მიმღებებთან (დებიტორებთან) ურთიერთობისას საჭირო იქნება ინვოისის გამოწერა, რომელიც პროგრამაში ანგარიშ-ფაქტურის ჩანართის სახელით არის მოცემული. ეს საჭიროა, რათა ორგანიზაციამ შეძლოს ჩვენს ბანკში თანხის გადმორიცხვა. ამ დოკუმენტის შექმნაც პირველადი დოკუმენტების ფანჯარაში ხდება.

მაგალითი 4: შპს “პლანეტას” უნდა მიეწოდოს მზა პროდუქცია - 50 ცალი წიგნი. ამისათვის მან თიბისი ბანკში წინასწარ უნდა გადმოვირიცხოს საქონლის მთლიანი ღირებულება.

შპს “პლანეტა” ახალი ორგანიზაციაა, რომელიც, ჩვეულებრივი წესით, ანგარიშ-ფაქტურა გვემოდან უნდა დაემატოს 3120 ანგარიშზე. ცხადია, ანგარიშის სახეობა იქნება “ორგანიზაციის”.

შეექმნათ ახალი ანგარიში და გადავიდეთ ე.წ. ანგარიშ-ფაქტურის შესადგენად. ამ ფორმას, ძირითადად იყენებენ ინვოისის შესადგენად, რომლის მიხედვითაც მყიდველი ანგარიშსწორებას მოახდენს.

გავეხსნათ **ოპერაციები / პირველადი დოკუმენტები** და გავააქტიუროთ ჩანართი “ანგარიშ-ფაქტურა”:



გაიხსნება ფანჯარა, სადაც დავამატოთ ახალი დოკუმენტი. ეკრანზე მივიღებთ:

როგორც ვხედავთ, დოკუმენტი ისევ შეივსო ჩვენი მონაცემებით. მყიდველის მონაცემების შესატანად ჩამოვშალეთ ველი “გადამხდელი”, საიდანაც შევალთ ორგანიზაციების სიაში. იქ უკვე დამატებული გვექნება (ანგარიშის გახსნის პროცესში) ორგანიზაცია შპს “პლანეტა”. ამ ორგანიზაციაზე სასურველი იქნება ორგანიზაციის დასახელების, საიდენტიფიკაციო კოდის, მისამართის (ქალაქი, ქუჩა) და ა.შ შეტანა. ეს ინფორმაცია შემდგომში გამოდგება სასაქონლო ზედნაღების შესავსებად.

საბოლოოდ, ორგანიზაციების სიიდან ავირჩიოთ შპს პლანეტა და გადმოვიტანოთ ფორმაში. მივიღებთ:

კონსტიტუცია

ანგარიშის მუდგობის N: 1 თარიღი: 2.03.2008

გვერდი 1 | გვერდი 2 |

მისამართი: სს "თბილისი"

კალაქი: თბილისი

ქუჩა: კანდელაკის 20

ანგარიშის N: 12345 | 800161219 | კოდი: 220101830

ბანკი: ქ. თბილისი, სს "თბილისი ბანკი"

გადამხდელი: შპს კლანდა

კალაქი: თბილისი

ქუჩა: ვაჟა-ფშაველას 200

ანგარიშის N: | | კოდი: |

ბანკი: |

OK Cancel

საქონლის დასახელებისა და თანხის მისათითებლად გავააქტიურეთ ფორმის ზედა ნაწილში მოთავსებული მეორე ჩანართი "გვერდი 2". მივიღებთ:

გვერდი 1 | **გვერდი 2** |

დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ჯამი	თანხა

ჯამი: 0.00

OK Cancel

მოცემულ ფანჯარაში უნდა დაემატოს მიწოდებული (ან მისაწოდებელი) საქონლის ჩამონათვალი. მოცემულ შემთხვევაში – წიგნი. ამისათვის მივცეთ ახლის დამატების ბრძანება, რის შედეგადაც მივიღებთ სურათს:

დამატება

დასახელება: |

ჯამი: |


რაოდენობა: 0

დირეკტორი: |


თანხა: |

OK Cancel


საქონლის ასარჩევად ჩამოვშალოთ ველი "დასახელება", რის შედეგადაც გადავალთ კარგად ნაცნობ სასაქონლო სიაში:



მოვნიშნოთ და ღილაკით ავირჩიოთ საჭირო ელემენტი - წიგნი და დავბრუნდებით ანგარიშ-ფაქტურაში. მივიღებთ:



როგორც ვხედავთ, დასახელებასთან ერთად შეივსო განზომილების ერთეული და, რაც მთავარია, ღირებულებაც (თუმცა, თუ გასაყიდი ფასი სხვაა, შესაძლებელია ამ ველის რედაქტირება). ეს, ცხადია, აადვილებს თანხის გამოთვლას - საკმარისი იქნება მხოლოდ რაოდენობის (50) შეტანა, ხოლო მთლიანი თანხა ავტომატურად გამოითვლება. საბოლოოდ, ეს ფანჯარა ასე შეივსება:



დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით. ამით საქონლის დამატება დასრულებულია.

ამის შემდეგ, საჭიროების მიხედვით, შეიძლება შემდეგი დასახელების საქონლის დამატება, რისთვისაც ისევ უნდა მიეცეთ დამატების ბრძანება და სრულად გაეიშეოროთ ზემოთ აღწერილი სქემა მოცემულ შემთხვევაში დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი საქონლით – წიგნით.

საბოლოოდ, გამოიბეჭდოთ ფორმა. წინასწარ, ეკრანზე მივიღებთ დოკუმენტის მაკეტს, რომელიც ასე გამოიყურება:

საქართველოს მატარებლის სააგენტო

ფაქტური

მიმწოდებელი სს "თბილისი"

და მისი მისამართი
თბილისი ქაფიშვილის 20
ახ.ნ 12345 800161219 კოდი 220101830

ძ. თბილისი, სს "თბილისი ბანკი"

ანგარიშ - ფაქტურა

N: 1

თარიღი 2.03.2008

საბანკო-სააგენტო მითითებით

N:

ჭირათის ბაზარი

საღარი რეგისტრაციის ნომერი

ბაღათის შს პუნქტი

და მისი მისამართი
თბილისი ზაზაშვილის 200 კოდი

საგვ. რეგისტრაციის ნომერი

N:

ბანკ-კომპლექსი აქციონის ბანკისთვის შესახებ სს ბანკი უარი

ჭირათის მიმღები

ფაქტურის საღარი რეგისტრაციის ნომერი

საგვ. რეგისტრაციის ნომერი

საგვ. რეგისტრაციის ნომერი

რეგისტრაცია

ნომერი

საგვ. რეგისტრაციის ნომერი

და მ. / ნომ. N:

საგვ. რეგისტრაციის ნომერი	ჭირათის ბაზარის თარიღი	ბაზარის საგვ. რეგისტრაციის ნომერი	და მ. / ნომ. N:
N: 200_5			

საგვ. რეგისტრაციის ნომერი	რეგისტრაცია	ფაქტურის ნომერი	დასახელება	თანხა
ცალი	50	6.00	წიგნები	300.00
სამსხრ ლარი და 00 თეთრი				სულ 300.00

აირადული კოდი: 01.03.2008.01 მითითებული კოდი: 01.03.2008.01


თუ ყველაფერი რიგზეა, ბეჭდვის ბრძანების კიდევ ერთხელ მიცემით პრინტერზე გამოიბეჭდება შევსებული ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც მიეწოდება მყიდველს.

ამით ანგარიშ-ფაქტურის შევსების ოპერაცია დასრულებულია და მზა დოკუმენტი დამატება ადრე არსებულების სიას.

შენიშვნა: განსხვავებით სხვა პირველადი დოკუმენტებისაგან, ამ სახის დოკუმენტი არ იწვევს შესაბამის საბუღალტრო გატარებას!


დავუშვათ, რომ შპს პლანეტამ თიბისი ბანკში გადმორიცხა 300 ლარი.

ეს გატარება შესრულდება თიბისი ბანკის ამონაწერის მიხედვით, გატარებების ფანჯარაში ჩვეულებრივი გატარებით.

ქი, ქუნა), რაც შეეხება მყიდველს (საქონლის მიმღებს) და მის მონაცემებს, მისი არჩევა შეიძლება ამავე ფანჯარაში, ანგარიშთა გეგმიდან  ღილაკით.

თუ გვინდა, რომ მყიდველი ორგანიზაციის ანალოგიური მონაცემებიც ავტომატურად შევიდეს ზედნადებში, საჭიროა ამ ორგანიზაციაზე ქვეანგარიშის გახსნის დროს ბარათში წინასწარ შევიდეს ეს მონაცემები. მაგალითად, თუ 3120 ანგარიშზე დავამატებთ ორგანიზაციის სახეობის ანგარიშს და შევიტანთ ასეთ მონაცემებს:

დასახელება	შპს კლანეტა
საიდენტიფიკაციო კოდი	321321
სახაზო კოდი	
საფოსტო რეკვიზიტები	
ინდექსი	
ქალაქი	თბილისი
ქუჩა	ყაზაბის 200
პირადი პირი	
ბირო პირი	
ბილ 1	223344

მაშინ ზედნადების პირველ ფანჯარაში (რეკვიზიტები)  ღილაკით ანგარიშთა გეგმიდან 3120 ანგარიშის შპს “კლანეტა“-ს ქვეანგარიშის არჩევის შემთხვევაში მყიდველის მონაცემებიც ავტომატურად გადმოვა ფორმაში:

რეკვიზიტები	საქონელი	გატარება	სხვადასხვა
სასაქონლო უძენადები N	1	რეგისტრ. თვე, წელი	2 7.06.2012
დრო (საათი, წუთი)	3 12:47:20	მყიდველი (გამგზავნი)	4 სს იმერეთი 220220220
მყიდველი (მიმღები)	5 შპს კლანეტა 320320320	მომხმარებლის სახელი	6 სს იმერეთი
მომხმარებლის სახელი	7 თბილისი კანდელაკის 20	მომხმარებლის სახელი	8 შპს კლანეტა 320320320
მომხმარებლის სახელი	9 თბილისი ყაზაბის 200	მომხმარებლის სახელი	10 თბილისი ყაზაბის 200

ამ ფანჯარაში დანარჩენი ველებს შევსება ხდება ზედნადების შევსების ინსტრუქციის მიხედვით. უნდა იქნეს არჩეული მიწოდების სახე, ტრანსპორტირების ტიპი, მძღოლის პირადი ნომერი, სატრანსპორტო საშუალების ნომერი, ტრანსპორტირების დაწყებისა და დამთავრების ადგილების მისამართები და ა.შ.

გასაყიდი საქონლის მითითება ხდება მეორე ფანჯარაში – საქონელი.

ლილაკით დაგამატოთ გასაყიდი საქონელი. მივიღებთ სურათს:

ლილაკით ანგარიშთა გეგმიდან ავირჩიოთ საქონელი (პროდუქცია) – წიგნი და შევიტანოთ გასაყიდი რაოდენობა 50. განზომილებების ერთეული და გასაყიდი ფასი ავტომატურად გადმოვიდა საქონლის მონაცემებიდან. ფანჯარა მიიღებს სახეს:

როგორც ვხედავთ, ავტომატურად შეივსო ყველა უჯრა.

მივაქციოთ ყურადღება მთავარ საკითხს:

საქონლის ღირებულება შეიძლება მოცემული იყოს დღგ-ს გარეშე, ან დღგ-ს ჩათვლით. პროგრამას შეუძლია ერთი ფასის მიხედვით მეორეს ანგარიში. ამიტომ თუ ვთვლით, რომ 6 ლარი არის ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით, უჯრაში “ერთეულის ფასი დღგ და აქციზის გარეშე” არსებული რიცხვი წავშალოთ. გასუფთავდება მომდევნო უჯრებიც.

ამის შემდეგ მოვნიშნოთ ველი “ეკუთვნის დღგ” და მის წინ გამოჩენილ უჯრაში ჩავსვათ დღგ-ს განაკვეთი – 18 (თუ არ ზის!)

მხოლოდ ამის შემდეგ შევიტანოთ უჯრაში “ერთეულის ფასი დღგ-სა და აქციზის ჩათვლით” თანხა 6 ლარი. ქვედა (ან ნებისმიერი სხვა) უჯრის გააქტიურებისთანავე მოხდება გაანგარიშება

როგორც ვხედავთ, ერთი წიგნის ფასი დღგ-ს გარეშე გამოვიდა 5.08.

დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით და გადავიდეთ მესამე განყოფილებაში – გატარებები:

მოვნიშნოთ ველი – შევასრულოთ გატარებები და ვიხილავთ სურათს:

საქართველო | საქონელი ბატარეა

საქონელი ანგარიშგამგები

შემოსავალი რეალურაზიონი 6 1 10 ბალანსირებული მფრ 3 3 30
 გაყიდვითი საბრუნო 7 2 10 ბალანსირებული აკოში 3 3 50

თარიღი 27.04.2008
 პროცენტი 30.00%

რეალური მარცხი შპს ალანტა / მანსა - 300.00 GEL

საქონლის მფრ: მფრ სპ მფრ

მთავარი	კრიტიკული	მფრ	მ.ს.ს.	საბალანსო	ბალანსირება	შედეგი
3 1 20 3	შპს ალანტა 6 1 10	შემოსავალი მფრ 0	254.24 GEL			
3 1 20 3	შპს ალანტა 3 3 30	ბალანსირებული მფრ 0	45.76 GEL			
7 2 10	ბალანსირებული 1 6 40 00004	მფრ 0	150.13 GEL			50.000 სალი

შეზღვევა: ბატარეაზე რეალურად სრულდება OK დღეა და მარცხის აკოში ბალანსირებული საბალანსო საქონლის ბატარეაზე შესაძლებელია შესრულდეს ბალანსირებული მარცხით შპს ალანტაზე

OK Cancel

როგორც ვხედავთ პროგრამამ დააფორმირა საჭირო გატარებები შესაბამისი თანხებით.

პრინტერის ღილაკის გამოყენებით შეგვიძლია ზედნაღების გამობეჭდვა. ეკრანზე მივიღებთ შევსებულ ფორმას:

1 სასაქონლო შეღწაღები N 12-

2 7.06.2012 თარიღი (ჩრდეთ-სამხრეთი)

3 12.47 მფრ (საბრუნო)

4 სს იმარტიო 220220220
 გამოყველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და გვარი საიდენტიფიკაციო/მარჯი ნომერი

5 შპს ალანტა 320320320
 მფრ (მომცემის) დასახელება, ან სახელი და გვარი საიდენტიფიკაციო/მარჯი ნომერი

6 ტრანსპორტირება
 მიწოდების სახე

7 თვიური განმარტება 20
 ტრანსპორტირების დაწვევის აღტერი (მისამართი)

8 თვიური შეზღუდვა 200
 ტრანსპორტირების დაწვევის აღტერი (მისამართი)

9 საბალანსო
 ტრანსპორტირების სახე

10 სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი მისამართი


11 სატრანსპორტო საშუალების მფრის მარჯი ნომერი

12 გამოყველის (გამგზავნის) მფრ (მომცემის) მიწ დაწველი ტრანსპორტირების მარჯი თანხა ღირებში

სასაქონლო შეღწაღების ცხრილი

ბიუჯეტი N	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის მფრის ტრეფერი	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი *	საქონლის ფასი *
		III	IV	V	VI	VII
1	მფრ	00063	ტალი	50	6.0	300.00

შენიშვნა: თუ ზედნადების შევსების დროს პროგრამამ მოგვცა შეტყობინება



ეს ნიშნავს, რომ სასაქონლო ზედნადების გამოწერის თარიღისათვის საკმარისი ნაშთი არ არის. ამ დროს, შეცდომით, შესაძლებელია საქონლის გაცემის ოპერაციის თარიღი წინ უსწრებდეს საქონლის მიღების ოპერაციის თარიღს (რაც ცხადია, დაუშვებელია)

როგორც ცნობილია, ბოლო დროს საჭირო გახდა ელექტრონული ზედნადებებისა (2012 წლიდან) და დღგ-ს ანგარიშფაქტურების (2011 წლიდან) წარმოება. ეს ოპერაციები ჩვეულებრივ, ხორციელდება შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან rs.ge

ამ მეთოდის გამოყენება მოუხერხებელია იმ მიზეზის გამო, რომ საქონლის მონაცემების შეტანა შეიძლება ორჯერ გახდეს საჭირო, თუკი მყიდველი ითხოვს ზედნადებთან ერთად დღგ ანგარიშფაქტურას. ამასთან, თუკი საბუღალტრო პროგრამაშიც უნდა მოხდეს შესაბამისი ოპერაციის შესრულება, იქ კიდევ ერთხელ იქნება იგივე გასაკეთებელი.

ამავე ოპერაციების შესრულება მარტივად შეიძლება პროგრამა ორისიდან, სასაქონლო ზედნადების საშუალებით. აქ საქონელი მხოლოდ ერთხელ შეიტანება, დაფორმირდება ელექტრონული ზედნადები, დღგ ანგარიშფაქტურა და გაკეთდება გატარებებიც.

ეს პროცესი აღწერილია 25-ე თავში – ატვირთვები rs.ge ვებ გვერდზე.



საპარჯიშო 6:


გახსენით ორგანიზაცია Vake და შეასრულეთ შემდეგი ოპერაციები:

1	ინტელექტუალური წინასწარ გადაერიცხა შპს "თოლიას" ქვიშის ღირებულება 1200 ლარი. <i>შეადგინოთ საგადასახადო დავალება, დავებუ- დოთ და საგადასახადო დავალების ფორმიდან გაგაკეთოთ შესაბამისი გატარება</i>	პმ 1480 ანოთ ხ. 12104. იმეწ
2	"თოლია"-საგან მიღებულია 1000 + 200 (დღგ) = 1200 ლარის 40 კუბ.მ. ქვიშა	პმ. 17. 5. 1480? ანო
3	ამჯერად, იმავე "თოლიასაგან" კრედიტით მიღე- ბულია 500 +100 (დღგ) = 600 ლარის 100 ტომა- რა ცემენტი	გეგმვა... პმ. 3110
5	შპს "მშენებელზე" გამოიწერა ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) 500 ცალი ბლოკზე. ერთი ცალი ბლო- კის ღირებულებაა 60 + 12 (დღგ) = 72 თეთრი.	
6	შპს "მშენებლისაგან" გადმორიცხულია ინტე- ლექტუალური მთლიანი თანხა (თანხა იპოვეთ ნაშთებიდან)	ნაშთები... 3120 22 - 360
6	მიეწოდა შპს "მშენებელს" 500 ცალი ბლოკი (რეალიზაცია).	

თუ ყველაფერი სწორად იქნება გაკეთებული, ნაშთები ასეთი სახის უნდა იყოს:

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური		ფასი	დავალი
		დღგატი	კრედიტი		
1110	ნაღდი ფული ეროვნულ კალუბრაში	1,270.00			
1210 4	2332323232 - საფოსტო ხანაძი	10,500.00			
1210 6	7878787878 - ინტელექტუალური	21,760.00			
1430 0001	გელაქი	3,920.00			
1520 00002	მეგობარი	5,700.00		5.00	1,140.000
1620 00003	ქაშა	4,090.91		1.46	2,800.000
1640 00004	ბლოკი	406.06		0.41	1,000.000
2150 00005	ტრაქტორი	10,000.00		10,000.00	1.000
2250 00005	ტრაქტორი		3,000.00		
3110 2	თოლია		600.00		
3120 3	შენიშვნა				

შენიშვნა: ანგარიშების ზრდასთან ერთად ნაშთების ფანჯრის ზომებიც იზრდე-
ბა. ზოგჯერ უფრო მოსახერხებელია მისი კომპაქტური სახით წარმოდგენა -
დონეების გარეშე. ეს შესაძლებელია ანგარიშთა ხის დილაკის - გამოყენე-
ბით. მისი გახსნით მივიღებთ ეკრანს:




თუ ამ ფანჯარაში გავააქტიურებთ ველს "ვაჩვენოთ ანგარიშის მხოლოდ ბოლო
დონეები", მივიღებთ ზემოთ მოცემული სახის ნაშთებს

თავი 11. ანგარიშთა სახეობების გამოყენება

როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, ფინანსური სახეობის ანგარიშის გახსნის დროს მომხმარებელი თვითონ ირჩევს გასახსნელი ანგარიშის კოდს, იქვე შეაქვს ანგარიშის დასახელება და ამით მთავრდება ყველაფერი. მაგრამ, თუ ვირჩევთ ანგარიშის სახეობას (სასაქონლო, ორგანიზაციის, თანამშრომლის, ბანკის), ამ შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი ოპერაციების შესრულება. ამასთან, პროგრამა ქვეანგარიშს თვითონ ანიჭებს კოდს ზრდადი თანმიმდევრობით.

ასევე აღნიშნული იყო, რომ თითოეულ სახეობას პროგრამაში შეესაბამება ცალკე სია, სადაც მოცემულია ე.წ. ბარათები. ამ სიების გამოძახება ხდება მენიუდან “ფონდები”



სახეობების ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ ერთი და იმავე დასახელების საქონელი, ორგანიზაცია, ბანკი ან თანამშრომელი შეიძლება რამდენიმე ანგარიშზე იქნეს გახსნილი.


სასაქონლო ანგარიშების შემთხვევაში, სახეობების გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც ერთი და იმავე დასახელების საქონელი სხვადასხვა ადგილზე იმყოფება. მაგალითად, გვაქვს ორი საწყობი (ძირითადი და დამხმარე) და გვსურს თითოეულ მათგანში ცალ-ცალკე გვქონდეს აღრიცხული რაიმე მასალა (ვთქვათ, გვანტერესებს რამდენი კგ. ქაღალდია თითოეულ საწყობში) და ამასთან, გვსურს ამ მასალების მთლიანობაში აღრიცხვაც (რამდენი კგ ქაღალდია სულ ორივე საწყობში).

მოცემულ შემთხვევაში ასე შეიძლება მოვიქცეთ:

1. გაეხსნათ 1620 ანგარიშზე ორი ფინანსური სახეობის ანგარიში, რომლებსაც მივანიჭებთ დასახელებებს – ძირითადი საწყობი და დამხმარე საწყობი. მათში კი ჩვეულებრივი წესით გაიხსნება სასაქონლო ანგარიშები;
2. თუ 1620 ანგარიშზე უკვე გახსნილია სასაქონლო ქვეანგარიშები (ე.ი. მუშაობის დაწყების პროცესში მარტო ერთი საწყობი იყო), რომლებზეც ოპერაციებიც არის ჩატარებული, მაშინ ამ ანგარიშების რეორგანიზება შეიძლება გართულდეს გახდეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში შეიძლება გაეხსნათ 1620-ის დონის რაიმე ანგარიში (მაგალითად, 1625, რომელიც შეას-


რულებს დამხმარე საწყობის როლს), რომლის ქვეშ შეიძლება იგივე სასაქონლო ანგარიშების გახსნა.

ასე, რომ პირველ შემთხვევაში გვექნებოდა ანგარიშთა გეგმის ასეთი სტრუქტურა:



ასეთი სტრუქტურა იმითაა კარგი, რომ 1620 ანგარიშზე აისახება ყველანაირი სასაქონლო ანგარიშის ფინანსური ნაშთების ჯამები (საჭიროების შემთხვევაში კი, თუკი ამას აზრი აქვს, რაოდენობრივი ჯამებიც)

მეორე შემთხვევაში კი მივიღებდით ასეთ სტრუქტურას:



ჩვენი ორგანიზაცია SS_Imereti-ს მაგალითზე გამოვიყენოთ მეორე შემთხვევა. შევქმნათ ახალი ანგარიში 1625. ამისათვის გავხსნათ ანგარიშთა გეგმა და ავირჩიოთ ანგარიში 1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი. მივცეთ ახალი ანგარიშის დამატების ბრძანება. მივიღებთ:

ანგარიშის გახსნა	
სახეობა	ფინანსური
ანგარიში	1 6 0 0
ტიპი	აქტ
დასახელება	

რიცხვი 1600 გადავაკეთოთ 1625-ად. დასახელებაში კი შევიტანოთ “დამხმარე საწყობი”. საბოლოოდ მივიღებთ:

ანგარიშის გახსნა	
სახეობა	ფინანსური
ანგარიში	1 6 2 5
ტიპი	აქტ
დასახელება	დამხმარე საწყობი

დავხვართ ეს ფანჯარა OK ღილაკით. ახალი ანგარიში დაემატება ანგარიშთა გეგმაში 1620 ანგარიშის თანაბარ დონეზე:

ანგარიში	ტიპი	დასახელება
1600	ახვ	სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1610	ახვ	სამონარი
1620	ახვ	ნედლეული და მასალები
1620 0004	ახვ	ქაღალდის თეთრი 60 გრ. A4 ფორმატის
1620 0008	ახვ	საღებავი ლურჯი
1625	ახვ	დამხმარე საწყობი
1630	ახვ	დაუმთავრებელი წარმოება

ამის შემდეგ 1625 ანგარიშზე შეიძლება ჩვეულებრივი წესით სასაქონლო ანგარიშების გახსნა (ცხადია, სულაც არაა სავალდებულო, რომ ამ ანგარიშის ქვეშ ზუსტად მეორდებოდეს 1620-ის ყველა ქვეანგარიში და პირიქით).

სახეობების ეფექტის სრულად დასახად, ახლად გახსნილ ანგარიშებზე შევასრულოთ რაიმე ოპერაცია:

მაგალითი: მომწოდებლისაგან (შპს "არგო") მიღებულია 100 კგ ქაღალდი, ღირებულებით 472 (დღგ-იანად), რომელიც შეტანილია დამხმარე საწყობში.

შევასრულოთ შესაბამისი საბუღალტრო გატარება:

დებეტი	1625 დამხმარე საწყობი (ქაღალდი)	100 კგ	400
დებეტი	3340 გადახდილი დღგ		72
კრედიტი	3110 შპს "არგო"		472

ამის შედეგად, სასაქონლო ანგარიშებზე ნაშთები ასეთ სახეს მიიღებს:

ანგარიში +	დასახელება	ზონანსური		შანი	
		დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
1480 21	შპს ფორმატი		4,800.00		
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი		2,829.87		
1620	ნედლეული და მასალები		2,279.75		
1620 0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფორმატის		158.33	3.17	50.000
1620 0008	საღებავი ლურჯი		2,121.42	3.93	540.000
1625	დამხმარე საწყობი		400.00		
1625 0004	ქაღალდი თეთრი 60 გრ. A4 ფორმატის		400.00	4.00	100.000
1630	დაუმთავრებელი წარმოება				

აქ ჩანს, რომ ძირითად საწყობში გვაქვს 158 ლარის 50 კგ. ქაღალდი, ხოლო დამხმარე საწყობში კი - 400 ლარის ღირებულების 100 კგ. ქაღალდი, მაგრამ არ ჩანს მისი საერთო ღირებულება და რაოდენობა.

ცხადია, მოცემულ შემთხვევაში მარტივად შეიძლებოდა ამ რიცხვების შეკრება და ჯამის გამოანგარიშება, მაგრამ, საზოგადოდ, ეს გზა მოუხერხებელი იქნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ანგარიშების რაოდენობა დიდია და თანაც ერთი და იმავე დასახელების მასალა რამდენიმე ანგარიშზეა გახსნილი.

ასეთ შემთხვევაში დაგვეხმარება ანგარიშთა გეგმის ჩანართი "სახეობები". მისი გააქტიურებით ეკრანზე ვიხილავთ:

სასაქონლო ნაშთები | ნაშთები | გრუნვაები | გარეთი | სახეობები | შედეგები

სასაქ. კოდი დასახელება

ანგარიში	დასახელება	საწყისი		გრუნვა		საბოლოო		საწყისი (რაოდენ.)		გრუნვა (რაოდენ.)		საბოლოო (რაოდენ.)	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი

ეს ფანჯარა ერთნაირი წესით გამოიყენება ოთხივე სახეობის ანგარიშებთან სამუშაოდ. ამიტომ, ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში განლაგებულია მათი შესაბამისი ღილაკები:

სასაქ. კოდი დასახელება

საბოლოო საწყისი (რაოდენ.) გრუნვა (რაოდენ.)

ტიპი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი

ამჯერად გააქტიურებულია სასაქონლო ანგარიშის ღილაკი. ამას ადასტურებს მათ წინ მოთავსებული წარწერაც: “სასაქონლო კოდი”. თუ დავაჭერთ ღილაკზე, ჩამოიშლება სასაქონლო სია:

0004	ქალაქი თბილისი 60 ბრ. A4 უ/ სააქადი მასალა	კბ	0.0000	1620
0008	სადგახი ლურჯი	სააქადი მასალა	კბ	0.0000
0012	წიბვი	აროლუქია	ცალი	6.0000

აგირჩიოთ საქონელი – ქალაქი. დაგბრუნდებით სახეობების ფანჯარაში და მიგიღებთ სურათს:

სასაქონლო ნაშთები | ნაშთები | გრუნვაები | გარეთი | სახეობები | შედეგები

სასაქ. კოდი დასახელება

ანგარიში	დასახელება	საწყისი		გრუნვა		საბოლოო		საწყისი (რაოდენ.)		გრუნვა (რაოდენ.)		საბოლოო	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	
0004	ქალაქი თბილისი 60 ბრ. A4 უ/			780.00	221.67	558.33					220.000	70.000	150.000
1000	მიმდინარე აქტივები			780.00	221.67	558.33					220.000	70.000	150.000
1600	სასაქონლო-მატერიალური			780.00	221.67	558.33					220.000	70.000	150.000
1620	ნაღველური და მასალები			380.00	221.67	158.33					120.000	70.000	50.000
1625	დამხვანთი საწყობი			400.00		400.00					100.000		100.000

ამ ფანჯრიდან უკვე ვხედავთ, მთლიანობაში რა მდგომარეობა გვაქვს ქალაქზე. აქ ჩანს, რამდენი ქალაქია თითოეულ საწყობში ცალ-ცალკე და მთლიანობაში, კერძოდ, ქალაქი სულ არის 558 ლარის, 150 კგ.

ანალოგიური წესი გამოიყენება დანარჩენი ორი სახეობის შემთხვევაში და ამიტომ მათ აღარ განვიხილავთ. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ სასაქონლო ანგარიშების შემთხვევაში გამოიყენება პროგრამაში არსებული ეს საშუალება.

საპარჯიშო 7.

გახსენით ორგანიზაცია Vake.

შეასრულეთ ოპერაცია:

1. გაიხსნა ახალი საწყოები, რომელშიც შპს "თოლიასაგან" მიღებულია 300 ტომარა ცემენტი, ღირებულებით 1500 + 300 (დღგ) = 1800 ლარი;

2. ახალი საწყოებიდან დაუმთავრებელ წარმოებაზე გაიცა 200 ტომარა ცემენტი;

3. როგორია ცემენტის რაოდენობრივი და ფინანსური ნაშთი თითოეულ საწყო-ში და ორივეში ერთად?

საბოლოოდ, ნაშთები ასეთი სახის უნდა იყოს:

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური		შასი	დაბატი
		დაბატი	კრედიტი		
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტაში	1,270.00			
1210 4	2332323232 - საფოსტო ბანკი	10,500.00			
1210 5	7878787878 - მთავარი ბანკი	21,760.00			
1430 0001	მედიკამენტები	3,920.00			
1620 00002	მედიკამენტები	5,700.00		5.00	1,140.000
1620 00003	კაბინა	4,090.91		1.46	2,800.000
1625 00002	მედიკამენტები	500.00		5.00	100.000
1630	დაუმთავრებელი წარმოება	1,000.00			
1640 00004	გაზი	406.06		0.41	1,000.000
2150 00005	ტრაქტორი	10,000.00		10,000.00	1.000
2250 00005	ტრაქტორი		3,000.00		
3110 2	თილია		2,400.00		

0005	ფაქტურა I (თილია)	2100 ლარის ფასის მქონე	ფაქტურა
3340	გადახდილი	3340 ლარის ფასის მქონე	ფაქტურა
3110	"ტილია"	3110 ლარის ფასის მქონე	ფაქტურა

თავი 12. ძირითადი საშუალებები

ანგარიშის გახსნა

ნებისმიერი ფორმისა და სიდიდის ორგანიზაციას ესაჭიროება ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება. როგორც ვიცით, ძირითადი საშუალებები (როგორცაა, მაგალითად, შენობა, მანქანა, კომპიუტერი, კარადა, ქსეროქსი და ა.შ.) წარმოადგენს გრძელვადიან აქტივს, რომელთა შესახებაც საჭიროა საწყისი (თავდაპირველი, ისტორიული) ღირებულებისა და მათზე დარიცხული ჯამური ცვეთის თანხის აღრიცხვა. ამიტომ, ორგანიზაციაში არსებულ ყოველ ძირითად საშუალებას ანგარიშთა გეგმის 2100 ჯგუფის შესაბამის ანგარიშებზე უნდა გაეხსნას ქვეანგარიშები, რომლებზეც ისინი აღრიცხული იქნება საწყისი ღირებულებით. ხოლო მათზე დარიცხული ჯამური ცვეთის თანხის აღსარიცხავად 2200 ჯგუფში ასევე უნდა გაიხსნას იმავე კოდისა და დასახელების ქვეანგარიშები.

ანგარიში	ტიპი	დასახელება
2000	აბ	ბრძელვადიანი აქტივები
2100	აბ	ძირითადი საშუალებები
2110	აბ	მიწის ნაკვეთები
2120	აბ	დაუმთავრებელი მშენებლობა
2130	აბ	შენობები
2140	აბ	ნაგებობები
2150	აბ	მანქანა-დანადგარები
2160	აბ	ოფისის აღჭურვილობა
2170	აბ	ავჯინა და სხვა ინვენტარი
2180	აბ	სატრანსპორტო საშუალებები
2190	აბ	იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია
2200	პს	ძირითადი საშუალებების მართვა
2210	პს	მიწის ნაკვეთები
2220	პს	დაუმთავრებელი მშენებლობა
2230	პს	შენობის მართვა
2240	პს	ნაგებობების მართვა
2250	პს	მანქანა-დანადგარების მართვა
2260	პს	ოფისის აღჭურვილობის მართვა
2270	პს	ავჯინა და სხვა ინვენტარის მართვა
2280	პს	სატრანსპორტო საშუალებების მართვა
2290	პს	იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია მართვა

მაგალითი: მომწოდებელი - შპს "ორიენტისგან", შექმნილია ერთი ცალი კომპიუტერი, ღირებულებით 2360 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) და ერთი ცალი პრინტერი, ღირებულებით 1180 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანხის შემდგომი გადახდით.

ცხადია, შესაბამის საბუღალტრო გატარებებს ექნება სახე:

დებეტი	2160 ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერი)	1 ცალი	2000
დებეტი	3340 გადახდილი დღგ (18%)		360
კრედიტი	3110 შპს "ორიენტი"		2360

დებეტი	2160 ოფისის აღჭურვილობა (პრინტერი)	1 ცალი	1000
დებეტი	3340 გადახდილი დღგ		180
კრედიტი	3110 შპს "ორიენტი"		1180


კრედიტის ანგარიშში გამოჩნდა ახალი ორგანიზაცია, რომელიც ჩვეულებრივი წესით უნდა გაიხსნას 3110 ანგარიშზე (იხ. თავი 6).

რაც შეეხება სადებეტო ანგარიშებს, აქ კომპიუტერისა და პრინტერისათვის საჭიროა ქვეანგარიშების გახსნა. მათ გასახსნელად შეიძლება ვისარგებლოთ ანგარიშის გახსნის ტრადიციული მეთოდით – ანგარიშთა გეგმიდან, მაგრამ ძირითადი საშუალებების შემთხვევაში ანგარიშების გასახსნელად უმჯობესია ვისარგებლოთ არა ამ გზით, არამედ სასაქონლო სიის ფანჯრიდან.

ამისათვის გამოვიყენოთ ბრძანებათა თანმიმდევრობა:


ფონდები / სასაქონლო სია / ძირითადი საშუალებები.


ეკრანზე ვიხილათ ფანჯარას:



ამ ფანჯარაში შესაძლებელია ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ყველანაირი ოპერაციის შესრულება – ქვეანგარიშების შექმნა, შექმნა, ჩამოწერა, აფასება, ცვეთის დარიცხვა, წაშლა, კორექტირება, სასტარტო ნაშთების დასმა და ა.შ.


ისევე როგორც საქონელს, ორგანიზაციებსა და კადრებს, ყოველ ახალ ძირითად საშუალებას უნდა გაეხსნას ინდივიდუალური ბარათი, რომელშიც შეტანილი იქნება მის შესახებ სრული ინფორმაცია.

კომპიუტერის შესახებ ინფორმაციის შესატანად  ღილაკის გამოყენებით დავამატოთ ახალი ბარათი. ეკრანზე ვიხილათ ფანჯარას:



ბარათის ველები ასეთი წესით უნდა შეივსოს:

1. **ცვეთის დარიცხვის მეთოდი** - ამ ფანჯრის ჩამოშლით შეგვიძლია ქვემოთ მოცემული მეთოდებიდან ერთ-ერთის არჩევა:




მოცემულ შემთხვევაში ავირჩიოთ “წრფივი”


2. **დასახელება** – შედის ძირითადი საშუალების სრული დასახელება, მაგ. კომპიუტერი P4 3500 MHZ

ჯგუფი – გამოიყენება ისეთივე პრინციპით, როგორც ეს იყო მარაგის (მასალები, საქონელი, მზა პროდუქცია) შემთხვევაში. თუ ძირითადი საშუალებების რაოდენობა დიდია და ფართო ასორტიმენტისაა, მათთან მუშაობის გასაადვილებლად შეიძლება მათი დაჯგუფება, რომ შემდგომში შესაძლებელი იყოს მათი გადალაგება, გაფილტრვა და სხვა ოპერაციების ჩატარება. თუ ძირითადი საშუალებების რაოდენობა მცირეა, მაშინ ჯგუფები საჭირო არ იქნება. ჯგუფების დასახელებას და მათში გასაერთიანებელ ძირითად საშუალებებს თვითონ კონკრეტული ორგანიზაცია ადგენს. მოცემულ შემთხვევაში კომპიუტერი გავაერთიანოთ ჯგუფში “კომპიუტე-


რული ტექნიკა”. ამისათვის ჩამოვშალოთ ჯგუფების სია. ეკრანზე ვიხილათ:



ჯერჯერობით ჯგუფების სია ცარიელია, ამიტომ დავამატოთ ახალი ჯგუფი და შევიტანოთ მისი დასახელება. მივიღებთ:



დავხუროთ ეს ფანჯარა OK ღილაკით და სიაში დაემატება ახალი ჯგუფი.



ღილაკით ავირჩიოთ ახლად დამატებული ელემენტი და დავბრუნდეთ ძირითადი საშუალებების დამატების ფანჯარაში (ბარათში).

მომდევნო ველები – **საინვენტარიზაციო ნომერი** და **თარიღები** გასაგებია როგორ უნდა შეივსოს და არ განვიხილათ.

3. **საბალანსო ღირებულება** – კომპიუტერის საწყისი ღირებულება ლარებში დღგ-ს გარეშე – 2000 ლარი.

4. **რაოდენობა** – 1 ან მეტი. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი შემთხვევები:

ა) ვთქვათ, შეძენილია ერთზე მეტი ერთი და იმავე ფასისა და მახასიათებლების ძირითადი საშუალება, მაგალითად 10 ცალი ერთნაირი კომპიუტერი. იმ შემთხვევაში, თუ ყველა კომპიუტერი ერთ განყოფილებაში იქნება და მათზე მატერიალურად პასუხისმგებელი ერთი და იგივე პიროვნება იქნება, მაშინ ათივე კომპიუტერი შეიძლება ერთად შევიტანოთ

ერთ ბარათში საერთო თანხით. ანგარიშთა გეგმაში ქვეანგარიში ყველას საერთო ექნება.

ბ) თუ ეს კომპიუტერები სხვადასხვა გახყოფილებებშია (ან მათზე პასუხისმგებელი პირები განსხვავებულია, ან ორივე ერთად) მაშინ უმჯობესია მათი ცალცალკე აღრიცხვა. ამ შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ კომპიუტერს ანგარიშთა გეგმაში განსხვავებული ქვეანგარიში ექნება და ოპერაციებიც სათითაოდ უნდა მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში, რაოდენობად შევიტანოთ - 1

5. **სალიკვიდაციო ღირებულება** – ნუ მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ რა ღირებულებით შეიძლება მისი რეალიზაცია. მაგალითად 200 ლარი.
6. **მომსახურების ვადა** – მაგ. 5 წელი.
7. მომდევნო ველები, რომლებიც ბაცი ფერებით ჩანს ეკრანზე, არ გამოიყენება ცვეთის დარიცხვის არჩეული მეთოდისათვის (წრფივი). თუ მეთოდად ავირჩევდით საგადასახადო ცვეთას, მაშინ აღნიშნული ველები, მაგალითად, ველი “**ცვეთის წლიური კოეფიციენტი**” გაიხსნება, მაგრამ დაიბლოკება ველი “**მომსახურების ვადა**”, რომელიც არ გამოიყენება საგადასახადო ცვეთის დარიცხვის დროს.
8. **დარიცხვის თვეების რაოდენობა** – თუ კომპიუტერი შექენილია აგვისტოში და მასზე ცვეთის დარიცხვა ხდება წლის ბოლოს, მაშინ ცვეთის დარიცხვის თვეების რაოდენობა იქნება 5. მაგრამ, თუ რომელიმე ძირითადი საშუალება პროგრამასთან მუშაობის დაწყების დროს (იგულისხმება 1 იანვარი) უკვე არსებობდა (ანუ გვაქვს მისი სასტარტო ნაშთი), მაშინ მოცემულ უჯრაში შევა 12. მოცემულ შემთხვევაში შევიტანოთ 5
9. **ნარჩენი ღირებულება** – ჯერჯერობით იგივეა, რაც საბალანსო ღირებულება. მაგრამ თუ ეს ძირითადი საშუალება უკვე არსებობდა და მასზე წინა წლებში დარიცხულია ცვეთა, მაშინ ცხადია, ამ უჯრაში შევა საბალანსო ღირებულებასა და ჯამურ ცვეთას შორის სხვაობა. მოცემულ შემთხვევაში ავტომატურად მიიღება 2000
10. **ცვეთის დასარიცხი თანხა** – ავტომატურად გამოიანგარიშება, თუ უკვე შეტანილია საბალანსო ღირებულება, მომსახურების ვადა და დარიცხვის თვეების რაოდენობა. მოცემულ შემთხვევაში იქნება 125 ლარი. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლოს, როდესაც უნდა შესრულდეს ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის ოპერაცია, კომპიუტერს დაერიცხება 125 ლარი ცვეთა (მიმდინარე წლის 5 თვე)
11. **ჯამური ცვეთის თანხა** – ჯერჯერობით ცარიელია, რადგან არანაირი ცვეთა დარიცხული არ ყოფილა.

12. **მატერიალური პასუხისმგებელი** – სიის ჩამოშლით მივიღებთ თანამშრომლების სიას, რომელშიც ჯერჯერობით მხოლოდ ორი პიროვნებაა. ავირჩიოთ მაგალითად გეგია

13. **განყოფილება** – ეთითება ანალოგიურად

14. **დღგ-ს თანხა** – გამოიანგარიშება ავტომატურად, საბალანსო ანგარიშში 20%. თუმცა, შეიძლება ფორმულის შეცვლაც.

ამის შემდეგ საჭიროა იმ ანგარიშების მითითება, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას საჭირო ქვეანგარიშები. ამისათვის გამოვიყენოთ უჯრები A01 და A04. ახლა უჯრებში ანგარიშებს ასე ვირჩევთ:

დასახელება	კოდი	მნიშვნელობა	ანგარიში
საბალანსო ღირებულება	(A)	000	2160 [A01]
რეზერვა	(B)	000	[A02]
საღმკომარაგო ღირებულება	(C)	000	[A03]
მომსახურების უაღა ჩლვაში	(D)	000	[A04]
პროცენტი რაოდ. მომსახურებაზე გადახდა	(E)	000	[A05]
პროცენტი რაოდ. დასაწირვ აკრიფში	(F)	000	[A06]
მომსახურების დასაწირვ. თვეების რაოდ.	(H)	000	[A06]

A01-ში ვირჩევთ იმ ანგარიშს, რომელსაც ქვეანგარიშად უნდა გაეხსნას კომპიუტერი. ეს შეიძლება მოხდეს უჯრაში ძირითადი ანგარიშის კოდის, მოცემულ შემთხვევაში 2160 (ოფისის აღჭურვილობა) პირდაპირ შეტანით, ან დილაკით ანგარიშთა გეგმის ჩამოშლით და 2160 ანგარიშის არჩევით

A03 ანგარიში გამოიყენება ცვეთის ხარჯის აღსარიცხავად. მასში ანგარიშის დაფიქსირებას ახრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი, განსხვავებულ ანგარიშებზე აღირიცხება. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში ყველა ძირითადი საშუალებების ცვეთა გროვდება 7400 ჯგუფის (საერთო ადმინისტრაციული ხარჯები) ერთ ანგარიშზე - 7455 (ცვეთა და ამორტიზაცია). ამ ანგარიშის მითითება კი შეიძლება შემდგომში, როდესაც საჭირო გახდება ცვეთის დარიცხვა. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში ეს უჯრა საერთოდ გამოვტოვოთ.

A04 უჯრის შევსება აუცილებელია. მასში შედის იმ ანგარიშის კოდი, რომელზეც უნდა აღირიცხოს კომპიუტერის ჯამური ცვეთა. ავირჩიოთ 2260 (ოფისის აღჭურვილობის ცვეთა)

A06 უჯრაში შეიძლება შევიტანოთ მომწოდებლის ანგარიში 3110 (სათანადო ქვეანგარიშით “ორიენტი”), რათა შესაძლებელი იყოს შემდგომში ძირითადი საშუალების მიღების გატარების ავტომატური შესრულება.

საბოლოოდ, შევსებულმა ფანჯარამ ასეთი სახე უნდა მიიღოს:

ძირითადი საშუალებების კონფიგურაცია

მართვის დარბივის მითრი:

დასახელება: კოდი:

საინვენტარიზაციო ნომერი:

წარმოების თარიღი:

მიღების თარიღი:

პასუხისმგებელი პირის თარიღი:

დასრულების თარიღი:

საბაზისო ღირებულება	2,000.00 (A)	<input type="text" value="2160"/>	...	(A01)
რამდენობა	1,000	<input type="text" value="ცალი"/>		
სალიკვიდაციო ღირებულება	200.00 (B)			
მომსახურების ვადა (წლები)	6 (C)			
პირველი რაოდენობა				
პირველი რაოდენობის დასრულების თარიღი				
მომსახურების დასრულების თარიღი				
მართვის წლიური კოეფიციენტი				
დარიცხვის თვეების რაოდენობა	5 (D)			
ნარჩენი ღირებულება	2,000.00 (E)	<input type="text" value="0 00"/>	...	(A02)
მართვის დარბივის თანხა	125.00 (E)-f: choose[D<=E.D.]{(A-R)}	<input type="text" value="0 00"/>	...	(A03)
ჯამური მართვის თანხა	(G)-f: A-D	<input type="text" value="2 260"/>	...	(A04)
ავანსის თანხა	(F)	<input type="text" value="0 00"/>	...	(A05)
დღგ	360.00 (H)-f: A*18/100	<input type="text" value="31 10 24"/>	...	(A06)

გაბრუნებული პასუხისმგებელი: გადავს:

განყოფილება:

კომპიუტერი:

OK Cancel

როგორც ვხედავთ, ავტომატურად შეივსო ველი “დღგ”, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღგ-ს ავტომატური გატარების შესრულების დროს.

საბოლოოდ, დავხუროთ ფანჯარა OK ბრძანებით. ეკრანზე მივიღებთ ახალ ჩანაწერს:

სამართლებელი

რედაქტირება

სამართლებელი ძირითადი საშუალებები

კოდი	დასახელება	ჯამური	მართვის დარბივის მითრი	დარიცხვის N	წარმოების თარიღი	მიღების თარიღი
0008	კომპიუტერი	კომპიუტერული სრული		1		

როგორც ვხედავთ, ძირითადი საშუალება – კომპიუტერი დაემატა სიაში. ამის შემდეგ შეიძლება მომდევნო ძირითადი საშუალების დამატება, რომელიც შედარებით მარტივად შეიძლება შესრულდეს. ამის მიზეზი შემდეგია:

დავამატოთ მეორე ძირითადი საშუალება - პრინტერი, რომლისთვისაც ცვეთის მეთოდი, ჯგუფი, ანგარიშები იგივეა:

პრინტერის შემთხვევაში ხელახლა აღარ დაგვეჭირდება იმ მონაცემების თავიდან შეტანა, რაც კომპიუტერსა და პრინტერს მსგავსი აქვთ. შეიცვლება მხოლოდ თანხები.

საბოლოოდ, პრინტერის ბარათი ასე შევავსოთ:

ძირითადი საშუალებების კონფიგურაცია

ცვლის დაჩვენების გეგმობი: ჯგუფი:

დასახელება: კოდი:

საინვენტარიზაციო ნომერი:

წარმოების თარიღი:

მიღების თარიღი:

ექსპლუატაციის დასრულების თარიღი:

დახურვის თარიღი:

საბალანსო ღირებულება	1,000.00	(A)	<input type="text" value="2160"/>	(A01)
რეზერვა	1.000	(B)		
სალიკვიდაციო ღირებულება	150.00	(R)		
გომსახურების ვადა (წლები)	6	(J)		
კომპლ. რაოდ. გომსახურების ვადაში		(K)		
კომპლ. რაოდ. დასარიცხ კაპიტალიზი		(L)		
გომსახურების დაჩვენ. თვეების რაოდ.		(M)		
ცვლის წლიური პერიოდი		(P)		
დაჩვენების თვეების რაოდენობა	5	(C)		
ნარჩენი ღირებულება	1,000.00	(D)	<input type="text" value="0 00"/>	(A02)
ცვლის დასარიცხი თანხა	59.03	(E) = f _x = choose[D <= E, D, ((A-R) /	<input type="text" value="0 00"/>	(A03)
ჯამური ცვლის თანხა		(G) = f _x = A-D	<input type="text" value="2 260"/>	(A04)
აფასების თანხა		(F)	<input type="text" value="0 00"/>	(A05)
დღგ	180.00	(H) = f _x = A*18/100	<input type="text" value="31 10 24"/>	(A06)

მატრიალური კასუსისგეგმვალი: გადაჯანს:

განყოფილება:

კომენტარი:

OK Cancel

შენიშვნა 1: როდესაც ერთი ძ. საშუალების დამატებისთანავე ვამატებთ მეორეს, გახსნილ ფანჯარაში გამოდის წინას მონაცემები, რომელშიც უნდა შეიცვალოს მხოლოდ განსხვავებული მონაცემები. რაც გამოსადეგია, ის უცვლელად დავტოვოთ. თუ პროგრამას დახურავთ და ხელახალი გამოძახებისას ვამატებთ ახალ ძ. საშუალებას, ფანჯრის ველები ისევ ცარიელი გამოვა.

შენიშვნა 2: ზოგჯერ არ ხდება ველების ავტომატური გამოთვლა. ეს ეხება ჯამური ცვლის თანხას და დღგ-ს. ამიტომ სასურველია, რომ ყოველთვის გამოვიყენოთ ამ და სხვა ველების გვერდით არსებული ლურჯი დილაკი f_x , რომესაც იქვე მოცემული ფორმულა მოჰყავს მოქმედებაში და ხდება გამოანგარიშება.

საბოლოოდ, დავხუროთ ფანჯარა OK ბრძანებით და პრინტერიც დაემატება ძირითადი საშუალებების სიაში.

ამის შედეგად კომპიუტერისა და პრინტერისათვის 2160-სა და 2260 ანგარიშებზე გაიხსნება ქვეანგარიშები, რომელთა ნახვა შეიძლება ანგარიშთა გეგმიდან, სასტარტო ნაშთების განყოფილებაში.

2160	აბზ	ოფისის აღჭურვილობა
2160 0009	აბზ	კომპიუტერი
2160 0010	აბზ	პრინტერი
2170	აბზ	ავტო და სხვა ინვენტარი
2180	აბზ	სატრანსპორტო საშუალებები
2190	აბზ	ოჯახის აღდგენის კომპლექსური
2200	პას	ძირითადი საშუალებების მართვა
2210	პას	მის წაკითხვა
2220	პას	დაფინანსებული ვინაჟი
2230	პას	შემოსვის მართვა
2240	პას	ნაგავიშის მართვა
2250	პას	მანქანა-დანადგარების მართვა
2260	პას	ოფისის აღჭურვილობის მართვა
2260 0009	პას	კომპიუტერი
2260 0010	პას	პრინტერი
2270	პას	ავტო და სხვა ინვენტარის მართვა

ამის შემდეგ, უკვე შესაძლებელი იქნება ამ ძირითად საშუალებებზე ოპერაციების ჩატარება.

შეძენის გატარების შესრულების წინ, ან მის პროცესში საჭირო იქნება 3110 ანგარიშზე შპს "ორიენტი"-სათვის შესაბამისი ქვეანგარიშის გახსნა (ორგანიზაციის სახეობის), რაც ჩვეულებრივი წესით შესრულდება, როგორც განხილული იყო მე-6 თავში.

ძირითადი საშუალებების (კომპიუტერისა და პრინტერის) შეძენის გატარებები შეიძლება შესრულდეს ორი მეთოდით:

- გატარებების ფანჯრიდან ისეთივე მეთოდით, როგორც ეს განხილული იყო მასალების შეძენის შემთხვევაში
- ძირითადი საშუალებების ფანჯრიდან, **16** ლილაკის (ძირითადი საშუალებების მიღება) გამოყენებით

პირველი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში უნდა გადავიდეთ გატარებების ფანჯარაში და კომპიუტერის შემთხვევაში დავამატოთ ასეთი გატარებები:

- დ 2160 კომპიუტერი 2 000 ლარი, რაოდენობა 1 ცალი
- დ 3340 გადახდ. დღგ 360 ლარი
- კრ 3110 შპს ორიენტი 2 360 ლარი

ანალოგიურად იქნება პრინტერის გატარებაც.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

რაც შეეხება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ უმთავრეს ოპერაციას – ცვეთის დარიცხვას, მისი გატარებები ასეთი იქნება:

დებეტი	7455 ცვეთა და ამორტიზაცია	125
კრედიტი	2260 0009 კომპიუტერი	125
დებეტი	7455 ცვეთა და ამორტიზაცია	59.03
კრედიტი	2260 0010 პრინტერი	59.03

თანხები აღებულია ამ ძირითადი საშუალებების ბარათების ველიდან “ცვეთის დასარიცხი თანხა”


ცხადია, შესაძლებელი იქნება მისი შესრულება ტრადიციული გზით – გატარების ფანჯრიდან, ჩვეულებრივი გატარებების სახით, მაგრამ ეს მოუხერხებელი იქნება შემდეგი მოსაზრების გამო:

- ორგანიზაციას შეიძლება დიდი რაოდენობით ჰქონდეს ძირითადი საშუალებები. თითქმის ყველაზე ერთდროულად ერთი და იგივე შინაარსის გატარება უნდა შესრულდეს. განსხვავებული იქნება მხოლოდ თანხები და საკრედიტო ანგარიშები.
- გატარებაში შესატანი თანხები ჯერ უნდა მოინახოს თითოეული ძირითადი საშუალების ბარათში და შემდეგ შევიდეს გატარების ფანჯარაში, თანხის ველში.

ცხადია, ამ მიზეზების გამო, ცვეთის დარიცხვის ოპერაციის ასეთი გზით შესრულება ძალზე შრომატევადი და რთული იქნება.

ამ პროცესის გამარტივების მიზნით, ძირითადი საშუალებების ფანჯარაში შესაძლებელია ცვეთის დარიცხვის მთელი ოპერაციის ერთი ბრძანებით შესრულება. ეს ასეთი გზით უნდა შესრულდეს:

გაგხსნათ ისევ ძირითადი საშუალებების ფანჯარა და ცვეთის დასარიცხავად გამოვიყენოთ ღილაკი (ან F8). ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას:



ამ ფანჯარაში ზოგადი სახით მოცემულია ცვეთის დარიცხვის ოპერაციის შესასრულებელი გატარება:

დებეტი	7455 ცვეთა და ამორტიზაცია	E
კრედიტი	A04	E

ეს გატარება ასე უნდა გავიგოთ:

რადგან ჩვენს შემთხვევაში ყველა ძირითადი საშუალებისათვის ცვეთის ხარჯი აღირიცხება ერთ კონკრეტულ ანგარიშზე - 7455 (ცვეთა და ამორტიზაცია), გატარების სადებეტო ანგარიშად შეიძლება ამ კონკრეტული ანგარიშის მითითება;

ყოველი ძირითადი საშუალების ჯამური ცვეთა აღირიცხება იმ ანგარიშზე, რომელიც მითითებული იყო ამ ძირითადი საშუალების ბარათში - A04 უჯრაში (მხოლოდ, ძირითადი საშუალების ქვეანგარიშის კოდი ამ უჯრაში არ ჩანს):

მანქანის ტიპი		(B)		
მანქანის ტიპის რაოდენობა	5	(C)		
ნარჩენი ღირებულება	1,000.00	(D)		
ცვეთის დასაბრუნებელი თანხა	59.03	(E)= f_x	[(A-R)/(N*12)]*C	(A03)
ჯამური ცვეთის თანხა		(G)= f_x	A-D-F	(A04)
აღსავლის თანხა		(F)		(A05)

თანხა აღებული იქნება ამ ძირითადი საშუალების ბარათის E უჯრიდან - “ცვეთის დასაბრუნებელი თანხა”. კომპიუტერის შემთხვევაში:

მანქანის ტიპის რაოდენობა	5	(C)
ნარჩენი ღირებულება	2,000.00	(D)
ცვეთის დასაბრუნებელი თანხა	125.00	(E)= f_x
ჯამური ცვეთის თანხა		(G)= f_x

ხოლო პრინტერის შემთხვევაში:

მანქანის ტიპის რაოდენობა	5	(C)
ნარჩენი ღირებულება	1,000.00	(D)
ცვეთის დასაბრუნებელი თანხა	59.03	(E)= f_x
ჯამური ცვეთის თანხა		(G)= f_x


საბოლოოდ, ცვეთის ოპერაციის შესასრულებლად ცვეთის დარიცხვის ფანჯარაში გავააქტიურეთ ველი “ყველა საქონელზე”, ავირჩიეთ თარიღი (როგორც წესი, წლის ბოლო - 31.12.2008), პროექტი, ოპერაციის შინაარსი და საბოლოოდ დავაჭიროთ OK ღილაკს. ყველა ძირითად საშუალებაზე შესრულდება შესაბამისი საბუღალტრო გატარებები, რომლებიც ავტომატურად გადაიტანება გატარებების ფანჯარაში.

საბოლოოდ, შესრულებულ გატარებებს ასეთი სახე ექნება:

7455	ცვეთა და ამორტიზაცია	2260 0009	კომპიუტერი	125.00 GEL
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	2260 0010	პრინტერი	59.03 GEL

თუ გატარებების ფანჯარაში არ აისახა შესრულებული ოპერაციის შედეგად დაფორმირებული აღნიშნული გატარებები, მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ:

- დაეხუროთ გატარებების ფანჯარა და ხელახლა გაგხსნათ;

- გამოვიყენოთ გატარებების ფანჯარაში არსებული ღილაკი  - ეკრანის განახლება.

მიზეზი ისაა, რომ თუ გატარებების ფანჯარა გახსნილია და ისე სრულდება ცვეთის დარიცხვის ოპერაცია (ან ნებისმიერი ოპერაცია სხვა ფანჯრებიდან, რომელთა შედეგად დაფორმირებული გატარებები გადატანილ უნდა იქნეს გატარებების ფანჯარაში), მაშინ გატარებების ფანჯარაში ცვლილებები ავტომატურად არ აისახება, სანამ არ განახლდება ეკრანი, ან თავიდან არ გაიხსნება გატარებების ფანჯარა.

ცვეთის ოპერაციის შესრულების შედეგად ცვლილებები ავტომატურად შედის ძირითადი საშუალებების ბარათებშიც. თუ მაგალითად, გავხსნით კომპიუტერის ბარათს, ვიხილავთ:


ძირითადი საშუალებების კონკრეტობა			
ცვეთის დასრულების ვიზუალიზაცია	წარმოიქმნება	<input type="button" value="▼"/>	ჯგუფი
დასახელება	კომპიუტერი		
საინვენტარიზაციო ნომერი	1		
წარმოების თარიღი		<input type="button" value="12"/>	
მიღების თარიღი		<input type="button" value="12"/>	
ექსპლუატაციის დასრულების თარიღი		<input type="button" value="12"/>	
დასრულების თარიღი		<input type="button" value="12"/>	<input type="checkbox"/> ჩამოყენებული
საბალანსო ღირებულება	2,000.00	(A)	
წაოფანობა	1,000	(B)	<input type="text" value="ცალი"/>
საღირსეობის ღირებულება	200.00	(B)	
მოხსნის ვადა (წლები)	6	(J)	
პროცენტული წილი		(K)	
პროცენტული წილი		(L)	
პროცენტული წილი		(M)	
ცვეთის წლიური კოეფიციენტი		(E)	
დასრულების თარიღის წაოფანობა	5	(C)	
ნარჩენი ღირებულება	1,875.00	(D)	
ცვეთის დასრულების თანხა	125.00	(E) = $\frac{1}{12} \times [(A-R) \times 12] \times C$	
ჯამური ცვეთის თანხა	125.00	(G) = $\frac{1}{12} \times A \times D \times F$	
აჯანსაღის თანხა		(F)	

ვხედავთ, რომ შეიცვალა ნარჩენი ღირებულება და ჯამური ცვეთის თანხა.

განვიხილოთ, როგორ მოვიქცეთ მომავალ წელს ცვეთის დარიცხვის ოპერაციის შესასრულებლად. ამისათვის უნდა შეიცვალოს მხოლოდ ველი “დარიცხვის თვეების რაოდენობა”, რომელიც 5-ის ნაცვლად 12 თვის ტოლი უნდა გახდეს (იგულისხმება, რომ მომავალ წელს ძირითადი საშუალება “კომპიუტერი” მთელი წლის მანძილზე მოემსახურება ორგანიზაციას და შესაბამისად, მთელი წლის ცვეთაც უნდა დაერიცხოს). ველში “ცვეთის დასარიცხი თანხა” ავტომატურად მოხდება ცვლილება და შევა რიცხვი - 300 (მთელი მომავალი წლის ცვეთის თანხა).

ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ დანარჩენი ძირითადი საშუალებების შემთხვევაშიც.


შევნიშნავთ, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ცვეთის დარიცხვის ოპერაციის იგნორირება (იგივე UnDo), რომლის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ რომელიმე ძირითადი საშუალების მონაცემებში აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა. ცხადია, რომ არასწორი მონაცემები ცვეთის გატარებებში და შესაბამისად, ნაშთებში არასწორ შედეგებს მოგვცემს. ამიტომ შეცდომის გასწორებამდე ბარათებში უნდა აღდგეს ძველი მონაცემები და მხოლოდ შემდეგ მოხდეს ცვლილებების შეტანა.

ცვეთის დარიცხვის ოპერაციის იგნორირება შეიძლება  ღილაკის (შესრულებული ოპერაციების არქივი) გამოყენებით. ეკრანზე მივიღებთ:

ძირითადი საშუალებების არქივი

რედაქტირება

ოპერაცია	თარიღი	დრო	კოდი	დასახელება	ჩანაწერი
[-] ცვეთის დარიცხვა	31.12.2008	11:22:29			
[-] ცვეთის დარიცხვა	31.12.2008	11:22:29	0009	კომპიუტერი	კომპიუტერულ
[-] ცვეთის დარიცხვა	31.12.2008	11:22:29	0010	პრინტერი	კომპიუტერულ

ამ ფანჯარაში დაწვრილებით იქნება მოცემული ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. თუ მოვნიშნავთ გასაუქმებელ ოპერაციას და გამოვიყენებთ  ღილაკს (ოპერაციის აღდგენა), ძირითადი საშუალებების ყველა ბარათში აღდგება ძველი მონაცემები (მხოლოდ, ადრე შესრულებული გატარებები ჩვენ თვითონ უნდა წავშალოთ). მოცემულ მომენტში ეს მოქმედება არ შეეასრულოთ.

ძირითადი საშუალებების სასტარტო ნაშთები

თუ პროგრამასთან მუშაობის დაწყების მომენტში ორგანიზაციაში უკვე არსებობს ძირითადი საშუალებები (რაც სავარაუდოა, რომ ნამდვილად იქნება), მაშინ მათი საბალანსო ღირებულება და წინა წლებში დარიცხული ჯამური ცვეთის თანხა უნდა შევიდეს სასტარტო ნაშთებში.

დავუშვათ, რომ ასეთი ძირითადი საშუალებაა “ქსეროქსი”. მისი დამატება და მონაცემების შეტანა მოხდება ისეთივე წესით, როგორც ეს იყო კომპიუტერისა და პრინტერის შემთხვევაში. განსხვავება იქნება მხოლოდ ცვეთის დარიცხვის თვეების რაოდენობაში, რაც ქსეროქსის შემთხვევაში სრული წლის ტოლი იქნება - 12 თვე.

მაგალითი: ქსეროქსის საბალანსო ღირებულება იყო 4000 ლარი, ხოლო მასზე დარიცხული ჯამური ცვეთა 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1000 ლარს შეადგენდა.

ქსეროქსის ბარათი შევაგსოთ ასეთი ფორმით:



ბიზნესი საშუალებების დაბეგება

ცვლით დასახელებს ვარიანტი: კატეგორია:

დასახელება: ტიპი:

საინვენტარის რიცხვი:

ფარგონების თარიღი:

მიღების თარიღი:

ექსპლუატაციის დასრულების თარიღი:

დასრულების თარიღი:

საბალანსო ღირებულება: (A) (A01)

რეზერვა: (B)

სალიკვიდაში ღირებულება: (R)

მომსახურების ვადა (წლები): (J)

მრედიტი რაოდენობა მომსახურების ვადაში: (K)

პროცენტი რაოდენობა დასაბრუნებელი: (L)

მომსახურების დაწყების თარიღი რაოდენობა: (M)

ცვლით მდებარეობის კოორდინატები: (B)

დასრულების თარიღის რაოდენობა: (C)

ნარჩენი ღირებულება: (D) (A02)

ცვლით დასაბრუნებელი თანხა: (E) (A03)

კატეგორია ცვლით თანხა: (G) (A04)

ავსავლის თანხა: (F) (A05)

ღირებულება: (H) (A06)

მატარებელი კატეგორია:

მატარებელი:

კოორდინატი:

OK Cancel

ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს:

1. D უჯრაში ავტომატურად შევა 4000, რაც უნდა შეიცვალოს ქსეროქსის ნარჩენი ღირებულების თანხით - 3000 ლარით;
2. E უჯრაში ავტომატურად ჩაჯდება 616.67 – ცვეთის დასარიცხი თანხა;
3. G უჯრაში ჯამური ცვეთის თანხა შეიძლება ხელით შევიტანოთ, ან გამოვიყენოთ მის გვერდით მოთავსებული დილაკი - \star . თანხა ავტომატურად გამოიანგარიშება G უჯრაში;
4. ანგარიშები A01 და A04 უჯრებში იგივე დავტოვოთ.


რაც შეეხება დღგ-ს თანხასა და მომწოდებლის ანგარიშს (A06) უჯრაში, ამ შემთხვევაში მათი შევსება საჭირო არაა, რადგან ეს მონაცემები მხოლოდ დ. საშუალების მიღების გასატარებლად არის საჭირო. მაგრამ ამ შემთხვევაში, გატარება ცხადია არ სრულდება. უნდა დავაფიქსიროთ მხოლოდ სასტარტო ნაშთები.

საბოლოოდ დავხუროთ OK ბრძანებით ფანჯარა და ქსეროქსიც დაემატება ძირითადი საშუალებების ფანჯარაში.

ქსეროქსზე ცხადია, არ უნდა მოხდეს შეძენის გატარება. სასტარტო ნაშთებში უნდა შევიდეს მისი საბალანსო ღირებულება და ჯამური ცვეთის თანხა. ეს შეიძლება მოხდეს ისეთივე წესით, როგორც სხვა ანგარიშების სასტარტო ნაშთების შემთხვევაში, ანუ გავიღეთ სასტარტო ნაშთების ფანჯარაში და 2160 და

2260 თითოეული ანგარიშის ქვეანგარიშზე, დასახელებით “ქსეროქსი”, შევიტანოთ სასტარტო ნაშთი.

ცვეთის ოპერაციის მსგავსად, ძირითადი საშუალებების სასტარტო ნაშთების დასმაც უმჯობესია მოხდეს ისევე ძირითადი საშუალებების ფანჯრიდან. ამისათვის გამოვიყენოთ **☒** ღილაკი. მხოლოდ წინასწარ უნდა მოინიშნოს საჭირო ძირითადი საშუალება. მოვნიშნოთ ქსეროქსი და ვისარგებლოთ აღნიშნული ღილაკით. ეკრანზე ვიხილავთ:



მოვნიშნოთ ველები “საბალანსო ღირებულება” და “ჯამური ცვეთის თანხა” (თუ უკვე მონიშნულია, მაშინ არ შევეხებით) და საბოლოოდ დავაჭიროთ ღილაკზე **☒** დავსვათ სასტარტო ნაშთები. ამის შედეგად რიცხვები 4000 და 1000 გადაიტანება შესაბამის ანგარიშებზე სასტარტო ნაშთებად. მათი ნახვა შესაძლებელი იქნება ანგარიშთა გეგმიდან.


აღნიშნული მეთოდი იმითაა მოსახერხებელი, რომ თუ ასეთი ძირითადი საშუალებების რიცხვი დიდია, მაშინ ამ ფანჯრიდან გაუსვლელად შეიძლება მათი დამატება, ქვეანგარიშების გახსნა და სასტარტო ნაშთების შეტანა.


თუ გავხსნით ანგარიშთა გეგმას და ვნახავთ სასტარტო ნაშთებს, ვიხილავთ ასეთ სურათს:

☒ 2160	აჭბ	ოფისის აღჭურვილობა	4,000.00	
2160.0009	აჭბ	კომპიუტერი		
2160.0010	აჭბ	პრინტერი		
2160.0011	აჭბ	ქსეროქსი	4,000.00	1,000
☒ 2170	აჭბ	საქართველოს მთავრობის მართვის მოწყობის თანხა		
2260	აჭს	ოფისის აღჭურვილობის მართვა	1,000.00	
2260.0009	აჭს	კომპიუტერი		
2260.0010	აჭს	პრინტერი		
2260.0011	აჭს	ქსეროქსი	1,000.00	

რადგან ისევე მოხდა სასტარტო ნაშთის დამატება, ბალანსი კვლავ დაირღვა. ისევე გავაწონასწოროთ ბალანსი რომელიმე საკრედიტო ნაშთის ხარჯზე, ან შევიტანოთ ახალი საკრედიტო სასტარტო ნაშთი. ამჯერად გამოვიყენოთ მეორე ვარიანტი. დაუშვათ, რომ წინა წელს არსებობდა მოკლევადიანი სესხი – 3000 ლარი, რომელიც ასახული უნდა იყოს 3210 ანგარიშის სასტარტო ნაშთად. ანგარიშთა გეგმის სასტარტო ნაშთების ფანჯრიდან ჩვეულებრივი წესით შევიტანოთ ეს ნაშთი.



ძირითადი საშუალების მიღების მეორე მეთოდი:

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი საშუალების მიღების გატარება შესაძლებელია შესრულდეს სასაქონლო სიის ფანჯარაში. ამისათვის გამოვიყენოთ  ღილაკი. ეკრანზე მივიღებთ ისეთივე ფორმის ფანჯარას, როგორც ცვეთის ოპერაციის შესრულების დროს ვიხილეთ:



ძირითადი საშუალების მიღების ფანჯარაში შეიძლება აწყობილი არ იყოს ეს ორი გატარება, რომლებიც ამჟამად მოცემულია აქ. მაგრამ მისი აწყობა მარტივად შეიძლება. ერთხელ აწყობილი ოპერაცია შენარჩუნდება მის წაშლამდე და ამიტომ შესაძლებელია მისი შემდგომი გამოყენება დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვისაც, მხოლოდ შესაძლოა, საჭირო გახდეს მისი ოდნავ მოდიფიცირება.

როგორც ცვეთის ოპერაციის დროს აღვნიშნეთ, გატარების სადებუტო ან საკრედიტო ანგარიშებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცვლადი, ან კონკრეტული ანგარიში. ასევე, თანხის უჯრაში შეიძლება ცვლადის, კონკრეტული რიცხვის ან გამოსახულების გამოყენება.

 ღილაკით შესაძლებელია ცვლადების სიის გამოძახება, საიდანაც ავირჩევთ A01 და A06 ცვლადებს, ხოლო  ღილაკით გავდივართ ანგარიშთა გეგმაში, საიდანაც ავირჩევთ სათანადო ანგარიშს.

თუ გავიხსენებთ, ძირითადი საშუალების ბარათის უჯრებში ასეთი მონაცემები იყო:

- A01 ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიში. კომპიუტერისათვის 2160, პრინტერისათვისაც 2160, მხოლოდ ქვეანგარიშებია განსხვავებული (რომლებიც ანგარიშთა გეგმიდან ჩანს). კომპიუტერის ქვეანგარიშის კოდი არის 0009, პრინტერის 0010.
- A06 მომწოდებლის ანგარიში – 3110 24 (ორიენტი)
- A საბალანსო ღირებულების უჯრა. კომპიუტერი 2000 ლარი, პრინტერი 1000 ლარი.

H დღგ-ს თანხა. კომპიუტერის ბარათში - 360 ლარი, პრინტერის ბარათში კი 180 ლარი.

ასეთი სახით აწვობილი ოპერაციის გამოსაყენებლად მოვნიშნოთ ის ძირითადი საშუალება, რომელზეც უნდა შესრულდეს მიღების გატარება, მოვნიშნოთ ველი "შევასრულოთ გატარებები" და დავაჭიროთ OK ღილაკზე. ამ ოპერაციის შედეგად შესრულდება აღნიშნული ორი გატარება, რომლებიც გადავა გატარებების ფანჯარაში.

მოცემულ მომენტში ამ გზის გამოყენება საჭირო აღარ არის, რადგან სათანადო გატარებები უკვე შესრულებულია გატარებების ფანჯრიდან.

საპარჯიშო 8:

გახსენით ორგანიზაცია Vake და მასში შეასრულეთ ოპერაციები:

1. წლის დასაწყისისათვის ორგანიზაციას გააჩნდა ძირითადი საშუალება, რომლის მონაცემები ასეთია:

დასახელება	ტრაქტორი
ცვეთის დარიცხვის მეთოდი	წრფივი
ჯგუფი	მანქანები
საბალანსო ღირებულება	10000 ლარი
სალიკვიდაციო ღირებულება	2000 ლარი
მომსახურების ვადა	10 წელი
ცვეთის დარიცხვის თვეების რაოდენობა	12
ნარჩენი ღირებულება	7000 ლარი
ჯამური ცვეთის თანხა	? (გამოიანგარიშეთ!)
ანგარიშები	2150, 2250

2. საბალანსო ღირებულება და ჯამური ცვეთის თანხა გადაიტანეთ სასტარტო ნაშთებში. დარღვეული ბალანსი გაასწორეთ გრძელვადიანი სესხის სასტარტო ნაშთის კორექტირების გზით

3. აგვისტოს დასაწყისში, შპს "ელექტრონიკა"-საგან შექენილია:

ა) გენერატორი, რომლის მონაცემები ასეთია:

ცვეთის დარიცხვის მეთოდი	წრფივი
ჯგუფი	ელექტრომანქანები
ღირებულება	3000 + 540 (დღგ) = 3540 ლარი
მომსახურების ვადა	10 წელი
სალიკვიდაციო ღირებულება	400 ლარი
ცვეთის დარიცხვის თვეები	5
ანგარიშები	2150 და 2250.

ბ) კონდიციონერი 5 ცალი

ცვეთის დარიცხვის მეთოდი	წრფივი
-------------------------	--------

თ. აბესაძე

თავი 13.1. ხელფასი

შენიშვნა: ამ თავში საშემოსავლო გადასახადის პროცენტად აღებულია 25%.

ხელფასის სისტემა პროგრამაში ძალზედ მოქნილია. იგი ღიაა და მასში ნებისმიერი მოდიფიკაციის განხორციელება შეიძლება.

პროგრამაში არსებული ხელფასის სისტემა ითვალისწინებს დარიცხული ხელფასის, შევსებებისა და ბიულეტენის დაანგარიშებას, რაც ყველა ორგანიზაციაში მოითხოვება. მაგრამ ბევრ ორგანიზაციას, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალთან ანგარიშსწორებისათვის ესაჭიროება ისეთი სახის პარამეტრებიც, როგორცაა პრემიები, ჯილდოები, ზედმეტად ნამუშევარი საათები, დახმარებები, შეღავათიანი კრედიტით რაიმე საქონლის მიცემა და ხელფასიდან თანხის თანდათანობითი დაქვითვა, სესხის გაცემა, ერთდროულად რამდენიმე წყაროდან ხელფასის მიღება, ავანსი და ა.შ.

უმეტეს შემთხვევაში, ეს პარამეტრები ცვალებადია და ყველა ორგანიზაციაში თავისებურად იანგარიშება. პროგრამის მთავარი ღირსება ისაა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია ხელფასის ადვილად გადაკეთება და ორგანიზაციის საჭიროებებზე მისი ბოლომდე მორგება.


პროგრამას შეუძლია ხელფასის დათვლა ორი მეთოდით:


- **პირდაპირი გზით**, ანუ თუ ცნობილია დარიცხული ხელფასი, მაშინ გამოიანგარიშება ხელფასიდან დასაკავებელი და ხელზე ასაღები თანხები;
- **შებრუნებულად**, როდესაც ცნობილია ხელზე ასაღები თანხა და პროგრამა ანგარიშობს, თუ რამდენი უნდა იქნეს დარიცხული, რომ დაკავებების შემდეგ ასაღები დარჩეს წინასწარ ცნობილი თანხა.

პროგრამა ანგარიშობს ხელფასს, აკეთებს ყველანაირ გაანგარიშებებს, ბეჭდავს შესაბამის საბუღალტრო ფორმებს და ასრულებს გატარებებს, რაც დაკავშირებულია დარიცხვებთან (გასაცემი ხელფასი, საშემოსავლო გადასახადი, პროფკავშირების გადასახადი და სხვ.).

ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები სრულდება მენიუდან “ხელფასი”.

მისი გახსნით ეკრანზე მივიღებთ ხელფასის მენიუს შემადგენელ ელემენტებს:



მუშაობას ვიწყებთ “კადრები”-თ (მისი გახსნა ასევე შეიძლება ინსტრუმენტების პანელიდან  ღილაკით, ან კლავიატურიდან CTRL + 7 კლავიშების კომბინაციით).

ეკრანზე მივიღებთ სურათს:

საქმის ხელფასი

კოდი	No	ბანკის/ბანკის	მანქანის/მანქანის	შანსის/შანსის	კლასი	მისამართი	მისამართი	ბანკის/ბანკის	საქმის/საქმის		
0001	1	ბანკი							მისამართი	მისამართი	მისამართი
0002											

მისამართი

თვე	A	B	C	D	E	F	G	H
	მისამართი	მისამართი (დღე)	მისამართი (დღე)	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0
0001								
0002								

მისამართი

როგორც ვხედავთ, კადრების ფანჯარა შედგება ორი ნაწილისაგან. ზედა ნაწილში მოცემული იქნება თანამშრომლების გვარები, ქვედაში კი ზემოთ არჩეული თანამშრომლის მონაცემები.

შესაძლებელია ამ ორი ნაწილის ზომების ცვლილება, თუ თავის ისრის გამოყენებით გამოყოფ ხაზს გადავაადგილებთ ზემოთ ან ქვემოთ, როგორც ეს ქვემოთაა სქემაზე მოცემული.

მისამართი

თვე	A	B	C	D	E	F	G
	მისამართი	მისამართი (დღე)	მისამართი (დღე)	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0
0001							
0002							

მისამართი

წინა თავებში შევქმენით თანამშრომლის სახეობის ანგარიში, რომლის დროსაც თანამშრომლების სიაში დავამატეთ ერთი პიროვნება – ბუკია ვანო. როგორც აღნიშნული იყო, ეს ინფორმაცია გამოდგებოდა შემდგომში, ხელფასის დაანგარიშების დროს.

მოცემულ შემთხვევაში, კადრებში უკვე ჩანს ეს თანამშრომელი.

ზედა ფანჯარაში შესაძლებელია დანარჩენი თანამშრომლების დამატება, რომელთათვისაც საჭიროა ხელფასის გაანგარიშება. ასევე, შეიძლება უკვე არსებულელებზე დამატებითი ინფორმაციის შეტანა. ამისათვის ღილაკით გავაკორექტიროთ ბუკიას ბარათი. ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას:

მისამართი


თვე	A	B	C	D	E	F	G
	მისამართი	მისამართი (დღე)	მისამართი (დღე)	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0	მისამართი 1-0
0001							
0002							

მისამართი

შენიშვნა: თუ გვარი და სახელი ცალკე უჯრებშია შეტანილი, მაშინ ხელფასის დარიცხვის უწყისში სახელის მხოლოდ პირველი ასო გამოიტანება. თუ საჭიროა მთელი სახელის გამოტანა, მაშინ სახელი და გვარი ორივე შევიდეს გვარის უჯრაში.

ამ ფანჯარაში შეიძლება დაემატოს ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა ხელფასის უწყისებისათვის - თანამშრომლის რიგითი ნომერი, რომელ განყოფილებაში მუშაობს, თანამდებობა, ასევე, შეიძლება მიეთითოს ბინის მისამართი, საპასპორტო მონაცემები და ა.შ.

განვიხილოთ ველი "განყოფილება". მისი გამოყენება სასურველია იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციაში თანამშრომლების რაოდენობა დიდია და გვინდა ერთი და იგივე განყოფილების ხალხის ცალცალკე უწყისებში დაჯგუფება და ამ განყოფილებაზე დარიცხული ხელფასის, დაკავებებისა და ა.შ. მონაცემების დაჯამება.

"განყოფილება" ველის შესავსებად, ჩამოვშალოთ ეს ფანჯარა  ღილაკით. გამოვა განყოფილებების სია, რომელიც როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით ცარიელია.

დაემატოს მასში ახალი განყოფილება. დასახელებად შევიტანოთ მაგალითად "ბუღალტერია" და გადავიტანოთ წინა ფანჯარაში (თანამშრომლის ბარათში). მივიღებთ:


აქ მოცემულია ცხრილი - სვეტებისა და სტრიქონების ერთობლიობა, რომელშიც შესაძლებელია სვეტების სიგანეების ცვლილება, უჯრებს შორის გადაადგილება და უჯრებში მონაცემების შეტანა. ყოველ სვეტს აქვს აღმნიშვნელი სიმბოლო A, B, C, ...Z (რომლებიც გამოიყენება ხელფასის დაანგარიშების ფორმულებში). ზოგიერთ სიმბოლოს გვერდით აქვს მრავალწერტილი, რომლის დანიშნულება შემდეგში იქნება განხილული.

ეკრანზე ყველა სვეტი არ თავსდება და ამიტომ მომდევნო სვეტების გამოსატანად შეგვიძლია გამოვიყენოთ ფანჯრის ქვედა ნაწილში მოთავსებული გადახვევის ზოლი.



ასევე ყოველ სვეტს აქვს სათაური, რომელიც უთითებს, რა მონაცემი უნდა შევიდეს ამ სვეტში. მაგალითად, A სვეტის დასახელებაა "დარიცხული", რაც გვიჩვენებს, რომ ამ სვეტში უნდა შევიდეს თანამშრომელზე დარიცხული ხელფასის თანხა.

პროგრამა იყენებს A-დან J-მდე და Y და Z სვეტებს. დანარჩენი სვეტები K-დან X-მდე თავისუფალია და შეიძლება მათი რაიმე მიზნით გამოყენება.



ცხრილის უჯრებს შორის გადაადგილება და მონაცემების შეტანა ძალზედ მოხერხებულია შემდეგი მეთოდით:

Enter ღილაკზე ერთი დაჭერით ხდება უჯრის გააქტიურება – მასში ჩნდება მოცემული კურსორი. შევიტანოთ უჯრაში საჭირო რიცხვი და ისევ დავაჭიროთ Enter ღილაკს. რიცხვი დაფიქსირდება და კურსორი გაქრება. ამის შემდეგ კლავიატურის ისრებით შეიძლება სხვა უჯრებზე გადაადგილება. საჭირო უჯრის გააქტიურება ისევ შეიძლება Enter ღილაკით, უჯრაში შევა მონაცემები, დაფიქსირდება Enter-ით და ა.შ.

პერსონალის ხელფასის მონაცემების შეტანა:

ცხრილის სვეტებში მონაცემები შემდეგი წესით უნდა შევიდეს:

A – დარიცხული. ამ სვეტში შედის თანამშრომელზე დარიცხული ხელფასი. თუ მაგალითად, ბუკიას იანვრის თვეში გვინდა დავურიცხოთ 250

ღარი, ამისათვის იანერის სტრიქონში გაგააქტიუროთ A სვეტის შესაბამისი უჯრა ისე, რომ უჯრაში აციმციმდეს კურსორი. შევიტანოთ რიცხვი და დააფიქსიროთ Enter ღილაკით. დაინახავთ, რომ იგივე რიცხვი განმეორდება ქვედა უჯრებშიც.

თვე	A
იანვარი	250
თებერვალი	250
მარტი	250
აპრილი	250
მაისი	250
ივნისი	250
ივლისი	250
აგვისტო	250
სექტემბერი	250
ოქტომბერი	250
ნოემბერი	250
დეკემბერი	250

ეს უმეტეს შემთხვევაში ძალზედ მოსახერხებელია, რადგან მოსალოდნელია, რომ მომდევნო თვეებშიც იგივე ხელფასი განმეორდეს.

მომდევნო სტრიქონებში რიცხვის განმეორებას იწვევს ის ფაქტი, რომ A სიმბოლოს შემდეგ დგას მრავალწერტილი - **A...** მაგრამ, თუ რომელიმე თანამშრომლის ხელფასი ცვალებადია თვეების მიხედვით და გვინდა, რომ შეტანილი რიცხვი მხოლოდ ერთ უჯრაში დაფიქსირდეს, ამისათვის უჯრაში მონაცემის შეტანამდე ეს მრავალწერტილი უნდა გაითიშოს, რაც შესაძლებელია მასზე თავის ისრით ორჯერ სწრაფად დაწკაპუნებით. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევიდეს უჯრაში მონაცემი, რომელიც აღარ განმეორდება ქვედა უჯრებში.

B - ბიულეტენი (დღე). თუ ხელფასთან ერთად გაიცემა ბიულეტენი, მაშინ ამ სვეტში შედის მხოლოდ დღეების რაოდენობა. პროგრამა დაინგარიშებს, რა თანხა ეკუთვნის ერთ დღეზე, გაამრავლებს B სვეტში შეტანილი დღეების რაოდენობაზე (ამ დროს გამოიყენება წინა თვის მონაცემები).

C - შევბულება (დღე) გამოიყენება ბიულეტენის ანალოგიურად.

D - არა ადმინისტრაცია 1-0: ამ სვეტში არაფერი არ უნდა შევიდეს, თუ მოცემულ თანამშრომელზე დარიცხული ხელფასი ორგანიზაციისათვის განხილული უნდა იქნეს, როგორც საერთო ადმინისტრაციული ხარჯი. შემდგომში, როდესაც მივუთითებთ, რომ გაკეთდეს ხელფასთან დაკავშირებული საბუღალტრო გატარებები, პროგრამა შეასრულებს შემდეგი სახის გატარებას:

დ. 7410 შრომის ანაზღაურება	001	001
კრ. 3130 გასაცემი ხელფასი	001	001

თუ მოცემულ სვეტში შევიტანოთ 1-ს, მაშინ პროგრამა გააკეთებს შემდეგი სახის გატარებას:

დ. 1630 დაუმთავრებელი წარმოება

კრ. 3130 გასაცემი ხელფასი

E – სასურველი ხელფასი. როგორც აღნიშნული იყო, ზოგჯერ ცნობილია არა დარიცხული ხელფასის მნიშვნელობა, საიდანაც შემდგომში იანგარიშება ხელზე ასაღები თანხა, არამედ პირიქით - ცნობილია ხელზე ასაღები ის თანხა, რასაც პიროვნება ითხოვს შესასრულებელ სამუშაოში. ბოლო შემთხვევაში, პროგრამამ უნდა დაიანგარიშოს, რამდენი უნდა იქნეს დარიცხული, რომ დაკავებების შემდეგ ასაღები დარჩეს წინასწარ ცნობილი სასურველი თანხა. ამიტომ, E სვეტში უნდა შევიტანოთ სასურველი ხელფასის თანხა, ხოლო პროგრამა ავტომატურად დაიანგარიშებს A სვეტის მნიშვნელობას – რა თანხა უნდა იქნეს ამ პიროვნებაზე დარიცხული.

F, G და H - მოცემული სვეტები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომელს შედავათი ეკუთვნის საშემოსავლოზე (ასეთები არიან ომის მონაწილეები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები და ასევე, მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლები, მარტოხელა დედები და ა.შ.). მაგალითად, მეორე კატეგორიის პირებს არ უკავდებათ საშემოსავლო, სანამ წლის დასაწყისიდან მათი ჯამური ხელფასი არ გადააჭარბებს 1500 ლარს. ამიტომ, ასეთი პიროვნების ბარათის F სვეტში შეტანილ უნდა იქნეს ციფრი 1.

მომდევნო სვეტები გამოიყენება შვებულების დაანგარიშების დროს.

შემდეგ მოდის ცარიელი სვეტები, რომელთა გამოყენება შეიძლება სურვილისამებრ. მაგალითად, როგორც აღნიშნული იყო, მათში შეიძლება შევიდეს პრემია, დახმარება, დამატებითი ხელფასი, ჯილდო, სესხი და ა. შ. და ამ გზით შეიძლება მოდიფიცირება გაუკეთდეს ხელფასის სისტემას.

მაგალითისათვის კადრებში დამატებული გეგიასა და ბუკიაზე შევიტანოთ შემდეგი მონაცემები:

2008 წლის იანვრის თვეში დაირიცხა შემდეგი ხელფასები:

ბუკია – დარიცხული 340 ლარი, არა ადმინისტრაციული

გეგია – ადმინისტრაციული, ხელზე უნდა მიიღოს 100 ლარი (სასურველი ხელფასი).


საბოლოოდ, სვეტები იანვრის თვის გასწვრივ ასე უნდა იყოს შევსებული:

გვარი	A დარიცხული	D არა ადმინისტრაციულ 1-0	E სასურველი ხელფასი
ბუკია	340	1	
გეგია			100


შეგნიშნავთ, რომ კადრების მონაცემების შეტანა-დათვალიერებისათვის ძალზე მოსახერხებელია მონაცემების არა ჰორიზონტალური სახით სტრიქონში გამოტანა, არამედ ვერტიკალური სახით - სვეტში. ეს განპირობებულია სვეტების სიმ-

რავლით, რის გამოც კადრებზე მონაცემების შეტანის დროს საჭირო ხდება ფანჯრის მუდმივი გადაადგილება მარცხნივ და მარჯვნივ.

ამ მიზნით შეიძლება ღილაკის გამოყენება, რომელიც კადრების ფანჯრის მარცხენა მხარეს არის მოთავსებული:




მაგალითად, თუ მოვნიშნავთ ბუკიას სტრიქონს, ღილაკზე დაჭერით ეკრანზე ბუკიას ხელფასის მონაცემებს ასეთი სახით მივიღებთ:





როგორც ვხედავთ, ამ ფანჯარაში სრულად ჩანს გეგიას ხელფასის ყველა პარამეტრი. გეგიას მომდევნო, ან წინა პიროვნების ბარათის გამოსატანად შეიძლება მისი გვარის წინ და შემდეგ მოთავსებული ღილაკების გამოყენება.

მაგალითად, ღილაკზე დაჭერით ეკრანზე გამოვა ბუკიას ხელფასის მონაცემები:




ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ ხელფასის დაანგარიშებაზე.

ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი . მასზე დაჭერით იხსნება ფანჯარა, რომელიც ასეთი სახით გამოდის შეესებული:




OK-ზე დაჭერით დაიწყება იანვრის ხელფასის დათვლა და გადავალთ ხელფასის მეორე ფანჯარაში – "ხელფასის უწყისი":



ამ ფანჯარაში გამოდის დაანგარიშებული ხელფასის შესახებ სრული ინფორმაცია – დარიცხვები, დაკავებები და ა.შ.

მართალია, ამ ფანჯარაში არსებულ ცხრილის სვეტებში მოცემულია ამომწურავი ინფორმაცია, მაგრამ უმჯობესი იქნება მისი წარმოდგენა უფრო მოხერხებული, საბუღალტრო ფორმის სახით.

ამიტომ, შემდგომი ოპერაციაა შესაბამისი საბუღალტრო ფორმების ბეჭდვა, რაც შესაძლებელია  ღილაკის გამოყენებით. ეკრანზე ვიხილავთ ფანჯარას:


მაგალითად, თუ გვინდა დარიცხვის ფორმის დაბეჭდვა (რომლის შესაბამისი ველიც გააქტიურებულია ამჟამად), პირდაპირ დავაჭიროთ OK ღილაკს. შედეგად მივიღებთ:


სს "იმიერეთი"
ხელფასი იანვარი 2008 წ. განყოფილება: ბუღალტერია

NN No	თანამშრომელი თანამდებობა	დარიცხული	ბიულტენი	შემოსულება	სულ დარიცხული	დარიცხვით დასაფარდებელი	საბუღალტრო	ჩაბურთი და დასაფარება	ხელზე	სალონო
		1	2	3	4	5	6	7	8	
1	ბუბია ...	133.34			133.34	133.34	33.34	33.34	100.00	
2	ვახა ...	340.00			340.00	340.00	85.00	85.00	255.00	
	ჯამი	473.34			473.34	473.34	118.34	118.34	355.00	

როგორც ვხედავთ, ფორმაში მოცემულია დათვლილი ხელფასის სრული ინფორმაცია. ამასთან, იგი სათანადოდაა გაფორმებული, მასში ჩანს ორგანიზაციის დასახელება, განყოფილება, უწყისის ნომერი, თვე, წელი და ა.შ.

მაგალითად, ფორმიდან ჩანს, რომ ბუკიას დაერიცხება 133 ლარი და 34 თეთრი, რათა მას ხელზე ასაღები დარჩეს მის მიერ მოთხოვნილი სასურველი ხელფასი - 100 ლარი.

ფორმა საბოლოოდ შეიძლება დაიბეჭდოს ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებული  ღილაკით. დავბრუნდებით წინა ფანჯარაში.



შემდეგი ფორმის მისაღებად გაააქტიუროთ ველი "ხელფასის ფორმა" და დაა-
 ჭიროთ OK-ს. მივიღებთ:

სს "იბრაჰიმი" უწყისი N 1

ხელფასი იანვარი 2008 წ. განყოფილება: აპლკარბი


N	თანამშრომელი	თანა	საშუალო
1	გაბია ..	100.00	
2	გაბია ..	255.00	
	ჯამი	355.00	

ი. ვაჟაძე _____ თ. კარსელია _____
 ბაჟაძელია _____

აქ უკვე მოცემულია ის ინფორმაცია, რაც ესაჭიროება ხელფასის გამცემს (მაგა-
 ლითად, მოღარეს) – მხოლოდ გვარები და გასაცემი ხელფასები.

ამ ფორმასაც ვებეჭდავთ ღილაკის გამოყენებით და ისევ ვებრუნდებით წინა
 ფანჯარაში.

როგორც ადრე იყო ნათქვამი, როდესაც თანამშრომლების რაოდენობა დიდია,
 შეიძლება მათი გაერთიანება განყოფილებებში. ბეჭდვის ფანჯრიდან შესაძლებე-
 ლია განყოფილებების ამორჩევა და ცალკე დაბეჭდვა, ან ყველა განყოფილების
 ერთად დაბეჭდვა.



დანარჩენი ბრძანებების დანიშნულება ნათლად ჩანს მათივე დასახელებიდან.

ბეჭდვის ფანჯარაში მოცემულია მეორე ჩანართი "თანამშრომლის ბარათი",
 რომლის გააქტიურებით ეკრანზე გამოდის თანამშრომლების სია. ამ ფანჯრიდან
 შესაძლებელია ერთი კონკრეტული პიროვნებისათვის დარიცხვისა და ხელფასის

იგივე ფორმების გამობეჭდვა, რაც ზემოთ იყო განხილული, მხოლოდ ფორმაში მარტო ეს თანამშრომელი იქნება შეტანილი.

ხელფასის უწყისი თანამშრომლის ბაზაში

მონაკრებული განყოფილება

N	განყოფილება	კატეგორია
1	გულალტერია	გაქრია ვ.
2	გულალტერია	გაქრია ი.

დარიცხვის ფორმა
 ხელფასის ფორმა
 თანამშრომლის ბაზაში

მაგალითად, თუ ავირჩევთ გეგიას, გავააქტიურებთ ველს “დარიცხვის ფორმა” და დავაჭერთ OK-ს, ეკრანზე მივიღებთ:

სს "იზირაში" ხელფასი


იანვარი 2008 წ. გულალტერია

NN	თანამშრომელი თანაფაგოვა	დარიცხვ. ულ.	ბეჭდვ. ულ.	შემვ. ულ.	სულ დარიცხვ. ულ.	დარიცხვ. ნდ. დანიანვ. დან.	საშემოს. კლ. რ.	კაშური დი. კატეგ.	ხელფაგ.	ხელფაგ. ულ.
3	გეგია ...	340.00			340.00	340.00	85.00	85.00	255.00	

ვხედავთ, რომ გამოსაბეჭდ უწყისში შეტანილია მხოლოდ გეგია.

როდესაც დავბეჭდავთ ყველანაირ ფორმას, უკვე შეიძლება დავხუროთ ბეჭდვის ფანჯარა და დავბრუნდეთ დარიცხვის ფორმაში.

ამრიგად, ჩვენ დავითვალეთ ხელფასი და დავბეჭდეთ სათანადო ფორმები, რითაც უკვე შესაძლებელი იქნება ხელფასის გაცემის დაწყება. მაგრამ, ცხადია, საჭირო იქნება შესაბამისი საბუღალტრო გატარებების შესრულებაც.

პროგრამის გამოყენებით შეიძლება შესრულდეს ხელფასთან დაკავშირებული დარიცხვების ყველა გატარების შესრულება (გასაცემი ხელფასის და გადასახდელი საშემოსავლოსი). ეს შეიძლება შესრულდეს ღილაკით  (გატარებები), რომელიც მოთავსებულია მენიუში "ხელფასის უწყისი".

ეკრანზე მივიღებთ ფანჯარას, რომელიც ასე შეეავსოთ:

გატარებები

თარიღი 31.01.2008

კრედიტი დებეტი

დოკ. N 1

გატარების ტიპი იანვრის ხელფასის დარიცხვა

ყველა განყოფილება მონაკრებული განყოფილება


OK Cancel

გატარების თარიღად როგორც წესი, უნდა ავირჩიოთ თვის ბოლო რიცხვი. დავაჭიროთ OK ღილაკს და შევასრულოთ ბრძანება.

ამის შედეგად შესრულდება დარიცხვების გატარებები, რომლებიც გადავა გატარებების ფანჯარაში

გავხსნათ გატარებების ფანჯარა და ვნახოთ, რა გატარებები შესრულდა.

თარიღი	საფა. ანგარიში	დასახელება [ღვ.]	საკრძ. ანგარიში	დასახელება [კრძ.]	თანხა
31.01.2008	7410	შრომის ანაზღაურება	3130	გადასახდელი ხელფასები	340.00
31.01.2008	1630	დაუმთავრებელი წარმოება	3130	გადასახდელი ხელფასები	133.34
31.01.2008	3130	გადასახდელი ხელფასები	3320 1	ერთიანი ანგარიში საგადასახადო ქ. (118.34


(თუ გატარებები არ გამოჩნდება, მაშინ გამოვიყენოთ ეკრანის განახლების ღილაკი - , ან დავაჭიროთ F9-ს).

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში შესრულდა სამი საბუღალტრო გატარება, რითაც დაფიქსირდა ორგანიზაციის გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც აისახება კიდევ შესაბამის ანგარიშებზე:

გადასახდელი ხელფასი (3130);

გადასახდელი საშემოსავლო (3320);

ხელფასთან დაკავშირებული შემდეგი ოპერაციაა ბიუჯეტში შესაბამისი დარიცხვების გაკეთება. ამისათვის უნდა შევადგინოთ შესაბამისი საგადასახადო დავალება საშემოსავლოს გადასარიცხად. მართალია, საჭირო თანხა - 118.34 ლარი ამ შემთხვევაში ზემოთ მოცემული გატარებებიდანაც ჩანს, მაგრამ საერთოდ, უმჯობესი იქნება ამ ინფორმაციის პოვნა ნაშთების ფანჯარაში. ამიტომ გადავიდეთ ანგარიშთა გეგმაში და გავხსნათ ნაშთები. ეკრანზე ვიხილათ:



დაუმთავრებელი წარმოება	133.34
მიმდინარე ვალდებულებები	2,473.34
მოქმედადინანი ვალდებულებები	2,355.00
მონ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2,000.00
ზ.ს. არგო	2,000.00
გადასახდელი ხელფასები	355.00
საგადასახადო ვალდებულებები	118.34
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	118.34
ერთიანი ანგარიში საგადასახადო ქ. თბილისის საბად.	118.34
ბრკელვადინანი ვალდებულებები	11,000.00
ბრკელვადინანი სასესხო ვალდებულებები	11,000.00
ბრკელვადინანი სესხები	11,000.00
საოპერატიო ხარჯები	340.00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	340.00
შრომის ანაზღაურება	340.00

ნაშთებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელფასთან დაკავშირებით ორგანიზაციას ასეთი ვალდებულებები წარმოექმნა:

- 3130 გადასახდელი ხელფასი 355
- საგადასახადო ვალდებულებები (ბიუჯეტში გადასახდელები):
- 3320 საშემოსავლო 118.34

ამასთან, დავაკვირდეთ, რომ 3320 ანგარიშზე უკვე გახსნილია ორგანიზაციის სახეობის ანგარიშები, რაც გავვიადვილებს საგადასახადო დავალების შედგენას და შესაბამისი გატარების შესრულებას - საჭირო აღარ გახდება ორგანიზა-


ციის სახეობის ანგარიშის დამატება. შეიძლება მოგვიხდეს მხოლოდ ორგანიზაციის მონაცემებში დამატებითი მონაცემების შეტანა.

ამ მიზნით, გავხსნათ ორგანიზაციების სია.

როგორც მე-6 თავიდან (ორგანიზაციების სახეობის ანგარიშები) გვახსოვს, ორგანიზაციების მონაცემები შენახულია სიაში, რომელშიც შესვლა შეიძლება მენიუდან: **ფონდები / ორგანიზაციები**.



ამ ბრძანების შედეგად, ეკრანზე მივიღებთ იმ ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს ჩვენს ორგანიზაციას და გვსურს მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის შენახვა (ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო მონაცემები, მისამართი, ტელეფონი და ა.შ.)



როგორც ვხედავთ, ამ ფანჯარაში ჩანს ჩვენს მიერ ადრე დამატებული ორგანიზაციები და ასევე, იმ ორგანიზაციის დასახელება "ეროვნული ანგარიში საბაზისის საბაზისი (ქ. თბილისის საბაზისის ინსპექცია)", სადაც უნდა მოხდეს საბიუჯეტო გადასახადების გადარიცხვა.

შეინიშნავთ, რომ ამ ორგანიზაციის დასახელება ავტომატურად ფორმირდება ორგანიზაციების სიაში, როდესაც ვიწვევთ ყოველი ახალი ორგანიზაციის ბუღალტერიის წარმოებას. დანარჩენი ორგანიზაციების სახელებს (დებიტორ-კრედიტორების) კი ჩვენ თვითონ ვამატებთ მუშაობის პროცესში.

ამასთან, როგორც ჩანს, პროგრამაში უკვე შეტანილია თანხის მიმღები ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი საბანკო მონაცემები (ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, კოდი, ანგარიშის ნომერი ხაზინაში).

დაეხურეთ ფანჯარა და გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე - საგადახდო დავალებების შევსებაზე.

მაგალითი: შევადგინოთ საგადახდო დავალება, რომლის მიხედვითაც, თიბისი ბანკიდან მოხდება ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა.

ამისათვის გამოვიყენოთ ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

ოპერაციები / პირველადი დოკუმენტები.

ეკრანზე ვიხილავთ ჩვენს მიერ ადრე, წინა თავებში შექმნილ საგადახდო დავალებების ფორმების ჩამონათვალს:

მ	გადახდული	გადახდულის ბანკი	მიმღები	მიმღების ბანკი	თანხა	სადა
1	2 სააპირი საზოგადოება	TBC ბანკი	შპს "არბო"	ტბს ბანკი	500.00	გადახდილია მომწოდებელს
1	3 სს "თიბისი"	ბანკი ქართლ	შპს ზორნაძე	საფოსტო ბანკი	2,400.00	მასალის აკრედიტალი
4	სს "თიბისი"	ბანკი ქართლ	შპს ზორნაძე	საფოსტო ბანკი	2,400.00	მასალის აკრედიტალი

დავამატოთ ახალი საგადახდო დავალება. ეკრანზე მივიღებთ ნახევრად შევსებულ ფორმას:

დავალება

საგადახდო დავალება N:

თარიღი:

გადახდულის დასახელება:

ანგარიში (დავატი)

გადახდულის ბანკი:

ბანკის კოდი:

იხსნება მხოლოდ სახელმწიფო საზღვარს გარეშე მდრის

გადასახადის გადახდულის დასახელება:

გადასახადის გადახდულის საიდენტიფიკაციო კოდი:

მიმღების დასახელება:

ანგარიში (კრედიტი)

მიმღების ბანკი:

ბანკის კოდი:

გადახდის დანიშნულება:

დაგადახდის ინფორმაცია:

P01 = თანხა

თანხა სიმბოლოთი


ბანკი ანგარიშზე ასახვის თარიღი

შეასრულოთ გატარება


OK Cancel შემდეგი >>


გადახდულის - ანუ ჩვენი ორგანიზაციის მონაცემები ავტომატურად აისახა ფორმაში.

როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, თუ ფორმის შევსებასთან ერთად გვსურს შემდგომი გატარების შესრულებაც, მაშინ ორგანიზაცია ავირჩიოთ ანგარიშთა


გეგმიდან, რისთვისაც გამოვიყენოთ ველის “ანგარიში (კრედიტი)” ბოლოში მოთავსებული  ღილაკი.

გადავალთ ანგარიშთა გეგმაში, სადაც უნდა ავირჩიოთ 3320 ანგარიშის ქვეანგარიში “ერთიანი ანგარიში საგადასახადო (ძ. თბილისის საგადასახადო ინსაჰეცია)”,



გადავიტანოთ ეს ორგანიზაცია საგადახდო დავალების ფანჯარაში OK ან  ღილაკის გამოყენებით:

შემდეგ შევიტანოთ თანხა, რომლის გაგება შეიძლება ორი მეთოდით:

1. ანგარიშთა გეგმიდან, ნაშთების ფანჯარაში;
2. უშუალოდ ამავე ფორმიდან. მაგალითად, თუ გვინტერესებს, საშემოსავლო გადასახადის რა თანხა არის გადასარიცხი (ანუ 3320 ანგარიშის ნაშთი), შეგვიძლია ვისარგებლოთ “ანგარიში (კრედიტი)-ს” გვერდით მოთავსებული  ღილაკით რის შედეგადაც მივიღებთ სურათს:

ანგარიში იმპორტირება

ანგარიში: 33201
 თარიღი: 31.01.2008
 კრედიტი: 80.80660
 ნაერთი
 ვალუტა: GEL

ფინანსური: 0
 ეკვივალენტი: 0
 კრედიტი: 118.34
 ეკვივალენტი: 118.34

Cancel

როგორც ვხედავთ, ამ ანგარიშზე ნაშთი შეადგენს 118.34 ლარს. ფინანსურის სვეტში, კრედიტის უჯრაზე მაუსის დაწკაპუნებით გადავიტანოთ ეს თანხა საგადახდო დავალების შესაბამის უჯრაში.

დავალებაში ასევე შესატანი იქნება შესაბამისი სახაზინო კოდები.

საბოლოოდ, გამზადებული საგადახდო დავალება მიიღებს ასეთ სახეს:

კომპიტირება

საგადახდო დავალება N: 3
 თარიღი: 31.01.2008

გადახდელის დასახელება: სს "იმერეთი"
 ანგარიში (ვალუტა): 12345
 გადახდელის ბანკი: ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: 220101830

იხსნება გზით: სახელმწიფო საოიენაო გადასახადის დროს
 გადასახადის გამომწველის დასახელება: სს "იმერეთი"
 გადასახადის გამომწველის საიდენტიფიკაციო კოდი: 220220220 სახაზინო კოდი: 1-5... 6-9...

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში საგადახდო ქ. თბილისის საგადახდო
 მიმღების ბანკი: ანგარიში (კრედიტი): 200122900 ბანკის კოდი: 220101222

გადახდის დანიშნულება: იანარის საშემოსავლო გადასახადი
 დაგაბანიტი ინფორმაცია:

პ01 = თანხა: 118.34
 თანხა სტრუქტურით:
 ასომკრედიტი ლარი და 34 თეთრი
 ბანკში ანგარიშზე ასახვის თარიღი:
 გვიანდელი გატარება

OK Cancel


შეესებული ფორმა უნდა გამოიბეჭდოს, რისთვისაც გამოვიყენოთ ბეჭდვის დილაკი . ეკრანზე ვიხილავთ ფორმის მაკეტს, რომელიც დათვალიერების შემდეგ შეიძლება იგივე დილაკით საბოლოოდ გამოიბეჭდოს პრინტერზე. ბეჭდვის შემდეგ ისევ დავბრუნდებით საგადახდო დავალების ფორმაში.

ამ ფორმის გამოყენებით მაშინვე შეიძლება შესრულდეს შესაბამისი საბუღალტრო გატარებაც, ან ამჯერად ფორმა დაიხუროს, მოგვიანებით ისევ გაიხსნას (როდესაც ცნობილი გახდება, რომ ბანკმა გადარიცხვა მოახდინა) და მაშინ შესრულდეს გატარება.

ცხადია, საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვის ოპერაციის საბუღალტრო გატარებას ასეთი სახე ექნება

დებეტი	3320 1 საშემოსავლო გადასახადი (ერთიანი ანგარიში)	118.34
კრედიტი	1210 "თიბისი" ბანკი	118.34

საგადახდო დავალების გამოყენებით გატარების შესასრულებლად უნდა მოვნიშნოთ ველი "შევასრულოთ გატარებები"



მის ქვემოთ გამოტანილ ფანჯარაში გამოვა აწყობილი გატარება:

თარიღი	4.02.2008	პროექტი	მთ.წიბნი
დებეტი	ერთიანი ანგარიში საბაღსახალო (ქ. თბილისის საბაღსახალო)	კრედიტი	ჩემი თანხა (ლორეს)
3 3 20 1	ერთიანი ანგარიში საბაღსახალო (ქ. თბილ 1 2 10 1	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბა 0	118.34

(საკრედიტო ანგარიშში ბანკის შეცვლა იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჭირო, როდესაც წინა გადარიცხვა სხვა ბანკიდან შესრულდა. ახალ ფორმაში, საკრედიტო ანგარიშში ავტომატურად მეორდება ბოლოს გამოყენებული ბანკის ანგარიში. ჩვენს შემთხვევაში, წინა გადარიცხვა განხორციელდა ბანკი ქართუდან, ამიტომ საჭირო გახდება მისი შეცვლა თიბისი ბანკის ანგარიშით. ამისათვის გამოვიყენოთ საგადახდო დავალებაში, ჩვენი რეკვიზიტების არეში არსებული "ანგარიში დებეტი"-ს გვერდით მდებარე ღილაკი)

ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ფორმაში მოცემულია ორი თარიღი, რომელიც უნდა შეავსოს მომხმარებელმა. ფორმის ზედა ნაწილში შეიტანება ფორმის შევსებისა და გამობეჭდვის თარიღი, ხოლო ქვედა ნაწილში, გატარების ზემოთ თარიღის უჯრაში შედის თანხის გადარიცხვის თარიღი (ანუ ოპერაციის რეალურად მოხდენის თარიღი).

საბოლოოდ, OK ღილაკზე დაჭერით დაიხურება ფორმა და გატარებაც შესრულდება.

ბანკიდან (მაგალითად თიბისი ბანკიდან) ხელფასის თანხების გამოტანის გატარება შეიძლება ასეთი იყოს:

- დ. 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
- კრ. 1210 თიბისი ბანკი
- თანხა: მაგალითად 500 ლარი

რაც შეეხება სალაროდან ხელფასის გაცემას, მისი გატარება შეიძლება შესრულდეს ერთი ჯამური გატარებით:

- დ. 3130 გადასახდელი ხელფასები
- კრ. 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
- თანხა: გაცემული ხელფასის თანხა

ეს გატარებები შეიძლება ჩვეულებრივი გზით შესრულდეს საბუღალტრო გატარებების ფანჯარაში (ან შემოსავალ-გასავლის ორდერების შევსებით და ავტომატური გატარებებით) და ამიტომ მას აღარ განვიხილავთ.


ამით ხელფასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია დასრულებულია.


თანამშრომლების ამოგდება უწყისიდან

ხშირია შემთხვევები, როდესაც აუცილებელი არაა კადრების სიაში არსებულ ყველა თანამშრომელზე ხელფასის ყოველთვიურად დარიცხვა და გაცემა. კადრების სიაში შეიძლება არსებობდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც არა რეგულარულად, არამედ პერიოდულად იღებენ ხელფასს გარკვეული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში.


მაგალითი: თებერვლის თვეში მხოლოდ ბუკიას დაერიცხა კუთვნილი ხელფასი.


ასეთ შემთხვევაში, საჭირო ხდება უწყისიდან (მაგრამ არა კადრების სიიდან) გეგიას ამოგდება, რომელიც ასეთი წესით მოხდება:


1. ჩვეულებრივად დავიანგარიშოთ თებერვლის ხელფასი. ხელფასის უწყისში მოხდება ორივე თანამშრომელი.
2. ხელფასის დათვლილ უწყისში მონიშნოთ გეგიას სტრიქონი და მის ამოსაგდებად გამოვიყენოთ ღილაკი  (თანამშრომლის ამოგდება უწყისიდან)
3. შეკითხვაზე “ამოვადლოთ უწყისიდან?”, თანხმობის ნიშნად დავაჭიროთ OK-ზე.



4. გამოვა მითითება, რომ საჭიროა ხელფასის ხელახალი დაანგარიშება:



- OK ღილაკზე დაჭერით დავეთანხმეთ ამ შეტყობინებას. უწყისში გვეიას გვარი მონიშნება წითელი ფერით.
-  ღილაკის გამოყენებით ხელახლა დავითვალოთ თებერვლის ხელფასი. გამოვა შეტყობინება, რომ ამ თვის ხელფასი ერთხელ უკვე დათვლილია და შეიცვალოს თუ არა ძველი უწყისი, რაზეც მივცეთ დასტური OK ღილაკზე დაჭერით



მართალია, გვეიას გვარი ისევ დარჩება უწყისში, მაგრამ მის გასწვრივ აღარ ჩანს რიცხვითი მონაცემები.



ა	თანამშრომელი	დარბისული	ბიულეტენი	პრაქტიკა	შვანგულება	სულ	დარიც	დარიცხვლ და	საშემოსავლი	ჯამური დააკ ხელფა
გვარია		133.34				133.34	133.34	33.34	33.34	100.00
გვარი										

თუ გადავალთ უწყისების დაბეჭდვაზე, იქ უკვე გვეიას გვარი აღარ იქნება. ცხადია, მას გატარებებიც აღარ შეეხება.

თანამშრომლის აღდგენა უწყისში

მაგალითი: მარტის თვეში ბუკიას და გვეიას ჩვეულებრივად დაერიცხათ კუთვნილი ხელფასები.

ამ ოპერაციის შესრულების თანმიმდევრობა ასეთია:

- ეკრანზე გამოვიტანოთ წინა უწყისი, რომელშიც ამოგდებულია გვეიას გვარი
- მოვნიშნოთ უწყისში გვეიას სტრიქონი და  ღილაკის (თანამშრომლის აღდგენა უწყისში) გამოყენებით აღვადგინოთ გვეია უწყისში. მის ჩანაწერში გვარი, რომელიც წითელი ფერის იყო, მიიღებს ჩვეულებრივ ფერს
-  ღილაკის გამოყენებით დავიანგარიშოთ მარტის ხელფასი. უწყისში უკვე გაჩნდება გვეიას მონაცემები. დანარჩენი გაგაკეთოთ ჩვეულებრივად, როგორც იანვრის ხელფასის დათვლის დროს.

თუ სასურველი არაა კადრების სიაში ისეთი თანამშრომლების გვარების გამოტანა, რომელთაც მიმდინარე თვეში არ ეძლევათ ხელფასი, შეიძლება ფილტრის გამოყენება, რომლის დანიშნულება შემდგომში იქნება განხილული.

საშარჰოშო 9.

გახსენით ორგანიზაცია Vake და შეასრულეთ ოპერაციები:

მიმდინარე წლის იანვრის თვეში დაირიცხა ხელფასები შემდეგ თანამშრომლებზე:

1. მელაძე 350 ლარი, ადმინისტრაციული, ბუღალტერიის განყოფილება
2. ბერიძე 250 ლარი, ადმინისტრაციული, ბუღალტერიის განყოფილება
3. კაკაბაძემ ხელზე უნდა მიიღოს 150 ლარი, მუშა, განყოფილება - ბეტონის საამქრო
4. შეავსეთ ბარათები, მოახდინეთ ხელფასის დაანგარიშება, დაბეჭდეთ დარიცხვისა და ხელფასის ფორმები, შეასრულეთ დარიცხვის გატარებები.
5. რამდენია გადასახდელი ხელფასი? (-----), გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი (-----)?
6. საშემოსავლოს გადასარიცხად შეადგინეთ საგადახდო დავალების ფორმა და მისივე საშუალებით შეასრულეთ შესაბამისი გატარება. თანხა დარიცხვით ინტელექტუალურიდან
7. სალაროდან სრულად გაიცა თანამშრომლებზე კუთვნილი ხელფასი

თავი 13.2. ხელფასების გადაკეთება

როგორც აღნიშნული იყო, პროგრამაში ხელფასის სისტემა ღიაა და ორგანიზაციის კონკრეტული საჭიროების, ან კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოდიფიკაციის განხორციელება.

ამ მიზნით ხელფასის მენიუში მოცემულია დამატებითი ბრძანებები:



განვიხილოთ მხოლოდ დარიცხვები (საშემოსავლოს ცხრილი და დაუბეგრავი მინიმუმი 2005 წლიდან აღარ გამოიყენება). მისი არჩევით მივიღებთ:

უწყისი	იხვ	დარიცხვა	ფორმული	ფორმულა	ბაზარება		
					დღეობი	კრედიტი	მეც.
<input type="checkbox"/>		ინდივიდუალური	S10	= 0			
<input type="checkbox"/>		დღეობი მიმდევრობა	S27	= 20			
<input type="checkbox"/>		დღეობი წინა თვეში	S01	= 20			
<input checked="" type="checkbox"/>		დარიცხვები	S02	= A			
<input checked="" type="checkbox"/>		ბოლოდან	S03	= B*last(Z)/S01			
<input type="checkbox"/>			S30	= 0<C=C*(S27-J)>0			
<input type="checkbox"/>		შეზღუდვ. დ. მოვლა		= S30<0=>S30			
<input type="checkbox"/>		მიმდევრობა	S15	= month()			
<input type="checkbox"/>		ინდივიდუალური	S16	= choose(S15=1,values(1,10,3),0)			
<input type="checkbox"/>		თვითნებური	S17	= choose(S15=2,values(1,1,1)+values(1,11,2),0)			
<input type="checkbox"/>		ბარტისთი	S18	= choose(S15=3,values(1,1,2)+values(1,12,1),0)			
<input type="checkbox"/>		ბარტის ბარა	S19	= choose(S15>3,values(1,S15-3,3),0)			
<input type="checkbox"/>		ჯამური საბი თვე	S31	= S16+S17+S18+S19			
<input checked="" type="checkbox"/>		შეზღუდვა	S04	= 0<C=S31/3/25.4*C>0			
<input type="checkbox"/>		თვის დარიცხვები	S29	= 0<J=A/S27>A			
<input checked="" type="checkbox"/>		სულ დარიცხვები Z	Z	= choose(J = 0 and C => S27, S04, S29+S03+S04)			
<input type="checkbox"/>		ადმინისტრის	S05	= Z*(1-D)	7410	3130	3
<input type="checkbox"/>		არა ადმინისტრის	S06	= Z*D	1630	3130	3
<input checked="" type="checkbox"/>		დარიცხვ. ფლ. დასაწყის	S07	= sum(Z)			
<input type="checkbox"/>		თუ 1500-ზე მეტია	S20	= choose(F = 1 and 1500 => S07, 0, Z*25/100)			
<input type="checkbox"/>			S08	= choose(F = 1 and S07 > 1500, (S07 - 1500)*25/100, S20)			
<input type="checkbox"/>			S09	= choose(F = 1 and (S07 - Z) > 1500, Z*25/100, S08)			
<input type="checkbox"/>		თუ 3000-ზე მეტია	S14	= choose(G = 1 and 3000 => S07, 0, S09)			
<input type="checkbox"/>			S24	= choose(G = 1 and S07 > 3000, (S07 - 3000)*25/100, S14)			
<input type="checkbox"/>			S25	= choose(G = 1 and (S07 - Z) > 3000, Z*25/100, S24)			
<input type="checkbox"/>		თუ მაღალ 800. რამ 50	S26	= choose(H = 1 and 3000 => S07, Z*25/100*0.5, S25)			
<input type="checkbox"/>			S28	= choose(H = 1 and S07 > 3000, ((Z-(S07-3000))*12.5/100)+(S07-3000)*25/100, S25)			
<input checked="" type="checkbox"/>		საშემოსავლო	Y	= choose(H = 1 and (S07 - Z) > 3000, Z*25/100, S28)	3130	3320	1
<input checked="" type="checkbox"/>		ჯამური დაკავება	S23	= Y			
<input type="checkbox"/>		ხელფა	S21	= Z-S23			
<input checked="" type="checkbox"/>		ხელფა	S22	= 0<(E=nessel(A,E,S21))>S21			

დარიცხვები წარმოადგენს ხელფასის სისტემის ძირითად კომპონენტს. მასში მოცემულია ხელფასის დაანგარიშების მათემატიკური მოდელი და შესასრულებელი გატარებები.

ფანჯარა შედგება შემდეგი სვეტებისაგან:

დარიცხვა: მასში მოცემულია იმ სვეტების სათაურები, რომლებიც გამოიყენება ხელფასის დარიცხვის უწყისის ნაბეჭდ ფორმაში, რაც ჩვენ უკვე ვიხილეთ ამ თავში. თუ გავიხსენებთ ამ ფორმას, მას ასეთი სახე ჰქონდა:

სს "იმერეთი"
ხელფასი

იანვარი 2008 წ. განყოფილება: გულაღბიანი

NN No	თანამშრომელი თანაფაჩი	დარიცხული	მიღებული	შეფარება	სულ დარიცხული	დარიცხულ დასაწყადან	სამშრომლო რ	ჩამოღი და აქვება	ბალანსი	სალონო
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1	ბუჩია ..	133.34			133.34	133.34	33.34	33.34	100.00	
2	ვახია ..	340.00			340.00	340.00	85.00	85.00	255.00	
	ჯამი	473.34			473.34	473.34	118.34	118.34	355.00	

როგორც ვხედავთ, უწყისში მოცემულია მხოლოდ ის სვეტები, რომელთა შესაბამისი სტრიქონები მონიშნულია დარიცხვების ფანჯარაში. ასევე მაგალითად, დარიცხვების პირველივე სტრიქონია "დღეები მიმდ. თვეში", რომელიც უწყისში არ ჩანს. მაგრამ ამის მიუხედავად, ამ სტრიქონში მოთავსებული ფორმულის მონაცემები მაინც მონაწილეობს შემდგომ გამოთვლებში.

უწყისი:

ამ სვეტში მოთავსებული კვადრატები შესაძლებელია მონიშნოს, ან გადაინიშნოს. მაგალითად, თუკი მოვნიშნავთ პირველივე სტრიქონში მოთავსებულ კვადრატს, მაშინ ხელფასის დარიცხვის უწყისში პირველივე სვეტად ჩაემატება ახალი სვეტი, რომლის სათაური იქნება "დღეები მიმდ. თვეში", ხოლო ამ სვეტში რიცხვითი მნიშვნელობა ყველგან იქნება დარიცხვებში არსებული ფორმულის შედეგი, ამ შემთხვევაში, რიცხვი - 20.

სს "იმერეთი"
ხელფასი

იანვარი 2008 წ. განყოფილება: გულაღბიანი

NN No	თანამშრომელი თანაფაჩი	დღეები მიმდ. თვეში	დარიცხული	მიღებული	შეფარება	სულ დარიცხული	დარიცხულ დასაწყადან	სამშრომლო რ	ჩამოღი და აქვება	ბალანსი	სალონო
1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
1	ბუჩია ..	20.00	133.34			133.34	133.34	33.34	33.34	100.00	
2	ვახია ..	20.00	340.00			340.00	340.00	85.00	85.00	255.00	

ცვლადი:

პროგრამა გამოთვლების ჩასატარებლად იყენებს ფორმულებს, რომელთა გამოთვლების შედეგები უნდა მიენიჭოს რაიმე ცვლადს, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება სხვა ფორმულებშიც. ამისათვის გამოიყენება ცვლადები S01, S02, S03 და ა.შ. ცვლადის სახელში გამოიყენება დიდი ლათინური ასოები და ციფრები. ცვლა-

დებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ სვეტების დასახელებები, რომლებიც მოცემული იყო კადრების ფანჯარაში A, B, C ... Y, Z. მაგალითად დარიცხვების ფორმულებში მოცემულია ასეთი სტრიქონი:

სულ დარიცხული Z = choose(J = 0 and C => S27, S04, S29+S03+S04)

ეს ნიშნავს, რომ ხელფასის დაანგარიშების დროს კადრების ფანჯარაში თითოეული თანამშრომლის ბარათის ბოლო Z სვეტში შეიტანება რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც გამოიანგარიშება ცოლობის ნიშნის შემდეგ მოთავსებული ფორმულის მიერ. ამასთან, რადგან ამ სტრიქონში მონიშნულია კვადრატი, დასახელება "სულ დარიცხული" და ფორმულის შედეგიც შეიტანება დარიცხვის ფორმაში

სს "იპერთი"
ხელფასი

იანვარი 2008 წ.

NN No	თანამშრომელი თსაფაბრიკა	დღები მუღ. დ.თვეში	დარიცხული	მუღ.პენი	შეგ.ულ.ცა	სულ დარიცხული
		1	2	3	4	5
1	ბაბია ...	20.00	133.34			133.34
2	მეზია ...	20.00	340.00			340.00

ფორმულა: გამოთვლებში ფორმულა იყენებს ცვლადებს, სვეტების დასახელებებს კადრებიდან, ფუნქციებს, პირობით გამოსახულებებს და არითმეტიკული ოპერაციების ნიშნებს. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ სტრიქონში მოცემული ფორმულა S29+S03+S04 ანგარიშობს სამი ცვლადის (მათ უკვე მინიჭებული აქვთ რაიმე მნიშვნელობები) ჯამს და იგი თავის მხრივ, გამოიანგარიშებულ მნიშვნელობას Z ცვლადს ანიჭებს.

ფორმულა ასევე იყენებს ფუნქციებსაც. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ სტრიქონში გამოიყენება ფორმულა

ბიულეტენი S03 = B*last(Z)/S01

ეს ფორმულა ასე უნდა გავიგოთ: კადრების ფანჯრის B სვეტში მოთავსებული მნიშვნელობა (ბიულეტენის დღეების რაოდენობა) მრავლდება იმ რიცხვზე, რომელსაც ფუნქცია last(Z) იძლევა, შედეგი კი იყოფა S01 ცვლადზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მიმდინარე თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობას.

რაც შეეხება ფორმულებში გამოყენებულ ფუნქციებს, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. მათი დაწვრილებითი აღწერა იხილეთ კომპანია "ორისის" მიერ გამოშვებულ მომხმარებლის სახელმძღვანელოში.

გატარება: ფორმულების მიერ გამოიანგარიშებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი გატარების ავტომატური შესრულების მიზნით. ამიტომ ზოგიერთ სტრიქონში მოცემულია გატარებისათვის

საჭირო სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები. მაგალითად, დარიცხული ჯამური ხელფასის ბუღალტრული გატარება ასეთი იქნება:

დ. 7410 (ან 1630) კრ 3130 თანხა Z ცვლადიდან

ქვემოთ მოცემული სტრიქონები ამ გატარებების შესრულებას ემსახურება:

<input checked="" type="checkbox"/>	სულ დარიცხული Z	= choose(J = 0 and C => S27 , S04 , S29+S03+S04)		
<input type="checkbox"/>	ადვინსტრ-ის S05	= Z*(1-D)	7410	3130
<input type="checkbox"/>	არა ადვინსტრ-ის S06	= Z*D	1630	3130

როგორც აღვნიშნეთ, პირველ სტრიქონში გამოიანგარიშება ჯამური დარიცხული ხელფასი, რომლის მნიშვნელობა მიენიჭება Z ცვლადს. მომდევნო ორ სტრიქონში მოთავსებული ფორმულები შესაბამისი გატარებების შესრულებას ემსახურება შემდეგი წესით:

როგორც გვახსოვს, კადრების ფანჯარაში D სვეტში შეიტანება რიცხვითი მნიშვნელობა 1 ან 0. რიცხვი 0 (ან არაფერი) შეიტანება იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომელზე დარიცხული ხელფასი უნდა მიეკუთვნოს საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებს, ე.ი. გატარდეს 7410 ანგარიშზე. თუკი D სვეტში შევიტანთ 1-ს, მაშინ ხელფასი მიეკუთვნება დაუმთავრებელ წარმოებას და დაირიცხება 1630 ანგარიშზე.

ამრიგად, თუ D სვეტში მოცემულია რიცხვი 1, მაშინ ფორმულა:

$$Z * D = Z * 1 = Z.$$

მოგვცემს ისევ Z ცვლადის მნიშვნელობას, ხოლო მის ზემოთ მოთავსებული ფორმულა:

$$Z * (1 - D) = Z * (1 - 1) = Z * 0 = 0$$

მოგვცემს 0-ის ტოლ რიცხვით მნიშვნელობა. ამიტომ, ამ შემთხვევაში შესრულდება მეორე გატარება (პირველი გატარება ნულოვანი თანხით საერთოდ არ შესრულდება).

ანალოგიურად, თუკი D სვეტში მოცემულია მნიშვნელობა 0, მაშინ მეორე გამოსახულება $Z * D$ მიიღებს 0-ის ტოლ მნიშვნელობას, ხოლო $Z * (1 - D)$ კი ისევ Z-ის ტოლს. ამიტომ, ამ შემთხვევაში შესრულდება პირველი გატარება.

თუ გატარებაში საჭიროა სხვა ანგარიშების გამოყენება, შეიძლება ამ ანგარიშების ველში ანგარიშთა გეგმის ჩამოშლა და შესაბამისი ანგარიშის არჩევა.

დარიცხვების ფანჯრის მარცხენა ნაწილში მოცემულია **უწყისების** (ხელფასის დაანგარიშების სქემების) დასახელება. ამჯერად ასეთი უწყისი ერთია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე სქემის შექმნა და მათი გამოყენებით ხელფასების დაანგარიშება.

დავიმახსოვროთ, რომ პრემიის მონაცემი შეტანილია K სვეტში და გადავიდეთ დარიცხვის ფორმულაში.

პრემიის მნიშვნელობა უნდა დაემატოს სხვა დარიცხულს (ხელფასი, ბიულეტენი, შევებულება). ამიტომ პრემიის შესაბამისი სტრიქონი ისეთ ადგილზე უნდა ჩაისვას, რომ მის ქვემოთ აღმოჩნდეს ჯამური ხელფასის დაანგარიშების ფორმულა $Z = \text{Choose}(\dots +S29+S03+S04)$.

ამ მიზნით მოვნიშნოთ აღნიშნული სტრიქონის ზემოთ ნებისმიერი სტრიქონი (მაგალითად, ბიულეტენი) და დავამატოთ ახალი ჩანაწერი. ეკრანზე მივიღებთ:

<input checked="" type="checkbox"/>	ბიულეტენი	S03	= B*last(Z)/S01
<input type="checkbox"/>		S10	=
<input type="checkbox"/>		S30	= 0<C=C*(S27-I)>0
<input type="checkbox"/>	შვავულ მომდევ. თვეში	J	= S30<0=0>S30
<input type="checkbox"/>	შვავულ წინა თვეში	S28	= last(Z)/S01*last(J)
<input checked="" type="checkbox"/>	შვავულა	S04	= C*A/S27

როგორც ვხედავთ, სტრიქონში ავტომატურად ჩაჯდა ახალი ცვლადი, მოცემულ შემთხვევაში - S10 (რომელიც გამოყენებული არ არის სხვა ფორმულაში). სვეტში "დარიცხვა" შევიტანოთ ტექსტი "პრემია". ამავე სტრიქონში გავააქტიუროთ "ნიშნის შემდეგ არსებული უჯრა და მასში ლათინური დიდი ასოებით შევიტანოთ კადრების ფანჯრის იმ სვეტის სახელი, რომლიდანაც უნდა იქნეს ამოღებული პრემიის მნიშვნელობა. როგორც გვახსოვს ეს K სვეტი იყო. ამასთან, მოვნიშნოთ კვადრატი, რათა პრემიის სვეტი ჩაჯდეს ხელფასის უწყისის გამონახულ ფორმაშიც.

საბოლოოდ, პრემიისათვის ასეთი სახის ჩანაწერი უნდა მივიღოთ:

<input checked="" type="checkbox"/>	ბიულეტენი	S03	= B*last(Z)/S01
<input checked="" type="checkbox"/>	პრემია	S10	= K

არც ეს იქნება საკმარისი. პრემიის მნიშვნელობა უნდა დაემატოს მიმდინარე თვის ჯამურ ხელფასს. ამ მიზნით უნდა მოვნიშნოთ შესაბამისი სტრიქონი.

სულ დარიცხული Z = choose(J = 0 and C => S27, S04, S29+S03+S04)

გავააქტიუროთ ფორმულის უჯრა (მხოლოდ ერთხილად უნდა ვიყოთ, რომ ფორმულა არ წაიშალოს!) და მას ბოლოში მიუმატოთ ცვლადი S10 (ან K).

სტრიქონმა ასეთი სახე უნდა მიიღოს:

სულ დარიცხული Z = choose(J = 0 and C => S27, S04, S29+S03+S04+S10)

ამით ხელფასის გადაკეთება დამთავრებულია. დილაკის (შენახვა) გამოყენებით დავიმახსოვროთ შეცვლილი ფორმულები და დავხუროთ დარიცხვების ფანჯრა.

თუკი ამის შემდეგ დავიანგარიშებთ აპრილის ხელფასს და დავათვალიერებთ დარიცხვის ფორმას, ვიხილავთ სურათს:

სს "იზირატი"

ხელფასი

იანვარი 2008 წ.

განმყოფილება: გუდაუპატარია

NN No	თანამშრომელი თანამდებობა	დარღვეული	შეუღებელი	პრემია	გვან უღებელი	სულ დარღვეული	დარღვეული დასაფასდება	საშემოსავლო	საშემოსავლო დასაფასდება	სულ დასაფასდება	ხელფასი	სულ ხელფასი
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ბაბია ..	133.34				133.34	133.34	33.34	33.34	100.00		
2	მეზია ..	340.00		200.00		540.00	540.00	135.00	135.00	405.00		
	ჯამი	473.34		200.00		673.34	673.34	168.34	168.34	505.00		

როგორც ვხედავთ, ფორმაში უკვე დამატებულია პრემიის სვეტი, რომელშიც მოცემულია შესაბამისი მნიშვნელობები, ამასთან, სვეტში "სულ დარიცხული" მოცემულია ხელფასისა და პრემიის ჯამები.

2. შემთხვევა, როდესაც რამდენიმე სახის პროდუქტი იწარმოება და საჭიროა პერსონალზე დარიცხული ხელფასების განაწილება (მიკუთვნება) ცალკეულ პროდუქტებზე:

მაგალითად, გვაქვს ორი პროდუქტის წარმოება – წიგნი და ჟურნალი.

ანგარიშთა გეგმაში, 1630-ზე წინასწარ უნდა გავხსნათ ფინანსური ანგარიშები:

1630	აქტ	დაუმთავრებული წარმოება
1630 1	აქტ	წიგნი
1630 2	აქტ	ჟურნალი

დავამატოთ ხელფასი/კადრებში ორი თანამშრომელი:

1. კეკელიძე, რომელიც მუშაობს წიგნზე და მისი ხელფასი უნდა გატარდეს 1630 1-ზე და
2. ვასაძე, რომელიც მუშაობს ჟურნალზე და მისი ხელფასი უნდა გატარდეს 1630 2-ზე

კადრების ფანჯარაში, თავისუფალ სვეტებში (მაგალითად K და L) შევიტანოთ სვეტების შესაბამისი დასახელებები:

K	L
წიგნი	ჟურნალი

კეკელიძის ბარათის K სვეტში რომელიმე თვის გასწვრივ, მაგალითად იანვარში შევიტანოთ 1, ხოლო L-ში არაფერი (ან 0). ამით პროგრამას მივანიშნებთ, რომ კეკელიძის ხელფასი მიეკუთვნება წიგნის დამზადების ხარჯებს. დანარჩენი სვეტები ასეთი სახით შევავსოთ:

თვე	A	D	K	L
	დარიცხული	ადმინისტრაცია	წიგნი	ქურნალი
იანვარი	300		1	

გასაძის ბარათში კი პირიქით, K-ში არაფერი (ან 0), ხოლო L-ში 1.

თვე	დარიცხული	ადმინისტრაცია	წიგნი	ქურნალი
იანვარი	250			1

ამის შემდეგ უნდა შევცვალოთ ხელფასის გამოანგარიშების ფორმულები (დარიცხვები).

გავხსნათ **ხელფასი/დარიცხვები**. ჩავამატოთ და გადავაკეთოთ სტრიქონები, როგორც ეს მოცემულია სქემაზე (მონიშნულია წყვეტილი ხაზებით).

<input type="checkbox"/>	ადმინისტრ-ის	S05	= Z*D	7410	3130
<input type="checkbox"/>	არა ადმინისტრ-ის	S06	= Z*(1-D)*K	1630 1	3130
<input type="checkbox"/>	არა ადმინისტრ-ის	S40	= Z*(1-D)*L	1630 2	3130
<input checked="" type="checkbox"/>	დარიცხვების ჯამი	S07	= sum(Z)		
<input checked="" type="checkbox"/>	დაუპაირობარი წლ. დას.	S08	= minsal(Z)*(1-E)		
<input type="checkbox"/>	თუ 3000-ზე მეტია	S24	= 3000<S07-S08=S07-3000-S08>0		
<input checked="" type="checkbox"/>	საშემოსავალ ჯამ ხაზ	S09	= 0<H=tax(S24)>tax(S07-S08)*(1-F)+S07*F*2I		
<input checked="" type="checkbox"/>	საშემოსავალ	Y	= 0<Z=S09-sum(Y)+Y>0	3130	3320 4
<input type="checkbox"/>	სომ. და ფ. ზ. გადასახ.	S11	= Z*31/100		
<input type="checkbox"/>	16 ლარი	S25	= S11<16=16>S11		
<input type="checkbox"/>		S26	= 0<Z=S25>0		
<input type="checkbox"/>	ადმინისტრ-ის	S12	= S26*D	7410	3370 1 1
<input type="checkbox"/>	არა ადმინისტრ-ის	S13	= S26*(1-D)*K	1630 1	3370 1 1
<input type="checkbox"/>	არა ადმინისტრ-ის	S14	= S26*(1-D)*L	1630 2	3370 1 1
<input checked="" type="checkbox"/>	სომ. და ფ. ზ. ერთ. სახ.	S20	= Z*27/100	3130	3370 1 3
<input checked="" type="checkbox"/>	ჯამური დაკავება	S23	= Y+S20		
<input type="checkbox"/>	ხელჯე	S21	= Z-S23		
<input checked="" type="checkbox"/>	ხელჯე	S22	= 0<G=nessal(A,G,S21)>S21		

თავი 14. პროექტები

პროექტის ცნება ძალზედ ფართოა და მისი გამოყენება პროგრამაში მრავალი დანიშნულებითაა შესაძლებელი. მაგალითად, პროექტით სარგებლობა შეუძლიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად გრანტების საფუძველზე არსებობენ და ამიტომ გააჩნიათ დაფინანსების სხვადასხვა წყაროები. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დონორებისაგან მიღებულ ცალკეულ გრანტებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების როგორც განცალკევებულად, ასევე მთლიანობაში აღრიცხვა.

მაგალითი: ორგანიზაციამ მიიღო ორი დაფინანსება (ერთი და იგივე ან განსხვავებული წყაროსაგან).

პროექტი 1 – “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი” - 100 000 ლარი, რომელიც ჩაირიცხა თიბისი ბანკში.

პროექტი 2 – “რეგიონების განვითარების პროექტი” - 50 000 ლარი, რომელიც ასევე ჩაირიცხა თიბისი ბანკში.

ცხადია, შესაბამის საბუღალტრო გატარებებს ასეთი სახე ექნება:

პროექტი 1

დებეტი	1210 1 თიბისი ბანკი	100 000 ლარი
კრედიტი	5490 სხვა რეზერვები და დაფინანსება	100 000 ლარი

პროექტი 2


დებეტი	1210 1 თიბისი ბანკი	50 000 ლარი
კრედიტი	5490 სხვა რეზერვები და დაფინანსება	50 000 ლარი

ეს ოპერაციები შემდეგი თანმიმდევრობით შევასრულოთ:

1. დავამატოთ ეს პროექტები პროგრამაში ასეთი ბრძანებით:


ფონდები / პროექტები

ვიხილავთ ეკრანს:




ყოველ ახლად გახსნილ ორგანიზაციაში თავიდან მხოლოდ ერთი პროექტი არსებობს – “მთავარი ფონდი”.

დავამატოთ ჩვენი ახალი პროექტები (პროექტის დამატება) ღილაკით. ვიხილავთ ეკრანს:




ველში “პროექტი” შევიტანოთ მოკლე დასახელება, მაგალითად “პროექტი 1”, კომენტარში კი მისი სრული დასახელება. შემდგომში გატარებებში გამოყენებული იქნება პირველ უჯრაში შეტანილი მნიშვნელობა. ამიტომ იგი გასაგებად უნდა ასახავდეს პროექტის შინაარსს.


საბოლოოდ, პროექტები ასე შეიძლება დაფიქსირდეს:



და



რის შედეგადაც მივიღებთ პროექტების სიას:




შევნიშნავთ, რომ პროექტს შეიძლება გააჩნდეს ქვეპროექტები. მათი დამატება შესაძლებელია მეორე ლილაკით (ქვეპროექტის დამატება).

ამის შემდეგ შესაძლებელია გატარებებში პროექტების გამოყენება.


- შევასრულოთ ბანკში პროექტების თანხების ჩარიცხვის გატარებები. ამისათვის შევიდეთ გატარებების ფანჯარაში და დავამატოთ ახალი გატარება:

ამჯერად, ყურადღება მივაქციოთ თარიღის ქვეშ მოთავსებულ ველს “პროექტი”, რომელიც აქამდე არ გამოგვიყენებია.




ჩამოვშალოთ ეს ველი. გავალოთ პროექტების უკვე ნაცნობ სიაში.

ავირჩიოთ "პროექტი 1". შევნიშნავთ, რომ ამისათვის მხოლოდ ღურჯი ფერით მონიშვნა საკმარისი არ არის. უნდა მოინიშნოს პროექტის დასახელების წინ თეთრი კვადრეტი:



საბოლოოდ, პროექტის არჩევა ხდება OK ღილაკით. არჩეული პროექტის დასახელება გადავა გატარების ფანჯარაში.

დანარჩენი ველები შევავსოთ ჩვეულებრივად. საბოლოოდ შეიძლება მივიღოთ ასეთი ასეთი სახით შევსებული გატარების ფანჯარა:



დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით. ამით ბანკში პირველი პროექტის თანხის მიღების ოპერაცია დასრულებულია.

ანალოგიურად შევასრულოთ მეორე პროექტის თანხის მიღების გატარება.

შემდგომში, ყოველ პროექტთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის დროს, გატარებაში ასეთი სახით უნდა მიეთითოს პროექტის სახელი.

მაგალითი: თითოეულ პროექტზე გაწეულია შემდეგი სახის ხარჯები:

პროექტი 1

ხარჯები	თანხა (ლარი)	დებეტი	კრედიტი
თიბისი ბანკიდან გამოტანილია სალარო-ში	6000	1110	1210 1 თიბისი
შეძენილია საკანცელარიო ნივთები	100	7425	1110
კონსულტანტებზე გადახდილია ხელფასი	2000	7410	1110
კონფერენციის მოსაწყობად გადახდილია დარბაზის საიჯარო ქირა	900	7420	1210 1 თიბისი

ცხადია, მეორე პროექტს შეიძლება ჰქონდეს როგორც ანალოგიური, ასევე განსხვავებული შემოსავლები და ხარჯები. მაგალითად:

პროექტი 2

ხარჯები	თანხა (ლარი)	დებუტი	კრედიტი
თიბისი ბანკიდან გამოტანილია სალარო-ში	7000	1110	1210 1 თიბისი
შეძენილია საკანცელარიო ნივთები	200	7425	1110
გარემონტდა ოფისი	3000	7440	1210 1 თიბისი
კონფერენციის მოსაწყობად გადახდილია დარბაზის საიჯარო ქირა	900	7420	1210 1 თიბისი
მოწვეულ ლექტორზე გაიცა ხელფასი	1000	7410	1110

ეს ოპერაციები ჩვეულებრივი გზით შეიძლება შესრულდეს, როგორც აქამდე ვასრულებდით. მსგავსი გატარებების შესასრულებლად შეიძლება გამოვიყენოთ გატარებების დუბლირების დილაკი **⌘**, ან გატარების შესრულების პროცესში **⌘** დილაკი, დავბეჭდოთ სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები და ა.შ.

საბოლოოდ, შესრულებული გატარებები ასეთი სახის იქნება:

როგორც ჩვენთვის, ასევე სპონსორისათვის საჭიროა დეტალური ანგარიშგების მიღება, თუ რა შემოსავლები და ხარჯებია გაწეული თითოეულ პროექტზე, რა თანხები დარჩა ასათვისებელი. ამისათვის გამოვიძახოთ ანგარიშგების ფანჯარა და მასში გავააქტიუროთ **ნაშთები**. ვიხილავთ:

პროექტი პროექტი 2

სასტარტო ნაშთები | ნაშთები | გრუნაუმი | გარათი | სასაოჯგო | შედინაუმი

გრუნის საბოლოო ნაშთი კრისა

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური		ფასი	დეპატი
		დეპატი	კრედიტი		
1110	ნაღდი ფული ეროვნულ კალუბრაში	5,800.00			
1210 1	TBC ბანკი	39,100.00			
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება		50,000.00		
7410	გრუნის ანაზღაურება	1,000.00			
7420	საიჯარო ქირა	900.00			
7425	საოფისო ინვენტარი	200.00			
7440	რეპონტი	3,000.00			
		50,000.00	50,000.00		

ნაშთები ასახავს მეორე პროექტის მდგომარეობას (ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბოლო გატარებაში სწორედ ეს პროექტი იყო გამოყენებული). ამას უჩვენებს ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში ველი **პროექტი პროექტი 2**.

მაგალითად, 1210 1 (თიბისი ბანკი) ანგარიშის ნაშთი გვიჩვენებს, რომ მეორე პროექტისათვის გამოყოფილი თანხიდან ასათვისებელია კიდევ 39100 ლარი. 7400 ანგარიშებზე კი ჩანს, რა სახისა და მოცულობის ხარჯია გაწეული ამ პროექტში.

შევნიშნავთ, რომ პროექტების გამოყენება შეიძლება ძირითადი საშუალებების აღსარიცხავადაც. მაშინ გვეცოდინება, თითოეული პროექტის ფარგლებში რა ძირითადი საშუალება არის შექმნილი.

ახლა ვნახოთ, როგორია პირველი პროექტის ნაშთები. ამისათვის ჩამოვშალოთ ზემოთ აღნიშნული ველის პროექტი: პროექტი 2 ფანჯარა. ამის შედეგად ისევ გამოვა პროექტების სია:

პროექტი	კომენტარი
<input type="checkbox"/> მთ.წინა	General Ledger
<input checked="" type="checkbox"/> პროექტი 2	რეზიონანსის ბანკითარების პროექტი
<input type="checkbox"/> პროექტი 1	მხირა ბიზნესის ბანკითარების პროექტი

როგორც ვხედავთ, ამჟამად მონიშნულია “პროექტი 2”. პირველი პროექტის ნაშთების სანახავად მოვნიშნოთ “პროექტი 1”. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ამ დროს მონიშნული დარჩება “პროექტი 2”-იც. ამ შემთხვევაში ნაშთები გვიჩვენებს ორივე პროექტის ჯამურ ნაშთებს. ამიტომ “პროექტი 2”-ს უნდა მოვუხსნათ მონიშვნა. საბოლოოდ ასეთი სურათი უნდა მივიღოთ:

პროექტი	კომენტარი
<input type="checkbox"/> მთ.წინა	General Ledger
<input type="checkbox"/> პროექტი 2	რეზიონანსის ბანკითარების პროექტი
<input checked="" type="checkbox"/> პროექტი 1	მხირა ბიზნესის ბანკითარების პროექტი

OK ღილაკზე დაჭერით მივიღებთ ნაშთებს:

ანგარიში *	დასახელება	ფინანსური	
		დაბალი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული ბრუნული ვალუტაში	3,900.00	
1210 1	TBC ბანკი	93,100.00	
5490	სხვა რეზერვები და ფაქტინანსება		100,000.00
7420	საბიზნესო ქონება	900.00	
7425	სალომსა ინვესტირება	100.00	
7450	საკონსულტაციო ხარჯები	2,000.00	

ამჯერად, ნაშთების ფანჯარაში გამოტანილია მხოლოდ პირველი პროექტის ნაშთები. მაგალითად, აქედან ვგებულობთ, რომ ასათვისებელი თანხა შეადგენს 93100 ლარს.

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული პროექტების არსებობის შემთხვევაში, საჭიროა პროექტების როგორც ცალკე აღრიცხვა, ასევე მათი გაერთიანება მთავარ წიგნთან, რომ გამოჩნდეს ორგანიზაციის მთლიანი ნაშთები. ამისათვის ნაშთების ფანჯარაში ისევ ჩამოვშალოთ პროექტების სია და მოვნიშნოთ ყველა პროექტის სტრიქონი:


პროექტი	კომენტარი
<input checked="" type="checkbox"/> მთ.წინა	General Ledger
<input checked="" type="checkbox"/> პროექტი 2	რეზიონანსის ბანკითარების პროექტი
<input checked="" type="checkbox"/> პროექტი 1	მხირა ბიზნესის ბანკითარების პროექტი

ნაშთების შემოკლებული სურათი გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციას თიბისი ბანკში სულ (საკუთარი და პროექტების თანხები) 133 176.21 ლარი აქვს.

ანბანები	დასახელება	უბნისური		ზარი
		დები	კრედიტი	
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,610.45		
1210 1	TBC ბანკი	133,176.21		
1210 2	ბანკი ქართუ	3,200.00		
7110	პირდაპირი დასახელების დანახარჯები	150.13		
7410	ფონდის ანაზღაურება	1,613.34		
7420	საიჯარო ძირი	1,800.00		
7425	სარეზერვო ინვენტარი	300.00		
7430	კომუნალური ხარჯები	150.00		
7440	რეზერვი	3,000.00		
7450	საკონსულტაციო ხარჯები	2,000.00		
7455	ცვლილება ამორტიზაცია	184.03		
7490	სხვა სახის ხარჯები	400.00		
		169,714.03	169,714.03	

პროექტების მითითება ასევე შეიძლება ხელფასებისა და ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის გატარების, ასევე სამეურნეო ოპერაციების შესრულების დროს.

მაგალითად, ცვეთის დარიცხვის დროს პროექტის მითითება ხდება ღილაკით, რომელიც მოთავსებულია ცვეთის გატარების ფანჯარაში:




თავი 15.1 სამეურნეო ოპერაციები


როგორც აქამდე ვნახეთ, საბუღალტრო გატარებები პროგრამა ორისში შეიძლება შემდეგი მეთოდებით შესრულდეს:

1. **გატარებების** ფანჯრიდან, სადაც გატარების შესრულების პროცესში ჩვენ თვითონ ვუთითებთ სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების კოდებს, მემორიალს, დასაფორმირებელი დოკუმენტის დასახელებას და ა.შ. ეს მეთოდი შეიძლება მოუხერხებელი იყოს ისეთი მომხმარებლისათვის, რომელმაც კარგად არ იცის ანგარიშთა გეგმა, ბუღალტერია. ასევე ეს მეთოდი უფრო შრომატევადია და მოსალოდნელია მეტი შეცდომები. თუმცა საწყის ეტაპზე ბუღალტრისათვის უმჯობესი იქნება, თუ სწორედ ამ გზით წარმართავს თავისი ორგანიზაციის ბუღალტერიას. თანაც ამ მეთოდით შესაძლებელია ნებისმიერი სახის საბუღალტრო გატარების შესრულება
2. ხელფასთან დაკავშირებული დარიცხვების გატარებები სრულდებოდა **ხელფასის** მენიუდან და შესრულებული გატარებები გადადიოდა გატარებების ფანჯარაში
3. ძირითადი საშუალებების მიღების, ცვეთის დარიცხვისა და სხვა სახის ოპერაციებს ვასრულებდით **ძირითადი საშუალებების** ფანჯარაში და ოპერაციის შედეგად დაფორმირებული გატარებები ისევ გადადიოდა გატარებების ფანჯარაში
4. **პირველადი დოკუმენტების** (საგადახდო დავალება, ორდერები და ა.შ.) შევსებით შესაძლებელია საბუღალტრო ფორმასთან ერთად შესაბამისი საბუღალტრო გატარების მაშინვე, ან მოგვიანებით შესრულება. დაფორმირებული გატარება როგორც წინა შემთხვევებში, გადადის გატარებების ფანჯარაში.

გატარებების შესრულების შემდგომი გამარტივების მიზნით, პროგრამაში გათვალისწინებულია აწყობილი ტიპური ოპერაციები, რაც შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა “ორისი“-ს ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტალური საშუალებაა. მოცემულ თავში განხილული იქნება აწყობილი ოპერაციების გამოყენება, მომდევნო თავში კი აწყობილი ოპერაციების მოდიფიცირება და ახლების აწყობა.

სამეურნეო ოპერაციების შესრულება დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს და მისი საშუალებით შეიძლება ძალზე გამარტივდეს ბუღალტერიის წარმოება, ავტომატურად მოხდეს ტიპური გატარებების აწყობა და შესრულება, სხვადასხვა საბუღალტრო ფორმების მიღება, რაც თავის მხრივ, ამცირებს დროს და რაც მთავარია, მოსალოდნელ შეცდომებს.

სამეურნეო ოპერაციების გამოძახება შეიძლება მენიუდან “**ოპერაციები / სამეურნეო ოპერაციები**” (ან  ღილაკით, ან **Ctrl + 3** კლავიშების კომბინაციით).



ეკრანზე ვიხილავთ პროგრამაში არსებული ოპერაციების ჩამონათვალს - მენიუს:

შესრულება | აწყობა

- სალარო
- ქვანაბარიების კომპიუტერი
- ბანკი
- საქონელი
- საბადასახ. ანგ-ფაქტ. და ზედნად. ბეჭდვა გატარებით
- მომწოდებლები
- არამატრიული აქტივები
- ანგარიშვალდებული აქტივები
- პირითადი საშუალებები
- დღგ
- ხარჯები

პიბა:

თქვენი მენიუ | გატარება

ტ ო ✕ ო ო ო

თარიღი	პროცედი	დიალოგი / ოპერაციის კომენტარი
27.08.2004	მთ.წიბვი	ცვეთის დარიცხვა
28.08.2004	მთ.წიბვი	პირველადი დოკუმენტები - საბადასახადო დავალება ვაკის რ-ის საბადასახადო ინსპ.საშემოსავლო გადასახადი / თანხა - 69.29
28.08.2004	მთ.წიბვი	ხელფასი იანვრის თვის ხელფასის დარიცხვა
28.08.2004	მთ.წიბვი	პირველადი დოკუმენტები - საბადასახადო დავალება ვაკის რ-ის საბადასახადო სოფ. დაზღ. გადასახადი / თანხა - 69.29
28.08.2004	მთ.წიბვი	პირველადი დოკუმენტები - საბადასახადო დავალება

(შეგნიშნავთ, რომ ეს ჩამონათვალი ხშირად განიცდის ცვლილებას კომპანია ორისის მიერ - იხვეწება, ემატება ახალი ოპერაციები, იშლება მოძველებულები და ა.შ., მაგრამ უცვლელი რჩება მათთან მუშაობის პრინციპი)

ფანჯარა შედგება ორი პორტიონტალური ნაწილისაგან. ზედა ნაწილში მოთავსებულია ოპერაციების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება შესრულდეს, ხოლო ქვედაში უკვე შესრულებული ოპერაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა ფანჯარაში თავს იყრის ის ოპერაციებიც, რომლებიც შესრულებულია გატარებების ფანჯრის გამოყენების გარეშე - ხელფასიდან, ძირითადი საშუალებების ფანჯრიდან და პირველადი დოკუმენტებიდან. სწორედ ამიტომ, ამ ფანჯარაში ჩანს ჩვენს მიერ ადრე შესრულებული ოპერაციების სია - ცვეთის დარიცხვა, ხელფასის გატარებები, საგადახდო დავალების გამოყენებით შესრულებული გატარება

და ა.შ. აქ არ არის მხოლოდ ის გატარებები, რომლებიც შესრულებულია უშუალოდ გატარებების ფანჯარაში.

ასევე, როგორც ვხედავთ, აქ არ ჩანს შესრულებული ოპერაციის შემადგენელი გატარებები. თუ გვაინტერესებს ამ გატარებების ხილვა, უნდა მოვნიშნოთ სასურველი ოპერაციის ტექსტი, მაგალითად: “ხელფასი” და გამოვიყენოთ შესრულებული ოპერაციების ფანჯრის ზედა ნაწილში მოთავსებული ჩანართი “გატარებები”, ან ორჯერ დავაწკაპუნოთ თავგის მარცხენა ღილაკზე ისე, რომ თავგის მანვენებელი იმყოფებოდეს სასურველი ოპერაციის სტრიქონზე.

თარიღი	კრიტიკა	ფაქტორი / ოპერაციის კომენტარი
27.08.2004	მომხმადებელი	მომხმადებლის დასახელება
28.08.2004	მომხმადებელი	კომპლექსური მომსახურების - საბაზისური დასახელება

ამის შედეგად ეკრანზე მივიღებთ:

დოკ.	თარიღი	სადამსახურე	დასახელება (საპროცენტო)	დასახელება (კ)	თანხა	ვალუა კვი
1	28.08.2004	7410	შრომის ანაზღაურება 3130	ბადასახდელი	468.20 GEL	
1	28.08.2004	3130	ბადასახდელი 3320 4	ვაკის რ-ის საბ	69.29 GEL	
1	28.08.2004	7410	შრომის ანაზღაურება 3370 11	რ-ის საბადასა	145.14 GEL	
1	28.08.2004	3130	ბადასახდელი 3370 13	რ-ის საბადასა	9.36 GEL	

გატარებების ასეთი სახით დაჯგუფება მოხერხებულია იმ მხრივაც, რომ ადვილად შეიძლება მათი წაშლა. თუ მაგალითად გვინდა ხელფასის გატარებების შედეგების გაუქმება, გატარებების ფანჯარაში უნდა მოვნიშნოთ ეს გატარებები და შემდეგ წავშალოთ. სამეურნეო ოპერაციების ფანჯარაში კი მარტივად შესაძლებელი ამის გაკეთება უშუალოდ ოპერაციის სტრიქონის მონიშვნითა და წაშლით. ეს გამოიწვევს ამ ოპერაციის შემადგენელი ყველა გატარების წაშლას.


განსაკუთრებით მოსახერხებელია ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის ოპერაციის გაუქმების დროს, როდესაც შესაძლოა წასაშლელი იყოს ათაზობით გატარება.

მიუხედავად იმისა სამეურნეო ოპერაციების მენიუს.

აქ მოცემულია ძირითადი ოპერაციების სია, რაც შეიძლება ნებისმიერი ორგანიზაციის ბუღალტრის დასჭირდეს. საჭიროების შემთხვევაში, ეს სია შეიძლება გაიზარდოს, ან შემცირდეს.


ოპერაციები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით, რომ ადვილად შეიძლებოდეს საჭირო ოპერაციის პოვნა. მაგალითად, მენიუ “სალარო”-ში გაერთიანებულია სალაროსთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. მათი ხილვა შეიძლება, თუ გამოვიყენებთ მენიუს დასახელების წინ მოთავსებულ “+” ნიშანს, რომელიც იმავე

ფუნქციას ასრულებს, რასაც იგი ანგარიშთა გეგმაში ასრულებდა - ქვედა დონეების გამოჩენა/დამაღვა. მასზე თავის ისრის (ან Enter-ზე) დაჭერით გაიხსნება მენიუს შემადგენელი ქვემენიუები:



აქედან ჩანს, რომ სალაროში მხოლოდ ორი ძირითადი ოპერაცია სრულდება - თანხის მიღება და გაცემა. მაგრამ ორივე ოპერაცია თავისი შინაარსით ზოგადია და რამდენიმე ვარიანტი შეიძლება შეესაბამებოდეს. ამიტომ, ჯერჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, რა კონკრეტული გატარება შეესაბამება თითოეულ მათგანს. მაგალითად, სალაროში ფული შეიძლება რამდენიმე წყაროდან შემოვიდეს - შემოიტანოს მყიდველმა, დააბრუნოს ანგარიშვალდებულმა პირმა, გამოტანილ იქნეს ბანკიდან და ა.შ.

ამ ვარიანტების სიის გამოტანა შეიძლება, თუ ისევ “+” ღილაკზე დაჭერით გაუხსნით მენიუს “ფულის მიღება სალაროში”. ამით იხსნება მენიუს მომდევნო დონე. ეკრანზე ვიხილავთ:




ამ დონეზე უკვე მოცემულია კონკრეტული ოპერაციები, რომელთა შესახებაც უკვე ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რა გატარებები შეესაბამება თითოეულ მათგანს.

ამრიგად, სამეურნეო ოპერაციების შესრულება შეიძლება ინტუიციითაც. გამოუცდელი მომხმარებელიც კი უნდა მიხვდეს, თუ რა მენიუ და ქვემენიუები უნდა გახსნას, რომ სასურველ ოპერაციას მიაგნოს და შეასრულოს.

შევასრულოთ ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია.

მაგალითი: თიბისი ბანკიდან სალაროში გამოტანილია 300 ლარი.


როგორც ვნახეთ, ამ ოპერაციის შესაბამისი ქვემენიუ მოთავსებულია მენიუში “სალარო”. იგი ასევე ჩართული უნდა იყოს მენიუში “ბანკი”, რადგან ოპერაციაში ბანკიც მონაწილეობს. ამჯერად ოპერაცია შევასრულოთ “სალარო”-დან. ამისათვის ავირჩიოთ ქვემენიუ:



მისი გახსნით აღარ გაიხსნება მომდევნო დონის ქვემენიუები. უკვე დაიწყება ოპერაციის შესრულება, რომელიც დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს. შესასრუ-


ღებელი გატარებისათვის საჭირო მონაცემებს – ანგარიშებს, თანხას, რაოდენობას და ა.შ. პროგრამა ითხოვს ცალცალკე ფანჯრებში. მათი შეტანის შემდეგ ასრულებს შესაბამის გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, პირველად დოკუმენტსაც ბეჭდავს.

ჩვენი ოპერაციის პირველივე კადრი ასეთი იქნება:




წვეული ოპერაციის შესრულება იწყება გატარების თარიღისა და პროექტის მითითებით. ჩვეულებრივი წესით შევიტანოთ ეს მონაცემები. მომდევნო დიალოგურ ფანჯარაზე გადასვლა ხდება “შემდეგი >” ღილაკზე დაჭერით. ასევე “<უკან” ღილაკით შეიძლება წინა ფანჯარაზე დაბრუნება, თუ აღმოვაჩინოთ, რომ არასწორად შევიტანეთ რაიმე მონაცემი.


კერანზე გამოვა შემდეგი ფანჯარა, სადაც პროგრამა ითხოვს შემოსავლის ორდერის ნომერს, რომელიც ავტომატურად იქნება მიღებული. მაგალითისათვის შევიტანოთ 5:



მომდევნო ფანჯარა ითხოვს თანხის მითითებას. შევიტანოთ 300:




მომდევნო ფანჯარაში კი ავირჩიოთ ვალუტა, ამ შემთხვევაში GEL – ლარი.



ყურადღება მივაქციოთ, რომ ყოველი ფანჯრის მარცხენა ქვედა კუთხეში ჩანს ზრდადი ლურჯი ხაზი, რომელიც მიუთითებს ოპერაციის რა ნაწილია ამჟამად შესრულებული.



მომდევნო კადრი უკვე ითხოვს იმ ბანკის დასახელების არჩევას, საიდანაც გამოტანილია თანხა. ავირჩიოთ TBC ბანკი:



ყურადღება მივაქციოთ ამ ფანჯრის გაფორმებას. აქ მოცემულია ნაცნობი დილაკები – ანგარიშის დამატება, წაშლა, კორექტირება და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ოპერაციის მსვლელობის პროცესში შეიძლება ახალი ანგარიშების/ქვეანგარიშების დამატება, არასაჭიროს წაშლა და ა.შ.

ბანკის არჩევის შემდეგ დასრულდება საჭირო მონაცემების შეტანა და პროგრამა გადავა სალაროს შემოსავლის ორდერის ბეჭდვაზე:

ამასთან, როგორც დავინახეთ, შესრულებული გატარების სადებეტო ანგარიში 1110 საერთოდ არ გამოგვიყენებია, ამასთან, საკრედიტო ანგარიშის ასარჩევად პირდაპირ გავვადით 1210 ანგარიშის ქვეანგარიშებზე, არ დაგვჭირდა პირველადი დოკუმენტის ძებნა და დასახელების მითითება. ყოველივე ეს კი, როგორც აღნიშნული იყო, აჩქარებს, ამარტივებს და საიმედოს ხდის მუშაობას.

ანალოგიური გზით შეიძლება სხვა სახის ისეთი ოპერაციების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია მასალებთან, ორგანიზაციებთან, ძირითად საშუალებებთან და ა.შ.


განვიხილოთ კიდევ ერთი ოპერაცია:

მაგალითი: შპს “არგო“-საგან შეძენილია 100 კგ. ქაღალდი, ღირებულებით 400 ლარი (დღგ-ს გარეშე) და 50 კგ. საღებავი, ღირებულებით 250 ლარი (დღგ-ს გარეშე)


თუ გადავხედავთ ოპერაციების მენიუს, უნდა მივხვდეთ, რომ საჭირო ოპერაცია მოთავსებული უნდა იყოს მენიუში “შეძენილია მომწოდებლებისაგან”. მისი გახსნით მივიღებთ:

- შეძენილია მომწოდებლისგან
- მასალები
- ნედლეული
- დღგ


ავირჩიოთ ქვემენიუ “მასალები”. მისი გახსნით ამჯერად პირდაპირ დაიწყება ოპერაციის შესრულება. ეკრანზე გამოვა ნაცნობი სურათები:




მომდევნო ფანჯარაში პროგრამა ითხოვს იმ პირველადი დოკუმენტის, ამ შემთხვევაში კი ანგარიშ-ფაქტურის სერიისა და ნომრის შეტანას, რომელიც ადასტურებს მასალების შეძენის ფაქტს:





მომდევნო ნაბიჯზე პროგრამა მომწოდებელი ორგანიზაციის არჩევას ითხოვს. ამისათვის კი მან გახსნა 3110 ანგარიშის ქვეანგარიშები. თუ ეს ორგანიზაცია ახალია, მაშინ იგი შეიძლება დაემატოს ანგარიშთა გეგმაში. ავირჩიოთ შპს “არგო”. ამით ჩვენ ვუთითებთ გატარების საკრედიტო ანგარიშს.




შემდეგ მოდის მასალის არჩევა, რითაც სადებეტო ანგარიშის მითითება ხდება ავირჩიოთ ქაღალდი.




მომდევნო ფანჯრებში ვუთითებთ თანხას და რაოდენობას. ამასთან, რაოდენობაში განზომილებების ერთეულად მინიმალური ერთეული ივულისხმება.



შეტანილი ინფორმაცია საკმარისია გატარების შესასრულებლად. მაგრამ, რადგან შექმნილია რამდენიმე დასახელების მასალა, ოპერაცია ციკლურად მუშაობს. ამისათვის მომდევნო ფანჯარაში ასეთი სახის შეტყობინება არის გათვალისწინებული:




გაგააქტიუროთ ველი "კი" და გაგაგრძელოთ ოპერაცია. მივიღებთ:




ამჯერად ავირჩიეთ მასალა "საღებავი". მისი მონაცემები ისეთივე თანმიმდევრობით უნდა შევიტანოთ, როგორც ეს ქალაქის შემთხვევაში იყო.


საღებავის რაოდენობის შეტანა:




თანხის შეტანა:




შედეგად, რომ მეტი მასალა აღარ არის:



ამის შემდეგ პროგრამა ითხოვს ორივე მასალის ჯამურ დღგ-ს, რაც 130 ლარს შეადგენს:



ამით ოპერაცია დამთავრებულია, რასაც ვადასტურებთ მომდევნო ფანჯარაში ღილაკით "დასასრული":



შესრულებული ოპერაცია ისევ დაემატება ადრე დაფორმირებული ოპერაციების სიაში. მხოლოდ, ოპერაციის ტექსტში (კომენტარში) ჩანს მხოლოდ ერთი მასალის დასახელება.

რეკვიზიტები | გატარებაში

თარიღი	პროცედი	დღიური / ოპერაციის კომენტარი
28.08.2004	მთ.წიბვი	პირველადი ფორმირება - საგადასახადო მასალები ვაკის რ-ის საგადასახადო ინსტრუმენტულ გარეგნულ / თანხა - 145.14
31.08.2004	მთ.წიბვი	საღარი-ფული სიმბოლურად ჩანკიდან ნაღდი ფულის გამოტანა სპონს N5, თანხა-300GEL, გამოტანილია ნაღდი ფული განკარგა
31.08.2004	მთ.წიბვი	გამოტანილია მთავარი მასალისგან - მასალები ა/ფ-ის NAA 21323, შპს "არგო", საღებავი ლურჯი, თანხა-650 ლლ-120

თუ გვინტერესებს, რა გატარებები შესრულდა, ვიხილავთ:

რეკვიზიტები | გატარებაში

დღიური	თარიღი	საღარი ანგარი	დასახელება (დღიური)	საკრედიტო ანგარი	დასახელება (კ)	თანხა	ვალ	კურსი	სარეზერვუარო
აა	31.08.200	1620 0004	კალაქი თეთრი 6	3110 20	შპს "არგო"	400.00	GEL		100.000 კმ
აა	31.08.200	1620 0008	საღებავი ლურჯი	3110 20	შპს "არგო"	250.00	GEL		50.000 კმ
აა	31.08.200	3340	გადახდილი დღიური	3110 20	შპს "არგო"	130.00	GEL		

საპარჯიშო 11.

გახსენით ორგანიზაცია Vake და მასში სამეურნეო ოპერაციების გამოყენებით შეასრულეთ შემდეგი ოპერაციები:

1. საფოსტო ბანკიდან გამოტანილია სალაროში 500 ლარი
2. შპს "თოლია"-საგან კრედიტით შექმნილია 500 ტომარა ქვიშა, ღირებულებით 1000 ლარი (დღგ-ს გარეშე) და 1000 კვ.ცემენტი, ღირებულებით 4000 ლარი (დღგ-ს გარეშე). ჯამური დღგ 1000 ლარს შეადგენს
3. სალაროდან ინტელექტბანკში შეტანილია 200 ლარი

ამის შედეგად სამეურნეო ოპერაციებში უნდა დაემატოს შემდეგი შესრულებული ოპერაციები:

3.09.2004	მთ.წიბვი	სალარო-ფულის მიღება სალაროში-განკიდან ნაღდი ფულის გამოტანა სპო-ს N123, თანხა-500GEL, გამოტანილია ნაღდი ფული განკიდან
3.09.2004	მთ.წიბვი	შეძენილია მოწოდებლისგან-მასალაბი ა/ფ-ის N2342342, შპს "თოლია", ცემენტი, თანხა-5000, დღგ-1000
3.09.2004	მთ.წიბვი	სალარო ფულის განება სალაროდან-განკი ანგარძმსწორების ანგარძმზე შეტანა სპო-ს N21321, თანხა-200GEL, შეტანილია ნაღდი ფული საბანკო ანგარძმზე

შესრულებული გატარებები ასეთი იქნება (ვნახოთ გატარებების ფანჯრიდან):

123	ფ	3.09.2004	1110	ნაღდი ფული ერთხელ 1210 2	საფოსტო ბანკი	500.00 GEL
21321	ფ	3.09.2004	1210 1	ინტელექტბანკი 1110	ნაღდი ფული ერთხელ ვალუა	200.00 GEL
2342342	ფ	3.09.2004	1620 0005	კვიშა 3110 19	შპს "თოლია"	1,000.00 GEL
2342342	ფ	3.09.2004	1620 0004	ცემენტი 3110 19	შპს "თოლია"	4,000.00 GEL
2342342	ფ	3.09.2004	3340	გადახდილი დღგ 3110 19	შპს "თოლია"	1,000.00 GEL

თავი 15.2 სამეურნეო ოპერაციების გადაკეთება და აწყობა

ცხადია, შეუძლებელია პროგრამაში ყველანაირი ოპერაციის წინასწარ გათვალისწინება, რაც ყველა ორგანიზაციის მოთხოვნილებებს ერთნაირად დააკმაყოფილებდა. ეს რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ მისაღები არაა, რადგან ამით პროგრამა ძალზე გადაიტვირთება. ამიტომ, პროგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ ის ტიპური ოპერაციები, რაც ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციას ერთნაირად გამოადგება. რაც შეეხება სპეციფიკურ ოპერაციებს, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ესაჭიროება, ეს პროგრამაში არსებული ოპერაციების გადაკეთებისა თუ ახლების აწყობის გზით შეიძლება გადაწყდეს. რომელი ოპერაციები აიწყოს, დამოკიდებული იქნება კონკრეტული ორგანიზაციის მოთხოვნილებებზე, რაც მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ამიტომ, როგორც აღნიშნული გვექონდა, პროგრამაში გათვალისწინებულია არსებული ოპერაციების მოდიფიცირებისა და ახლების დამატების საშუალება.


ამისათვის კი საჭიროა წინასწარ კარგად ჩამოყალიბდეს ამ ოპერაციების ალგორითმი და მისი მიხედვით ოპერაციების მენიუებისა და ქვემენიუების სტრუქტურა.

მარტივ მაგალითზე განვიხილოთ, როგორ შეიძლება ახალი ოპერაციების აწყობა.


როდესაც სამეურნეო ოპერაციების გამოყენებით შევასრულეთ მასალების მიღების გატარებები, მაშინ საკრედიტო ანგარიშად გამოყენებული იყო 3110, რაც იმას ნიშნავს, რომ ამით ჩვენ შევასრულეთ ისეთი გატარება, რაც გულისხმობდა მასალების კრედიტით შექენას. მაგრამ, თუ ორგანიზაცია მასალებს სხვადასხვა წესითაც იძენს – წინასწარი გადახდით, ან ნაღდი ანგარიშსწორებით, მაშინ პროგრამაში არსებული ოპერაცია საკმარისი არ იქნება, რადგან დასახელებულ ოპერაციებს განსხვავებული გატარებები შეესაბამება (განსხვავებულია საკრედიტო ანგარიშები). ამიტომ, თუ ბუღალტერს სურს, სამეურნეო ოპერაციებიდან შეასრულოს ყველა ეს ოპერაცია, მან არსებულ ოპერაციებში უნდა დაამატოს დანარჩენებიც.

თითოეულ ოპერაციას შეესაბამება ბრძანებათა თანმიმდევრობა, რომელიც მარტივად რომ ვთქვათ, ქვეპროგრამას წარმოადგენს. თავიდან, სანამ ახალ ოპერაციას ავაწყოთ, მაგალითისათვის განვიხილოთ, როგორი სახე აქვს მასალების შექენის აწყობილ ოპერაციას.


ამისათვის გავააქტიუროთ სამეურნეო ოპერაციების ფანჯრის ზედა ნაწილში მოთავსებული ჩანართი “აწყობა”:



ეკრანზე ვიხილავთ იგივე მენიუების პუნქტებს, მხოლოდ ფანჯრის ირგვლივ გაჩნდება ღილაკები (ინსტრუმენტები), რომლებიც ოპერაციების ასაწყობად გამოიყენება:



მაგალითისათვის გავხსნათ მენიუ “შეძენილია მომწოდებლებისაგან”, მასში კი ქვემენიუ “მასალები”. ეკრანზე მივიღებთ:




გამოჩნდა არჩეული ოპერაციის შემადგენელი ბრძანებები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ დიალოგების წარმოებას, გატარებების შესრულებასა და პირველადი დოკუმენტების ბეჭდვას, რაც უკვე შეგვხვდა ოპერაციების შესრულების დროს.

პროგრამა იყენებს სხვადასხვა ბრძანებებს, რომლებიც თავის მხრივ ფუნქციებს, ცვლადებსა და გამოსახულებებს იყენებენ. ძირითადი ბრძანებების შესაბამისი ღილაკები (პიქტოგრამები) განლაგებულია ფანჯრის ზედა სტრიქონში:



თუ დავაკვირდებით ამ პიქტოგრამებს, დავინახავთ, რომ ზოგიერთი მათგანი გამოყენებულია მასალების შეძენის ოპერაციაში.

ახლა ვნახოთ, როგორია ბრძანების სტრუქტურა. ამისათვის გავაკორექტიროთ პირველივე ბრძანება **T01 ა/შ-ის სენია და N**, რისთვისაც გამოვიყენოთ ეკრანის მარჯვნივ მოთავსებული კორექტირების ღილაკი (ან F2). ეკრანზე მივიღებთ:






როგორც ვხედავთ, ველში “შეკითხვის ტექსტი” მოთავსებულია შეტყობინება “ა/ფ-ის სერია და N”. სწორედ ეს ტექსტი ვიხილეთ ამ ოპერაციის შესრულების დროს ეკრანზე გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში. ამიტომ, თუ შემდგომში ოპერაციის აწყობისას ამ ბრძანებას გამოვიყენებთ, მასში შეკითხვის ტექსტი ისეთი შინაარსის უნდა შევიტანოთ, რომ გასაგებად მიუთითოთ მომხმარებელს, თუ რა მონაცემს ითხოვს მისგან პროგრამა. აქ მაგალითისათვის შეიძლება ასეთი ტექსტის შეტანაც “მიუთითეთ დოკუმენტის ნომერი”.

ამავე ფანჯრის ზედა ნაწილში მოცემულია ცვლადი T01, რომელსაც მიენიჭება შეკითხვის პასუხად ჩვენს მიერ შეტანილი მნიშვნელობა. ეს ცვლადი შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფორმულებში, გატარებებში და ა.შ. ცვლადებს პროგრამა თვითონ ირჩევს ავტომატურად. მხოლოდ განსხვავებულია ცვლადების პირველი სიმბოლოები.

თუ დავაკვირდებით აწყობილ ოპერაციას, მასში მოცემულია ასევე სხვა ცვლადებიც: A01, A02, F01, F02, F03, P01, P02, W01, G01, U01

ცვლადების აღნიშვნის პრინციპი ასეთია:

1. თუ ცვლადს მინიჭებული აქვს ტექსტური მნიშვნელობა, მისი სახელი იწყება T-ით (აღნიშვნა ) . ეს ცვლადები გამოიყენება კომენტარების, დოკუმენტების ნომრებისა და სხვა სახის ტექსტობრივი მონაცემების შესატანად. ჩვენს შემთხვევაში შეტანილი დოკუმენტის (ანგარიშ-ფაქტურის) ნომერი მიენიჭა T01 ცვლადს;
2. თუ ცვლადს მინიჭებული აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, მისი სახელი იწყება P-ით (აღნიშვნა ) . ეს ცვლადები გამოიყენება თანხების შესატანად, ხოლო სასაქონლო გატარების შემთხვევაში რაოდენობების შესატანადაც. ჩვენს შემთხვევაში ქალაქისა და საღებავის რაოდენობები მიენიჭა P02 ცვლადს, თანხები P01-ს, ჯამური დღგ-ს თანხა კი P03-ცვლადს;
3. ფორმულის შედეგი ენიჭება ცვლადს, რომლის სახელი იწყება F-ით (აღნიშვნა ) . ჩვენს შემთხვევაში F01 ცვლადს მიენიჭა W01-ისა და F01-ის წინა მნიშვნელობის ჯამი;

4. გატარებაში გამოყენებული რიცხვითი სიდიდე (თანხა) ენიჭება ცვლადს, რომლის სახელი იწყება W-თი (აღნიშვნა **W**). მოცემულ შემთხვევაში ეს არის ცვლადები W01, და W02;
5. ანგარიშების მნიშვნელობები ენიჭება ცვლადებს, რომელთა სახელები იწყება A-თი (აღნიშვნა **A**). შემდგომში ეს ცვლადი გამოიყენება გატარების ასაწყობად, მასში სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების მისათითებლად;
6. ოპერაციაში ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღილაკი **E** (ანგარიშზე მდგომარეობა), რომლის ცვლადის სახელი იწყება B-თი. მისი საშუალებით შეიძლება ანგარიშის მონაცემების (საწყისი ნაშთი, საბოლოო ნაშთი, ბრუნვა და ა.შ.) მიღება და შემდგომი გამოყენება;
7. ღილაკი **F**. მას შეესაბამება ცვლადი, რომლის სახელი იწყება V-თი და მისი საშუალებით შეიძლება ვალუტის მითითება.

ბრძანებათა სრული აღწერილობა შევიძლიათ იხილოთ კომპანია "ორისი"-ს სახელმძღვანელოში!

ყველა ეს დასახელებული ცვლადი გამოიყენება გატარების ასაწყობად. ამაში დასარწმუნებლად გაეგაკორექტიროთ ოპერაციის შემადგენელ ერთ-ერთი გატარების სტრიქონი:

W01 A02 A01 1 00 P01 GEL1000 P02

გვრანზე მივიღებთ მის სტრუქტურას:

როგორც ვხედავთ, უჯრებში მოთავსებულია ამ ოპერაციაში გამოყენებული ცვლადები.

უნდა აღინიშნოს, რომ გატარების ასაწყოებად აუცილებელი არაა, უჯრებში მხოლოდ ცვლადები იყოს. აქ შეიძლება მუდმივი ტექსტის გამოყენება, ასევე, სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშებად კონკრეტული ანგარიშის მითითება.

განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი ბრძანების გამოყენების წესი. ამისათვის ავაწყოთ რაიმე ახალი ოპერაცია.

ოპერაციის აწყობის ძირითადი პრინციპი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

1. თავდაპირველად უნდა შევქმნათ ოპერაციათა მენიუ, ანუ ხისმაგვარი სტრუქტურა. ჯერ დავიწყოთ ზოგადი ოპერაციებით (მაგალითად “მასალის მიღება”), მას გავუხსნათ ქვემენიუები, რომლებიც თანდათან დააკონკრეტებს ოპერაციას (მაგალითად “მასალის შექმნა კრედიტით”).

საერთოდ, ანგარიშთა გვერდის მსგავსად, სამეურნეო ოპერაციათა მენიუს კარგი დაპროექტება ესაჭიროება, რომ მაქსიმალურად იქნეს შესაძლებელი საბუღალტრო საქმიანობის ავტომატიზაცია;

2. კონკრეტული ოპერაციის აწყობის დროს უნდა გამოვიყენოთ ბრძანებები, რომლებიც მოვითხოვთ გატარებისათვის საჭირო მონაცემებს, როგორცაა, პირველადი დოკუმენტის ნომერი, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, თანხა, რაოდენობა, ვალუტა და ა.შ.;


3. ავაწყოთ გატარება, რომელიც შეტანილი მონაცემების მიხედვით ავტომატურად შეგვასრულებინებს გატარებას;

4. დავიმახსოვროთ აწყობილი ოპერაცია.


ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ოპერაციის გამოყენება.

დავიწყოთ მენიუების აწყობით. დავუშვათ, მასალებთან დაკავშირებული ოპერაციები თავიდან გვინდა ავაწყოთ. სასურველი მენიუს სტრუქტურა შეიძლება ისეთი იყოს, რომ მან მოიცვას მასალების შექმნისა და გასვლის ყველანაირი შემთხვევა.

დავიწყოთ ზოგადი მენიუთი, რომელსაც დავარქმევთ სახელს “მასალები”. ამისათვის მოვნიშნოთ არსებული მენიუს რომელიმე სტრიქონი, სადაც გვინდა ახალი მენიუს ჩასმა, მაგალითად მენიუ “საქონელი” და გამოვიყენოთ ღილაკი (მენიუს დამატება). ეკრანზე ვიხილავთ:



პირველივე უჯრაში შევიტანოთ მენიუს დასახელება “მასალები”. მისი დახურვის შედეგად მივიღებთ:




ამის შემდეგ უნდა დავამატოთ ქვემენიუები. ამისათვის მოვნიშნოთ ახლად დამატებული მენიუს სტრიქონი და გამოვიყენოთ მეორე ლილაკი (ქვემენიუს დამატება). მისი გამოყენებით დავამატოთ ორი ქვემენიუ:


“მასალების გაცემა”

“მასალების მიღება”

ამის შედეგად მიღებული სტრუქტურა ასეთი სახის უნდა იყოს:



დავუშვათ, რომ მასალების მიღება შესაძლებელია ნაღდი ანგარიშსწორებით, კრედიტით, ან წინასწარი გადახდით. ყველა ეს ვარიანტი უნდა იქნეს გათვალისწინებული მენიუში. ამისათვის მოვნიშნოთ მენიუ “მასალების მიღება” და მას დავუმატოთ მომდევნო დონის ქვემენიუები ისე, რომ ასეთი სახის სტრუქტურა მივიღოთ:



(შევიშნავთ, რომ ასეთი გადაწყვეტა არაა ერთადერთი და სტრუქტურა შეიძლება ბოდა სხვაგვარადაც აგვეგო. ძირითადად, მენიუების სტრუქტურის შედგენა დამოკიდებულია თვით ორგანიზაციის საჭიროებებზე).

ბოლოს დამატებულ მენიუებს უკვე შეესაბამება კონკრეტული გატარებები და ამიტომ უნდა გადავიდეთ ამ გატარების შესაბამისი ოპერაციის აწყობაზე.

მაგალითისათვის ავაწყოთ ოპერაცია “მასალების შექმნა კრედიტით”. ცხადია, მისი შესაბამისი საბუღალტრო გატარებები ასეთი იქნება:

დებიტი	1620 მასალები / ქვეანგარიში	მასალის ღირებულება
დებიტი	3340 გადახდილი დღგ	დღგ-ს თანხა
კრედიტი	3110 მომწოდებლები / ქვეანგარიში	მთლიანი თანხა

იმისათვის, რომ ეს გატარებები ავაწყოთ, საჭიროა პროგრამაში შევიტანოთ:

- ოპერაციის მოხდენის თარიღი
- დოკუმენტის ნომერი
- მასალის დასახელება


- მომწოდებლის დასახელება
- თანხა
- ვალუტა
- რაოდენობა
- და სხვ.


უნდა ავაგოთ ბრძანებათა ისეთი თანმიმდევრობა (პროგრამა), რომელიც ჩვენგან მოითხოვს ამ მონაცემებს, შეგვატანინებს და გააკეთებს შესაბამის საბუღალტრო გატარებებს.

ოპერაციის აწყობის პროცესის დასაწყებად მენიუში მოენიშნოთ ოპერაციის - "მასალების შექმნა კრედიტით" - სტრიქონი.

გატარებისათვის საჭირო მონაცემების შეტანის თანმიმდევრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ უმჯობესია მათი შეტანა ლოგიკური მიმდევრობით.


თავიდანვე აღენიშნაუთ, რომ გატარების თარიღსა და პროექტის დასახელებას (რაც ნებისმიერ გატარებას ესაჭიროება) პროგრამა ავტომატურად იძლევა და ამიტომ მას აწყობა არ ესაჭიროება.

პირველ რიგში შევიტანოთ დოკუმენტის (ანგარიშ-ფაქტურის) ნომერი. ამისათვის კი გამოვიყენოთ ტექსტის მოთხოვნის ბრძანება -  მისი გამოყენებით ეკრანზე მივიღებთ:





ველში "შეკითხვის ტექსტი" უნდა შევიდეს შეტყობინება, რომელიც აწყობილი ოპერაციის შესრულების პროცესში გამოჩნდება ეკრანზე. ამ შეტყობინების მიხედვით უნდა მივხვდეთ, თუ რა მონაცემს ითხოვს ჩვენგან პროგრამა. ამიტომ ეს ტექსტები გასაგებად უნდა იქნეს თავიდანვე მითითებული. შევავსოთ იგი ისე, როგორც ზემოთ არის მოცემული.


ამის შედეგად ეკრანზე მივიღებთ:

- [-] მასალების ბაჟება
- [-] მასალების მიღება
- [-] მასალების შექმნა მინასტარი ბაღახლით
- [-] მასალების შექმნა კრედიტით
 -  T01 1 შეიბანკი დოკუმენტის ნომერი
 - [-] მასალების შექმნა ნაღდი ანგარიშსწორებით

ამრიგად, ოპერაციის შემადგენელი ერთი ბრძანება უკვე აწყობილია.


ამის შემდეგ მოვითხოვთ მომწოდებლის ანგარიში, თუმცა შეიძლებოდა სხვა ცვლადის მოთხოვნაც. გამოვიყენოთ ღილაკი  - ანგარიშის მოთხოვნა. ეკრანზე მივიღებთ:



ეს ბრძანება მრავალმხრივი დანიშნულებისაა და უამრავი პარამეტრი აქვს. იგი გამოიყენება სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების მისათითებლად. ოპერაციის შესრულების დროს ამ ბრძანებით იხსნება ანგარიშთა გეგმა, საიდანაც უნდა მოხდეს საჭირო ანგარიშის არჩევა. თუ ველში “ანგარიში” არაფერს შევიტანთ, მაშინ გამოიტანება მთელი ანგარიშთა გეგმა და მოგვიწევს მასში საჭირო ანგარიშების ძებნა. მაგრამ, რადგან აქ საუბარია კონკრეტული ანგარიშის (3110) ქვე-ანგარიშებზე, ახლავე შეიძლება შევზღუდოთ ძიების დიაპაზონი და პირდაპირ ამ ანგარიშის ქვეანგარიშებზე გავიდეთ. ამისათვის აღნიშნულ ველში უნდა შევიტანოთ სასურველი ანგარიშის კოდი. ანგარიშის კოდი შეიძლება პირდაპირ აიკრიფოს ამ უჯრაში, ან  ღილაკით ჩამოვშალოთ ანგარიშთა გეგმა და იქიდან ავირჩიოთ საჭირო. *შევნიშნავთ, რომ უჯრაში ანგარიშის კოდის ხელით შეტანის შემთხვევაში ასეთი წესი უნდა დავიცვათ: კოდის პირველი და მეორე ციფრის შეტანის შემდეგ, ორივეგან დავამატოთ პრობელები. ამრიგად, ანგარიში 3110 ამ უჯრაში ასე უნდა აიკრიფოს: 3 1 10*

ველში “შეკითხვის ტექსტი” შევიტანოთ მნიშვნელობა “მიუთითეთ მომწოდებელი”, ან ოპერაციის შინაარსის შესაფერისი რაიმე სხვა ტექსტი.


საბოლოოდ ფანჯარა ასე უნდა შეივსოს:



დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით და ეს ბრძანებაც დავმატება ოპერაციას. ამის შედეგად მივიღებთ მომდევნო ბრძანებას:




შემდეგ ნაბიჯზე იგივე ღილაკით მოვითხოვთ სადებეტო ანგარიში, ანუ მასალა. გამოტანილი ფანჯარა ასე შევაავსოთ:



მივიღებთ მომდევნო ბრძანებას:




მოვითხოვთ მასალის რაოდენობა. ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი . მივიღებთ ფანჯარას, რომელიც ასე შევაკსოთ:



მიღებული ბრძანება ასეთი იქნება:




მოვითხოვთ თანხა. მხოლოდ გასაგები ფორმით უნდა მიეთითოს, ეს რა თანხაა, დღგ-ს ჩათვლით, თუ მის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში ფანჯარა ასე შევაკსოთ:



ამით, გატარებისათვის საჭირო ყველანაირი მონაცემი შეტანილი იქნება.

ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ გატარების აწყობაზე. ვისარგებლოთ ღილაკით - გატარება. მივიღებთ ფანჯარას:




ამ ფანჯრის შევსების დროს ყურადღება მივაქციოთ შემდეგს:

ველებს უმეტესობას გვერდით აქვს ორი ღილაკი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ველის შიგთავსის შესაგსებად:

- მისი გამოყენებით იხსნება ცვლადების სია, საიდანაც შეიძლება საჭირო ცვლადის ამორჩევა და ველში ჩასმა;
- საიდანაც გავდივართ სიებში, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ანგარიშთა გეგმას, ვალუტების ჩამონათვალს, დოკუმენტების სიას და ა.შ.

ამასთან, ველში ხელითაც შეიძლება შევიდეს რაიმე მნიშვნელობა.


შევაგსოთ ძირითადი ველები. ამისათვის პირველივე ველში უნდა ავირჩიოთ ცვლადი, რომელსაც მინიჭებული აქვს ჩვენს მიერ შეტანილი დოკუმენტის ნომერი. ამისათვის ჩამოვშალოთ ცვლადების სია, სადაც ვიხილათ:



ავირჩიოთ ცვლადი T01, რომელიც ჩაჯდება ველში "დოკუმენტი".

ანალოგიურად ავირჩიოთ სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების უჯრებში ცვლადები A02 და A01.

ამის შედეგად მივიღებთ:




საფუძველში შეიძლება ხელით შევიტანოთ რაიმე ტექსტი, რომელიც უცვლელი სახით შეიტანება ამ ოპერაციით შესრულებული ყველა გატარების საფუძველის ველში. ეს მუდმივი ტექსტი შეიძლება ასეთი იყოს “შეძენილია მასალა კრედიტით”. მაგრამ, თუ საფუძველის ტექსტი ცვალებადია, მაშინ დოკუმენტის ნომრის მსგავსად შეიძლება მისი მოთხოვნა.

თანხის ველში ავირჩიოთ ცვლადი P02.

მის მომდევნო ველში “ვალუტა” ავტომატურად ჩაჯდება GEL- ლარი. ამიტომ, თუ გატარებაში თანხა ყოველთვის ლარებშია მითითებული, მაშინ მისთვის ცალკე ცვლადი საჭირო აღარ იქნება. მაგრამ, თუ ვალუტაც ცვალებადია, მაშინ სხვა მონაცემების მსგავსად, საჭირო იქნება მისი მოთხოვნა და შეტანა.


ამ ფანჯარაში არ ჩანს რაოდენობის შესატანი უჯრა. მაგრამ ფანჯრის ქვედა ნაწილში არის ველი “სასაქონლო გატარება”. მოვნიშნოთ იგი. გაიხსნება დამატებითი ველები, სადაც ველში “რაოდენობა” ავირჩიოთ ცვლადი P01.

საბოლოოდ, ფანჯარა ასეთი სახით შეივსება:




დაგხუროთ ფანჯარა OK ღილაკის გამოყენებით. ამით გატარება აწყობილია.


ამით ჩვენ ავაწყვეთ მარტივი ოპერაცია, რომელიც შემდგომში შეიძლება გაუმჯობესდეს, რომ გამოსაყენებლად უფრო მოსახერხებელი იყოს. ჯერჯერობით ვნახოთ, როგორ წარიმართება ეს ოპერაცია. ამისათვის უნდა გადავიდეთ ფანჯარაში “შესრულება”. პროგრამა მოითხოვს დადასტურებას, შევინახოთ თუ არა აწყობილი ოპერაცია:



Yes ღილაკზე დაჭერით მივცეთ დასტური. ამით ჩვენს მიერ აწყობილი ოპერაცია დაემატება არსებულებს.




შევამოწმოთ, როგორ წარიმართება ოპერაცია. ამისათვის გავხსნათ “მასალები”, მასში ავირჩიოთ “მასალების მიღება”. ვიხილავთ:




როგორც ვხედავთ, აწყობილი ოპერაციის მენიუს (“მასალების შექმნა კრედიტით”) წინ ზის ნიშანი “+”, სხვებთან კი არა, რაც მიუთითებს, რომ დანარჩენი ოპერაციები ჯერ კიდევ აუწყობელია.

თუ გავხსნით ამ მენიუს, დაიწყება ოპერაციის შესრულება. ვიხილავთ პირველივე კადრს:



ე.ი. თარიღსა და პროექტის დასახელებას პროგრამა თვითონ ითხოვს ჩვენი ჩარევის გარეშე. ოპერაციის შესრულების მსვლელობა ისევე წარიმართება, როგორც ადრე ვნახეთ ქაღალდისა და საღებავის შექმნის მაგალითზე. ამიტომ მას დაწვრილებით აღარ განვიხილავთ. მოვიტანთ მხოლოდ მომდევნო კადრებს:

დოკუმენტის ნომრის შეტანა:



მომწოდებლის არჩევა: ავირჩიოთ “არგო”

აინციოთ ვიზიტაბლი		
ანბანობი	ბიკი	დასახელება
3110	კახ	ვიზიტაბლი
3110 20	კახ	ვიზიტაბლი
3110 24	კახ	ვიზიტაბლი

მასალის არჩევა: ავირჩიოთ "ქალაქი"

აინციოთ მასალა		
ანბანობი	ბიკი	დასახელება
1620	კახ	ვიზიტაბლი
1620 0004	კახ	ქალაქი
1620 0005	კახ	სადაცაქალაქი

რაოდენობის შეტანა: შევიტანოთ 300 (ერთეულად იგულისხმება კგ - მინიმალური ერთეული)

მიმდინაო რაოდენობა

100.00

თანხის შეტანა: შევიტანოთ 700 ლარი:

შეიტანოთ თანხა დღეს ბანკში

700.00

ამით ოპერაცია მთავრდება:

დასრულებულია

შესრულებული ოპერაცია დაემატება ადრე შესრულებულებს. მის მიერ დაფორმირებული გატარებები კი ასეთი სახის იქნება:

დღე	თარიღი	ანბანობი	დასახელება	ანბანობი	დასახელება	თანხა	ვალუტა	რაოდენობა	ერთეული
კახ	2.09.2004	1620 0004	ქალაქი	3110 20	ვიზიტაბლი	700.00	GEL	100.000	კგ
კახ	2.09.2004	3340	გადამდილი	3110 20	ვიზიტაბლი	140.00	GEL		

ამრიგად, ჩვენ ავაწყვეთ მარტივი ოპერაცია, რომელიც შემდგომში მრავალჯერ შეიძლება შესრულდეს.

ანალოგიურად აიწყობა დანარჩენი ვარიანტებიც, მხოლოდ განსხვავებული იქნება საკრედიტო ანგარიშები. მსგელობა და ცვლადები კი ზუსტად ისეთივე იქნება.

შეგნიშნავთ, რომ აწყობის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოპირებისა და ჩასმის საშუალება, რაც ძალზე ამარტივებს მსგავსი ოპერაციების აწყობას.


ჩვენს მიერ აწყობილი ოპერაცია შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. მას ამჟამად მრავალი ნაკლი აქვს. უპირველესი ისაა, რომ მისი საშუალებით, ერთი ოპერაციის ფარგლებში ვერ შეგვაქვს რამდენიმე დასახელების მასალა (იგულისხმება, რომ ყველა მათგანი ერთი და იგივე მომწოდებლისგანაა). ქალაქის მონაცემების შეტანისთანავე ოპერაცია დამთავრდა. მომდევნო მასალის შესატა-

ნად მოგვიწვეს იგივე ოპერაციის თავიდან დაწყება და ისეთი მონაცემების განმეორებით რამდენჯერმე შეტანა, რაც ყველა მასალას ერთი და იგივე აქვს: თარიღი, პროექტი, მომწოდებელი. დანარჩენი კი (თანხა, მასალა, რაოდენობა) ცვალებადი. ამიტომ, აწყობის დროს ისე უნდა გავითვალისწინოთ ციკლი, რომ ერთი ოპერაციის ფარგლებში შეიძლებოდეს რამდენიმე მასალის მონაცემების შეტანა (როგორც ეს ადრე შესრულებულ ოპერაციაში იყო).

ვნახოთ, როგორ შეიძლება ამის განხორციელება. ამისათვის ისევ გადავიდეთ ოპერაციების აწყობაზე და გავხსნათ ჩვენი აწყობილი ოპერაცია.

იმისათვის, რომ ოპერაციაში შეიქმნას ციკლი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება რამდენიმე დასახელების მასალის შეტანა, უნდა მოხდეს წინა რამდენიმე ბრძანების განმეორება. ამისათვის გადასვლა უნდა მოხდეს იმ ბრძანებაზე, რომელიც მასალის ანგარიშს ითხოვს. მხოლოდ ამ დროს საჭირო აღარ არის მომწოდებლისა და დოკუმენტის ნომრის შეტანა. ამიტომ ეს ბრძანებები ციკლში არც უნდა მოხვდეს. ოპერაციის აწყობის დროს სწორედ ამიტომ მოვითხოვეთ ჯერ მომწოდებლის ანგარიში, ხოლო შემდეგ კი მასალის. ეს ამჯერად გაგვიადვილებს ციკლის შექმნას.


მოვნიშნოთ ჩვენს მიერ შექმნილ ბრძანებათაგან ბოლო და დავამატოთ გადასვლის ბრძანება. ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი **↵** (დაბრუნება ცვლადზე). ვიხილათ ფანჯარას:



პირველივე უჯრაში უნდა შევიდეს ცვლადის სახელი. თუ დავაკვირდებით ოპერაციის ტექსტს, რომელიც გახსნილი ფანჯრის უკან ჩანს, მივხვდებით, რომ ეს ცვლადი უნდა იყოს A02, რადგან ისევ უნდა მოხდეს მასალის არჩევა.

რაც შეეხება ბოლო უჯრას - “შეტყობინების ტექსტი”, მასში უკვე ზის შეიკითხვა - “გავიმეორო?”. ეს შეიკითხვა შეიძლება უცვლელად დავტოვოთ, მაგრამ უფრო გასაგები რომ იყოს, თუ რა უნდა გავიმეოროთ, იგი შევცვალოთ შემდეგი ტექსტით “არის კიდევ მასალა?”.

საბოლოოდ ფანჯარა ასეთ სახეს მიიღებს:



ხოლო მიღებული ბრძანების სტრიქონი კი ასეთი იქნება:

თავი 16. ვალუტა

პროგრამაში ვალუტის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს პროგრამა მრავალვალუტიანი ვერსიაა (სადემონსტრაციო ვერსია მრავალვალუტიანია!).

სავალუტო ვერსიის გამოყენება სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციას ურთიერთობა აქვს ისეთ პარტნიორებთან (უცხოელ ან ადგილობრივ), რომლებთანაც ოპერაციები სხვადასხვა ვალუტაში ხორციელდება. ამასთან ცხადია, ბუღალტერიაში თანხები უნდა დაფიქსირდეს ლარებში. ერთვალუტიანი ვერსიის შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება მხოლოდ ლარი, ყოველთვის მოგვიწევს ვალუტის გადაყვანა ლარებში კურსის მიხედვით. ასევე, საჭირო იქნება საკურსო სხვაობების გამოანგარიშება და შესაბამისი გატარებების შესრულება.

პროგრამის სავალუტო ვერსიის გამოყენებით ასეთი ოპერაციების წარმოება ბევრად მარტივდება.

აქამდე გატარებებში, ნაშთებში და ა.შ. ვიყენებდით მხოლოდ ერთ ვალუტას – ლარს. ვნახოთ, როგორ შეიძლება სხვა ვალუტების გამოყენება.

გატარების პროცესში ვალუტის კურსის მითითება შეიძლება ორი მეთოდით:

1. კურსი ხელით შევიტანოთ გატარების პროცესში
2. წინასწარ დავაფიქსიროთ იმ დღის კურსი და შემდეგ შევასრულოთ გატარებები

განვიხილოთ ორივე მეთოდი.

1. ვალუტის კურსის მითითება გატარებიდან

განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

10 აპრილს ფირმა Super Paper Co-საგან მიღებულია 2000 აშშ დოლარის 1000 კვ. ქაღალდი. იმ დღეს დოლარის კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 1.6 ლარი

ცხადია, შესაბამისი საბუღალტრო გატარება ასეთი იქნება:

დებიტი	1620 მასალები (ქაღალდი) 1000 კვ	2000 USD
კრედიტი	3110 Super Paper Co	2000 USD

(სიმარტივისათვის, გამოვტოვოთ დღე).


გავხსნათ გატარებების ფანჯარა და დავამატოთ ახალი გატარება. ფანჯრის ველები ასეთი სახით შევაგსოთ (თან დავამატოთ ახალი ორგანიზაცია - SuperPaper):

სადეპოზო ანგარიში	1620 0004	ქაღალდი
საკრედიტო ანგარიში	3110 19	Super Paper Co.
რაოდენობა	1000	კვ
უაზნა	2000	GEL

ვალუტის მისათითებლად ჩამოვშალოთ თანხის უჯრის გვერდით მოთავსებული ვალუტების სია. ვიხილავთ:




ავირჩიოთ USD. მივიღებთ ასეთ სურათს:



როგორც ვხედავთ, გაჩნდა დამატებითი უჯრები, რომლებიც ავტომატურად შეივსო. შევცვალოთ უჯრაში არსებული კურსი 1.82 იმ დღეს არსებული კურსით - 1.6 მაგრამ უჯრაში კურსის მნიშვნელობა თავდაპირველად დაბლოკირებულია და იგი არ კორექტირდება. ბლოკირების მოსახსნელად გამოვიყენოთ კურსის უჯრის გვერდით მოთავსებული ღილაკი **£**. მასზე დაჭერით ეს ღილაკი მიიღებს ჩართულის ფორმას **£**. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება უჯრაში ცვლილების შეტანა. შევიტანოთ რიცხვი 1.6.

საბოლოოდ, უჯრები ასე უნდა იყოს შევსებული:




დავხუროთ OK ღილაკით გატარების ფანჯარა. ამით ოპერაცია დასრულებულია.

თუ დავაკვირდებით, გატარების ფანჯარაში, თანხების სვეტის მომდევნო სვეტში გამოჩნდა ის ვალუტები, რაშიც ოპერაციები შესრულდა (ნომინალი). დანარჩენ გატარებებში კი ვალუტის სვეტში მოცემულია ლარი. ე.ი. თანხები მოცემულია იმ ვალუტებში რაც გატარებაში იყო შეტანილი.

5.04.2008	1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1200 1	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	500.00 GEL
10.04.2008	1620 00002	ქალაქი თბილისი 60 ბრ, 54 ფორმატი	3110 4	Super Paper Co	2,000.00 USD
15.04.2008	7490	სსპა სანაწარმო სარჯი	1430 0001	ბუკია ...	400.00 GEL

ეს განპირობებულია იმით, რომ ამჟამად ვალუტებისათვის არჩეულია რეჟიმი "ნომინალი". საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი გადაყვანა ექვივალენტში. ამისათვის გავააქტიუროთ შესაბამისი ველი, რომელიც მოთავსებულია გატარებების ფანჯრის ზედა მარჯვენა მხარეს:



მოვნიშნოთ ველი "ექვივალენტი". გვერდით განიღებთ ახალი ველი. ჩამოვშალოთ ოგი და მასში ავირჩიოთ ვალუტა GEL (ქართული ლარი). მივიღებთ:


5.04.2008	1110	ნაღდი ფული ერთნაირ ვალუტაში	12101	12345 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	500.00
10.04.2008	1620 00002	ქალაქი თეთრი ნივთი, ა4 ფურცლები	3110 4	Super Paper Co	3,200.00
15.04.2008	7490	სხვა სახეობის ხარჯი	1430 0001	ბუკია	400.00
15.04.2008	7430	მოვნიშნის ხარჯები	3160 0001	ბუკია	150.00

ამის შედეგად, ყველანაირი ვალუტა გადაყვანილი იქნება ლარებში ოპერაციის შესრულების დღეს არსებული კურსით.

ვალუტის გამოყენება შეიძლება ნაშთებშიც. თუ დავითვალისწინებთ ანგარიშების ნაშთებს, ვიხილავთ ასეთ სურათს (მოტანილია არსებული ანგარიშების მხოლოდ მცირე ფრაგმენტი):

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური		ფასი	ფ
		დავები	კრედიტი		
3000	მიმდინარე ვალდებულებები		91.36		
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები		150.00		
3110	მოქ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები				
3110.2	ზს ავტო				
3120	ვიდეოული ავანსები				
3120.3	ზს კლანტა				

როგორც ვხედავთ, ნაშთებში საერთოდ არ ფიგურირებს SuperPaper-ის ნაშთი. ამას განაპირობებს ის, რომ ნაშთებში ამჟამად ჩანს მხოლოდ ლარების ნაშთები. ვალუტების არჩევა ხდება ფანჯრის ზედა, მარჯვენა კუთხეში მოთავსებული ღილაკებით



ამჟამად ჩართულია ვალუტა GEL – ქართული ლარი. თუ ავირჩევთ ვალუტას USD, მაშინ ეკრანზე მივიღებთ ასეთ სურათს:

ანგარიში +	დასახელება	ფინანსური		ფასი	ფანჯრა
		დავები	კრედიტი		
1000	მიმდინარე ავანსები	2,000.00			
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაბი	2,000.00			
1620	ნაღდი ფული და მასალები	2,000.00			
1620 00002	ქალაქი თეთრი ნივთი, ა4 ფურცლები	2,000.00		2.00	1,000.00
3000	მიმდინარე ვალდებულებები		2,000.00		
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები		2,000.00		
3110	მოქ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები		2,000.00		
3110.4	Super Paper Co		2,000.00		

აქედან უკვე ჩანს, რომ ამ ორგანიზაციასთან ვალდებულება გვაქვს 2000 USD.

მაგრამ ბუღალტრული ჩანაწერი, ცხადია გაკეთდება ლარებში. თუ რამდენია სხვადასხვა ვალუტებში შესრულებული ოპერაციების შედეგად ვალდებულება ლარებში, გამოჩნდება ნაერთ უწყისში:

ანგარიში +	დასახელება	წინასწარი		შასი
		დებიტი	კრედიტი	
3000	მიმდინარე ვალდებულებები		3,291.36	
3100	მოკლვადიანი ვალდებულებები		3,350.00	
3110	მონ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები		3,200.00	
3110 2	შპს არზო			
3110 4	Super Paper Co		3,200.00	
3120	მიღებული ავანსები			
3120 3	შპს კლანთა			

შევნიშნავთ, რომ ვალუტის დაფიქსირების აღნიშნული მეთოდის ნაკლი ისაა, რომ თუ დღის განმავლობაში დიდი რაოდენობის სავალუტო გატარება სრულდება, თანაც სხვადასხვა ვალუტებში, მაშინ ყოველ ოპერაციაზე მოგვიწევს ვალუტის კურსის ხელახლა შეტანა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნება მეორე მეთოდის გამოყენება. ამ დროს შესაძლებელია წინასწარ დაფიქსირდეს იმ დღეს არსებული ვალუტების კურსი. შემდგომში, გატარების შესრულებისას, როდესაც აირჩევა ოპერაციის შესრულების თარიღი, კურსის უჯრაში ავტომატურად შეიტანება ვალუტის იმ დღის კურსი.

შევასრულოთ ანგარიშსწორების ოპერაცია:

Superpaper Co-ს 21 აპრილს გადაერიცხა 2 000 USD.

დავუშვათ, ანგარიშსწორების დღეს დოლარის კურსი ლარის მიმართ იყო 1.55 გატარებას ექნება სახე:


დებიტი	3110 Super Paper Co	2000 USD
კრედიტი	1220 უცხოური ვალუტა რეზ. ბანკში (ან სხვა)	2000 USD

ეს ოპერაცია შევასრულოთ მეორე მეთოდით:

2. ვალუტის კურსის წინასწარი დაფიქსირება

ვალუტების კურსების დინამიკის შეტანა და დამახსოვრება შეიძლება ვალუტების ფანჯარაში, რომელიც შეიძლება გავხსნათ მენიუდან:

ოპერაციები / საკურსო სხვაობა, ან ფონდები / ვალუტა

(იგივეს გაკეთება შესაძლებელია  ღილაკით, ან Ctrl + 8 ღილაკების კომბინაციით)

ორივე შემთხვევაში გაიხსნება ფანჯარა, რომელსაც ორი ჩანართი აქვს: “ვალუტა” და “საკურსო სხვაობა”. თავიდანვე გავხსნათ “ვალუტა”. მივიღებთ ასეთ სურათს:

ვალუტა | სააღსრულო სხვაობა |

თარიღი: 2.03.2008

ვალუტა	დასახელება	რაოდენობა	კურსი
GEL	აბრთული ლარი	1	1.00000000
USD	ამერიკული დოლარი	1	1.82000000
GBP	ინგლისური ფუნტი სტერლი	1	2.98580000
RUR	რუსული რუბლი	1	0.06830000
EUR	ევრო	1	1.81890000

ვალუტის დონაცია

თარიღი: 1.01.2008 -დან- 1.01.2009 -მდე

თარიღი	რაოდენობა	კურსი
1.01.2008	1	1.00000000
1.01.2009	1	1.00000000

ფანჯარა შედგება ორი ჰორიზონტალური ნაწილისაგან. ზემოთ მოცემულია ვალუტების დასახელება, სადაც შეიძლება ახალი ვალუტების დამატება, არასაჭიროების წაშლა. ქვედა ნაწილში კი გამოდის ზემოთ არჩეული ვალუტის კურსების დინამიკა დღეების მიხედვით.

დავაფიქსირით პროგრამაში 21 აპრილის დოლარის კურსი ლართან მიმართებაში. ამისათვის ზემოთ მოვნიშნით დოლარის სტრიქონი და ფანჯრის ქვედა ნაწილში დავამატოთ ახალი ჩანაწერი. ეკრანზე გამოვა ფანჯარა, რომელიც შევაფსოთ ისე, როგორც ქვემოთაა მოცემული:

კურსის კორექტირება

აბრთული: USD

დასახელება: AMERICAN DOLLAR

თარიღი: 21.04.2008

რაოდენობა: 1

კურსი: 1.55

OK Cancel

ამის შედეგად, დოლარი კურსების დინამიკაში ჩაემატება ახლახან შეტანილი კურსიც:

ვალუტა | სააღსრულო სხვაობა |

თარიღი: 10.04.2008

ვალუტა	დასახელება	რაოდენობა	კურსი
GEL	აბრთული ლარი	1	1.00000000
USD	ამერიკული დოლარი	1	1.82000000
GBP	ინგლისური ფუნტი სტერლი	1	2.98580000
RUR	რუსული რუბლი	1	0.06830000
EUR	ევრო	1	1.81890000

ვალუტის დონაცია

თარიღი: 1.01.2008 -დან- 1.01.2009 -მდე

თარიღი	რაოდენობა	კურსი
1.01.2008	1	1.82000000
21.04.2008	1	1.55000000
1.01.2009	1	1.55000000

ამის შემდეგ, შეიძლება გატარების შესრულება.

დავამატოთ გატარებების ფანჯრიდან ახალი ჩანაწერი და იგი შემდეგნაირად შევაესოთ:

საბანკო ანგარიში	31104	Super Paper Co
საკრედიტო ანგარიში	1220	საერთაშორისო ვალუტა რეზერვები
თანხა	2000	USD
კურსი	1.55000000	ლ
პროცენტები	3,100.00	

(ივლისსმება, რომ 1220 ანგარიშზე ქვეანგარიშებად ვახსნილია ის ბანკები, სადაც ორგანიზაციას სავალუტო ანგარიშები აქვს. ამასთან, ამ ანგარიშებზე არსებობს ვალუტის ნაშთიც)

ამრიგად, 21.04.2008 რიცხვის დოლარის კურსი და თანხის მნიშვნელობა ლარებში ავტომატურად შევიდა გატარების ფანჯარაში. დავხუროთ ფანჯარა OK დილაკით. ამით ეს ოპერაციაც დასრულებულია.

გავხსნათ ნაშთების ფანჯარა და ავირჩიოთ ვალუტა USD. ვნახავთ, რომ ამ ორგანიზაციაზე ნაშთი აღარ არის. მაგრამ, თუ ავირჩევთ ნაერთ უწყისს, მაშინ მივიღებთ:

ანგარიში	დასახელება	ზონტალური		თანხა
		დებიტო	კრედიტო	
1640 00004	წ0860	150.12		3.00
3000	საერთაშორისო ვალუტა რეზერვები		191.36	
3100	საერთაშორისო ვალუტა რეზერვები		250.00	
3110	საერთაშორისო ვალუტა რეზერვები		100.00	
3110 2	საერთაშორისო ვალუტა რეზერვები			
3110 4	Super Paper Co		100.00	

ე.ი. Superpaper-ს ნაშთი დარჩა 100 ლარი. ეს არის ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული საკურსო სხვაობა.

ეს თანხა ასეა მიღებული:

თავიდან ლარებში ვაღებულება იყო: $2\ 000\text{USD} * 1.60 = 3\ 200$ ლარი

ანგარიშსწორების დღეს $2\ 000\text{USD} * 1.55 = 3\ 100$ ლარი

სხვაობა = 100 ლარი

ეს თანხა შეიძლება განვიხილოთ როგორც არასაოპერაციო შემოსავალი (მოგება)

შესაბამისი გატარება ასეთი იქნება:

დ. 3110 Superpaper კრ 8130 არასაოპერაციო მოგება თანხა 100 ლარი

ამ გატარების შედეგად, Superpaper-ს აღარ ექნება არც დოლარის და აღარც ლარის ნაშთი.

თავი 17. საბოლოო ფორმები

მზა ფორმების გამოყენება

ყოველ ორგანიზაციას ესაჭიროება ყოველთვიური და წლიური საანგარიშგებო ფორმების შედგენა და დაინტერესებული მხარისათვის მისი წარდგენა. ამ მიზნით, პროგრამაში არსებობს ყველანაირი საბუღალტრო ფორმა, რომლებიც ავტომატიზებულია, რაც ნიშნავს, რომ ეს ფორმები ავტომატურად ივსება.

ისევე როგორც სამეურნეო ოპერაციების შემთხვევაში, ფორმებიც შეიძლება გადაკეთდეს, დაემატოს ახალი, წაიშალოს არასაჭიროები.

ფორმების ცვლილება ძირითადად დაკავშირებულია მოქმედი კანონმდებლობის შეცვლასთან. ასეთ შემთხვევაში პროგრამის დამმუშავებელ ორგანიზაციას დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში და განახლებულ ვერსიას აწვდის მომხმარებელს (თუ მათ შორის არსებობს ხელშეკრულება!). ზოგიერთი ცვლილებების განხორციელება თვით მომხმარებელსაც კი შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას რაიმე არასტანდარტული ფორმის შედგენა უნდა, რომელიც პროგრამაში გათვალისწინებული არ არის.

ჩვენ ადრე გავეცანით ფორმების ერთ სახეობას “პირველადი ფორმები”, რომელთაც მიეკუთვნება სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, საგადახდო დავალები, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშფაქტურა და ა.შ.

რაც შეეხება საბოლოო ფორმებს – საგადასახადო დეკლარაციებს, მათთან სამუშაოდ ასე მოვიქცეთ:

რადგან უკვე ორგანიზაციები გადადიან ელექტრონულ დეკლარირებაზე (ეს განსაკუთრებით დღგ-ს ეხება), დეკლარაციების ძველი, ტრადიციული შევსება-ბეჭდვა აზრს კარგავს.

საგადასახადო დეკლარაცია შეიძლება პირდაპირ შეივსოს საგადასახადო ვებ გვერდზე, ან პროგრამა ორისიდან აიტვირთოს საჭირო ინფორმაცია და აღარ იყოს საჭირო განმეორებით შეტანა.

პროგრამიდან საბაზისსახადო დეკლარაციების ატვირთვა mof.ge ვებ-გვერდზე

მაგალითად, როგორ შეიძლება ავტომატურად დღგ-ს საგადასახადო დეკლარაცია (ამას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ს ანგარიშფაქტურებს ხელით ვაწარმოებთ!) და გამოწერილი ა. ფაქტურების რეესტრები ფინანსთა სამინისტროს Web გვერდზე.

ამისათვის პირველ რიგში დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები

1. დღგ-ს საბუღალტრო გატარებებში მითითებული უნდა იყოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის სერია და ნომერი შემდეგი ფორმატით მაგ: ბბ-04 (ცარიელი სიმბოლო - პრობელი) და 6 ან/და 7 ნიშნა ნომერი (ბბ-04 123456).

2. ორგანიზაციების სიაში მითითებული მომწოდებლების ან/და მყიდველების საიდენტიფიკაციო კოდები არ უნდა აღემატებოდეს 11 სიმბოლოს (სიმბოლოებში შედის: წერტილი, მძიმე, გირე, პრობელი და ა.შ.).

ფინანსთა სამინისტროს საიგბე ელექტრონული დეკლარაციების აგვირთვისათვის პირველ რიგში პროგრამაში უნდა დააყენოთ იმ თვის შესაბამისი ანალიზური პერიოდი, რომელიც თვის დეკლარაციის გადამგზავნაც გსურთ, მაგ: სექტემბერი.

ამის შემდეგ ინსტრუმენტების პანელზე დააჭირეთ ღილაკს “უწყისის ფორმირება” ან Ctrl+F და გამოსულ ეკრანში აირჩიეთ **Saboloo formebi / Eleqtronuli deklarireba** და შემდეგ მოცემული საგადასახადო დეკლარაციების სიიდან აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფორმა მაგ: დამატებული ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია. ამ ფორმის შესრულების შემდეგ სისტემა შექმნის .XML გაფართოების ფაილს, რომელიც შეინახება C:/Oris საქაღალდეში სახელით vatTaxReport.xml რომელიც შემდეგში უნდა აგვირთოთ საგადასახადოს ვებ გვერდზე.

Ok ღილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე იხილავთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს Web გვერდს, სადაც უნდა მიუთითოთ თქვენი მომხმარებლის სახელი და პაროლი.

საგადასახადოს საიგბე შესვლის შემდეგ აირჩიეთ **დეკლარირება / დღგ.** ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს **ფაილის აგვირთვა** და **Browse** ღილაკის დახმარებით აირჩიეთ პროგრამის მიერ დაფორმირებული .XML გაფართოების ფაილი **VatTaxReport.XML** და დააჭირეთ ღილაკს. ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ დღგ-ის დეკლარაციის სიაში დამატება თქვენს მიერ აგვირთული დეკლარაცია

არსებული ფორმების გადაკეთება და ახლების აწყობა


ისევე, როგორც სამეურნეო ოპერაციების შემთხვევაში, სადაც შეიძლებოდა არსებული ოპერაციების გამოყენება და ახლების აწყობა, პროგრამას ასევე გააჩნია პირველადი და საბოლოო ფორმების აწყობის საშუალებაც. ამისათვის მასში გათვალისწინებულია ე.წ. ფორმების გენერატორი (რედაქტორი).

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ოპერაციებთან შედარებით ფორმების აწყობა ბევრად უფრო შრომატევადია და მოითხოვს პროგრამირების გარკვეულ გამოცდილებასაც. ეს განპირობებულია იმით, რომ აქ გამოყენებულია პროგრამირების გარკვეული საშუალებები, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ფორმისა და სირთულის ფორმის აწყობა, რომელსაც კავშირი ექნება პროგრამა Excel-თან, ასევე ფორმის გამოძახება და მასში მნიშვნელობების გადატანა შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციებიდან, გატარებებიდან და ა.შ.

ფორმების გენერატორს ვიძახებთ იმავე მენიუდან, ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობით:

ოპერაციები / ფორმები / აწყობა

ამის შედეგად ვიხილავთ ეკრანს:



ეკრანის სტრუქტურა ასეთია:

- ფანჯრის ირგვლივ განლაგებულია ღილაკები, რომელთა საშუალებით შეიძლება დაიხაზოს ცხრილი, გაფორმდეს ტექსტურად, უჯრებში მოთავსდეს ცვლადები, ფორმულები და ა.შ.
- აქ მოცემულია ოთხი სტანდარტული ღილაკი, რომლითაც შეიძლება ახალი ფაილის დაწევა, არსებულის გახსნა, შენახვა, მაკეტის დათვალიერება:



- მათი გამოყენება ზუსტად ისევე ხდება, როგორც პროგრამა Word-ში ან Excel-ში.
- დანარჩენი ღილაკები წარმოადგენს პროგრამის ინსტრუმენტებს.
- ეკრანის ქვედა ნაწილი - ცარიელი არე გამოიყენება სამუშაოდ, ფორმის ასაწყობად.

ჯერ მზა ფორმის მაგალითზე ვნახოთ, როგორ არის აწყობილი დღგ-ს ფორმა. ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი (გახსნა) და დისკზე ვიპოვოთ დღგ-ს ფორმის ფაილი ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ეს მზა ფორმის შევსების დროს გავაკეთეთ. საბოლოოდ ეკრანზე ვიხილათ:

ფაილი შედაკებულია ფორმულაში ფანჯარა

ფორმის სახელი: **საქართველოს სახელმწიფო საბაღასახალო დეპარტამენტი**

დამატებული ღირებულების გადასახლის შოკლეთიური დეკლარაცია

ღმრ. ფორმა N01	საბაღასახლო პერიოდი	OBank: N OAcc:
1	თვე	ფეხ 0
	თვენიტყვ:	2 0 0 4
2	სანარგოს დასახელება (თვარდითი პერი)	3
	OName	გაღმსვლის საილენტიფიკაციო ნომერი
4	განარი (ფიზიკური პერი) სახელი, გარის სახელი	5
		თვარდითი კოდი
6	მისამართი	7
	OCity: OStrt:	თვარდითი N
		2 0 0 4
8	თუ საბაღასახლო პერიოდის განმავლობაში შესყიდვის და მიწოდების კონტრაქტებს აღვნიშნავ ადგილი არ ჰქონია ჩანაერთ X	9
	საბაღასახლო პერიოდის განმავლობაში ნაღმდელზე გადასახლი დღგ	ჩათვლა:
	დღგ აღვნიშნავი მიწოდების ნაღმდელის	10
	დღგ გადასახლი იმპორტზე	

როგორც ვხედავთ, ეკრანზე მოცემულია დღგ-ს ფორმის მაკეტი. მასში გამოყენებულია:

- ა) მუდმივი ელემენტები, ეს არის ხაზები, ჩარჩოები და ტექსტები (მაგალითად ფორმის სათაური, ველების დასახელება), რომლებიც უცვლელი სახით გამოიბეჭდება ნებისმიერ ორგანიზაციაში ამ ფორმის გამოყენების დროს. თუ კონფიდენციალობის ცვლილების გამო ამ ფორმაში რაიმე შეიცვალა, ტექსტების შეცვლა, ან წაშლა ადვილად შესაძლებელი მათი კორექტირების გზით.
- ბ) ცვლადები, რომელთაც ფორმაში წარწერიანი ნაცრისფერი მართკუთხედები შეესაბამება. (მაგალითად **OBank** N). აქ წარწერა "OBank" წარმოადგენს ცვლადის დასახელებას, ხოლო მართკუთხედი უთითებს ეკრანზე იმ არეს, რომელსაც ამ ცვლადის შესაბამისი მნიშვნელობა დაიკავებს. ამ ფორმის გამოყენების დროს, ცვლადის ადგილზე გამოჩნდება ორგანიზაციის ძირითადი ბანკის დასახელება (რომელიც თავიდანვეა მითითებული სისტემის პარამეტრებში). საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ცვლადები მოიშალოს, თუ რომელიმე ველის მნიშვნელობა საჭირო აღარ არის, ან დაემატოს ახალი ველები.


მარტივ მაგალითზე განვიხილოთ, როგორ შეიძლება ახალი ფორმის შედგენა. დავუშვათ გვინდა არასტანდარტული ფორმის შედგენა, რომელშიც მოცემული იქნება სალაროსა და ბანკების საწყისი და საბოლოო ნაშთები და მათი ჯამები. ფორმას ასეთი სახე უნდა ჰქონდეს:

ორგანიზაციის ფულადი სახსრები


ანგარიში	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სასტარტო ნაშთი				
საბოლოო ნაშთი				

ამ ფორმის შესადგენად დავიწყოთ ახალი ფაილი. ამისათვის გამოვიყენოთ ახლის დაწყების ბრძანება **D**. დაიხურება ეკრანზე არსებული ძველი ფორმა და დაიწყება ახალი, ცარიელი ფორმა.


დავიწყოთ სათაურის შეტანით. ამისათვის გამოვიყენოთ ტექსტური მუდმივას შეტანის ბრძანება **T**. დავაწკაპუნოთ ერთხელ ამ ღილაკზე თავვით. რეჟიმი ჩაირთვება. ამის შემდეგ თავვის მანვენებელი, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს, გადავიტანოთ სამუშაო არეში და შემოვავლოთ ჩარჩო, რომელშიც უნდა შევიდეს ფორმის სათაური




როგორც ვხედავთ, ჩარჩოში ჩანს კურსორი, რომელიც მიუთითებს, რომ შეიძლება ტექსტის აკრეფა. ამ დროს შესაძლებელია შრიფტის ზომის შეცვლა, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ კონტექსტური მენიუ, ანუ ვისარგებლოთ თავგის მარჯვენა ღილაკით. ეს შეიძლება მოხდეს ტექსტის შეტანამდე ან შეტანის შემდეგ. გავითვალისწინოთ, რომ თავგის მაჩვენებელი უნდა იმყოფებოდეს ჩარჩოს შიგნით. კონტექსტური მენიუ ასეთი სახის იქნება:



გახსნილი მენიუდან ავირჩიოთ ბრძანება "ფონტი". მივიღებთ:





დაეტოვოთ იგივე შრიფტი, მაგრამ ზომა ავირჩიოთ მაგალითად 22-ის ტოლი. დაეხუროთ ფანჯარა OK ღილაკით. მივიღებთ:




ჩარჩო, რომელიც დარჩა ტექსტის ირგვლივ, გაქრება, თუ თავით მის გარეთ დავაწკაპუნებთ, ან ავაგებთ სხვა რომელიმე ფიგურას. ამასთან, თუ ამ ჩარჩოს ზომები არასაკმარისია და მასში ტექსტი არ ეტევა, შეიძლება მისი გაგანიერება, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ჩარჩოსუ განლაგებული მცირე ზომის კვადრატები.

ამის შემდეგ შეიძლება ცხრილის აგება. ეს უნდა მოხდეს მართკუთხედებისა და სწორი ხაზების გამოყენებით.

თავიდან ავაგოთ გარეთა ჩარჩო. ამისათვის ინსტრუმენტების პანელზე ავირჩიოთ ღილაკი . ისევე როგორც ტექსტის შემთხვევაში, ახლაც შემოვავლოთ ჩარჩო. მივიღებთ:



სვეტებისა და სტრიქონების ასაგებად გამოვიყენოთ ხაზები (თუმცა შეიძლებოდა ჩარჩოების გამოყენებაც). ამისათვის რამდენჯერმე გამოვიყენოთ ღილაკი  და გავავლოთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები.

ამის შემდეგ, სვეტების სათაურების შესატანად გამოვიყენოთ ისეთივე მეთოდი, როგორც ეს ფორმის სათაურის შეტანის დროს იყო. ფორმა ასეთ სახეს მიიღებს:

ორგანიზაციის ფულადი სახსრები

ანბარი	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სასაბოლოო ნაშთი				
საბოლოო ნაშთი				


ასევე შევნიშნავთ, რომ თუ მიღებულ ფორმაში ჩარჩოები არათანაბრადაა განლაგებული ეკრანზე და თავის საშუალებით ძნელია მათი გასწორება, კლავიატურიდან უფრო მოხერხებულად შეიძლება ამის გაკეთება. ამისათვის მოვნიშნოთ ფიგურა და გამოძრავთ კლავიატურის ისრებით ნებისმიერი მიმართულებით.

ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ ფორმაში ცვლადების მოთავსებაზე. ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი **fx** (ფორმულა) და წინა ფიგურების მსგავსად, 1110 ანგარიშის ქვედა უჯრაში შემოვაგლოთ ჩარჩო. მივიღებთ:


ორგანიზაციის ფულადი სახსრები

ანგარიში	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სასტარტო ნაშთი				
საბოლოო ნაშთი				

შემდეგ უნდა მიეთითოს, რა მონაცემი უნდა იქნეს გამოტანილი ამ უჯრაში. ამისათვის ორჯერ სწრაფად უნდა დაგაწკაპუნოთ აგებულ ჩარჩოზე. ამის შედეგად გადავალთ ფორმულების ფანჯარაში:



ჩვენი მიზანია, ანგარიშთა გეგმიდან მივიღოთ მდგომარეობა ანგარიშებზე – სასტარტო და საბოლოო ნაშთები. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ღილაკი **მ**. მასზე დაჭერით გაიხსნება ფანჯარა:



ველში “ანგარიში” ავირჩიოთ 1110. ამის გაკეთება შეიძლება ანგარიშთა გეგმის წამოშლით და იქედან არჩევით, ან უჯრაში ანგარიშის კოდის პირდაპირ ხელით

შეტანით. მხოლოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე შემთხვევაში კოდის პირველი და მეორე ციფრების შემდეგ უნდა დავსვათ პრობელები.

ველში “ვალუტა” ავირჩიოთ GEL

ბოლოში მოვნიშნოთ ველი “ანგარიშის სასტარტო ნაშთი”. საბოლოოდ, ფანჯარა ასე უნდა შეივსოს:


დავაჭიროთ OK ღილაკს. ფორმულების ფანჯარაში დაემატება სტრიქონი:

ფორმულის სტრიქონი ავირჩიოთ ღილაკის გამოყენებით და დაგბრუნდეთ ფორმაში. მივიღებთ:

ანგარიში	1110	1210 1
სასტარტო ნაშთი	R1:	
საბოლოო ნაშთი		

ამით 1110 ანგარიშის სასტარტო ნაშთის მისაღები ფორმულა აგებულია.

ზუსტად ასევე მოვიქცეთ 1210 1 და 1210 2 ანგარიშების სასტარტო შემთხვევაში. ამისათვის მათ შესაბამის უჯრაში შემოვსახოთ ჩარჩო ფორმულისათვის, გადავიდეთ ფორმულების ფანჯარაში და ა.შ.


საბოლოო ნაშთების სტრიქონიც ანალოგიურად აიგება, მხოლოდ  დილაკის გამოყენების დროს მის ფანჯარაში უნდა მოვნიშნოთ ველი "საბოლოო ნაშთები"

ნაშთების სტრიქონებმა ცხრილში ასეთი სახე უნდა მიიღოს:


ორგანიზაციის ფულადი სახსრები


ანგარიში	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სასტარტო ნაშთი	R1:	R2:	R3:	
საბოლოო ნაშთი	R4:	R5:	R6:	


ფორმულების ფანჯარაში კი ასეთი სურათი იქნება:



შევნიშნავთ, რომ ისევე, როგორც სამეურნეო ოპერაციების შემთხვევაში, აქაც შეიძლება კოპირებისა და ჩასმის ბრძანებების გამოყენება.

გადავიდეთ ჯამების გამოთვლაზე. ამისათვის პირველივე ჯამის უჯრაში დავსვით ფორმულის ჩარჩო, ორჯერ დავაწკაპუნოთ მასზე და გადავიდეთ ფორმულების ფანჯარაში. აქ უნდა შევადგინოთ ფორმულა, რომელიც გამოიანგარიშებს სამი ცვლადის – R1, R2 და R3-ის ჯამს. ამისათვის მოვნიშნოთ ბოლო სტრიქონი და ფორმულის დასამატებლად ვისარგებლოთ ისევ  დილაკით (მხოლოდ, ფორმულების ფანჯარაში!). მივიღებთ:



თეთრ არეში ავაგოთ ფორმულა. ამისათვის გამოვიყენოთ არსებული ცვლადები, რომელთა არჩევა შეიძლება, თუ  დილაკით ჩამოვშლით ცვლადების სიას:

R1:
R2:
R3:
R4:
R5:
R6:

აქედან რიგრიგობით ავირჩიოთ ცვლადები, ხოლო გვერდით მოთავსებული კალკულატორიდან კი ჯამის ნიშანი. საბოლოოდ, უნდა მივიღოთ ასეთი ფორმულა:



შევნიშნავთ, რომ ფორმულა შეიძლება ხელითაც შევიტანოთ. მხოლოდ ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ცვლადების დასახელებებში გამოიყენება დიდი ლათინური ასოები, ამასთან, ცვლადის სახელი აუცილებლად ორწერტილით ბოლოვდება.

საბოლოოდ დავხუროთ ეს ფანჯარა. აგებული ფორმულა დაემატება ფორმულების ფანჯარაში ბოლო სტრიქონად.

ცვლადი	ფორმულა
R1:	[1 1 10,D,Y,F, 80.წიბ60 ,GEL]
R2:	[1 2 10 1,D,Y,F, 80.წიბ60 ,GEL]
R3:	[1 2 10 2,D,Y,F, 80.წიბ60 ,GEL]
R4:	[1 1 10,D,L,F, 80.წიბ60 ,GEL]
R5:	[1 2 10 1,D,L,F, 80.წიბ60 ,GEL]
R6:	[1 2 10 2,D,L,F, 80.წიბ60 ,GEL]
R7:	* R1+R2+R3

ისევ მოვნიშნოთ დამატებული სტრიქონი და R7 ცვლადის დასახელება ღილაკის გამოყენებით გადავიტანოთ ფორმაში.


ანალოგიურად მოვიქცეთ მეორე ჯამის მისაღებად.

საბოლოოდ ფორმა ასეთ სახეს მიიღებს:


ორგანიზაციის ფულადი სახსრები

ანბარიში	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სასტარტო ნაშთი	R1	R2	R3	R7
საბოლოო ნაშთი	R4	R5	R6	R8

მიღებული ფორმა შევინახოთ დისკზე. ამისათვის გამოვიყენოთ შენახვის ღილაკი . მივიღებთ სტანდარტულ ფანჯარას:



პროგრამა გეთავაზობს სახელს NONAME.RL. შევცვალოთ ეს სახელი და შევიტანოთ მაგალითად fuladi saxsrebi. საქადალდედ ავირჩიოთ Saboloo formebi. საბოლოოდ დავაჭიროთ Save ღილაკს. ამით ფორმა შეინახება და ისევ დავბრუნდებით ჩვენს ფორმაში.

ფორმების რედაქტორიდანვე შეიძლება აწყობილი ფორმის შევსილი მაკეტის ნახვა. ამისათვის გამოვიყენოთ ღილაკი . ამის შედეგად მივიღებთ სურათს:

ორბანნიზაციის ფულადი სახსრები

ანბარიში	1110	1210 1	1210 2	ჯამი
სახტარტი ნაშთი		4,500.00	6,000.00	10,500.00
საბოლოო ნაშთი	1,210.45	678.21	3,200.00	5,086.66

თუ რომელიმე ფორმულის შედეგი არასწორად გამოვა, გამოვა მითითება, რისი მიხედვითაც დავიწყებთ შეცდომების გასწორებას.

საბოლოოდ დავხუროთ ფორმების რედაქტორის ფანჯარა. შემდეგში, ამ ფორმის გამოსაყენებლად უნდა შევასრულოთ ასეთი ბრძანებების თანმიმდევრობა:

ოპერაციები / ფორმები / ფორმირება


გაიხსნება ORIS DEMO საქადალდე, სადაც უნდა ავირჩიოთ Saboloo Formebi, ხოლო მასში უნდა გაგხსნათ ფორმა, სახელით fuladi saxsrebi. ეკრანზე ვიხილავთ გამზადებულ, შევსილ ფორმას, როგორც მაკეტის დათვალიერების დროს ვიხილეთ.

ამრიგად, ჩვენ ავაგეთ ძალზედ მარტივი ფორმა, რომელსაც შეიძლება ამ შემთხვევაში არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა არა აქვს, მაგრამ მისი მიხედვით გავეცანით ფორმების აგებისა და გადაკეთების ძირითად პრინციპებს.


ვინც მეტ დაინტერესებას გამოიჩენს ამ საკითხების მიმართ, დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართოს კომპანია "ორისის" სახელმძღვანელოს.

როგორც აღვნიშნეთ, ძეხვის ბრძანება იყენებს სვეტებს. სწორედ ამიტომ გამოდის გახსნილ უჯრაში გატარების ფანჯარაში არსებული სვეტების დასახელებები.

როგორც გვახსოვს, 1430 ანგარიშზე გახსნილი გვაქვს ქვეანგარიში, დასახელებით “ბუკია”. ჩვენი ამოცანიდან გამომდინარეობს, რომ ვეძებთ ისეთ გატარებას, სადაც სადებეტო ანგარიშის დასახელებაა “ბუკია”. ამიტომ, ძეხვის ფანჯარაში უნდა ავირჩიოთ ველი “დასახელება (დებ). შემდეგ კი გვერდით უჯრაში შევიტანოთ ტექსტი “ბუკია”. შევნიშნავთ, რომ აუცილებელი არაა მთელი სიტყვის სრულად შეტანა. საბოლოოდ, ფანჯარა ასე შეიძლება შეივსოს:



OK-ზე დაჭერით დაიწყება ძიება. პროგრამა მოძებნის პირველივე გატარებას, რომელშიც სადებეტო ანგარიშად გამოყენებულია ბუკია და მონიშნავს ამ ველს.



ამასთან, ძეხვის ფანჯარა არ იხურება, შესაძლებელია ძეხვის გაგრძელება, თუ ვხედავთ, რომ ნაპოვნი სტრიქონი ის არაა, რომელსაც ვეძებთ. OK-ზე დაჭერით მოიძებნება შემდეგი გატარება, სადაც სადებეტო ანგარიში ისევ ბუკიაა და ა.შ.



Cancel-ზე დაჭერით ძიების ოპერაცია დასრულდება.

ანალოგიურად სრულდება ეს ოპერაცია სხვა ფანჯრებშიც.


ფილტრაცია

ფილტრაცია ისეთივე პრინციპით სრულდება, როგორც პროგრამა Excel-ში. ჩანაწერების გაფილტვრის გზით შესაძლებელია ეკრანზე მხოლოდ იმ ჩანაწერების დატოვება, რომლებიც რაიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ეს ოპერაციაც წინასწარავსად სვეტების დასახელებებს იყენებს.


მაგალითი: ეკრანზე დავტოვოთ მხოლოდ ის გატარებები, რომლებშიც სადებეტო ანგარიშად გვაქვს 1110 (ე.ი. გვაინტერესებს მხოლოდ სალაროში ფულის შემოსულის რა ოპერაციებია განხორციელებული).

ამისათვის გამოვიყენოთ ფილტრაციის დილაკი , რომელსაც შეიძლება ასეთი ფორმაც ჰქონდეს  (ან კლავიში F4).


გაიხსნება ფანჯარა:



სტრიქონების წინ მოთავსებულია სვეტების დასახელებები. რადგან ფილტრაცია უნდა მოხდეს სადებეტო ანგარიშის მიხედვით, ამიტომ მოვნიშნოთ შესაბამისი სტრიქონი. მის გვერდით გაიხსნება ახალი ველი:



გახსნილ ველში შევიტანოთ ანგარიშის კოდი 1110, ან ჩამოვშალოთ ანგარიშთა გეგმა და იქ მოვძებნოთ და ავირჩიოთ იგივე ანგარიში:



საბოლოოდ, OK ღილაკზე დაჭერით მივიღებთ:


სადგ. ანგ.	დასახელება (დგ.)	საქრძ. ანგ.	დასახელება (ქრძ.)
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1210 2	ბანკი ქართვ
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1430 0001	ბუჟია ვ.
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი
1110	ნაღდი ფული ერთნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი

ამრიგად, ეკრანზე დარჩა მხოლოდ ის გატარებები, რომლებიც აკმაყოფილებს ძებნის მითითებულ პირობას. ამასთან ბრძანების შესაბამისი ღილაკის ფორმა აღნიშნავს, რომ ფილტრი ჩართულია.

თუ გვსურს ყველა ჩანაწერის აღდგენა, ისევ გავხსნათ ფილტრის ფანჯარა და მოვხსნათ მონიშვნა. ღილაკი მიიღებს ფორმას - .

შესაძლებელია მონაცემების გაფილტვრა ერთდროულად რამდენიმე სვეტის მიხედვით. მაგალითად, გვაინტერესებს საღაროში ფულის მიღების ისეთი გატარებები, რომლებშიც თანხა მეტია 400 ლარზე.

ამ მიზნით ისევ გამოვიყენოთ ფილტრი და ფანჯარა ასე შევაგსოთ:



ამის შედეგად ეკრანზე მივიღებთ:

სადღა ანგარიში	დასახელება [დაბ.]	საქრუდ ანგარიში	დასახელება [კრუდ.]	თანხა	ვალუტა
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი	500.00	GEL
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი	600.00	GEL
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტა	1210 1	TBC ბანკი	500.00	GEL

როდესაც ფილტრაციაში ერთდროულად რამდენიმე ველია გამოყენებული, მაშინ ყველა ჩანაწერის აღსადგენად უნდა გადაინიშნოს მონიშნული ველები. ეს შესაძლებელია ერთი ოპერაციით, თუ გამოვიყენებთ ფილტრის მარცხენა ქვედა კუთხეში მოთავსებულ ღილაკს (ფილტრის გაწმენდა).


ჩანაწერების დალაგება

გატარებების სტრიქონები, როგორც წესი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა დალაგდებოდეს. მაგრამ ხშირად საჭირო დროებით მათი სხვაგვარი თანმიმდევრობით გადალაგება და შემდეგ იგივე მდგომარეობაში დაბრუნება.



ასევე, თუ მაგალითად, ერთსა და იმავე დღეს ბევრი ოპერაცია სრულდება, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს მხოლოდ თარიღის მიხედვით დალაგება. შესაძლებელია ერთი და იმავე თარიღის ფარგლებში შესრულებული გატარებები შიგნით გადალაგდეს მაგალითად, დოკუმენტის ნომრის, თანხის, შემსრულებლისა და ა.შ. სვეტების მიხედვით ისევე, როგორც ეს Excel-ში სრულდება.

მაგალითად, გვინდა გატარებების დალაგება თანხების ზრდადობის მიხედვით.


გამოვიყენოთ ღილაკი (დალაგება) ან F6. მივიღებთ ასეთ სურათს:



როგორც ვხედავთ, დალაგების ფანჯარა შედგება ორი ნაწილისაგან. მარცხენა ნაწილში მოცემულია ყველა სვეტის დასახელება. შუაში მოთავსებული ისრების გამოყენებით შესაძლებელია ერთი, ან ყველა დასახელების მეორე ფანჯარაში გადატანა.

მაგალითად, თუ დალაგება მხოლოდ თანხების მიხედვით გვსურს, მაშინ მარჯვენა მხარეს მოთავსებული ველი "თარიღი" უნდა გადავიტანოთ მარცხნივ. ამისათვის გამოვიყენოთ დილაკი . ამით მარჯვენა ნაწილი გასუფთავდება. ამის შემდეგ მარცხნივ მოვნიშნოთ და მარჯვენა ნაწილში გადმოვიტანოთ ველი "თანხა". ამისათვის კი გამოვიყენოთ დილაკი .

მივიღებთ:




დავხუროთ OK დილაკით ფანჯარა. მივიღებთ ასეთი თანმიმდევრობით გადალაგებულ გატარებებს:

თარიღი	სადგ. ანბა	დასახელება [დღე]	საქმე ანბ	დასახელება [კრძ.]	თანხა	ვაჭ
28.08.2004	3130	გადასახდელი ხელფასები	3370 13	რ-ის საბადასახადო ინსკ. სომია	9.36	GEL
28.08.2004	3370 13	რ-ის საბადასახადო ინსკ. სომია	1210 1	TBC ბანკი	9.36	GEL
7.08.2004	3340	გადახდელი დღე	1430 0001	ბუქია ვ. .	16.00	GEL
8.08.2004	1630	დაუმთავრებელი წარმოება	1620 0004	ქალაქი თბილისი 60 ბრ. A4 ფურცა	31.67	GEL
8.08.2004	1630	დაუმთავრებელი წარმოება	1620 0008	საღებავი ლუწაი	39.29	GEL
8.08.2004	1630	დაუმთავრებელი წარმოება	1620 0008	საღებავი ლუწაი	39.29	GEL
6.08.2004	3340	გადახდელი დღე	1430 0001	ბუქია ვ. .	40.00	GEL
10.08.2004	3120 23	შპს "კლანაბა"	3330	გადასახდელი დღე	50.00	GEL

ცხადია, ამ დროს თარიღების თანმიმდევრობა აირევა.

დანარჩენი ღილაკებით - << და >> შეიძლება ყველა ველის ერთდროულად გადატანა ერთი ნაწილიდან მეორეში.

თუ გვინდა გატარებები ისე დალაგდეს, რომ დაცული იყოს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და ამასთან, ერთსა და იმავე თარიღის ფარგლებში გატარებები დალაგდეს მაგალითად, დოკუმენტის ნომრის მიხედვით, ამისათვის მარჯვენა მხარეში ველები ასეთი თანმიმდევრობით უნდა განლაგდეს:





ანალოგიური წესით გამოიყენება ეს ბრძანება პროგრამის სხვა ფანჯრებშიც.

ჩანაწერების ექსპორტი და იმპორტი


პროგრამის გამოყენებით შესაძლებელია პროგრამა Excel-თან მონაცემების გაცვლა, რაც ძალზე მოხერხებული საშუალებაა. არასწორია მოსაზრება, რომ თუ მომხმარებელი მუშაობს საბუღალტრო პროგრამით, მას აღარ დასჭირდება Excel-ით სარგებლობა. ელექტრონული ცხრილები ერთნაირადაა საჭირო ყველა ბუღალტრისთვის. მრავალი გამოთვლა შეიძლება შესრულდეს ელექტრონულ ცხრილში და შედეგი გადატანილ იქნეს საბუღალტრო პროგრამაში.

ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთი ანგარიშგების ფორმის შედგენა, რომლის აგება უფრო ადვილი იქნებოდა ელექტრონული ცხრილების გამოყენებით. ასევე, ბევრი დაინტერესებული ორგანიზაცია ფინანსურ მონაცემებს ითხოვს ელექტრონულ ფორმატში. მაგრამ მათთვის მოუხერხებელი იქნება ამ ინფორმაციის მიწოდება იმ ფორმატით, რომელშიც მას საბუღალტრო პროგრამა ინახავს. ამასთან, ასეთი სახის მონაცემების გაცვლის სტანდარტად ითვლება პროგრამა Excel. ამიტომ პროგრამის კავშირი Excel-თან აუცილებელი მომენტია.


ორისში გათვალისწინებულია ყველანაირი მონაცემის გატანა Excel-ში. ამიტომ თითქმის ყველა ფანჯარაშია ღილაკი  და ზოგიერთში . პირველი ღილაკით შესაძლებელია როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი, მეორე ღილაკით კი მხოლოდ ექსპორტი.

პროგრამა ორისიდან Excel-ში ექსპორტი განსაკუთრებით ანგარიშების ნაშთების, ბრუნვების, საცდელი ბალანსისა და ა.შ. შემთხვევაში გამოიყენება. ამით შესაძლებელი ხდება Excel-ში ექსპორტირებული მონაცემების დამატებითი დამუშავება, მისთვის არასტანდარტული ფორმის მიცემა.

გატარებების ფანჯრიდან შევასრულოთ ეს ოპერაცია. ეკრანზე ვიხილათ ფანჯარას, სადაც უნდა დავაზუსტოთ, რა ოპერაცია გვესაჭიროება, ექსპორტი თუ იმპორტი:



ჩვენს შემთხვევაში ავირჩიოთ პირველი ბრძანება – ექსპორტი. მივიღებთ:



რადგან მეორე პროგრამაში მონაცემების გადატანის შემთხვევაში ახალი ფაილი მიიღება, ცხადია საჭირო იქნება მისთვის დისკის, საქაღალდისა და სახელის მითითება. პროგრამა ჩვეულებრივ გვთავაზობს გზას, რომელიც ამ ფანჯრის მეორე სტრიქონშია მითითებული. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ამ მონაცემების შეცვლა. მაგალითად, C:\GATAREBEBI.

რაც შეეხება მონაცემების ფორმატს, შესაძლებელია სამი ფორმატიდან ერთ-ერთის არჩევა xls, txt და cvs. იმპორტის დროს გამოიყენება ბოლო ფორმატი.

საბოლოოდ, ბრძანების შესრულების შედეგად გამოიძახება პროგრამა Excel და დაიწყება მასში სტრიქონების გადატანა:

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L
1	ორს	თარიღი	საღირსი	ანგარიშის	საქმიანობა	ანგარიშის	თანხა	მარჯობა	კარგი	კარგად	კარგად	კარგად
2	ორს 1	5/04/2004	1110	ნაღდი ფლ	1210 1	TBC ბანკი	500 GEL		0	0		801.50ა
3	ორს 2	10/04/2004	1110	ნაღდი ფლ	1210 1	TBC ბანკი	800 GEL		0	0		801.50ა
4	ორს 3	10/04/2004	1110	ნაღდი ფლ	1210 2	ბანკი ძაპ	400 GEL		0	0		801.50ა
5		5/08/2004	7430	სოფლის	3160 0001	ბუკია პ.	150 GEL		0	0		801.50ა
6		5/08/2004	7490	სხვა სავა	1430 0001	ბუკია პ.	400 GEL		0	0		801.50ა
7	ორს 4	5/08/2004	1110	ნაღდი ფლ	1430 0001	ბუკია პ.	100 GEL		0	0		801.50ა
8		6/08/2004	3340	ბალანსი	1430 0001	ბუკია პ.	40 GEL		0	0		801.50ა
9		6/08/2004	1620	0004-ქაღალდი	1430 0001	ბუკია პ.	300 GEL		0	5 უარი		801.50ა
10		6/08/2004	3340	ბალანსი	1430 0001	ბუკია პ.	60 GEL		0	0		801.50ა
11		6/08/2004	1620	0008-საღებანი	1430 0001	ბუკია პ.	200 GEL		0	60 აბ		801.50ა

შევინახოთ მიღებული ფაილი და დავხუროთ Excel. დავბრუნდებით პროგრამა ორისში. ეკრანზე დარჩება პატარა შეტყობინება:




დავხუროთ ეს ფანჯარა Cancel-ზე დაჭერით. ამით ექსპორტის ოპერაცია დასრულებულია. მიღებული ფაილი შემდგომ ჩვეულებრივი გზით დამუშავდება პროგრამა Excel-ის საშუალებით.


რაც შეეხება მონაცემების იმპორტს, იგი ასევე Excel-იდან ხორციელდება, მხოლოდ შედარებით რთულად. ეს ოპერაცია შესაძლებელია გატარებებზე და ძირითადად საშუალებებზე. მხოლოდ, იმპორტამდე მონაცემების ფორმა სათანადოდ მომზადებას მოითხოვს.

გატარებების იმპორტს აზრი აქვს მაგალითად ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი ორგანიზაციის ზოგიერთი გატარება გვინდა გადავიტანოთ სხვა ორგანიზაციის გატარებებში. ამისათვის, ერთი ორგანიზაციიდან უნდა მოხდეს გატარებების ექსპორტი Excel-ის ფაილში და შემდეგ კი მეორე ორგანიზაციის გატარებებში უნდა მოხდეს იმ მონაცემების იმპორტი.

სიის აწყოლა


ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი სვეტის გამორთვა. მაგალითად, თუ პროგრამა ერთვალუტიანია, მაშინ საჭირო აღარ არის სვეტი, რომელშიც ვალუტის დასახელება და კურსი გამოდის. ასევე, თუ ორგანიზაციას არ გააჩნია მარაგები, მაშინ მას არც რაოდენობრივი აღრიცხვა დასჭირდება. ამიტომ სვეტი "რაოდენობა" ზედმეტია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ამ სვეტების გამორთვა.

ამის შესრულება შეიძლება ღილაკით  (სიის აწყოლა), ან F11-ით. მისი გამოყენებით ვიხილავთ ფანჯარას:



თუ გადავნიშნავთ რომელიმე სტრიქონს, მისი შესაბამისი სვეტი მაშინვე გაქრება ეკრანიდან. აღდგენა შესაძლებელია ხელახალი მონიშვნის გზით.

მონიშნული გატარებების ჯამი

თუ წინასწარ მონიშნავთ რამდენიმე სტრიქონს (მიყოლებით, ან ნებისმიერებს)  ღილაკზე დაჭერით მივიღებთ თანხების ჯამს (ე.ი. ვიყენებთ როგორც კალკულატორს იმ განსხვავებით, რომ საჭირო არ არის რიცხვების ხელახლა აკრეფა). ასეთივე წესით გამოიყენება ეს ღილაკი სხვა ფანჯრებშიც – ნაშთებში, ბრუნვებში და ა.შ

თავი 19. მონაცემთა ასლების აღება და აღდგენა

ნებისმიერ პროგრამასთან მუშაობის დროს საჭიროა გარკვეული სიფრთხილე, რაც დაკავშირებულია მონაცემების უსაფრთხოებასთან. მონაცემები შეიძლება დაზიანდეს, შემთხვევით წაიშალოს, დაზიანდეს თვით დისკი, რომელშიც შენახულია პროგრამა და მონაცემთა ბაზა, მოიპარონ კომპიუტერი და ა.შ.

ასეთი შემთხვევებში ტექნიკაზე უფრო მეტად ზარალი შეიძლება დაკარგულმა მონაცემებმა მოგვაყენოს.

ამიტომ პერიოდულად (სასურველი იქნება ყოველი სამუშაო დღის ბოლოს) უნდა გაკეთდეს მონაცემების ასლები რაიმე საიმედო, გარე მოწყობილობაზე. ეს შეიძლება იყოს დისკეტი, ZIP, Flash, ლაზერული დისკი, თვითონ მყარი დისკი (ვინჩესტერი) და ა.შ.

დისკეტების გამოყენება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, რადგან როგორც წესი, დისკეტები არასაიმედოა.


ასლის აღება

პროგრამაში გათვალისწინებულია ასლების აღების საშუალება. ამ მიზნით გამოიყენება პროგრამა Winrar, რომელიც მოთავსებულია Oris (ან OrisDemo) საქაღალდეში. Winrar პროგრამა ავტომატურად დაყენდება პროგრამა Oris-ის ინსტალაციის დროს.


შემდგომში, თუკი ჩვენს მონაცემებს რაიმე შეემთხვევა, შესაძლებელი იქნება ასლიდან მონაცემების აღდგენა.

ასლის ასაღებად გამოვიყენოთ ბრძანება:

ფაილი / ასლი / მონაცემების ასლის აღება



გამოდის შეტყობინება-გაფრთხილება:




თუ ავირჩევთ პირველ ვარიანტს – "მთელი ინფორმაციის ასლი", ეკრანზე ვიხილავთ მომდევნო შეტყობინებას:




ამ შემთხვევაში, ასლის აღების პროცესში, პროგრამაში არსებული ყველა ორგანიზაცია იკუმშება, რადგან პროგრამა თვლის, რომ ყველა მათგანი ერთნაირად საჭიროა და აუცილებელია მათი მონაცემების შენახვა. ამიტომ, პროგრამაში რეგულარულად უნდა ამოვშალოთ არასაჭირო ორგანიზაციები, რომ ტყუილად დრო და ადგილი აღარ დაიკავოს მათმა მონაცემებმა ასლის აღების დროს.

შორე შემთხვევას ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვინდა ერთი კონკრეტული ორგანიზაციის ასლის აღება (მაგალითად სხვაგან წაღების მიზნით). ამ ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, ეკრანზე ვიხილავთ პროგრამაში გახსნილი ორგანიზაციების სიას, საიდანაც შეგვიძლია სასურველის არჩევა:



ორივე შემთხვევაში, ბრძანების შესრულების შედეგად უნდა შეიქმნას ახალი ფაილი, რომელსაც ესაჭიროება სახელის, დისკისა და საქაღალდის მითითება. ამიტომ ეკრანზე გამოდის ფანჯარა:



ასლის შენახვა იგივე პრინციპით ხდება, როგორც ნებისმიერ სხვა პროგრამაში. ველში File Name (ფაილის სახელი) პროგრამა გეთავაზობს ასლის სახელს:

პირველ შემთხვევაში, როდესაც ყველა ორგანიზაციის ასლის აღება გვინდა, სახელი ასეთი იქნება:

- WOB_ASLI_6-21-2004_10-06AM, რომელიც ასე იწოდება:

WOB – Windows-ის ორის ბუდალტერია

6-21-2004 – ასლის აღების თარიღი – 21 ივნისი 2004 წ.


10-06 AM – ასლის აღების დრო – დღის 10 სთ 06 წთ.

მეორე შემთხვევაში, ასლის ფაილის სახელში გამოჩნდება იმ ორგანიზაციის სახელი, რომლის ასლის აღებასაც ვაპირებთ:

- SS_Imereti_ASLI_6-21-2004_10-06AM.

შესაძლებელია ამ სახელების შეცვლა და ნებისმიერის შეტანა, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუკი სახელს უცვლელად დავტოვებთ, რადგან ყოველთვის შეგვეძლება იმ დროის დადგენა, როდისაა აღებული ეს ასლი და რომელი ორგანიზაციისაა.

ველში Save In მივუთითოთ იმ დისკისა და საქაღალდის სახელი, სადაც გვინდა ასლის შენახვა. თუ სასურველი დისკი და საქაღალდე არ ჩანს ამ უჯრაში, ჩამოვშალოთ ეს უჯრა და ავირჩიოთ.



ავირჩიოთ მაგალითად, დისკი C: და მასზე შევინახოთ ასლი. თუ პროგრამას დავხურავთ (ან დროებით დავხურავთ მინიმალური ღირებულების გამოყენებით) და My Computer-იდან დავათვალიერებთ C: დისკს, მასზე ვნახავთ ასლის ფაილს. ამასთან, ასეთი ფაილი რამდენიმე შეიძლება აღმოჩნდეს.

დროთა განმავლობაში დისკებზე გროვდება ძველი ასლები, რომლებიც პერიოდულად უნდა წაიშალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასლის აღების ყოველ ოპერაციაზე ინახება პროგრამაში გახსნილი ორგანიზაციების მთლიანი მონაცემები და არა მისი რაიმე ნაწილი.

ასლის აღდგენა

ასლს მივმართავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მონაცემების ფაილს რაიმე დაემართება, ვთქვათ, დაზიანდა გატარებების ფაილი და შეუძლებელია მათი ეკ-

რანზე გამოტანა. ამ შემთხვევაში მივმართავთ შენახულ ასლებს. ასლიდან აღდგენის თანმიმდევრობა ასეთია;

ფაილი / ასლები / მონაცემების ასლის აღდგენა

გამოდის გაფრთხილება-შეტყობინება:



ეს ნიშნავს, რომ თუკი დაგვიზიანდა ერთი ორგანიზაციის მონაცემები და გვინდა მისი ასლის აღდგენა ერთი თვის წინა მდგომარეობით (რადგან მის შემდეგ ასლები არ აგვიღია), სხვა ორგანიზაციების მონაცემებიც ერთი თვის წინანდელი მდგომარეობით აღდგება. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს, რომ ბოლო თვის ნამუშევარი დაიკარგება ყველა ორგანიზაციაში. აქედან გამოსავალი ისაა, რომ ასლები უნდა იყოს უახლესი, რომ თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი დანაკარგი.

თუკი გვინდა, რომ მხოლოდ დაზიანებული ორგანიზაციის მონაცემები აღდგეს და არ შევეხოთ სხვა ორგანიზაციებს, ეს სხვა გზით უნდა გაგაკეთოთ პროგრამის გარედან, Windows ოპერაციული სისტემისა და პროგრამა Winrar-ის საშუალებებით.

ასლიდან მონაცემების აღდგენის მიზნით ავირჩიოთ სასურველი დისკი და საქაღალდე. ფანჯარაში გამოჩნდება ასლის ფაილი. ავირჩიოთ ეს ფაილი (ამ შემთხვევაში WOB_ASLI_6-24-2004_12-41PM) და გავხსნათ იგი Open ბრძანების გამოყენებით. დაიწყება ასლიდან მონაცემების აღდგენა.

ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ორგანიზაციასთან მუშაობის გაგრძელება.

ასლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი კომპიუტერიდან სხვა კომპიუტერზე მონაცემების გადატანის დროს. ასლი ავიღოთ პირველ კომპიუტერზე და აღვადგინოთ იგი მეორეზე. ცხადია, ორივეგან დაყენებული უნდა იყოს პროგრამა "ორისი" და ამასთან, ვერსიებიც ერთი და იგივე უნდა იყოს. ეს მეთოდი მოხერხებულია იმ თვალსაზრისით, რომ გადაიტანება Oris საქაღალდეში არსებული სრული ინფორმაცია – ყველა ორგანიზაცია, პირველადი და საბოლოო ფორმები და სხვ.


გადატანა შეიძლება განხორციელდეს ასლების გამოყენების გარეშეც. თუკი მაგალითად გადასატანი არის მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მონაცემები, დავუშვათ SS_Imereti, ეს შეიძლება განხორციელდეს ამ საქაღალდის უბრალო კოპირებით. მხოლოდ, თუკი აწყობილი გექონდა რაიმე ფორმა (რომლებიც მოთავსებულია სხვა საქაღალდეებში), მაშინ ის ფაილები ცალკე უნდა გადაკოპირდეს.

თავი 20. სისტემის მომხმარებლები. პაროლები

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციაში რამდენიმე მომხმარებელი სარგებლობს საბუღალტრო პროგრამით, მონაცემების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის დაცვის მიზნით საჭირო ხდება მათ შორის უფლება-მოვალეობების განაწილება. ამ მიზნით, მომხმარებლებს ეძლევათ ინდივიდუალური პაროლები, განესაზღვრებათ, რა ორგანიზაციებთან, მენიუებთან, ბრძანებებთან, ანგარიშებთან, პროექტებთან იმუშაონ (ანუ, პროგრამის რა რესურსების გამოყენება შეუძლია ამა თუ იმ მომხმარებელს).

მომხმარებლები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს ჰყავდეს უფროსი. სისტემაში თავიდანვე არსებობს ადმინისტრატორი, რომელიც როგორც წესი, მთავარი ბუღალტერია. იგი ხედავს და აკონტროლებს ყველა მომხმარებლის ნამუშევარს, ხოლო რიგითი მომხმარებლები ხედავენ მხოლოდ თავიანთ შესრულებულ გატარებებს (თუმცა, შეიძლება ისეთი რეჟიმის ჩართვა, რომ მომხმარებელს შეეძლება თავის განყოფილებაში გაერთიანებული მომხმარებლების გატარებების დანახვა).


სქემატურად მომხმარებელთა დონეები ასე შეიძლება გამოისახოს:



მომხმარებლების დამატება შეიძლება ბრძანებათა თანმიმდევრობით:


ფონდები / მომხმარებლები.

ამის შედეგად ეკრანზე ვიხილავთ მომხმარებელთა სიას:



როგორც ვხედავთ, სიაში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი მომხმარებელია – ადმინისტრატორი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ავტომატურად ემატება ყოველ ახლად გახსნილ ორგანიზაციაში.


დანარჩენი მომხმარებლების დასაფიქსირებლად დავამატოთ ახალი ჩანაწერი. გაიხსნება ფანჯარა:




პირველივე ველში მიუთითოთ მომხმარებლის დონე. ჩვენს შემთხვევაში დავეუშვათ, რომ ვამატებთ რიგით ბუღალტერს. ამისათვის მოვნიშნოთ ველი “3 დონე (თანამშრომელი)”

ველში “მომხმარებელი” შევიტანოთ მომხმარებლის გვარი (ან ავირჩიოთ სიიდან), მაგალითად “ვასაძე”. მომდევნო ველში კი მისი პირადი პაროლი. მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ იმას, კლავიატურის გადამრთველი რა მდგომარეობაშია – ქართული ასოების რეჟიმში, თუ ლათინურის (ან რუსულის და ა.შ.). მის მომდევნო ველში პროგრამა ითხოვს პაროლის დადასტურებას – იგი ამოწმებს მომხმარებელს, რამდენად დაიმახსოვრა თავისი შეტანილი პაროლი. ვალში “სტატუსი” მაგალითისათვის შევიტანოთ “ბუღალტერი”.

ამის შემდეგ დაეხუროთ ფანჯარა.




მომხმარებელი დაემატა სიაში. ამასთან, გააქტიურდა ჩანართი “უფლებები”. მისი გახსნით მივიღებთ:



მოვნიშნოთ ის ორგანიზაციები, რომლებთანაც ამ მომხმარებელს მუშაობა შეეძლება. მაგალითად, SS_Imereti.

ამის შემდეგ, იგივე პრინციპით ავირჩიოთ ჩანართი “მენიუები”, საიდანაც შეიძლება იმ ბრძანებებისა თუ მთელი მენიუს გათიშვა, რომელიც არ ესაჭიროება ამ მომხმარებელს.



ამ ფანჯარაში გადაენიშნოთ ის ბრძანებები, რომლებიც არ უნდა გამოვიდეს ამ მომხმარებლის ეკრანზე. თუ ამას გავაკეთებთ მენიუზე “ფაილი”, მაშინ მასში შემავალი ყველა ბრძანება გაითიშება.

ანალოგიურად ხდება ანგარიშებზე და პროექტებზე უფლებების მინიჭება.

ცხადია, თუი სისტემაში დაემატა მომხმარებლები და მათ პაროლები მიენიჭათ, ამის შემდეგ თვით ადმინისტრატორმაც უნდა მიუთითოს თავისი პაროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი უპაროლოდ შეძლებს პროგრამაში შესვლას და თანაც ყველაფრის უფლება ექნება.


ამისათვის ფანჯრიდან “მომხმარებლები” გავაკორექტიროთ “ადმინისტრატორი” და შევიტანოთ პაროლი.

პაროლის დაფიქსირების მეორე მეთოდი:

პროგრამაზე პაროლის დადება (ადმინისტრატორის პაროლის) შეიძლება ასევე ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობით:

ფაილი / პაროლის შეცვლა

შემდგომში, პროგრამის გაშვების დროს, თუ არ იქნება შეტანილი სწორი პაროლი, პროგრამაში შესვლა შეუძლებელი იქნება. ეკრანზე მივიღებთ ასეთ შეტყობინებას:



პაროლების მოხსნა ან შეცვლა შესაძლებელია ანალოგიური გზით.

თავი 21. ჩანაწერების წაშლა:

პროგრამაში შესაძლოა საჭირო გახდეს სხვადასხვა ბუღალტრული ჩანაწერის წაშლა, როგორცაა:

1. გატარებები
2. ანგარიშების სასტარტო ნაშთები
3. ანგარიშები
4. სახეობები (სასაქონლო, ორგანიზაციები, კადრები, ძირითადი საშუალებები)
5. პირველადი დოკუმენტები
6. თვით ჩვენი ორგანიზაცია
7. ასლები
8. პროექტები

წაშლა ასეთი პრინციპით ხდება:

გატარებები:

1. გატარების წაშლა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუკი ამ გატარების შესრულების თარიღი ხვდება მიმდინარე საოპერაციო პერიოდში. მაგალითად, თუ გატარება შესრულებულია 2008 წლის 5 აპრილს, ხოლო საოპერაციო პერიოდია 2008 წლის თებერვალი, მაშინ გატარება ვერ წაიშლება. ეკრანზე წაშლის ღილაკი დაბლოკილი იქნება.
2. შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე გატარების წაშლა. ამისათვის გამოვიყენოთ Ctrl ან Shift ღილაკები ისეთივე პრინციპით, როგორც ეს მიღებულია Windows ოპერაციულ სისტემაში. დაჭერილ მდგომარეობაში გააჩეროთ Ctrl ღილაკი და მის გაუშვებლად თავის მარცხენა ღილაკზე დაჭერით სათითაოდ მოინიშნოთ წასაშლელი გატარებები. წაშლის ბრძანება შეეხება ყველა მონიშნულ გატარებას.

დღს.	თარიღი	ნაღვ. ანგარიშის ნომერი	დასახელება [დგ.]	საკომ. ანგ. (დასახელება [სრულ])	თანხა	ვალუ. კურსი	რამდენჯერ	პროცენტი
ორღ 1	5.04.2004	1110	ნაღვ. ფული ერთნაწილ პალატა	1210 1	ფას ბანკი	500.00 GEL		
ორღ 2	10.04.2004	1110	ნაღვ. ფული ერთნაწილ პალატა	1210 1	ფას ბანკი	600.00 GEL		
ორღ 3	10.04.2004	1110	ნაღვ. ფული ერთნაწილ პალატა	1210 2	ბანკი კართუ	400.00 GEL		
	10.08.2004	5330	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	1220	ზუსტური პალატა რე	45.00		
	5.08.2004	7430	კომპიუტერული ხარჯები	3160 0001	ბუბია პ.	150.00 GEL		
	5.08.2004	7450	სხვა საერთო ხარჯი	1430 0001	ბუბია პ.	400.00 GEL		

ასევე, Shift ღილაკით შეიძლება მთელი დიაპაზონის მონიშვნა. დაეჭიროთ Shift ღილაკი და მის გაუშვებლად თავით მონიშნოთ დიაპაზონის პირველი სტრიქონი, შემდეგ ბოლო. მონიშნება მათ შორის მოთავსებული ყველა სტრიქონი:

ანგარიშები:

3. ანგარიში რომ წაიშალოს, ჯერ უნდა წაიშალოს ამ ანგარიშზე შესრულებული ყველა გატარება და სასტარტო ნაშთი. ამის შემდეგ შესაძლებელი

იქნება თვით ანგარიშის წაშლა. ზედა დონის ანგარიშის წასაშლელად ჯერ უნდა წაიშალოს მისი ყველა ქვეანგარიში. მაგალითად, თუ გვსურს 1620 ანგარიშის წაშლა, ჯერ უნდა მოიშალოს ქვეანგარიშები - ქალაქი და საღებავი და შემდეგი თვით 1620 ანგარიში. სასტარტო ნაშთი ისეთივე წესით იშლება, როგორც გატარება. ნაშთის შეტანის თარიღი უნდა ხვდებოდეს საოპერაციო პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტარტო ნაშთი უბრალოდ, არ გამოჩნდება

სახეობები (საქონელი, ორგანიზაცია, კადრები, ძირითადი საშუალებები):

სახეობების წასაშლელად ჯერ უნდა წაიშალოს ის ანგარიშები, რომლებზეც ეს სახეობებია გახსნილი, ხოლო შემდეგ თვით სახეობა.

მაგალითად, თუ გვსურს სასაქონლო სიაში წავშალოთ ქალაქი, მაშინ ეს ასეთი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს:

წაიშალოს: გატარებები (რომლებშიც მონაწილეობს ქალაქის ანგარიში) – სასტარტო ნაშთები – ანგარიში – საქონელი (სასაქონლო სიიდან)

პირველადი დოკუმენტები:

იშლება ნებისმიერ შემთხვევაში:
(ოპერაციები / პირველადი დოკუმენტებიდან)

ოპერაციები, რომლებიც შესრულებულია ხელფასის, ძირითადი საშუალებების, სამეურნეო ოპერაციებისა და პირველადი დოკუმენტების ფანჯრებიდან:

ნებისმიერი ასეთი ოპერაციის წაშლა შეიძლება თვით გატარებებიდან, ან სამეურნეო ოპერაციების ფანჯრიდან.

პირველ შემთხვევაში, საჭირო იქნება ოპერაციის შემადგენელი თითოეული გატარების მონიშვნა და წაშლა.

მეორე შემთხვევაში კი წაიშლება მხოლოდ ოპერაციის დასახელება, რომელიც თავის მხრივ გამოიწვევს ოპერაციის შემადგენელი გატარებების ავტომატურ წაშლას.

ჩვენი ორგანიზაცია და ასლები: იშლება პროგრამის გარედან, ოპერაციული სისტემის საშუალებით. გავხსნათ ის დისკი და საქალაქო, სადაც შენახულია ორგანიზაციის საქალაქო და წავშალოთ. როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, პროგრამა ჩაწერილი იქნება მისამართზე C/Oris (Demo).

ანალოგიურად წაიშლება ასლებიც, რომელიც ერთი ან რამდენიმე ფაილისაგან შეიძლება შედგებოდეს.

თავი 22. სისტემის პარამეტრები


ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პროგრამაში, ორისშიც მუშაობის პროცესში ხშირად საჭირო გარკვეული პარამეტრების შეცვლა, რეჟიმების ჩართვა და გამორთვა, ანუ პროგრამის მართვა. როგორც სხვა პროგრამებშია მიღებული, ამ პარამეტრების უმეტესობა ოპტიმალურად არის დაყენებული და მათი შეცვლა ხშირ შემთხვევაში არასასურველია, ან უნდა შეასრულოს გამოცდილმა მოხმარებელმა.

განვიხილოთ მათგან ძირითადები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ სიტუაციაში.

პარამეტრების გამოძახება შეიძლება ბრძანებათა თანმიმდევრობით:


ფონდები / სისტემის პარამეტრები

ეკრანზე ვიხილავთ ნაცნობ სურათს:




როგორც ვხედავთ, პარამეტრების ფანჯარა შედგება რამდენიმე ჩანართისაგან. პირველივეს ჩვენ ადრევე გავეცანიტ, როდესაც ახალი ორგანიზაცია გავხსენით. საჭიროების შემთხვევაში, ამ ფანჯრიდან შეიძლება ორგანიზაციის მონაცემების ცვლილება.

მომდევნო ჩანართია **“ვალუტა”**:




ეს ჩანართი მხოლოდ საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს. იგი გვამცნობს, რომ ამ ორგანიზაციის ბუღალტერიაში ძირითად ვალუტას ქართული ლარი წარმოადგენს. მისი ცვლილება შეუძლებელია.


ეკრანი:



ამ ჩანართს არ უნდა შეეხებოდეთ, თუ შრიფტებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არა გვაქვს. თუ ეკრანზე რაიმე წარწერები აღარ ჩანს, ან ქართული ასოების ნაცვლად გაუგებარი სიმბოლოებია გამოტანილი, მაშინ ასე უნდა მოიქცეთ: გაასუფთავეთ პირველი და მეორე უჯრა, ფანჯარა დახურეთ OK ღილაკით, დახურეთ პროგრამაც და ხელახლა გამოიძახეთ.


ამავე ჩანართში ქვემოთ მოცემულია ღილაკი  'სისტემის საწყისი ზომების აღდგენა'. მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის რომელიმე ფანჯარაში სვეტების ზომები აირევა, ან რაიმე დაგვეკარგება (უმეტეს შემთხვევაში ეს ექსპერიმენტების ჩატარების დროს ხდება). ამ ღილაკის გამოყენებით ფანჯრებში სვეტების ზომები ისეთივე გახდება, როგორც ეს თავიდანვე იყო ორგანიზაციის შექმნის დროს.

ფერები:



ამ ფანჯარაში მოცემულია ანგარიშების ფერების შაბლონები. მაგალითად, სასაქონლო სახეობის ანგარიშები ცისფერია, თანამშრომლის სახეობისა კი შინდისფერი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ფერების კორექტირება (რაც სინამდვილეში არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს).

ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლო ჩანართი "სხვა". მისი გახსნით მივიღებთ:



როგორც ვხედავთ, ამ ჩანართში თავის მხრივ კიდევ არის ჩანართები. მათგან პირველია “მოქმედებები ანგარიშებზე”. მასში გათვალისწინებულია შემდეგი ოპერაციები:

“ავჯამოთ სასტარტო ნაშთები”: ეს ბრძანება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასტარტო ნაშთების შეტანის დროს ქვეანგარიშების ნაშთების ჯამი არ დაემთხვევა ზედა დონის ანგარიშის ნაშთს. ეს ხშირად გავრცელებული შეცდომაა, რაც გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ შესაძლებელია სასტარტო ნაშთების ფანჯარაში ზედა დონის ანგარიშზე ნაშთის კორექტირება.

მაგალითად, 1210 ანგარიშზე ჩვენ თავიდან შეტანილი გვექონდა სასტარტო ნაშთები 3000 და 5000. მათი ჯამი – 8000 ავტომატურად აისახა 1210 ანგარიშზე. თუ გავაკორექტირებთ უშუალოდ 1210 ანგარიშს (რაც ზოგჯერ დასაშვებია გარკვეული მოსაზრების გამო) და მოვინდომებთ ნაშთის წაშლას, სისტემა გაგვაფრთხილებს, რომ ამით შეიძლება დაირღვეს სუბანგარიშების ჯამი. თუ გაფრთხილების მიუხედავად მაინც წავშლით ამ რიცხვს, შედეგის გასწორება მხოლოდ ზემოთ ნახსენები ბრძანებითაა შესაძლებელი.

“გაანულოთ სასტარტო ნაშთები”: ეს ბრძანებაც შეიძლება გამოყენებულ იმ შემთხვევაში, როდესაც სასტარტო ნაშთების შეტანა არასწორად მოხდა, ან შეიცვალა ანგარიშთა გეგმაში ქვეანგარიშების სტრუქტურა. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ადრე შეტანილი ნაშთების განულება და ხელახლა შეტანა იმავე, ან სხვა რომელიმე ანგარიშებზე. მოცემული ბრძანების საშუალებით შეიძლება ერთბაშად წაიშალოს ყველა სასტარტო ნაშთი, ან რომელიმე ანგარიშზე (ან მის ქვეანგარიშებზე). ცხადია, ეს ოპერაცია არანაირ გავლენას არ მოახდენს შესრულებულ გატარებებზე.


მომდევნო ბრძანებას **“საწყისი ნაშთებში ექვივალენტის კორექტირება”** დაახლოებით იგივე დანიშნულება აქვს, როგორც ეს იყო ბრძანებაში **“ავჯამოთ სასტარტო ნაშთები”**.

როდესაც ერთ ანგარიშზე რამდენიმე სავალუტო ნაშთის აღრიცხვა ხდება (მაგალითად, 1220 ანგარიშზე აღრიცხება თანხები აშშ დოლარში და ევროში, როგორც მე-12 თავში – “ვალუტა” იყო განხილული). როგორც გვახსოვს, ნაერთ უწყისში ყოველ ანგარიშზე ჯამურად აისახება ამ ანგარიშზე

არსებული თითოეული სავალუტო ნაშთის ექვივალენტი ლარებში. მაგალითად, 1220 ანგარიშზე სასტარტო ნაშთი გექონდა 200 აშშ დოლარი და 100 ევრო. მათი ექვივალენტების ჯამი ასეთი იქნებოდა: $200 \text{ USD} * 2.0 + 100 \text{ EUR} * 2.4 = 400 + 240 = 640$ ლარი (სადაც 2.0 და 2.4 არის აშშ დოლარისა და ევროს კურსები ნაშთის შეტანის თარიღისათვის). ამ შემთხვევაში ნაერთ უწყისში აისახება 640 ლარი.

თუ 1220 ანგარიშს გავაკორექტირებთ სასტარტო ნაშთების ფანჯარაში ისე, რომ გააქტიურებული იყოს ნაერთი უწყისი და წავშლით მასზე სასტარტო ნაშთს (გაფრთხილების მიუხედავად, რომ შესაძლოა დაირღვეს სასტარტო ნაშთების ჯამი), მაშინ ნაერთი უწყისის გასწორება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ბრძანების გამოყენებით.

“ვაჩვენოთ სასტარტო ნაშთები”: როდესაც დაგამთავრებთ სასტარტო ნაშთების სრულად შეტანას, მათ ეკრანზე შემდგომ გამოტანას აზრი აღარ აქვს, ეს მაინც ჩანს ბრუნვების ფანჯარაში. პირიქით, სასტარტო ნაშთებზე შეცდომით შეიძლება არასასურველი და გაუთვალისწინებელი მოქმედებები მოახდინონ - კორექტირება, წაშლა და ა.შ. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ საერთოდ აგვრძალავთ რაიმე მოქმედებებს სასტარტო ნაშთებზე. ამის გაკეთება შეიძლება ველის **“ვაჩვენოთ სასტარტო ნაშთები”** გამორთვით. ამ შემთხვევაში სასტარტო ნაშთებში საერთოდ გაქრება ღილაკი **“სასტარტო ნაშთები”** და მის გვერდით მოთავსებული თარიღის უჯრა (რითაც ამ ნაშთების შეტანის თარიღს ვაფიქსირებდით). ამასთან, ახალი ანგარიშის (ან ქვეანგარიშის) დამატების დროს საერთოდ აღარ გამოჩნდება ფინანსური და რაოდენობრივი ნაშთების, ასევე ვალუტის უჯრები. ფანჯარას ასეთი სახე ექნება:



ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ახალი ანგარიშის დამატება, მაგრამ ვეღარ შევიტანთ ამ ანგარიშის სასტარტო ნაშთს.

თუ ისევ დაგვჭირდება სასტარტო ნაშთებზე ოპერაციების ჩატარება, სისტემის პარამეტრებიდან ისევ მოვნიშნოთ აღნიშნული ველი. ამ შემთხვევაში შეიძლება დაგვჭირდეს ეკრანის საწყისი ზომების აღდგენა, რომლის ბრძანებაც ზემოთ იყო განხილული:

(ფონდები / სისტემის პარამეტრები / ეკრანი / ეკრანის ზომების აღდგენა)


სასაქონლო ნაშთის ჩამოწერის მეთოდი: ამ პარამეტრის საშუალებით შეიძლება დაფიქსირება, თუ რომელი მეთოდი იქნეს ავტომატურად გამოყენებული სასაქონლო გატარებებაში. მომხმარებელს აღარ დასჭირდება ჩამოწერის მეთოდის (FIFO, LIFO, MIDL და ა.შ.) არჩევა.

სასაქონლო სიის კორექცია:

მარაგების მართვასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთი ასეთი პრობლემა:


ვთქვათ ერთი და იგივე დასახელების მასალა (ან საქონელი) მიღებულია სხვადასხვა დროს ისე, რომ განსხვავებული იყო ერთეულის ფასი. თან ხდებოდა მისი გაცემა, რომლის დროსაც იგი ჩამოიწერებოდა თვითღირებულებით, რომლის გამოანგარიშების დროსაც ვიყენებდით თვითღირებულების დათვლის რომელიმე მეთოდს.

თუ მაგალითად, მასალის შეძენის რომელიმე გატარებას გავაკორექტირებთ და შევცვლით რაოდენობას ან თანხას (შეცდომის გასწორების, ან სხვა მიზნით), ამით შეიცვლება ერთეულის ფასი. მაგრამ ამის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ გატარების მომდევნო გატარებებში, სადაც შესრულებულია ამ მასალის გაცემა, ჩამოწერის თვითღირებულება აღარ იქნება სწორი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ჩამოწერის გატარებების კორექცია. თუ მათი რაოდენობა მცირეა, მაშინ ეს ხელითაც შეიძლება გასწორდეს ამ გატარებების სათითაოდ კორექტირების გზით. მაგრამ, თუ რაოდენობა დიდია, მაშინ ამაში დაგვეხმარება აღნიშნული ბრძანება **”სასაქონლო სიის კორექცია”**. მისი შესაბამისი დილაგია:




აღნიშნული ბრძანებით შესაძლებელია მხოლოდ ერთი, ან ერთდროულად რამდენიმე დასახელების სასაქონლო ანგარიშის კორექტირება.

მომდევნო ჩანართია **”ასლის პარამეტრები”**:




ამ ჩანართში არსებული პარამეტრების უმეტესობა პროგრამა Winrar95-ს ეხატურობა, როდესაც ასლების აღება და აღდგენა ხდება. მათი შეცვლა არასახურველია (არცაა საჭირო). შეიძლება დაგვეჭირდეს მხოლოდ პირველივე ველის შეცვლა. მისი ამჟამინდელი შიგთავსი A:\ ნიშნავს, რომ ასლის აღებისა და აღდგენის ოპერაციის დროს პროგრამა ავტომატურად შემოგვთავაზებს სწორედ ამ დისკს. მაგრამ თუ ასლების ასაღებად სხვა დისკს ვიყენებთ (ხისტი დისკი, Flash და ა.შ.), რომელსაც ცხადია, სხვა სახელი ექნება, მაშინ ამ ველში შეიძლება დაფიქსირდეს სწორედ იმ მოწყობილობის სახე-

ლი. თუ იმ დისკზე ასევე საქაღალდეც არის შექმნილი, რომელშიც ასლები ინახება, მაშინ შეიძლება მიეთითოს ამ საქაღალდის დასახელებაც. მაგალითად: E:\aslebi

პარამეტრები: ძალზე კარგი საშუალებაა "გატარებების პაკეტური კორექტირება", რომლის ჩართვით გატარებების ფანჯარაში გაჩნდება დამატებითი ღილაკი - 

ეს არის ჩანაწერების ჯგუფური კორექტირების საშუალება. მისი გახსნით მივიღებთ:



ამ ბრძანების საშუალებით შესაძლებელია რამდენიმე ჩანაწერში ერთდროულად მოხდეს კორექტირება. ამას კი აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ჩანაწერებში ერთი და იგივე სიდიდე უნდა შეიცვალოს განსხვავებული, მაგრამ ისევე ერთი და იმავე სიდიდით. ამასთან, როგორც ფანჯრის ქვედა ნაწილში გამოდის შეტყობინება, ეს ჩანაწერები წინასწარ უნდა მოინიშნოს.


ეს ბრძანება მრავალ სიტუაციაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

განვიხილოთ ერთი მაგალითი:

გატარებებში გამოყენებული იყო ანგარიში 1430 0001 ბუკია. აღმოჩნდა, რომ მის ნაცვლად უნდა ესარგებლათ სხვა ანგარიშით - 1430 0003 ვასაძე. გასასწორებელი გატარებების რიცხვი დიდია და ხელით გასწორება შრომატევადი პროცესი იქნება.

ამოცანის შესრულება ასეთი თანმიმდევრობით მოხდება:

1. საჭირო გატარებების ადვილად მოსანიშნავად გავფილტროთ გატარებები ისე, რომ ეკრანზე დავტოვოთ მხოლოდ ის სტრიქონები, სადაც სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშებად მოცემულია - 1430 0001 ბუკია




ეკრანზე ვიხილავთ გატარებებს:

თარიღი	საღვ. ანგარიში	დასახელება (ღვ.)	საკრედ. ანგარიში	დასახელება (კრედ.)	თანხა	კალუ	კურსი	რეკვიზიტები	ბილიტი
5.08.2004	7490	სხვა საკრედიტო	1430 0001	ბუჯეტი ვ.	400.00				
5.08.2004	1110	ნაღდი ფული პრეზ	1430 0001	ბუჯეტი ვ.	100.00				
6.08.2004	3340	ბაღაზღილი დღგ	1430 0001	ბუჯეტი ვ.	40.00				
6.08.2004	1620 0004	ქალაქილი თეთრი 6	1430 0001	ბუჯეტი ვ.	300.00				5.000 ზუთი
6.08.2004	3340	ბაღაზღილი დღგ	1430 0001	ბუჯეტი ვ.	60.00				
6.08.2004	1620 0008	საღვ. ანგარიში	1430 0001	ბუჯეტი ვ.	200.00				60.000 ჯ
6.08.2004	1430 0001	ბუჯეტი ვ.	1110	ნაღდი ფული პრეზ	800.00				
7.08.2004	1620 0004	ქალაქილი თეთრი 6	1430 0001	ბუჯეტი ვ.	80.00				20.000 ჯ
7.08.2004	3340	ბაღაზღილი დღგ	1430 0001	ბუჯეტი ვ.	16.00				

როგორც ვხედავთ, ბუჯიას ანგარიში ყველა ამ გატარებაში არის გამოყენებული.

- ამის შემდეგ მოვნიშნოთ ყველა სტრიქონი ერთდროულად. ამისათვის კი შეიძლება Ctrl + A კლავიშების კომბინაციის გამოყენება.
- გამოვიყენოთ პაკეტური კორექტირების ბრძანება. მასში ჩავრთოთ საღებუტო და საკრედიტო ველები და შესაბამისი უჯრები ასე შევავსოთ:



საბოლოოდ, OK ღილაკზე დაჭერით ყველა მონიშნულ გატარებაზე ერთდროულად შესრულდება კორექტირების ოპერაცია.

ამის შემდეგ ფილტრი შეიძლება ისევ გაუქმდეს.

შესვლა

ამ ფანჯარაში მოცემულია ველი "საწეისი ორგანიზაცია სისტემაში შესვლისას", რომელიც შეიძლება ჩამოიშალოს. ვიხილავთ პროგრამაში გახსნილი ორგანიზაციების სიას:

თუ მათგან ავირჩევთ რომელიმეს, მაშინ პროგრამაში თავიდან შესვლის დროს ეს ორგანიზაცია ავტომატურად იქნება არჩეული და აღარ დაგვჭირდება ორგანიზაციების სიის ჩამოშლა და მისი ძებნა.

თავი 23. ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი - Cash Flow

ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ ფორმაა ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი, რომელიც ორგანიზაციაში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებას წარმოადგენს. მაგალითად, ხელმძღვანელობას აინტერესებს, სულ რამდენი თანხა შემოვიდა მყიდველებისაგან, რა თანხებია გადახდილი ბიუჯეტის გადასახადებზე, ხელფასებზე, პროცენტებზე, დივიდენდებზე და ა.შ.

მართალია ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ანგარიშთა ნაშთებიდანაც, მაგრამ უფრო მოხერხებულია მათი ცალკე ფორმის სახით წარმოდგენა.

პროგრამაში გათვალისწინებულია ამ ფორმის ავტომატური შედგენა. ამისათვის გამოიყენება დილაკი - ^{Cash Flow}, რომელიც მოთავსებულია გატარებების ფანჯარაში. მასზე დაჭერით მივიღებთ ფორმას:

კატეგორია / დეტალიზაცია	აბრევიატურა	თანხა
საწყისი		10,500.00
სადებეტო ბრუნვა		2,700.00
უკატეგორიო გატარება		2,700.00
საკრედიტო ბრუნვა		8,113.34
უკატეგორიო გატარება		8,113.34
საბოლოო		5,086.66

როგორც ვხედავთ, ფორმაში მოცემულია შემდეგი ჩანაწერები:

1. **საწყისი** - სალაროსა და ბანკების საწყისი ჯამური ნაშთი
2. **სადებეტო ბრუნვები** - რაც მიუთითებს, რა თანხა შემოვიდა სალაროსა და ბანკებში მთლიანად
3. შემდეგ გაშიფრულია, რა კატეგორიის თანხებისაგანაა მიღებული ეს სადებეტო ბრუნვა. ჩვენს შემთხვევაში, რადგან გატარებების შესრულების დროს კატეგორიები არ გამოგვიყენებია, ყველა თანხა მოხვდა უკატეგორიო გატარებებში.
4. ანალოგიურადაა **საკრედიტო ბრუნვებსა და კატეგორიებში**
5. **საბოლოო** - საბოლოო ჯამური ნაშთი

შემდგომში, Cash Flow-ს ავტომატურად მისაღებად უნდა ვისარგებლოთ ასეთი წესით:

ყოველი გატარების შესრულების დროს, თუ სადებეტო, ან საკრედიტო ანგარიშის უჯრაში აღმოჩნდება საღაროს, ან ბანკის ანგარიში (რაც ნიშნავს, რომ ადგილი აქვს ფულადი ნაკადების გასვლას ან შემოსვლას), მიეთითოს მისი კატეგორია (რაც აქამდე არ გამოგვიყენებია).

მაგალითი: შპს “პლანეტა”-საგან თიბისი ბანკში მიღებულია 500 ლარი საქონლის შესაძენად.

დავამატოთ ახალი გატარება და მისი ფანჯარა ასეთი სახით შევაგსოთ:

ამჯერად ყურადღება მივაქციოთ ველის “ანალიზური პერიოდი” მარჯვნივ მოთავსებულ ღილაკს “შემოსავლისა და ხარჯვის კატეგორიები”. შევნიშნავთ, რომ ეს ღილაკი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გატარების სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშებად 1100 ან 1200 ჯგუფის ანგარიშებია შეტანილი.

გავხსნათ ეს ველი. ვიხილავთ სურათს:

ანგარიშის კოდი	კატეგორია
1კატ	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა
2კატ	ფიზიკური საქმიანობის მიღებული ფულადი სახსრები
3კატ	მიღებული გადასახადები და თანამშრომლებზე გათვალისწინებული ფულადი სახსრები
4კატ	გადახდილი პროცენტები
5კატ	გადახდილი გადასახადები
6კატ	გადახდილი გადასახადები
7კატ	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა
8კატ	საინვესტიციო საქმიანობის მიღებული ფულადი სახსრები
9კატ	საინვესტიციო საქმიანობის მიღებული ფულადი სახსრები
10კატ	მიღებული პროცენტები
11კატ	გადახდილი პროცენტები
12კატ	მიღებული გადასახადები
13კატ	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა
14კატ	შემოსულობანი ახსნათა ვიზისი უძღვრება
15კატ	შემოსულობანი ვიზისი უძღვრება
16კატ	ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებათა განაღდება

ამ ფანჯარაში უნდა ავირჩიოთ ის კატეგორია, რომელიც შეეფერება მოცემულ გატარებას. ცხადია, ეს პირველი კატეგორია იქნება – “მყიდველებისაგან მიღე-

ბული ფულადი სახსრები”. მოვნიშნოთ ეს სტრიქონი და OK ღილაკით გადავიტანოთ გატარებაში. ველში ჩაჯდება კატეგორიის დასახელება:



დავხუროთ ფანჯარა OK ღილაკით.

თუ ამის შემდეგ გავხსნით Cash Flow-ს უწყისს, ვიხილავთ:

Cash Flow		პროექტი	მონეტა
		მონეტა	GEL
		Cash Flow	გაგაერთიანებული
		Cash Flow	შეკუმშული
კატეგორია / დეტალიზაცია	აგრეგატორა	თანხა	
ნაწილი		10,500.00	
<input checked="" type="checkbox"/> სადამატო ზრუნვა		3,200.00	
<input checked="" type="checkbox"/> საოპერატიო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი		500.00	
- მიმდებარედან მიღებული ფულადი სახსრები	1კატ	500.00	
- უკატეგორიო გატარებები		2,700.00	
<input checked="" type="checkbox"/> საპრადატო ზრუნვა		8,113.34	
- უკატეგორიო გატარებები		8,113.34	
<input checked="" type="checkbox"/> საბოლოო		5,586.66	

როგორც ვხედავთ, გატარებაში გამოყენებული თანხა 500 ლარი ცალკე სტრიქონად გამოჩნდა ამ ფორმაში.

ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ დანარჩენი გატარებების შესრულების დროსაც.

ჩვენს შემთხვევაში, როდესაც უკვე შესრულებული გვაქვს გატარებები, მაგრამ არ მიგვითითებია კატეგორიები, უნდა მოვძებნოთ ყველა გატარება, რომლებშიც უნდა მიეთითოს ეს კატეგორიები. მაგრამ, რომ არ მოგვიწიოს ყველა გატარებებს შორის საჭიროების ძებნა, უმჯობესია ასე მოვიქცეთ:

გამოვიტანოთ ანგარიშთა გეგმიდან რიგრიგობით 1110, 1120, 1210 და 1220 ანგარიშების ბარათები და მიყოლებით მოვახდინოთ გატარებების სტრიქონების კორექტირება და კატეგორიების მითითება.


შესაძლებელია კატეგორიების დამატება, წაშლა, გადაკეთება. ეს შეიძლება იმ შემთხვევაში გახდეს საჭირო, თუ ორგანიზაციას ისეთი სახის შემოსავლები და გასავლები აქვს, რომ მათ აღსარიცხავად არსებული კატეგორიები საკმარისი არ არის. მაგალითად, თუ ორგანიზაციას ცალცალკე სურს ჟურნალებისა და წიგნების რეალიზაციისაგან მიღებული თანხების ასახვა Cash Flow-ს უწყისში, მაშინ კატეგორიების სიაში უნდა დაამატოს ეს ორი ელემენტი, ხოლო პირველი კატეგორია ამოშალოს:

აგრეგატორა	კომენტარი
	<input checked="" type="checkbox"/> საოპერატიო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა
2კატ	- მიმდებარედან და თანამშრომლებზე გათვალისწინებული ფულადი სახსრები
3კატ	- გადახდილი პროცენტები
4კატ	- გადახდილი გადასახადები
5კატ	- გაუმჯობესდნადიანი შემოსავლები
6კატ	- გაუმჯობესდნადიანი ხარჯები
7კატ	- შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან
8კატ	- შემოსავალი ჟურნალების რეალიზაციიდან


თავი 24. საცდელი ბალანსი. მოგება-ზარალი

პროგრამაში გათვალისწინებულია მოგება-ზარალისა და საცდელი ბალანსის ავტომატურად მიღების საშუალება. მხოლოდ, შეიძლება წინასწარ გარკვეული საშუალოს ჩატარება იყოს საჭირო, რათა ეს ანგარიშგებები ჩვენთვის სასურველი ფორმით იქნეს მიღებული.

გამოვიტანოთ ანგარიშთა გეგმა და გავხსნათ ჩანართი “შედგები”




მასში გათვალისწინებულია კიდევ ორი ჩანართი:



პირველ რიგში გააქტიურდება საცდელი ბალანსი. თუ იგი სათანადოდ არის აწყობილი, მაშინვე იძლევა სწორ შედეგს.


მაგრამ, თუ რაიმე მიზეზების გამო ბალანსი დარღვეულია, პროგრამა იძლევა შეტყობინებას:



ჩვენს შემთხვევაში სწორედ ასეთი შეტყობინება გამოვა.

შენიშნავთ, რომ ანგარიშების ნაშთებში ბალანსის მარჯვენა და მარცხენა მხარეები შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ, საცდელი ბალანსის მხარეების ჯამები განსხვავებული იყოს. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

ვნახოთ დისბალანსის შესაძლო მიზეზები. ამისათვის კი ზემოთ მოცემულ შეკითხვაზე Yes ღილაკზე დაჭერით მივცეთ თანხმობა. ვიხილავთ ეკრანს:



თუ დავაკვირდებით ანგარიშებზე ნაშთების მნიშვნელობებს, უარყოფითი ნაშთი არსად არა გვაქვს. ამიტომ, პირველი შესაძლო მიზეზი გამოირიცხა.

უფრო მოსალოდნელია მეორე მიზეზი - საცდელი ბალანსის ანგარიშებს რაიმე ანგარიში აკლია.

დავხუროთ შეტყობინების ფანჯარა. ვიხილავთ საცდელი ბალანსის შევსებულ ფორმას:

საბალანსო ნაშთები ნაშთები გრუნდები ბარათები სახეობები ვიდეოები		პროექტი: შიჩინი		ნაწილი პალატი	
სამსახური ბალანსი მოგება ზარალი					
	აქტივები	თანხა		პასივობა და ვალდებულებები	თანხა
	მიმდინარე აქტივები			მიმდინარე ვალდებულებები	
1100	ნაღდი ფული სალაროში	1,210.45	3110	მიწ და მიწისა. წარმოქმნილი ვალ	12,100.00
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე	3,876.21	3160	ვალდებულებები საწარმოს კონსოლი	150.00
1430	მიმდინარე საწარმოს კონსოლი	104.00	3210	მოკლევადიანი სესხები	3,000.00
3340	გადახდილი ფასი	1,066.00	3330	გადასახდელი ფასი	50.00
1480	მიმდინარე ვალდებულებები გადასახდელი ავანსი	2,400.00		სულ მიმდინარე ვალდებულებები:	15,300.00
	სულ მიმდინარე აქტივები	8,656.66		ბრკელვადიანი ვალდებულებები	
	სასაქონლო მატერიალური მასა		4140	ბრკელვადიანი სესხები	11,000.00
1620	ნიღბული და მასალები	10,029.75		სულ ბრკელვადიანი ვალდებულებები	11,000.00
1640	მზა პროდუქტები	150.12		საკუმარო პასივობები	
	სულ სასაქონლო მატერიალური მატერიალური აქტივები	10,179.87	5330	საანგარიშობის კონსოლი მოგება	-1,247.50
2160	ოქონის აღჭურვილობა	5,815.97		სულ საკუმარო პასივობები	-1,247.50
	სულ ბრკელვადიანი აქტივები	5,815.97		სულ პასივობა და ვალდებულებები	25,052.50
	სულ აქტივები	24,652.50			

მივიღეთ სტანდარტული ფორმის საცდელი ბალანსი, რომელიც შეიქმნა გამოიბეჭდოს პრინტერზე.

როგორც ვხედავთ, განსხვავება გვაქვს ბალანსის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს შორის:

სულ აქტივები	24 652.50 ლარი
ვალდ. და კაპიტალი	25 052.50 ლარი
სხვაობა შეადგენს	400 ლარს.

ღილაკის გამოყენებით შესაძლებელია დახმარების (Help) მიღება, რომელიც მითითებულია ამ ანგარიშების მიღების წესები.

გავეცნოთ პროგრამაში საცდელი ბალანსის მიღების ძირითად პრინციპებს: ამ ფორმის მისაღებად პროგრამა ასრულებს ე.წ. ვირტუალურ გატარებებს. იგი დროებით ხურავს შემოსავლების, ხარჯების, ჯამური ცვეთის და ა.შ. ანგარიშებს, რომლებიც საცდელ ბალანსში არ უნდა მოხვედეს. მაგრამ ეს ანგარიშთა ნაშთებზე არანაირად არ მოქმედებს, რადგან რეალურად გატარებები არ სრულდება.

საცდელი ბალანსი მიიღება პროგრამაში არსებული სამი ცხრილის საფუძველზე:

1. საცდელი ბალანსის ანგარიშები;
2. გადასახური ანგარიშები;
3. სახეობების გადაფარვის ანგარიშები.



განვიხილოთ თითოეული ცხრილის დანიშნულება:



საცდელი ბალანსის ანგარიშების ცხრილი: მასში მოცემულია ის ანგარიშები, რომელთა ნაშთებიც უნდა აისახოს საცდელ ბალანსში. ანგარიშთა გეგმაში ახალი ანგარიშის დამატებით, ან წაშლით “საცდელი ბალანსის ანგარიშების” ცხრილში ცვლილება ავტომატურად არ ხდება. ამიტომ, ამ ცხრილში ანგარიშების დამატება ან წაშლა უნდა მოხდეს მომხმარებლის მიერ.

ამ დილაკის გამოყენებით შეგვიძლია ვნახოთ, თუ რა ანგარიშები მონაწილეობს ფორმის მიღებაში. ვიხილავთ ასეთ სურათს:



სამდული ბალანსის ანგარიშები		კაპიტალი და ვალდებულებები	
აკრძალა	საბუღალტრო აღნიშვნა	აკრძალა	საბუღალტრო აღნიშვნა
3360	გამასაღებელი აქტივი	3150	საკომისიო გამასაღებელი
1480	მომწოდებელზე გამასაღებელი ავანსები	3160	ვალდებულებები სარეზერვო პერსონალის წინააღმდეგ
1485	საბაქოების გამასაღებელი ავანსები	3170	ვალდებულებები მესაკმარეს სარეზერვო წინააღმდეგ
1490	სხვა მოქალაქეებზე მოთხოვნები	3190	სხვა მოქალაქეებზე ვალდებულებები
1500	მოქალაქეებზე სათავსაშუაო მოთხოვნები	3210	მოქალაქეებზე სესხები
	სასაქონლო მატერიალური მარაგი	3230	ბრუნდებიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
1610	საქონელი	3310	გამასაღებელი მოვების გამასაღებელი
1620	ნედლეული და მასალები	3320	გამასაღებელი სოფლისკულტურის გამასაღებელი
1630	დაუმთავრებელი წარმოება	3330	გამასაღებელი დღე
1640	გზა პროდუქტია	3350	გამასაღებელი აქტივი
1650	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3370	სოფლისკულტურის გამასაღებელი
1700	მინერალური ნახევარი ნარჩენები	3380	ქონების გამასაღებელი
1800	დარბიჯიანი მოთხოვნები	3385	საგადასახადო გამასაღებელი
1900	სხვა მიმდინარე აქტივები	3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები
	ბრუნდებიანი აქტივები	3410	გამასაღებელი კრწანთები
2110	მიწის ნაკვეთები	3420	გამასაღებელი დივიდენდები
2120	დაუმთავრებელი მშენებლობა	3430	ვალდებულებები საგარეო მოსახლეობის წინააღმდეგ
2130	პროცენტი	3490	სხვა ვალდებულებები

როგორც ვხედავთ, მარცხენა მხარეს მოცემულია ის ანგარიშები, რომლებიც საცდელი ბალანსის აქტივის მხარეს აფორმირებს, მარჯვნივ კი ვალდებულებებისა და კაპიტალის ანგარიშებია მოცემული.

ანგარიშები დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით, რომლებიც მუქი შრიფტით არის გამოყოფილი. მომხმარებელს შეუძლია ახალი კატეგორიის (დილაკი ) ან ანგარიშის (დილაკი ) დამატება, წაშლა, კორექტირება.

  დილაკების გამოყენებით შეიძლება ანგარიშების სტრიქონების ზემოთ, ან ქვემოთ გადაადგილება.

თუ ანგარიშთა გეგმიდან დავაკვირდებით ნაშთებს, ვნახავთ, რომ იქ ფიგურირებს ჩვენს მიერ დამატებული ანგარიშის - 1625 (“დამხმარე საწყობი”, რომელიც განხილული იყო მე-7 თავში – ანგარიშების სახეობების გამოყენება) ნაშთი, რომელიც 400 ლარის ტოლია. იგი საცდელი ბალანსის ანგარიშებს შორის არ არის. სწორედ ეს არის დისბალანსის მიზეზი.

 დილაკის გამოყენებით ანგარიშების ცხრილის მარცხენა მხარეში დავამატოთ ახალი ჩანაწერი და ანგარიშთა გეგმიდან ავირჩიოთ 1625 ანგარიში. ცხრილის ბოლოში ჩამატებული სტრიქონი გადავაადგილოთ ზემოთ  დილაკის გამოყენებით ისე, რომ იგი 1620 ანგარიშის ქვემოთ აღმოჩნდეს. საბოლოოდ ცხრილის მარცხენა მხარეში ასეთი სურათი უნდა მივიღოთ:

1620	ნედლეული და მასალები	3130	გაფ
1625	დამხმარე საწყობი	3140	რ/რ
1630	დაუმთავრებელი წარმოება	3150	საპ
1640	გზა პროდუქტია	3160	ვპ

დავხუროთ ეს ფანჯარა და დავბრუნდეთ საცდელ ბალანსში:

საბუღალტრო ნაშთები		ნაშთები	გონივრები	ბალანსი	სახეობა	მოდული	ნაწილი	ბალანსი
საბუღალტრო ბალანსი		მოგება-ზარალი						
	აქტივები	თანხა		პასივები და ვალდებულებები		თანხა		
მიმდინარე აქტივები				მიმდინარე ვალდებულებები				
1100	ნაღდი ფული საღარიბო	1,210.45		3110	მიწა და მიწის ნაკვეთი	12,100.00		
1200	ფული საბანკო ანგარიშზე	3,876.21		3160	ვალდებულებები სანაწარმო კონსტრუქციებს	150.00		
1430	მოთხოვნები სანაწარმო კონსტრუქციებს	104.00		3210	მოკლევადიანი სესხები	3,000.00		
3340	გადასმული დღე	1,066.00		3330	გადასახდელი დღე	50.00		
1480	მიმდინარე ვალდებულებები	2,400.00			სულ მიმდინარე ვალდებულებები	15,300.00		
	სულ მიმდინარე აქტივები	8,656.66			გადასახდელი ვალდებულებები			
	სასაქონლო მატერიალები			4140	გონივრები	11,000.00		
1620	მედიკამენტები და მასალები	10,029.75			სულ გადასახდელი ვალდებულებები	11,000.00		
1625	დაზღვევის ხარჯები	400.00			საკუთარი კაპიტალი			
1640	გადასახდელი	150.12		5330	საანგარიშგებო კომისიის მოგება	1,247.50		
	სულ სასაქონლო მატერიალები	10,579.87			სულ საკუთარი კაპიტალი	-1,247.50		
	გადასახდელი აქტივები				სულ კაპიტალი და ვალდებულებები	25,052.50		
2160	ოფისის აღჭურვილობა	5,815.97						
	სულ გადასახდელი აქტივები	5,815.97						
	სულ აქტივები	25,052.50						

როგორც ვხედავთ, ფორმაში დამატებულია ახალი ანგარიში და მისი ნაშთი, ხოლო ბალანსი გასწორებულია.

გადასახური ანგარიშების ცხრილი: ანგარიშების გადახურვის ვირტუალური გატარებები სრულდება ქვემოთ მოცემული ცხრილის საფუძველზე:

გადასახური ანგარიშები		ნაწილი	კონსტრუქციები ანგარიშები
გადასახური ანგარიში	ნაწილი	დ	კ
2210	○ ○	2110	○ ○
2220	○ ○	2120	○ ○
2230	○ ○	2130	○ ○
2250	○ ○	2150	○ ○
2260	○ ○	2160	○ ○
2280	○ ○	2180	○ ○
2290	○ ○	2190	○ ○

მარცხენა მხარეს ნაჩვენებია გადასახური ანგარიშები, ხოლო მარჯვენა მხარეს მოკორესპონდენტო ანგარიშები, რომლებითაც მოხდება მათი გადახურვა. ამ ცხრილშიც შესაძლებელია ახალი სტრიქონების დამატება, კორექტირება და წაშლა.

მაგალითად, განვიხილოთ რა ფუნქციას ასრულებს შემდეგი სტრიქონი:

2260	○ ○	2160	○ ○
------	-----	------	-----

ამ ჩანაწერის მიხედვით კეთდება ვირტუალური გატარება, რომლითაც 2260 ანგარიშზე (ოფისის აღჭურვილობის ჯამური ცვეთა) არსებული საკრედიტო ნაშთი მთლიანად გადაიტანება 2160 ანგარიშის (ოფისის აღჭურვილობა) კრედიტის მხარეს.

ამჟამად ამ ანგარიშებზე ასეთი ნაშთები გვაქვს:

- 2160 – 7 000 ლარი;
- 2260 – 1 184.03 ლარი.

2260-ის გადახურვის შედეგად ეს ანგარიში განუღდება (ვირტუალურად), ხოლო 2160 კი შემცირდება 1 184.03 ლარით და მისი ახალი მნიშვნელობა – 5 815.97 ლარი, შეიტანება საცდელ ბალანსში.

ანალოგიურად გადაიხურება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებიც.



სახეობების გადაფარვის ანგარიშები. აქ ნაჩვენებია დებიტორებისა და კრედიტორების გადაფარვის ანგარიშები:

სახეობების გადაფარვის ანგარიშები	
ანგარიში	ანგარიში
1410	3110

აქვე შესაძლებელია დანარჩენი სახეობების: ორგანიზაციის, სასაქონლო და თანამშრომლების ანგარიშების დამატება და წაშლა.

ცხრილის ერთადერთი ჩანაწერი ასე უნდა გავიგოთ:

ერთი და იგივე ორგანიზაცია შეიძლება ერთდროულად 1410 და 3110 ანგარიშებზე იყოს გახსნილი. ეს ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაცია ჩვენთვის ხან დებიტორია (მაგალითად, მიწოდებული გვაქვს საქონელი), ხანაც კრედიტორი (მაგალითად, მოწოდებული აქვს რაიმე მასალა). მასთან ორივე ანგარიშზე გვაქვს რაიმე ნაშთები.

მაგალითად, თუ 1410 ანგარიშზე ამ ორგანიზაციასთან ნაშთი 600 ლარი გვაქვს, ხოლო 3110 ანგარიშზე 400 ლარი, ეს ნიშნავს, რომ საბოლოო მდგომარეობით მასთან დადებითი ბალანსი გვაქვს – 200 ლარი. მოხდება ამ ანგარიშების გადაფარვა და საცდელი ბალანსის მარცხენა მხარეში მხოლოდ ეს თანხა შეიტანება.

ამგვარად, ორი ანგარიშის ურთიერთგადაფარვის დროს (როდესაც მათ ერთი და იგივე დასახელებისა და კოდის ქვეანგარიშები აქვთ), უდიდეს ნაშთს აკლდება უმცირესი და სხვაობა შეიტანება საცდელ ბალანსში.

ანალოგიურად წესით მიიღება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. შევსებულ ფორმას ასეთი სახე ექნება:

საქმის სახელი		პროცენტი	საბუღალტრო
ამონაგები			250.00
ნააღიშ. პროდ. თანხა	150.13		
ადგილის ტრანსპორტი სასაქონლო	1,347.37		
ჯამი	1,497.50		250.00
საწარმოო საქმიანობიდან მიღებული მიზნა	1,247.50		

როგორც ჩანს, ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის შედეგი ასეთია:

შემოსავალი (ჟურნალების რეალიზაციისაგან)	250 ლარი.
სულ გაწეული ხარჯები (ხელფასი, მასალების დანახარჯები, ძირითადი საშუალებების ცვეთა, კომპიუტერის, ელექტროენერჯის ხარჯები და ა.შ.)	1497.50 ლარი
სხვაობა	1247.50 ლარი

ასე რომ, საცდელი ბალანსისა და მოგება-ზარალის შედგენის თარიღისათვის ორგანიზაციის ზარალი 1247.50 ლარს შეადგენს.

როდესაც საჭირო გახდება საბოლოო ბალანსის შედგენა, ანგარიშებზე რეალურად უნდა შესრულდეს ის გატარებები, რომლებიც საცდელი ბალანსის მიღების დროს ვირტუალურად სრულდებოდა. ამ შემთხვევაში შედარებით შრომატევადია შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვა და მათი ნაშთების 5330 ანგარიშზე გადატანა. ეს ნაშთები მოცემულია ანგარიშთა გეგმის შემდეგ ფრაგმენტზე:

6000	საოპერატიო შემოსავლები	250.00
6100	საოპერატიო შემოსავლები	250.00
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	250.00
7000	საოპერატიო ხარჯები	1,497.50
7100	რეალიზ. კომ. თვითმ. კვ. ზრ. და:	150.13
7110	კომისიური მასალების დანახარჯი	150.13
7400	საერთო და ადმინისტრაციული ხ.	1,347.37
7410	შრომის ანაზღაურება	613.34
7430	კომუნიკაციის ხარჯები	150.00
7455	მართვა და ამორტიზაცია	184.03
7490	სხვა საერთო ხარჯი	400.00
	19,084.00	19,084.00

ჩვენს შემთხვევაში ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭირო იქნებოდა თითოეული ნაშთის ცალცალკე გატარებით დახურვა. მაგალითად, 7410 ანგარიშის დახურვის გატარება ასეთი იქნება:

დ. 5330 კრ. 7410 თანხა 613.34

შემოსავლების ანგარიშებიდან 6110-ს დახურვა ასე მოხდება:

დ. 6110 კრ. 5330 თანხა 250.

ანალოგიურად დაიხურება სხვა ანგარიშებიც.

მაგრამ, თუ მათი რაოდენობა დიდია და შესაბამისად საჭიროა ბევრი გატარების შესრულება, ამოცანის გამარტივება შეიძლება სამეურნეო ოპერაციების გამოყენებით. მათში ჩართულია ძალზედ მოსახერხებელი ოპერაცია “ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიშების გადახურვა”.




მისი გამოყენებით 6000 და 7000 ჯგუფის ანგარიშები ერთბაშად დაიხურება და ნაშთები 5330 ანგარიშზე გადავა. ჩვენს შემთხვევაში, ამ ოპერაციის შედეგად შემდეგი გატარებები შესრულდება:

დოკ.	თარიღი	საღებ.	დანახელება [დ]	საღებ.	დანახელება [კრედ.]	თანხა	ვალუ
	19.09.200	5330	საანგარიშგებო 7110		კომისიური მასალების დანახარჯი	150.13	GEL
	19.09.200	5330	საანგარიშგებო 7410		შრომის ანაზღაურება	613.34	GEL
	19.09.200	5330	საანგარიშგებო 7430		კომუნიკაციის ხარჯები	150.00	GEL
	19.09.200	5330	საანგარიშგებო 7455		მართვა და ამორტიზაცია	184.03	GEL
	19.09.200	5330	საანგარიშგებო 7490		სხვა საერთო ხარჯი	400.00	GEL
	19.09.200	6110	შემოსავალი რე 5330		საანგარიშგებო კომისიის მოგება	250.00	GEL


თუ გადავალთ ნაშთებში, ვნახავთ, რომ შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები განულებული (გადახურული) იქნება.

თავი 25. ატვირთვები mof.ge (rs.ge) ვებ-გვერდზე

1. სასაქონლო ზედნადებიდან ელექტრონული ა. ფაქტურის ატვირთვა

- ჩვეულებრივად შეავსეთ სასაქონლო ზედნადები
- ეკრანის ქვედა ნაწილში არის ღილაკი  (5.117 ვერსიაში და მის შემდგომში!)
- ინფორმაცია გადაიტანება ფაილში, რომლის დასახელება და ადგილი მითითებული იქნება გამოსულ ფანჯარაში
- Yes-ზე დაჭერით ეკრანზე გამოვა ფანჯარა 
- თუ ამ ოპერაციას პირველად ასრულებთ ორისიდან, მაშინ უნდა მოხდეს მომხმარებლის დარეგისტრირება. გამოსულ ფანჯარაში მიეცით შესაბამისი ბრძანება – ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია. გამოვა ფანჯარა 

ველები ასე უნდა შეივსოს:

- მომხმარებელი და პაროლი – იგივეა რითაც rs.ge ვებ გვერდზე შედიხართ ელექტრონული დეკლარირებისათვის ან ელ. ფაქტურის ხელით შესავსებად
- კომპიუტერის IP მისამართი – დააჭირეთ ამ წარწერიან ღილაკზე და ცოტა ხანში უჯრაში გამოჩნდება კომპიუტერის IP მისამართი (ცხადია, კომპიუტერი მიერთებული უნდა იყოს ინტერნეტთან!). თუ ეს ღილაკი არ აქტიურდება, იგივეს გაკეთება შეიძლება მის გვერდზე ინტერნეტის ღილაკზე დაჭერით. ეკრანზე გამოვა IP მისამართი, რომელიც უნდა შეიტანოთ ამ უჯრაში (ან გამოიყენეთ Copy/Paste) **მისამართის გაგება ასევე შეგიძლიათ თუ პირდაპირ შეხვალთ ვებ გვერდზე www.whatismyipaddress.com**
- ორგანიზაციის დასახელება – ჩვეულებრივ ქართულად ან ინგლისურად ნებისმიერად
- სერვისის მომხმარებელი – ქართულად ან ინგლისურად – ნებისმიერი სახელი
- პაროლი – ნებისმიერი პაროლი, რითაც ეს მომხმარებელი ისარგებლებს.
- ბოლოს უნდა მოხდეს დარეგისტრირება 

თუ დარეგისტრირება არ მოხდება, შეიტანეთ 4 და 5 პუნქტებში მითითებულ ველებში სხვა სახელი და პაროლი

შემდგომში გამოიყენეთ მხოლოდ ატვირთვის ბრანებას და შეიტანეთ 4 და 5 პუნქტებში მითითებულ მომხმარებლის სახელს და პაროლს

შენიშვნა 1:

მომხმარებლის დარეგისტრირება ხდება ერთჯერადად.

ერთ პროგრამაში შეიძლება დარეგისტრირებული იყოს რამდენიმე მომხმარებელი, რომლებიც ახდენენ ელ. ფაქტურის ატვირთვას.

თუ ატვირთვა ხდება სხვადასხვა კომპიუტერიდან, მაშინ ყოველ კომპიუტერზე სათითაოდ უნდა მოხდეს მომხმარებლების რეგისტრაცია.

შენიშვნა 2:

თუ ატვირთვის ფანჯარაში ტექსტი არ ჩანს ქართულად (გაუგებარი სიმბოლოებით) მაშინ Windows ოპერაციული სისტემის რეგიონალურ პარამეტრების ფანჯარაში ენა ყველგან უნდა დაყენდეს ინგლისური (რუსულის ან ქართულის ნაცვლად)

Start/Settings/Control Panel/Region and Languages/Administrative/Change Location -შიც!

შენიშვნა 3:

ენის შეცვლამ შეიძლება ორისის პროგრამაში ეკრანული შრიფტების არევა გამოიწვიოს. მის გასასწორებლად შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობა:

ფონდები / სისტემის პარამეტრები / ეკრანი

გახსნილ ფანჯარაში წაშალეთ პირველ და მეორე უჯრაში არსებული ეკრანული შრიფტები და ფანჯარა დახურეთ OK ღილაკით. გამოდით პროგრამიდან და ხელახლა შედით. შრიფტები გასწორებული დაგხვდებათ.

ზედნადების ატვირთვის ოპერაცია სრულდება ფაქტურის ატვირთვის ანალოგიურად. ზედნადების ატვირთვა შესაძლებელია ორისის ვერსიაში, რომელიც გამოსულია 2012 წლის მარტიდან.

თუ ორივეს ატვირთვა გინდათ, მაშინ ჯერ ზედნადები უნდა აიტვირთოს (გააქტიურებით, ან დასრულებით). ორისში ზედნადები მიიღებს ელექტრონულ ნომერს. შემდეგ მიცემთ ფაქტურის ატვირთვის ბრძანებას და ელ. ფაქტურაში გადაიტანება ს. ზედნადების ნომერი

თავი 26. საბუღალტრო ცხრილები (წარმოება)


პროგრამა ორისს შეიძლება დამატებული ჰქონდეს წარმოების მოდული, რაც საჭიროა წინასწარი კალკულაციების შესატანად. მისი გამოყენება მიზანშეწონილია ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც პერიოდულად ამზადებენ ერთიდაიგივე შემადგენლობის პროდუქციას (მაგ. რესტორნები, კაფეები, საკონდიტროები, სამკერვალო ფაბრიკები და ა.შ.)

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ვიმუშაოთ წარმოებასთან:

იმისათვის, რომ ორისის პროგრამაში იმუშაოთ წარმოებასთან, თქვენი პროგრამის გასაღებს – პასპს დამატებული ჰქონდეს შესაბამისი მოდული.

როგორ გავიგოთ, აქვს თუ არა ცხრილები პროგრამას

თუ გინდათ, გაიგოთ, აქვს თუ არა ეს მოდული თქვენს პროგრამას, გამოიძახეთ პროგრამა და პირველივე ფანჯარაში, ზედა მარცხენა კუთხეში უნდა ჩანდეს წარწერა – “ცხრილები”



წარმოების ახალი ბაზის შექმნა

იმისათვის, რომ იმუშაოთ წარმოებასთან შექმენით ახალი ორგანიზაცია “ფაილი / ახალი ორგანიზაციის შექმნა” და მონიშნეთ მესამე პუნქტი - “წარმოება”. (ეს პუნქტი არ გამოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ წარმოების მოდული!)




წარმოების ცხრილების დამატება აღრე შექმნილ სხვა ორგანიზაციაში

იმისათვის, რომ აღრე შექმნილ ორგანიზაციაში შეძლოთ წარმოების ცხრილებთან მუშაობა, საჭიროა ახალ შექმნილ წარმოების ორგანიზაციის საქალაქედან, რომლის ნახვას შეძლებთ

C:/Oris-ის საქალაღლეში, გაღმოწეროთ თქვენთვის საჭირო ორგანიზაციის საქალაღლეში (რომელიც ასევე მღებარეობს C /Oris-ის საქალაღლეში) შემღევი ექესი ფაილი: Db.tps, DBEval.TPS, DBFilter.TPS, DBHeader.TPS, DBMCheck.TPS და DBTemp.TPS - ე.ი. DB - თი დაწყეული ფაილები.






ამის შეღეგად, პროგრამა ორისში გაჩნღება დამაგებითი მენიუს პუნქტი - ცხრილები








სამეურნეო ოპერაციებში წარმოების ოპერაციის დამაგების მეთოღები:

1. თქვენს მიერ შექმნილ წარმოების ორგანიზაციიდან ექსპორგ-იშპორის საშუალებით თქვენთვის სასურველ ორგანიზაციაში უნღა გადაიგანოთ “წარმოების” ოპერაცია. ამისათვის გამოიღახეთ პროგრამა “ორის ბულღგერია” და შეღით თქვენს მიერ შექმნილ წარმოების ორგანიზაციაში, საღაც მენიუღან “**ოპერაციები**” აირჩიეთ ქვემენიუ “**სამეურნეო ოპერაციები**” და შემღევ “**აწყობა**”. მონიშნეთ ოპერაცია “**წარმოება**” და დღაჭირეთ ეკრანის ქვეღა მარჯვენა კუთხეში არსებულ ოპერაციის ექსპორგის ღიღაკს - . იხიღავთ ოპერაციის ექსპორგის ფანჯარას, საღაც ველში “File name” “* ”-ის მაგიერად მიუთითეთ საექსპორგო ფაიღის დღსახეღება ლათინური ასოებით (მაგაღითაღ: carmoeba.oex) და დღაჭირეთ “OK”-ს. ამის შემღეთ შეღით თქვენთვის საჭირო ორგანიზაციაში და მენიუღან “**ოპერაციები**” აირჩიეთ ქვემენიუ “**სამეურნეო ოპერაციები**”, ხოლო შემღევ “**აწყობა**”. დღდექით იშ ოპერაციიშე, რომღის ქვემოთაყ გსურთ “წარმოების” ოპერაციის დამაგება და დღაჭირეთ ეკრანის ქვეღა მარჯვენა კუთხეში არსებულ ოპერაციის იშპორგის ღიღაკს - . იხიღავთ ოპერაციის იშპორგის ეკრანს საღაც მონიშნეთ თქვენს მიერ ექსპორგირებულ ფაიღი (carmoeba.oex) და დღაჭირეთ “Ok”-ს, ხოლო შემღევ დამაგსოვრების ღიღაკს - . შენიშვნა: ამ შემთხვევაში თქვენი აწყობიღი სამეურნეო ოპერაციები (თუ თქვენ გაღაკეთებული გაქეთ არსებული სგანღარგული ოპერაციები) შენარჩუნებული იქნება

2. **უწრო მარგივი მეთოღი:** თუ შექმნით ახალ ორგანიაციას და აირჩიეთ გიშს - წარმოებას, მის აწყობიღ სამეურნეო ოპერაციებში უკვე დამაგებული იქნება წარმოების ოპერაცია. შეიღლება ამ ორგანიზაციიღან მთღიანი აწყობიღი ოპერაციების გაღაკოპირება ღვეღ ორგანიზაციაში, რომელშიც ეს ოპერაცია არ არის. ამისათვის როგორც მემოთ იყო აღწერიღი, C:/O ris-ისში წარმოებიანი ორგანიზაციის საქალაღღიღან გაღმოაკოპირეთ ოპერაციების ხის ფაიღი tree.tps ღვეღ ორგანიზაციის საქალაღლეში. შენიშვნა: ამ ღროს თქვენს ღვეღ ორგანიზაციაში მთღიანად შეიცვლება აწყობიღ სღამეურნეო ოპერაციები

ექსპლუატაცია


პირველ რიგში საჭიროა მომზადდეს მზა პროლექციის ცხრილი, სადაც მიუთითებთ რა მასალებისგან შედგება იგი. ამისათვის საჭიროა, შენიუდან “**ცხრილი**” ავირჩიოთ ქვეშეხეი “**წარმოება/მზა პროლექცია**”. ეკრანზე იხილავთ ცხრილს, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. ზედა ნაწილი განკუთვნილია მზა პროლექციისთვის, ხოლო ქვედა ამ მზა პროლექციის შემადგენელი მასალისთვის. ეკრანის ზედა, მზა პროლექციის, ნაწილში დააჭირეთ ღილაკები - . ველის “ანგარიში” გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი - . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც მონიშნეთ 1 6 40. ამ ანგარიშზე უნდა გაიხსნას მზა პროლექციის შესაბამისი სასაქონლო ანგარიში. დააჭირეთ ღილაკები - . იხილავთ ეკრანს, სადაც მიუთითეთ, რომ დასამატებელი ანგარიში არის **სასაქონლო**. იხილავთ საქონლის სიის ეკრანს, სადაც დაამატეთ მზა პროლექცია. შემდეგ აირჩიეთ იგი ღილაკით - . ანგარიშის ღილაკების ეკრანზე დააჭირეთ - “OK”-ს. ანგარიშთა გეგმაში იხილავთ თქვენს მიერ დამატებულ სასაქონლო ანგარიშს, რომელსაც ცისფერი ფერი აქვს (ჩვენს სისტემაში სასაქონლო ანგარიშები პირობითად ცისფერი ფერით გამოიყოფა). დააჭირეთ არჩევის ღილაკს - . ეკრანის ზედა ნაწილში დაინახავთ, რომ გაჩნდა თქვენს მიერ დამატებული მზა პროლექცია. ამავე ეკრანის ველში “ერთეულის სარეალიზაციო ფასი” თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მზა პროლექციის სარეალიზაციო ფასი. ამისათვის მონიშნეთ სასურველი მზა პროლექციის გასწვრივ ველი “ერთეულის სარეალიზაციო ფასი” და დააჭირეთ “F2”-ს ან “Enter”-ს. დაინახავთ, რომ ეს ველი გააქტიურდება, მიუთითეთ მზა პროლექციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი და დააჭირეთ ღილაკს “Enter”.

ახლა საჭიროა მიუთითოთ თუ რისგან შედგება თქვენს მიერ დამატებული მზა პროლექცია. ამისათვის ეკრანის ქვედა, მასალების, ნაწილში დააჭირეთ ღილაკები - . იხილავთ ეკრანს, სადაც ველის “დასახელება” გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი - . იხილავთ მასალების ცხრილს, სადაც დააჭირეთ ღილაკები - . ველის “ანგარიში” გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი - . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც მონიშნეთ 1 6 20. აქაც, ისევე, როგორც მზა პროლექციის შემთხვევაში ამ ანგარიშზე (1 6 20) უნდა გაიხსნას მასალები, როგორც სასაქონლო ქვეანგარიშები. დააჭირეთ ღილაკები - . იხილავთ ეკრანს, სადაც მიუთითეთ, რომ დასამატებელი ანგარიში არის **სასაქონლო**. იხილავთ საქონლის სიის ეკრანს, სადაც დაამატეთ მასალა. შემდეგ აირჩიეთ იგი ღილაკით -  OK. ანგარიშის ღილაკების ეკრანზე დააჭირეთ - “OK”-ს. ანგარიშთა გეგმაში იხილავთ თქვენს მიერ დამატებულ სასაქონლო ანგარიშს. აირჩიეთ იგი ღილაკით - . იხილავთ მასალების ცხრილს, სადაც გაჩნდა თქვენს მიერ დამატებული მასალა.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ მასალების ცხრილში დამატებულ მასალას ვეღარ წაშლით.

ახლა საჭიროა ამავე ცხრილში მითითებული იყოს განზომილება. მოძებნეთ ველი “განზომილება” და დააჭირეთ F2-ს. იხილავთ განზომილებების ცხრილს, სადაც აირჩიეთ რომელიმე მათგანი.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ ის, რომ მასალების ცხრილში კონკრეტული მასალისთვის რა განზომილებაა მიუთითებთ, იმავე განზომილებაშივე უნდა მოხდეს მისი შექმნა. აგრეთვე სასაქონლო სიაში შესაბამისი მასალის დამატებისას მინიმალურ ერთეულშიც იგივე განზომილება მიუთითეთ.

მასალის დამატების შემდეგ აირჩიეთ იგი ღილაკით - . ნახავთ, რომ შემადგენლობის ეკრანში გაჩნდა თქვენს მიერ დამატებული მასალა. ახლა საჭიროა მითითებულ იქნას რა რაოდენობის და განზომილების ეს მასალა სჭირდება ამ მზა პროდუქციის ერთეულის დამზადებას. ამისათვის 2-ჯერ დააჭირეთ შესაბამის ველს და მიუთითეთ რაოდენობა და განზომილება (აქ შეგიძლიათ აირჩიოთ მასალების ცხრილში დაფიქსირებული განზომილებისგან განსხვავებული ერთეული). დააჭირეთ “OK”-ს. მეორე, მესამე და ა.შ. მასალის დასამატებლად იგივენაირად მოიქეცით.

მას შემდეგ რაც შეიქმნება მზა პროდუქცია, საჭიროა შესრულდეს ოპერაცია “**წარმოება მზა პროდუქციის გამოშვება - რეალიზაცია**”. თარიღის მითითების შემდეგ ეკრანზე იხილავთ შეცვობინებას: “თავიდან შევიგანოთ წარმოებული რაოდენობა?”. იმ შემთხვევაში თუ თქვენ გსურთ მზა პროდუქციის წარმოებული რაოდენობის ცვლილება აირჩიეთ - “კი”, წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩიეთ - “არა”. მოცემულ შემთხვევაში აირჩიეთ - “არა”, რის შემდეგაც ეკრანზე იხილავთ მზა პროდუქციის ცხრილს, სადაც მითითებულია წარმოებული რაოდენობა. იმ შემთხვევაში თუ თქვენ გსურთ წარმოებული რაოდენობის ცვლილება მონიშნეთ სასურველი მზა პროდუქცია და “F2” ღილაკის საშუალებით მიუთითეთ წარმოებული რაოდენობა და ერთეულის სარეალიზაციო ფასი არჩეული მზა პროდუქციის შესაბამის ველებში. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს “**შემდეგი**”, ეკრანზე იხილავთ შეცვობინებას: “შევასრულოთ მზა პროდუქციის რეალიზაციის ოპერაცია?”. თანხმობის შემთხვევაში აირჩიეთ ”კი”, წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩიეთ “არა”. თუ აირჩევთ გადამრთველს “არა” სისგემა შეასრულებს მხოლოდ მზა პროდუქციის თვითღირებულების დათვლის ოპერაციას, ხოლო “კი”-ს არჩევის შემთხვევაში სისგემა შეასრულებს, როგორც მზა პროდუქციის თვითღირებულების, ასევე მისი რეალიზაციის ოპერაციებსაც.

პროფესიული კოლეჯი

შპს გულალტერია მომსახურების ცენტრი

სასწავლო კურსი კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამა ორის-გულალტერიაში

ავტორი: თემურ აბესაძე

დაიბეჭდა: შპს დანი

მისამართი: წერეთლის 112

ტირაჟი: 250

2012 წელი



მცირე და საშუალო ბიზნესის
გულალტერთა მომზადების
სპეციალური პროგრამები

გულალტერთა მომზადების ცენტრი

ORIS Accounting Demo 5.87 MultiVal (C:\ORIS Demo\ALIONI) (სსსსსს ადმინისტრატორი) - [ანგარიშები]

ფაილი - რედაქტირება - ექსპორტი - ფორმები - ხელფასი - Window - დახმარება

საბუღალტრო პერიოდი 1.01.2007 - 1.01.2008

პროცენტი: 80.0000

ანგარიში: 16

სასაქონლო-გაბარებულნი მარ

დ/ბ	თარიღი	დ/ბ	მ/კ	ანგარიში	დასახელება	გ/გ	გრძნა დებიტი	გრძნა კრედიტი	ნაშთი დებიტი	ნაშთი
	1.01.2007				საწყობი					
	12.01.2007	2-1	1430 0003	გაზია ი.		200.00			200.00	
	12.01.2007	2-2	1430 0003	გაზია ი.		100.00			300.00	
	12.01.2007	2-3	1430 0002	გუგია ვ.		150.00			450.00	
	12.01.2007	2-4	1620 00002	კადალში		257.14			707.14	
	12.01.2007	2-4	1630	დაუშთარებული წარმოება			257.14		450.00	
	12.01.2007	2-4	1630	დაუშთარებული წარმოება			116.67		333.33	
	12.01.2007	2-4	1620 00003	საღებავი		116.67			450.00	
	12.01.2007	2-5	1630	დაუშთარებული წარმოება		373.81			823.81	
	12.01.2007	2-5	1640 00004	ჯურნალი			373.81		450.00	
	12.01.2007	2-6	1630	დაუშთარებული წარმოება			32.15		417.85	
	12.01.2007	2-6	1620 00002	კადალში		32.15			450.00	
	15.01.2007	3-2	1490 3	ფორმები		300.00			750.00	
	15.01.2007	3-3	3110	მომწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულება		500.00			1,250.00	
	15.01.2007	3-5	7210	გაყიდვით/გაყიდვითი სარეზერვო			149.52		1,100.48	

ORIS Accounting Demo 5.87 MultiVal (C:\ORIS Demo\ALIONI) (სსსსსს ადმინისტრატორი) - [ანგარიშები]

ფაილი - რედაქტირება - ექსპორტი - ფორმები - ხელფასი - Window - დახმარება

საბუღალტრო პერიოდი 1.01.2007 - 1.01.2008

საბადასახლო დაავლება | სააღმოსრული დაავლება | ანგარიშ - ფაქტურა | გასაღების ფაქტურა | საღმოსრული შემოსავლის ორდერი | საღმოსრული გასაღების ორდერი | სასაქონლო ზღვრები

214.12
236.85
36.85

დახმარება

რეკვირები | სარეკვირული გაბარებები

საწყობი ანგარიშები

შემოსავალი რეკვირები: 6 1 10 | გამოსახული დღი: 3 3 30 | 0.00

გაყიდვითი საკრედიტო: 7 2 10 | გამოსახული აბიტი: 3 3 50

თარიღი: 1.02.2007

პროცენტი: 80.0000

ეკონომიკის ტიპი: წინგების საშუალო / თანგა - 23 500.00 GEL

შეჯავრებული გაბარებები: ნაშთების მითითება: FIFO | LIFO | MID

დებიტი	კრედიტი	გ/გ	თანგა	საღმოსრული	სარეკვირული	კრედიტი
1 4 1 0 4	წინგების 6 1 10	შემოსავალი რეკვირები	0	20,000.00 GEL		
1 4 1 0 4	წინგების 3 3 30	გამოსახული დღი	0	3,600.00 GEL		
7 2 1 0	გაყიდვითი	გამოსახული დღი	0	0.00 GEL	100,000 რუბლი	

შეჯავრებული გაბარებები რეკვირული რეკვირები OK დიდი ანგარიშის დაქვინება აქვს
გაყიდვითი სასაქონლო რეკვირების გაბარებები შეჯავრებულია შესრულებულ
განსვავებული თანგებითი ვიზუალიზაცია

OK Cancel